N24 (575) 16/VI-22/VI-2011 ფასი 1 ლარი

# გზა

## ჩემი რჩეული
## ვაჟა-ფშაველა

ხუთტომეული
ტომი V

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
გალაკტიონ ტაბიძე
ტომი I



ორი წლის წინ დაწყებული რომანი

გიორგი ყიფიანი: „რუსკა ჩემია და მიყვარს“

დავით ყიფიანის ვაჟიშვილის პირადი ცხოვრება

„მამას ჩემთან ურთიერთობა არ დასცალდა“...

გახმაურებული დანაშაულის კვალდაკვალ



მანიაკი თუ შეშლილი?



„ჩემი „მონაპოვარი“ თიკა ფაცაცია იყო“...

ამერიკელი კრიმინალების მესაიდუმლე, კარატისტი გოგონა



„გარწმუნებთ, დაუნდობელი მკვლელია“...

პალიტრა მედია



„მედიაპალიტრას“ უამრავი დამცველი გამოუჩნდება“...

ISSN 1987 - 5029

## ქართული და სომხური ეკლესიების სტატუსები

# ახალი ესთეტიკური ცენტრი

# N.lines

**ქალს მხოლოდ სამი ასაკი აქვს, ბავშვობა, ახალგაზრდობა და მუდმივი ახალგაზრდობა! ნინო ჯავახიშვილის ესთეტიკური ცენტრი *Nlines* მომხმარებელს უამრავ საინტერესო მომსახურებას ხელმისაწვდომ ფასებში სთავაზობს.**

ჩვენ ვმკურნალობთ და ლიკვიდაციას ვახდენთ უამრავი პრობლემების; აგრეთვე გვაქვს უამრავი საშუალებები კანის მოვლისათვის:

1. კოსმეტოლოგია
2. ესთეტიკური თერაპია
3. ეპილაცია
4. პრობლემური კანის მკურნალობა
5. ესთეტიკური პროცედურები
6. აპარატურული კოსმეტოლოგია
7. სამკურნალო მასაჟი
8. გასახდომი მასაჟი
9. ანტისტრესი
10. სახის და დეკოლტეს ზონის სხვადასხვა ტიპის მასაჟი (კლასიკური, პლასტიკური, ჟაკე).
11. მანიკური,პედიკური











დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ტელ.: 222-12-11, 251-99-71
მის.: თენგიზ აბულაძის 30, 11 სართული
(ვაკის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია)

# საირმე

## უნიკალური კურორტი, სადაც ყველაფერია დასვენებისთვის



**მსოფლიოში იშვიათად შეხვდებით საკურორტო ადგილს, სადაც ერთდროულად ამდენი ბუნებრივი სიმდიდრე და სიკეთე არის თავმოყრილი. საუკეთესო გემოვნური თვისებების მქონე სამკურნალო, მინერალური წყალი, თერმული წყლების საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები და მთის კლიმატი — კურორტ საირმეს უნიკალურობას სძენს. ეს არის ადგილი, სადაც შეგიძლია, დასვენება და ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჰარმონიულად შეუთავსო ერთმანეთს.**

წლების განმავლობაში, ბალნეოლოგიური კურორტი საირმე მოძველებული ინფრასტრუქტურის გამო, ფაქტობრივად უფუნქციოდ იყო დარჩენილი. რამდენიმე თვის წინ კი „საირმის განვითარების კომპანიამ" კურორტის აღდგენა დაიწყო და სამშენებლო სამუშაოები დარსა თუ ავდარში, სრული სვლით გააჩაღა, რაშიც მათ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროც უწყობდა ხელს. პროექტი, რომლის ბიუჯეტი 10 მილიონი ლარია, 2013 წლის ბოლოს დასრულდება, თუმცა საირმეში ჩასულ დამსვენებელს უკვე ბევრი რამ დახვდებათ გაკეთებული და გააოცებს კიდეც.

3-ვარსკვლავიანი სასტუმრო „საირმე" პირველ დამსვენებლებს რამდენიმე დღეში მიიღებს. სასტუმროს ყველა ნომერში დამსვენებელს დახვდება პლაზმური ტელევიზორი, მინიბარი, სწრაფი ინტერნეტი, სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი. სასტუმროს ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია და ყველა ოთახი აღჭურვილია სახანძრო საგანგაშო სისტემით.

მთლიანად შეიცვალა კომუნიკაციის სისტემა, განახლდა სასტუმროს მიმდებარე ინფრასტრუქტურა. სასტუმროს მახლობლად მოეწყო ე.წ. ბიუეტები — ადგილი, სადაც დამსვენებელმა მინერალური წყალი უნდა მიიღოს. ბიუეტში ერთდროულად ათ დამსვენებელს, მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერით შეუძლია ჩამოასხას მინერალური წყალი, სწორედ იმ ოდენობით, რამდენსაც ექიმი დაუნიშნავს.

აქვე მოეწყო საბავშვო მოედანი ატრაქციონებით, შენდება სუპერმარკეტი, რომლის თავზეც მოეწყობა კაფე. აქვე სტუმრებს უმასპინძლებს რესტორანი, სადაც დამსვენებელს შესაძლებლობა ექნება მრავალფეროვანი, გემრიელი კერძები დააგემოვნოს.

„სასტუმრო" საირმის დამსვენებლებს მოემსახურებათ კომფორტული ავტობუსი, რომელიც მათ თერმული წყლების კურორტ უდაბნომდე ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს. საირმის უდაბნო სულ მალე, ევროპის დონის თანამედროვე სპა ცენტრი იქნება. „საირმის განვითარების კომპანიის" წარმომადგენლებმა უდაბნოში სპა ცენტრის მოსაწყობად, წამყვანი ქვეყნების გამოცდილება გაიზიარეს, გაეცნენ მოწინავე ტექნოლოგიებსა და იმ კომპანიებს დაუკავშირდნენ, რომელთა სახელსაც მსოფლიოს ცნობილი კურორტების მოწყობა უკავშირდება. უდაბნოს სპა ცენტრის მოწყობაზე დღეს ცნობილი გერმანული კომპანია „კრაფტი" მუშაობს.

სასტუმრო კომპლექსს 24 საათის განმავლობაში მოემსახურება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი და ყოველი დამსვენებლის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურსი საირმეში პროფესიონალი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ჩაივლის. სასტუმროს მომსახურების საფასური, ევროპის ანალოგიური კურორტებთან შედარებით საკმაოდ ხელსაყრელია და ერთ ადამიანზე, დღე-ღამის განმავლობაში, სამჯერადი კვებით 50-ლარიდან იწყება. ამ საფასურში შედის ექიმის კონსულტაციაც. სამ წლამდე ბავშვებისთვის საირმეში დასვენება უფასოა, ექვს წლამდე ბავშვები კი განახევრებული ტარიფებით ისარგებლებენ. საირმეში საკურორტო სეზონი ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება. ასე რომ, იჩქარეთ, რადგან ჯავშნების მიღება უკვე მიმდინარეობს.



**www.sairme.com.ge**
**240-45-45, 8 99 09 37 03**
**info@sairme.com.ge**

# Elos სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი



## სხეულზე პროცედურები

**Elos — ეპილაცია** წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

## სახის პროცედურები

**Elos გაახალგაზრდავება** — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

**ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე**

**29 00 66 29 47 47**

**თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge**

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან" ერთად, დიდი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

1. ვახტანგ გორგასალი
2. ვაჟა-ფშაველა
3. ფიროსმანი
4. ილია ჭავჭავაძე
5. თამარ მეფე
6. ბორის პაიჭაძე
7. გალაკტიონ ტაბიძე
8. ივანე ჯავახიშვილი

და სხვა დიდი ქართველები







17 - დან
24 ივნისამდე




შემდეგი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები წიგნების სერია ბავშვებისთვის

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.

წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)

კვირის პალიტრა
მზე

№24 (575)
16 — 22 ივნისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა





### ვაუჩერის გამო ჩადენილი დანაშაული

„სასწრაფო დახმარების“ ბრიგადამ ლამარა ჯაფარიძე პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ექიმები ოჯახს ავადმყოფის გადარჩენის იმედს არ აძლევდნენ. მას დაზიანებები კეფაზე აქვს. ექვსი დღე რეანიმაციაში გაატარა.“

14

## სახე





### „ჩვენი სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს!“

„პროფესიით დიპლომატი ვარ. აჩიკოს საერთაშორისო ეკონომიკური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ამ პროფესიის ადამიანები წარმატებულები სულ სხვა სფეროში აღმოვჩნდით, მაგრამ დადგება დრო, როცა საერთაშორისო ეკონომიკასა და დიპლომატიაში ჩვენს სათქმელს ვიტყვით!..“

23

■ მინიატიურები 5
მეტროლოგ პრეზიდენტოვიჩ!
ანუ — „გასასაცილოებულები“

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ მასმედია 7
უმიზეზოდ ატეხილი განგაში თუ...

■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 9

■ რაკურსი 12
ეგოისტი ხელისუფლება და
დისკვალიფიცირებული ოპოზიცია

■ კრიმინალი 14
ვაუჩერის გამო ჩადენილი დანაშაული

■ მადლი 17
„არტდღეები დევნილი ბავშვებისათვის“

■ პირადი ცხოვრება 18
7 წლის შემდეგ სცენაზე ხელახლა
ნაპოვნი სიყვარული

■ კარიერა 20
კასკადიორობით დაწყებული სამსახიობო კარიერა

■ ამპლუა 22
თიკა ჯამბურიას გოგონა ჯექსონის „ფანია“

■ ტანდემი 23
„ჩვენი სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს!“

■ გასტროლი 25
ქართველი „ჯადოქარი“ მაროკოში

■ კოლეგა 26
ახალბედა წამყვანმა „დღის შოუს“
საიდუმლო არ გასცა



## ცხოვრება

### „სპეცრაზმელი ვარ და სახელმწიფოში კანონებს ვიცავ“



„რკინის ღობესთან რომ ბურჯანაძისა და რუსული ფულის ერთგული ხალხი იდგა და ჯოხებს ახათქუნებდა, ისინი გაილახნენ და არ მრცხვენია ამის თქმის, — სრულიად დამსახურებულად!..“

35

## მზევნილები



### ბეწვზე გადარჩენილი

„დაავლეს ბიჭებმა გოგოს ხელი, აწივლეს, აყვირეს და ისე ჩატენეს მანქანაში. არაჩვეულებრივი გოგო იყო. არ გაჩერებულა არც მისი ხელ-ფეხი, არც ენა. ისე იგინებოდა და ილანძღებოდა, სხვას მისი ცოლად შერთვის სურვილი დაეკარგებოდა“.

64

■ **ჩემი ცხოვრების გზა** 28
ლიანა ასათიანის სიმარტოვე და
ლექსო თორაძის აუხდენელი ოცნება

■ **სამართალი** 31
ფსიქიკურად დაავადებულ პატიმარს
ციხეში სასტიკად სცემენ

■ **დედაშვილობა** 33
დედაშვილობამ ყველა ავადმყოფობასა
და სირთულეს სძლია...

■ **აქცია** 34
ნარკომანიის წინააღმდეგ —
სიმღერით გამოხატული თანაგრძნობა

■ **სამიზნე** 35
„სპეცრაზმელი ვარ და სახელმწიფოში
კანონებს ვიცავ“

■ **ლეგენდა** 37
„ხშირად ღალატობდა იღბალი“

■ **სულის სიმტკიცე** 40
ამერიკელი კრიმინალების მესაიდუმლე გოგონა

■ **ავტო** 42

■ **ისტორიის ლაბირინთები** 43
აბრაგ ზელიმხანის ქართველი
შვილობილის შურისძიება

■ **ერუდიტი** 46
მწერალზე შეყვარებული ნუკი
კოშკელიშვილის კოლექცია

■ **საკითხავი ქალებისათვის** 48

■ **ჯანმრთელობა** 50

■ **წვეთი პოეზია** 52

■ **რეალური** 53
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ **მისტიკური დედექტივი** 56
რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

■ **რომანი** 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64
ბეწვზე გადარჩენილი

■ **ყველა ერთისათვის** 67

■ **მობილი-ზაცია** 69

■ **ეს სამყაროა** 76

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **საფირმო კროსვორდი** 82


## სამყარო



## მწერალზე შეყვარებული ნუკი კოშკელიშვილის კოლექცია

„საქართველოში ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა კვლავ დიდ პრობლემად რჩება. სხვათა შორის, ქალბატონები ჩვენთან თავად მოდიან“.

46

## ბიზლუსი

## ხაფანგი



— როგორი ქალები მოგწონთ?
— როგორი და ლამაზი.
— მსუქნები, გამხდრები, ახალგაზრდები თუ ასაკოვნები? — კითხვა დამიკონკრეტა გოგონამ.
— სანამ არ მეტყვი, ეს ყველაფერი რაში გჭირდება, აღარ გიპასუხებ, — ისევ გავჯიუტდი.

56

## ტაიმ-აუტი



## მდიდარი ცხოველები

კუ სილვერსტოუნს კრისტინა ფოილიმ მემკვიდრეობით 200 ათასი დოლარი დაუტოვა.

მსახიობ ბერილ რეიდის გარდაცვალების შემდეგ, მისმა კატამ მემკვიდრეობით სახლი მიიღო, რომელიც 1,8 მლნ დოლარად შეაფასეს.

77


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.



# მეტროლოგ პრეზიდენტოვიჩ! ანუ – „გასასაცილოებულები"

**შესავლის ნაცვლად** გამარჯობა, ხალხო! გაგიკვირდებათ, მაგრამ ცოცხლები გახლავართ და ისევ ისეთები ვართ, როგორებიც ჩვენს ჰოლდინგში შემოსავლების სამსახურის „შემოგლიჯინებამდე" ვიყავით. უფრო მეტიც: იცით, რა გამახსენდა მთელ ამ რია-რიასთან დაკავშირებით? ამას წინათ, გურიის 1905 წლის ამბოხის ამბებს ვკითხულობდი. იქ საოცარი, ჭკუის სასწავლებელი ეპიზოდია აღწერილი (ხელისუფლების გასაგონად ვამბობ, გადაეცით): ქუთაისის რუსმა გუბერნატორმა, თურმე თხოვნით მისული, ხნიერი, დარბაისელი გურული გლეხების დელეგაცია სრული შემადგენლობით წამოაქცევინა და სასტიკად გააროზგვინა! ერთ-ერთი მათგანი, როდესაც „ეგზეკუცია" დამთავრდა, წამომდგარა, ქუდი დინჯად დაუფერთხავს, დაუხურავს და გუბერნატორისთვის უთქვამს:

— რა ქენით ახლა მაგით, იცი? მე რაც ვიყავი, ისევ ის ივანიკა გოგიძე ვარ, მარა რომ მძულდით, იმაზე მეტად მძულხართ!

ვიცი, რომ არ არის სიძულვილი მთლად წესიერი და ქრისტიანული საქმე, თუმცა სიძულვილი ხმამაღლა ნათქვამია — როგორ უნდა გძულდეს კაცს ან მიშა და ან მისი ზოგიერთი მინისტრი და პარლამენტარი?! აი, მაგალითად, აკო მინაშვილი როგორ უნდა გძულდეს, რაც უნდა გაგაბრაზოს?! ან გოგა ხაჩიძე?! ან კიდევ, ის რომ ჰყავთ — „ფანდარასტის" ამბავში სამაჩაბლოს ორი სოფლის პრეზიდენტად რომ ეჯდათ — სანაკოევი, რომ შეხედავ, როგორ უნდა შეგძულდეს? უბრალოდ, შეიძლება გაგეცინოს კაცს, მაგრამ ჩვენსავით მთლად სახლში თუ შემოგიცვივდნენ...



ჰო, იმას ვამბობდი, შესავალში ნახსენები მაგალითი იმისთვის კი არ მომიტანია, რომ ხელისუფლება მძულს და კიდევ უფრო შემძულდება; უბრალოდ, ვეცდები კიდევ უფრო მეტად გამეცინოს მაგათ სისულელეებზე. ისე, ჩვენი ოფისის ეზოში ჩატარებული ჟურნალისტთა სოლიდარობის აქციისა და ამ დღეებში საყოველთაო მხარდაჭერის შემდეგ, იქნებ „იქ" ფიქრობენ კიდეც, — ეს რა ბებიაჩვენისა მივირთვით, რაც უნდოდა, ის ელაპარაკა ამ „პალიტრასო". მაგრამ ახლა იხტიბარს აღარ იტეხენ — პირველ ჩვენებას აწვებიან...

დოჩანაშვილის „სიტყვებით მოთამაშე" კაცი გამახსენდა, — უფრო მაღალი თანამდებობიდან ძველ სამუშაო ადგილზე, ლაბორანტად დაბრუნება ერთი სიტყვით რომ უნდა გამოეხატა და „ახალი" სიტყვა — „ჩამომალაბორანტეს" — მიიღო.

ახლა, ამ ჩვენი საშემოსავლო სამსახურისა და მათი ზემოდან წამქეზებლების ამბებს, ცოტა ხანში, დარწმუნებული ვარ, ასეთი „ახალი" სიტყვა გამოხატავს — „გასასაცილოებულები"!

კარგი, ისედაც ბევრი ადგილი დავუთმეთ — ეყოფათ.

ახლა, „ბალანსის დასაცავად", ოპოზიციაზეც მინდოდა რამე კრიტიკულის თქმა, მაგრამ არ გამომდის — ეს კაცი თუ ოპოზიციაა, მე პარლამენტის თავმჯდომარის პრესსპიკერი ვყოფილვარ...

კოკო-კონსტანტინეზე გეუბნებით, გამსახურდიაზე. ამ დილას ტაქსისტი მეკითხება (ისე, ქართულად „რაგბისტი" თუ „მორაგბეა", „ტაქსისტის" ნაცვლად „მოტაქსე" ხომ არ ვიხმაროთ? ვიხმაროთ რა, სიტყვას ვგულისხმობ... რამდენი დაფიქრება გმართებს კაცს წერისას...):

— ეს გამსახურდია მეტროში ვაფშე ნამყოფი იქნება?

ჯერ ვერ გავიგე, მერე ამიხსნა:

— აი, სანამ ჩაჯდებოდი, რადიოში თქვეს, შვეიცარიაში უშვებენ, მეტროლოგიის ამბავში ელჩი იქნებაო... ცხადია, ვერაფერი გავიგე. მაგრამ სამსახურში „ნიუსები" ვნახე და ყველაფერი ნათელი გახდა — გამსახურდია ისედაც „იქით მიდიოდა" და „ბარემ" ელჩობა მოითხოვა (როგორც ადრე „ბარემ პარტიის თავმჯდომარეობა", „ბარემ ოპოზიციონერობა" და „ბარემ პარლამენტარობა" მიიღო). მიშამ უთხრა, — მანდ ჭიაბერაშვილი მუშაობს, ჩვენი ბიჭია — ფილარმონიასთან „სამკუთხედი" გამოიგონა, ამიტომ ელჩობა არ გამოვა, მაგრამ რადგან „ყუფარაძემ დარეკა", რამე შტატს გამოვნახავთ; ისე, ერთი-ორი კარგი მარკშეიდერი ნამდვილად საჭიროაო...

ჰოდა, გამონახეს ადგილი — მეტროლოგიის მსოფლიო ორგანიზაცია!!!

იმ ტაქსისტის („მეტაქსის") და სხვების გასაგონადაც ვამბობ: მეტროლოგია ქართულად ნიშნავს „საზომთმცოდნეობას", მაგრამ ვერანაირი „საზომთმცოდნე" ვერ გაზომავს ამ დანიშვნის გამომგონებელ-განმახორციელებელთა თავხედობას!

დარწმუნებული ვარ, გამოვა ახლა ვინმე „ნაცი" და დაიწყებს მტკიცებას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გასამტკიცებლად აუცილებელი იყო კოკოს „ალაბორანტება". მოკლედ, — კიდევ ერთი კაცი „გასასაცილოვდა"...

**P.S.** შევარდნაძე რომ დაგცინებს და დემოკრატიაზე ლექციას წაგიკითხავს, „გასასაცილოებული" ხარ, აბა, რა ხარ? ა, ბატონო: „ეს ფაქტი გახდება ხელისუფლების იზოლაციის დასაწყისი, რომელსაც თავს ველარ დააღწევს. ეს იმაზე უარესია, რაც 26 მაისს რუსთაველზე მოხდა — პრესის თავისუფლების შეზღუდვა დიქტატურის ნიშანია და „კვირის პალიტრის" მიმართ განხორციელებული ქმედებით, საქართველოში დიქტატურისკენ პირველი ნაბიჯი გადაიდგა."

ერთი უნდა ავიდე კრწანისში და ვნახო ეგ კაცი — ბოდიში უნდა მოვუხადო ათი წლის წინანდელი „პროვოკაციებისთვის"...

**პროვოკატორი**

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com



# ქვეყანა

## პიესა პრეზიდენტის სადიდებლად



ასტანაში ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს პიესა მიუძღვნეს. პიესას „ღრმა ფესვები“ ჰქვია. სიუჟეტის მიხედვით, პრეზიდენტი ღამით ტყეში მოხვდება და მას ხეები ელაპარაკებიან. ხეები ყაზახური საზოგადოების სიმბოლოა. ისინი „ჩინოვნიკებზე ჩივიან“. პიესის ბოლოს ხეები ადამიანებად გადაიქცევიან. ნაზარბაევის როლს კუანდიკ კისტაკბაევი თამაშობს. გავრცელებული ინფორმაციით, პიესის ავტორებმა ხელისუფლებისგან ნებართვა მიიღეს. პრემიერა 2 ივლისს, პრეზიდენტის 71 წლის იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე გაიმართება. შარშან ნაზარბაევს დაბადების დღეს სიმღერა მიუძღვნეს. პარლამენტმა კი მას „ნაციის ლიდერის“ სტატუსი მიანიჭა. პრეზიდენტის მოოქრული, 12-მეტრიანი სკულპტურაც შეიქმნა, მაგრამ მისი დამონტაჟება გადაიდო. ■

## ელექტრიკოსს 271 ტილოს გადამალვას აბრალებენ

პიკასოს ელექტრიკოსს მხატვრის 271 სურათის განზრახ გადამალვას აბრალებენ. მუან-სარტუს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ — ცოლ-ქმარ პიერ და დანიელ ლე გენეკებს მხატვრის ნამუშევრების დამალვის ბრალდება წაუყენეს. სასამართლო საქმეს ივნისის ბოლოს განიხილავს, თუმცა კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის ცენტრალური პალატის თანამშრომლები აცხადებენ, რომ წყვილისთვის ბრალის დამტკიცება რთული იქნება. პიერი და დანიელი ირწმუნებიან, რომ ისინი ავტოფარეხში რამდენიმე ათეული წელი ინახავდნენ პიკასოს ტილოებს. წყვილი ამბობს, რომ სურათები პიკასომ მათ 70-იანი წლების დასაწყისში აჩუქა. ამ პერიოდში ლე გენეკი პიკასოს სახლში მუშაობდა, მან მხატვარს სიგნალიზაცია დაუყენა. პიკასო 1973 წელს გარდაიცვალა, მისი მეუღლე ჟაკლინი — 1986 წელს. „ამ საქმის ყველა მოწმე გარდაცვლილია“, — აღნიშნა პროკურატურის წარმომადგენელმა. ყოფილ ელექტრიკოსს ტილოების განზრახ დამალვის ბრალდება მას შემდეგ წაუყენეს, რაც ორგანიზაციამ — Picasso Administration სასამართლოს მასალები გადასცა. ორგანიზაცია პიკასოს მემკვიდრეობაზე ზრუნავს. 2010 წელს პიერ ლე გენეკმა პიკასოს შვილს კლოდს განუცხადა, რომ მამამისის ნამუშევრებს ინახავდა. კლოდ პიკასოს კი მიაჩნია, რომ მამამისი არასდროს „გაანიავებდა“ იმას, რაზეც მთელი ცხოვრება მუშაობდა. „საჩუქრებს“ შორისაა წიგნების ილუსტრაციები, 9 კოლაჟი, 30 ლითოგრაფია და სხვა. ნამუშევრების უმეტესობა გასული საუკუნის 20-იან წლებშია შესრულებული. წინასწარი მონაცემებით, კოლექციის ღირებულება 80 მლნ ევროა. ■

## მარკ ცუკერბერგი დაინიშნა

Facebook-ის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა თავის მეგობარ გოგონას, პრისცილა ჩანს ხელი სთხოვა. ამის შესახებ „მაიკროსოფტის“ ხელმძღვანელი ბილ გეიტსი აცხადებს. უცნობია, დათანხმდა თუ არა ჩანი მარკის წინადადებას. მას შემდეგ, რაც ბრიტანულმა პრესამ ბილ გეიტსის ინტერვიუ გაავრცელა, ცუკერბერგმა „ფეისბუკზე“ საკუთარი გვერდიდან პრისცილასთან ურთიერთობის შესახებ სტატუსი წაშალა. პრისცილას თავის გვერდზე ცვლილებები არ შეუტანია. პრისცილა ცუკერბერგმა 2004 წელს ჰარვარდში გაიცნო. ახალგაზრდა მილიარდერის საყვარელი ქალი რიგითი ამერიკელია. ის გადაჭარბებულად არ ზრუნავს საკუთარ გარეგნობაზე. ცუკერბერგმა გულახდილად თქვა, რომ პრისცილამ ის თავისი უბრალოებითა და გულითადობით მოხიბლა. 26 წლის მარკი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია. უბრალო ბიჭი სიმდიდრემ ვერ შეცვალა, ის ძველებურად კეთილი და გულისხმიერი ადამიანია. შარშან მან საგანმანათლებლო პროექტებისთვის 100 მლნ დოლარი გაიღო და ცნობილ ტელეწამყვან ოპრა უინფრის დაჰპირდა, რომ მეცნიერების განვითარების დაფინანსებას გააგრძელებს. ■




რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge


## მსოფლიოში ყველაზე დიდი ნახატი

მსოფლიოში ყველაზე დიდი ნახატი პალესტინელმა ჯამალ ბადვანმა დახატა. მხატვარმა ნამუშევარი ზეთის საღებავებით შეასრულა. მისი სიგრძე 20 მეტრია, სიგანე — 15 მეტრი. მთლიანობაში ტილოს ფართობი 310 კვმ-ს იკავებს. ნახატის ცენტრში გამოსახულია მეჩეთი, ქრისტიანული ტაძარი და სინაგოგა. ტაძრები მტრედის გაშლილ ფრთებზე დგას. ტილოს ქვემოთ და გვერდებზე ბიბლიური სიუჟეტებია გამოსახული. ავტორის თქმით, ნახატს სიმბოლური დატვირთვა აქვს: „დედამიწაზე მხოლოდ ერთი ეროვნება — ადამიანი ცხოვრობს და მხოლოდ ერთი რელიგია არსებობს, რომელსაც სიყვარული ჰქვია“, — აცხადებს ჯამალი. ტილოს პრეზენტაცია კიევში გაიმართა. ჯამალი უკვე 20 წელია, უკრაინაში ცხოვრობს. ■

# უმიზეზოდ ატეხილი განგაში

## თუ თავისუფალი მედიისა და ბიზნესის მოსალოდნელი ტერორი

**„მედიაპალიტრის" 6 სხვადასხვა კომპანიაში საგადასახადო სამსახურის ერთდროულ შემოსვლას სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები უბრალო დამთხვევად მიიჩნევენ, ჩვენი კოლეგებისა და პოლიტიკოსების ერთი ნაწილის მიერ ატეხილ განგაშს კი უადგილოს უწოდებენ. თუ რატომ ატეხეს განგაში თავისუფალი მედიის მხარდამჭერებმა და რის საფუძველზე შეიტანეს ეჭვი შემოსავლების სამსახურის ქმედებებში — ამის შესახებ რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტი, ია ანთაძე გვესაუბრება.**



*ხათუნა ბახტურიძე*

**— ქალბატონო ია, რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ სახელისუფლებო გუნდის შენიშვნა, „უსაფუძვლო განგაშის" ატეხასთან დაკავშირებით?**

— ეს შენიშვნა უსაფუძვლოდ მიმაჩნია. ნამდვილად არ შეგვეპარებოდა ეჭვი შემოსავლების სამსახურის კეთილსინდისიერებაში და შემოწმების პროცესის დასრულებამდეც არანაირ განცხადებას არ გავაკეთებდით, რომ არა ორი ფაქტორი. პირველი ის გახლავთ, რომ ჩვენ შესანიშნავად ვიცით, თუ როგორ ექცევა სახელმწიფო იმ მედიაორგანიზაციებს, რომლებსაც ვერ აკონტროლებს — 2003 წელს საქართველოში 13 ტელეკომპანია მაუწყებლობდა, ზოგი თბილისის და ზოგიც — მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ 13 ტელეკომპანიიდან დღეისათვის, მხოლოდ „კავკასია" გადარჩა ისე, რომ მისთვის არც ფორმატი შეუცვლიათ, არც დაუხურავთ და არც ლიცენზია ჩამოურთმევიათ ან გადაუკეთებიათ. მეორე ფაქტორი ის გახლავთ, რომ აშკარაა ბიზნესზე ზეწოლის ფაქტები. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადამიანს თავისი ბიზნესი მთლიანად უჩუქებია სახელმწიფოსთვის. ამ ფაქტს არანაირი ლოგიკა არა აქვს. არც ერთი ჭკუათამყოფელი ადამიანი, საკუთარი სურვილით, ბიზნესს სახელმწიფოს არ აჩუქებს. ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ასეთი ფაქტების მომრავლება ბიზნესზე ზეწოლის შედეგია. ვიდრე ჩვენს ქვეყანაში სასამართლო რეალურად დამოუკიდებელი არ გახდება, ჩვენ ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ყოველთვის შევიტანთ ეჭვს ხელისუფლების ქმედებებში. ხელისუფლების მხრიდან თავისუფალი სიტყვისა და თავისუფალი ბიზნესის გაკონტროლების მცდელობა გვაძლევს შეშფოთების საფუძველსა და ფხიზლად ყოფნის აუცილებლობას. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვიქნებით სოლიდარული „მედიაპალიტრის" მიმართ და საჭიროების შემთხვევაში აქციებსაც გავმართავთ, უცხოურ ორგანიზაციებსაც ჩავაყენებთ საქმის კურსში. ნამდვილად არ ვაპირებთ, რომ „პალიტრა" მარტო დავტოვოთ იმ ძალებთან, რომელთაც ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის არსებობა არ აძლევს ხელს. შემოსავლების სამსახურის განმარტებით, ეს მიმდინარე ანუ გეგმური შემოწმებაა და არა — გადაუდებელი — როდესაც ამა თუ იმ კომპანიაში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შედიან. როგორც გავარკვიე, გეგმური შემოწმების თაობაზე გადაწყვეტილება კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ხდება, უფრო ზუსტად — კომპიუტერი უჩვენებს ე.წ. რისკ-კომპანიებს, შემდეგ კი უკვე შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, დაიწყებენ თუ არა შესაბამის პროცედურებს. რა თქმა უნდა,




ნამდვილად არ ვაპირებთ, რომ „პალიტრა" მარტო დავტოვოთ

ვაწარმოებთ კვერცხუჯრედისა და სპერმის დონორობის, ასევე სუროგატი დედობის მსურველთა რეგისტრაციას
დაინტერესებული პირები ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით
მისამართი: ლუბლიანას ქ.2/6 ტელეფონზე: 868 40 50 50
ორშაბათი-პარასკევი (10:00-დან 17:00-მდე)

ყველაფერი ხდება, მაგრამ გაუგებარია, რა კრიტერიუმებით შეარჩია კომპიუტერულმა სისტემამ „მედიაპალიტრის“ 6 სტრუქტურა, რომლებსაც ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, გარდა იმისა, რომ საერთო დამფუძნებელი ჰყავთ. იმის გამო, რომ აქ საქმე კომპიუტერულ სისტემასთან გვაქვს და არა ადამიანების გადაწყვეტილებასთან, ეჭვი საზოგადოების დიდ ნაწილს ეპარება და სწორედ ამიტომაც ატყდა განგაში. შეგახსენებთ, რომ „მედიაპალიტრის“ 6 ობიექტის ერთდროულად შემოწმებასთან დაკავშირებით ეჭვი სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმაც საფუძვლიანად მიიჩნია.


შემოწმებასთან დაკავშირებით ეჭვი სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმაც საფუძვლიანად მიიჩნია

**— თქვენი ვარაუდით, როგორი იქნება ხელისუფლების „განაჩენი“, თუ „მედიაპალიტრაში“ შემოსავლების სამსახურმა ფინანსური დარღვევა „აღმოაჩინა“?**

— წინასწარ რამის თქმისგან თავს შევიკავებ და მხოლოდ შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ ხელისუფლებამ კეთილი ნება გამოიჩინა და ტელეკომპანიებს დავალიანება „ჩამოაჭრა“. ეს შეღავათი ვითომ რეგიონული ტელეკომპანიებისთვის გააკეთეს, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ამნისტია ძირითადად, სახელისუფლებო ტელევიზიებს შეეხო, იმ მარტივი მიზეზით, რომ დამოუკიდებელ კომპანიებს ერთი ლარიც კი არავინ აპატია, „რუსთავი 2“-სა და საზოგადოებრივ მაუწყებელს კი მილიონობით ლარის დავალიანება ჰქონდათ დაგროვილი.







**— თქვენი აზრით, თუ ხელისუფლება ამჯერადაც მოახერხებს დამოუკიდებელი მედიისა და თავისუფალი ბიზნესის დატერორებას, საზოგადოების რეაქცია როგორი იქნება?**

— ძალიან მკვეთრი. „მედიაპალიტრას“ უამრავი დამცველი გამოუჩნდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ინტერპრესნიუსი“ ერთადერთი საინფორმაციო სააგენტოა, საიდანაც აბსოლუტურად სანდო და გადამოწმებულ ინფორმაციას იღებენ როგორც ჟურნალისტები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები, მათ შორის — ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ამიტომ არა მგონია, ხელისუფლებას ამ ორგანიზაციის დაჩაგვრა შერჩეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მობილიზებულები ვიქნებით და ისევე დავიცავთ „მედიაპალიტრას“, როგორც შევარდნაძის მმართველობის დროს „რუსთავი 2“-ს ვიცავდით.

*P.S. როგორც ცნობილია, „მედიაპალიტრის“ მიმართ სოლიდარობის გამოსახატავად, 13 ივნისს ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობამ პირველ გვერდზე გამოიტანა წარწერა — „სოლიდარობა მედიაპალიტრას“. მსგავსი სახის სოლიდარობის აქცია ქართულ მედიაში უპრეცედენტოა. აქციის ინიციატორი იყო ორგანიზაცია „მედია ადვოკატირებისთვის“. განსხვავებული იყო გაზეთ „კვირის პალიტრის“ ბოლო ნომერიც. გაზეთი „მედიაპალიტრის“ მხარდაჭერისა და თანადგომისთვის კოლეგებს მადლობას უხდის. „გმადლობთ სოლიდარობისთვის“, — პირველ გვერდზე ასეთი წარწერით გამოვიდა გაზეთი 13 ივნისს. 7 ივნისიდან ანუ იმ დღიდან მოყოლებული, რაც შემოსავლების სამსახურმა „მედიაპალიტრის“ კუთვნილ 6 ობიექტში ინვენტარიზაცია დაიწყო, არ დარჩენილა არც ერთი დამოუკიდებელი მედიასაშუალება, რომელსაც „პალიტრისთვის“ სოლიდარობა არ გამოეცხადებინა. კერძოდ, ეს მედიასაშუალებებია:*

*გაზეთები: „რეზონანსი“, „ვერსია“, „ახალი თაობა“, „დრონი“, „ალია“, „ქრონიკა“, „ასავალ-დასავალი“, „ბათუმელები“, „კახეთის ხმა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „თავისუფალი სიტყვა“, „გურია ნიუსი“, „გურიის მოამბე“, „P.S.“ „სპექტრი“, „ახალი გაზეთი“, „სამხრეთის კარიბჭე“, „აჭარის P.S.“, „ქობულეთი“, „ჩემი ხარაგაული“, „ლანჩხუთი პლუსი“, „რუსთავის ამბები“, „ალიონი“, „ოლიმპი“, „ლელო“, „მსოფლიო სპორტი“;*

*ჟურნალები: „ლიბერალი“, „რეიტინგი“, „თბილისელები“;*

*ტელეკომპანიები: „მაესტრო“, „კავკასია“, „თრიალეთი“;*

*ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო, საქართველოს მედიაკლუბი, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, რადიო „უცნობი“, რადიო „ჰერეთი“, presage.tv, „netgazeTi.ge“, მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“, „ჯი-ეიჩ-ენი“, „საქინფორმი“, „პირველი“, „ჯეონიუსი“, ivepress.ge, Tribuna.ge, „ექსპრესნიუსი“, „ობიექტივი“, „საქართველოს ხმა“, ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი.* ■

# ორი ერის წინამძღვართა მოლაპარაკება და სომხურ ეკლესიებად მონათლული ტაძრები

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრისას სომხეთის პატრიარქმა 653 „სომხური ძეგლის“ საკითხი წამოაყენა, საქართველოში სომხური ეკლესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და ტაძრების გადმოცემა მოითხოვა. „რა სტატუსიც ექნება ქართულ ეკლესიას სომხეთში, ის სტატუსი ექნება სომხურ ეკლესიას საქართველოში“, — ასეთი იყო უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის პასუხი გარეგინ II-ის მოთხოვნაზე. ქართველი ერის სულიერმა მამამ იქვე დასძინა, რომ სომხეთშიც არაერთი ქართული ეკლესიაა სავალალო მდგომარეობაში და მათაც ყურადღება უნდა მიექცეს.**

ლალი პაპასკირი




*პატრიარქ გარეგინის ვიზიტის შემდეგ, გამოქვეყნდა კომიუნიკე, სადაც სადავო საკითხებზე ქართული საპატრიარქოს პასუხია გადმოცემული. ნათქვამია, რომ გარეგინ II-მ მადლიერება გამოთქვა მიღწეული შეთანხმების გამო და აღნიშნა, რომ სომხეთში ქართულ თემს იურიდიული სტატუსის მისანიჭებლად პრობლემები არასდროს ჰქონია და მომავალშიც არ შექმნება. ასევე განიხილება იქ არსებული ქართული ეკლესიების დაბრუნების საკითხი.*

*ახალი არ არის, რომ სომეხი მეცნიერები ისტორიის გასაყალბებლად, სენსაციურ ვერსიებს ავრცელებენ. გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემულია წიგნი — „სიღრმეთა სომხეთი“, სადაც ტაო-კლარჯეთი სომხეთად მოიხსენიება და ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები სომხური არქიტექტურის განვითარების ერთ-ერთ ეტაპად იყო განხილული.*

*როგორც ჩვენთან საუბრისას არმენოლოგი* ***ბონდო არველაძე*** *ამბობს, სომეხ მეცნიერთა „თავხედობის ტემპი“ არც ბოლო დროს შენელებულა. შარშან მოსკოვში გამოიცა „მართლმადიდებლური ენციკლოპედია“, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრების უმეტესობა სომხური წარმოშობის „ყოფილა“...*

— 1995 წელს სომეხმა ისტორიკოსმა სამველ კარაპეტიანმა გამოსცა „რუკა-ცნობარი“ — „სომხური ეკლესიები საქართველოში“, სადაც ამჟამად დასახელებული, „ქართულად გადაკეთებული“ 653 ეკლესია-მონასტერი იყო აღწერილი. პასუხად, ერთი წლის შემდეგ დავწერე წიგნი, — „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!“, სადაც დასაბუთებული მქონდა, რომ ეკლესია-მონასტრების 90% ნამდვილად ქართული წარმოშობის არის. ამის შემდეგ, ისინი 5 ტაძარზე შეჩერდნენ, ეს იყო — ნორაშენის ეკლესია, სრდნშანი, ავლაბრის ორი კლესია თბილისში და ერთიც — ახალციხეში... არ უნდა უარვყოთ სომხური ეკლესიების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან სომხები და ქართველები ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრობდნენ და სავსებით ბუნებრივია მათი სალოცავების არსებობა საქართველოს ისტორიულ მიწაზე, მაგრამ 653 მართლმადიდებლური ძეგლის სომხურად შერაცხვა უკვე ყველანაირ ზღვარს სცილდება... სხვათა შორის, საქართველოში სრულიად სომეხთა კათოლიკოსი ხრიმიანე 1994 წელს იმყოფებოდა. მას შემდეგ ამდენი წლის განმავლობაში სომეხი ერის არც ერთი სულიერი მოძღვარი არ ჩამოსულა. ასე რომ, გარეგინ II-ის ვიზიტი მნიშვნელოვანია, რადგან ეს ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის გამოხატულებაა. მაგრამ სხვა საკითხია, რა მოთხოვნები წამოაყენა მან.

— **კომიუნიკედან ირკვევა, რომ ქართველმა და სომეხმა პატრიარქებმა გარკვეულ შეთანხმებებს მიაღწეს...**

— დიახ, საქართველოს პატრიარქმა წამოაყენა საკითხი, რომ საქართველოსა და სომხეთში შეიქმნას დამოუკიდებელი კომისიები, რომლებიც სადავო ეკლესიების წარმომავლობას გამოიკვლევენ, მაგრამ ეს არის საპატრიარქოების პოზიციები... გამოცდილე-





საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოთხოვნა — ამ ტაძრების რესტავრირება და იქ ქართველი ბერმონაზვნების მოღვაწეობაა

ბა გვიჩვენებს, რომ მათი პრეტენზიები ამით არ ამოიწურება, ამიტომაც ქართველმა მეცნიერებმა და ამ საქმეში ღრმად ჩახედულმა სპეციალისტებმა არ უნდა დაიზარონ და მათ ნებისმიერ „სიახლეს“ არგუმენტირებული პასუხი უნდა გასცენ. სომხეთში, ახტალაში, ქობაირში, ნევანქსა და ოსკიპარში არსებობს ქართული ეკლესიები, რომლებიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება და მძიმე მდგომარეობაშია. ახლა იქ ქართველი მოსახლეობა თითქმის აღარ ცხოვრობს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოთხოვნა — ამ ტაძრების რესტავრირება და იქ ქართველი ბერმონაზვნების მოღვაწეობაა.

**— სადავო ეკლესიების გარდა, სომეხთა კათოლიკოსმა საქართველოში სომხური ეპარქიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების საკითხიც დასვა...**

— დიახ, ეკლესიების წინამძღვრებმა მიაღწიეს შეთანხმებას (და ეს კომიუნიკეში წერია) — „საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის და სომხეთში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის იურიდიული სტატუსის თანაზომიერ განსაზღვრაზე; ასევე — საქართველოში სომხური (გრიგორიანული) ტაძრების, ხოლო სომხეთში — ქართული (დიოფიზიტური) ტაძრების პარიტეტულ საწყისებზე ამოქმედებაზე — გახსნაზე“. მათ ორივე ქვეყნის ხელისუფლებას ამ პროცესში დახმარება სთხოვეს. მაგრამ საქმე ის არის, სომხეთისგან განსხვავებით, ჩვენ მრავალეროვანი ქვეყანა ვართ; აქ არაერთი რელიგიური მრწამსის ერი ცხოვრობს (ებრაელები, კათოლიკეები, მუსლიმანები) და თუ სომხური ეპარქია მიიღებს ამ სტატუსს, არც სხვები დარჩებიან ჩუმად... ■

# ამერიკული ინტერესები და „ჩუპა-ჩუპსებად“ ქცეული ქართველი ჯარისკაცები

**„ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში წასვლას აიძულებენ“, — აღნიშნავს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, სამხედროების უფლებათა დამცველი ირაკლი სესიაშვილი. ამჟამად ავღანეთში 950 ქართველი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. ეს საქართველოს არმიის სახმელეთო ძალების თითქმის 5%-ია. ერთი დანაყოფი ქაბულში, საფრანგეთის კონტინგენტის შემადგენლობაში მსახურობს, მეორე — პაკისტანის საზღვართან ახლოს, ჰელმანდის პროვინციაში. უახლოეს მომავალში საქართველო ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის გაზრდას კიდევ 650 კაცით აპირებს. თუ როგორ აიძულებენ ჯარისკაცებს ნატოს მისიაში მონაწილეობას და რისთვის სჭირდება ჩვენს სახელმწიფოს ავღანეთში ქართული კონტინგენტის გაზრდა, — ამის შესახებ ირაკლი სესიაშვილი გვესაუბრება.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**— ბატონო ირაკლი, ჯარისკაცებზე ზეწოლისა და ავღანეთში მათი იძულებით გამგზავრების კონკრეტული ფაქტები თუ გაქვთ?**

— რა თქმა უნდა, მაქვს. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც ჯარისკაცებს ერაყში გამგზავრებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ფიზიკურად უსწორდებიან. ოღონდ კონკრეტული ადამიანების გვარებს, მათივე უსაფრთხოების გამო, ვერ დავასახელებ. ასეთი ფაქტების მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ ზეწოლას ყველა ჯარისკაცზე ახორციელებენ, ზოგიერთი მათგანი ავღანეთში მენტალიტეტის გამოც მიდის.

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ჯარი არის ერთი ოჯახი და როდესაც შენი თანამებრძოლი და ძმაკაცი იძულებულია, ცხელ წერტილში წავიდეს, შენც ვალდებული ხარ, მის გვერდით დადგე.

**— თქვენი აზრით, რატომ ზრდის ჩვენი ხელისუფლება კონტინგენტს, როდესაც ევროპული ქვეყნები თანდათან ამცირებენ თავიანთი ჯარისკაცების რაოდენობას ან სულაც ტოვებენ ამ ქვეყანას?**

— ზოგადად, ნატოს მიერ წარმოებულ ოპერაციებში ქართველების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია: გარდა იმისა, რომ ჩვენი ჯარისკაცები სერიოზულ გამოცდილებას იძენენ, ეს ერთგვარად, ნატოში საქართველოს ინტეგრაციის საშუალებაც არის. პრობლემა ის გახლავთ, რომ კონტინგენტი დაუსრულებლად იზრდება. ჩვენს ქვეყანაში არსებული საფრთხეებისა და დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, ავღანეთში უკვე ისედაც ბევრი ჯარისკაცი გვყავს გაგზავნილი. შესაბამისად, კონტინგენტის კიდევ უფრო გაზრდა — დანაშაულის ტოლფასია.

**— მას შემდეგ, რაც აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, რობერტ**



**გეიტსმა განაცხადა, — ნატო, არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, უუნარო ორგანიზაცია გახდება და ვაშინგტონი ალიანსს აღარ დააფინანსებსო, — სამხედრო და პოლიტიკურმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვაშინგტონმა შესაძლოა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც დადოს ფსონი და ახალი ალიანსი ჩამოაყალიბოს. რამდენად შესაძლებელია, რომ ამერიკელებმა მართლაც დააფასონ ქართველების თავდადება ავღანეთში და ჩვენი ქვეყნის პრობლემებს უფრო გულისხმიერად მოეკიდონ?**

— მეც ვიზიარებ მოსაზრებას, რომ გეიტსმა ნატოს მიმართ შეერთებული შტატების ოფიციალური პოზიცია გამოხატა. შეერთებული შტატები ხედავს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, უფრო აქტიურად მონაწილეობენ ამერიკულ პროექტებში, ვიდრე გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია... ალიანსში ფიქრობენ, რომ ევროკავშირის შექმნითა და ევროპის საზღვრების გარკვეულწილად შემოსაზღვრით, ნატოს გაფართოება დასრულდა და ზედმეტი სატკივარი აღარ სჭირდებათ. ახლა ევროპა მთავარ აქცენტებს სოციალურ კეთილდღეობაზე აკეთებს და უსაფრთხოებისთვის ზედმეტი ფულის გაღება არ სურს, რადგან ამაზე ამერიკა ისედაც ზრუნავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნატო გადაწყვეტილებებს კონსენსუსით იღებს და შეერთებულ შტატებს ისეთივე ხმა აქვს, როგორიც თუნდაც ლიტვას: ერთი ქვეყანა — ერთი ხმა. ამ ფონზე, აშშ რიგ შემთხვევებში, სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ვერ იღებს და საკუთარი სურვილისამებრ ვერ მოქმედებს. საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც ევროპა ვაშინგტონის პოზიციას მხარს არ უჭერს. ერთი სიტყვით, შეერთებულ შტატებს ეს ვითარება მოჰბეზრდა და ევროპა გეიტსის პირით გააფრთხილა, რომ თუ ნატოს წევრი ქვეყნები აშშ-ის მნიშვნელობასა და როლს არ დააფასებენ, ახალ ალიანსს შექმნის, სადაც რეალურ პარტნიორ ქვეყნებს შეიყვანს და კარგადაც დააფინანსებს, ხოლო ნატო სოლიდური დაფინანსების გარეშე დარჩება. აშშ-ის პრეტენზიები ობიექტურია, მაგრამ არა მგონია, სიტუაცია გართულდეს. ჩემი აზრით, ევროპა თეთრი სახლის ულტიმატუმს გაითვალისწინებს, რადგან ამერიკის გარეშე, მსოფლიოში უსაფრთხოების საქმეში რაიმე ღირებულ წვლილს ვერ შეიტანს. ეს ლიბიის ოპერაციამაც დაადასტურა. სხვათა შორის, თავის დროზე, ევროპა შეეცადა, შეერთებული შტატებისგან დამოუკიდებლად შეექმნა შეიარაღებული ძალები. შექმნა კიდეც, მაგრამ არა მგონია, ბევრს სმენოდეს რაიმე ასეთი ძალების მისიის შესახებ.



**— ჩვენს ქვეყანას ნატოში გაწევრების თვალსაზრისით, უმთავრესად, ევროპის მხრიდან ხვდებოდა წინააღმდეგობა. რამდენად შესაძლებელია, რომ ამერიკამ ევროპას თავის ერთ-ერთ ულტიმატუმად, ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხიც წამოუყენოს?**

— შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონს ეს რეალურად დასჭირდებოდა. დღეს საქართველოს, ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს ავღანეთში გაგზავნილი, თანაც კონტინგენტის გაზრდას კიდევ აპირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკა საქართველოსგან ისედაც იღებს იმას, რაც სჭირდება და ზედმეტად თავს აღარ შეიწუხებს.

**— მაშინ რატომ ზრდის კონტინგენტს საქართველო?**

— ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის ანუ — სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერის მიზნით. დასავლეთს აქვს საფუძველი, რომ სააკაშვილი გააკრიტიკოს და მისგან დემოკრატიული ნაბიჯების გადადგმა მოითხოვოს. სააკაშვილი ამ მითითებას იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ შეასრულებს, რომ ნებისმიერი დემოკრატიული სვლა მისი ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი იქნება. ამიტომ დასავლეთის კეთილგანწყობილების შენარჩუნების მიზნით, ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომლებიც ამერიკას ძალიან სჭირდება. ამერიკას კი ახლა საქართველოსგან ყველაზე მეტად, სამხედრო ძალა სჭირდება და ისიც ისე იღებს ქართველ სამხედროებს, როგორც „ჩუპა-ჩუპსებს“. რაც მეტ ქართველს გაგზავნის სააკაშვილი ავღანეთში, მით მეტი მხარდაჭერა ექნება მის დიქტატორულ რეჟიმს ამერიკისგან. ე.ი. სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტს ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლის ხარჯზე ინარჩუნებს. ■

## ავღანეთში უკვე ისედაც ბევრი ჯარისკაცი გვყავს გაგზავნილი. შესაბამისად, კონტინგენტის კიდევ უფრო გაზრდა – დანაშაულის ტოლფასია



# ეგოისტი ხელისუფლება და დისკვალიფიცირებული ოპოზიცია

**„ჩვენ დღეს რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ“, — აღნიშნავს პოეტი რატი ამაღლობელი. მისი თქმით, ქვეყანაში არსებულ რეალობასთან დაკავშირებით ქართველებს მცდარი წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდა და გვგონია, რომ ხელისუფლებაში მოკალათებული რამდენიმე ადამიანი დანარჩენ საზოგადოებას უპირისპირდება. ხელისუფლებას, რომელიც დიქტატორული რეჟიმით მართავს სახელმწიფოს, საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, შესაბამისად, გაცილებით დიდი კონფრონტაციის საფრთხის წინაშე ვდგავართ, ვიდრე წარმოგვიდგენია.**



*ხათუნა ბახტურიძე*

**— რატი, როგორ ფიქრობ — კონფრონტანციის თავიდან არიდება შეუძლებელია?**

— შესაძლებელია, მაგრამ ნუ გვექნება ილუზია, რომ კონფრონტაციასა და ადამიანთა შორის დაპირისპირებას სიჩუმითა და არსებულ ვითარებასთან შეგუებით ავირიდებთ. ხელისუფლებას, რომელიც არარაციონალურად, ეგოისტურად და ხშირ შემთხვევაში, დანაშაულებრივადაც მოქმედებს, აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ, ოღონდ — მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებით.

**— როგორ გგონია — რით არის ის ფაქტი გამოწვეული, რომ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ხელისუფლებაში დემოკრატიული იდეალებით მოვიდა, საკუთარი მოქალაქეების ნაწილი დიქტატურაში ადანაშაულებს?**

— მე თუ მკითხავთ, დღეს ქვეყანაში ისეთი რეალობაა შექმნილი, რომ დიქტატორული ხელისუფლების არსებობა სავსებით ლოგიკურია. ჩვენ არა გვყავს დამოუკიდებელი მედია და სასამართლო, აპოლიტიკური პოლიცია, ასევე არ გვყავს მაღალკვალიფიციური პარლამენტარები და პოლიტიკოსები. „ვარდოსანმა“ ხელისუფლებამ იმთავითვე უარი თქვა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე, რაც თავისთავად გულისხმობდა ავტოკრატიულ ჩიხში მოქცევას. როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი ღიად არ მიმდინარეობს, თავისთავად ჩნდებიან დიქტატორები. ამ სიტუაციაში ვაცლავ ჰაველიც რომ მოიყვანო, ისიც დიქტატორი გახდება.




**— ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები რომ არ არის განვითარებული, ეს ხელისუფლებასთან ერთად, გარკვეულწილად, საზოგადოების ბრალიც ხომ არ არის?**

— რასაკვირველია, საზოგადოებაც დამნაშავეა. ხელისუფლებაში ჩვენი ანუ ხალხის წიაღიდან ამოსული ადამიანები არიან.

**— რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ საზოგადოების ნაწილმა (სხვათა შორის, მათაც კი, ვისაც სააკაშვილის მმართველობის სტილი არ მოსწონთ) სპეცრაზმელების მიერ მომიტინგეების სასტიკად დარბევა გაამართლა?**

— ეს სამოქალაქო გაუნათლებლობის ბრალია. ვიდრე საქართველოში ფიქრობენ, რომ ადამიანის უფლებისა და ღირსების დარღვევით ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარება შესაძლებელია, არაფერი გამოგვივა. კანონი ნამდვილად, უპირველესია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანი კი არ არის კანონისთვის შექმნილი, არამედ კანონია ადამიანისთვის შექმნილი.

**— თუ ხელისუფლება დიქტატორია და დანაშაულებრივ ქმედებებსაც სჩადის, ოპოზიციამ რატომ ვერ შეძლო საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება?**

— თუ სწორ დიაგნოზს დავსვამთ, ამ კითხვაზე პასუხს მარტივად ვიპოვით. ჩვენს ქვეყანაში ყველა სფერო პოლიტიზებულია. ფაქტობრივად, იდეოლოგიისგან თავისუფალი ფული არ არსებობს — სპეცრაზმელი იღებს ფულს იმისთვის, რომ მომიტინგე დაარბიოს, პოლიტიკოსი — იმისთვის, რომ სპეცრაზმელის საქციელი გაამართლოს... ე.ი. თუ საკუთარ აზრს კორექტირებას არ გაუკეთებ და არ

ილაპარაკებ, როგორც „საჭიროა“, ფული არ გექნება. შესაბამისად, ნებისმიერი, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი განწირულია ეკონომიკური სიდუხჭირისა და მარგინალიზაციისთვის. ქვეყანაში კერძო სექტორი არ არსებობს, ან დიდი იშვიათობაა. ბიზნესი აბსოლუტურად პოლიტიზებულია. ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ოპოზიცია მარგინალური გახდეს. ოპოზიციონერ ლიდერებს არა აქვთ საშუალება, მედიაში დებატები გამართონ, ინსტიტუტებში ვერ შედიან, სასამართლო პროცესებს ვერ იგებენ, პარლამენტში კანონპროექტები ვერ გააქვთ. ეს ყველაფერი პროფესიულ დისკვალიფიკაციას იწვევს. „მედიაპალიტრა“ დღემდე თავისუფალი სიტყვის ერთადერთი კუნძული იყო, სადაც რამდენიმე ასეული ადამიანი იყო დასაქმებული და მხოლოდ საკუთარი აზრისა და პოზიციის გამოხატვისთვის იღებდა ხელფასს. ახლა ადვილი შესაძლებელია, ამ ადამიანებმა ხვალ, სამუშაოს შენარჩუნების მიზნით, საკუთარი პოზიციები ხმამაღლა აღარ დააფიქსირონ და სიმართლის ნაცვლად, ის ილაპარაკონ, რის თქმასაც საჭიროდ მიიჩნევენ... შეიძლება, ასე არც მოხდეს. ყველაფერი ჰოლდინგის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. ვნახოთ, გაუძლებენ თუ არა ხელისუფლების ზეწოლას.

— **თქვენ როგორ ფიქრობთ — გაუძლებენ?**

— არ ვიცი, თუმცა ძალიან მაინტერესებს. ერთ რამეში ნამდვილად ვარ დარწმუნებული: „პალიტრას“ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი დაუჭერს მხარს. შესაძლოა, ხალხი ქუჩაშიც კი გამოვიდეს. ხელისუფლებას კი, კიდევ ერთი საპროტესტო აქცია წესით, არ უნდა აძლევდეს ხელს.

— **საპროტესტო აქციებით პრობლემების გადაჭრა რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

— საპროტესტო აქციის ფორმასა და შინაარსს გააჩნია. მე ყოველგვარი რადიკალიზმის წინააღმდეგი ვარ. კარგი იქნება, თუ ქართველები ერთხელ და სამუდამოდ შევეჩვევით ქვეყანაში არჩევნების გზით ცვლილებების განხორციელებას. ახლა ყველაზე მეტად, საარჩევნო გარემოს შეცვლისთვის ბრძოლა გვმართებს. ამ ბრძოლაში წარმატებას რომ მივაღწიოთ, უპირველესად, მედიისა და სასამართლოს დამოუკიდებლობასა და პოლიციის დეპოლიტიზებას უნდა მივაღწიოთ. აი, ეს ღირებულებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავთმოთ. ■

# რობერტ სტურუა:

## „არ მინდა, საქართველოს პრეზიდენტი იყოს ამერიკელი“



პოლიტკორექტულობაში არის რაღაც დადებითი, მაგრამ მასში დევს ძალიან დიდი უარყოფითი მომენტი, ანუ პოლიტკორექტულობის გათვალისწინებით, შენ სიმართლეს არ ამბობ ხოლმეო, — ეს განცხადება რეჟისორმა რობერტ სტურუამ რამდენიმე დღის წინ რუსთაველის თეატრში გააკეთა. რეჟისორს შემოქმედებითი საღამო თაყვანისმცემლებმა, თეატრმცოდნეებმა, კრიტიკოსებმა, სტუდენტებმა და მსახიობებმა ექსპერიმენტულ სცენაზე მოუწყვეს. სხვადასხვა დროს დადგმულ სპექტაკლებთან ერთად, სტურუამ მის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებებზეც ისაუბრა, რომლებმაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მისი თქმით, პოლიტკორექტულობას ხშირად სჯობს, სიმართლე ითქვას.

„თუ რაღაც სჭირს კაცობრიობას და არ დავასახელეთ ეს დაავადება, ბუნებრივია, მისგან ვერც განვიკურნებით. რატომ გვიკვირს, რომ ადამიანები ვერ იტანენ სხვა ერის წარმომადგენლებს. ბუნებაში დევს რაღაც ისეთი, რასაც ჩვენ უნდა შევებრძოლოთ, დამალვით მხოლოდ ვითვალთმაქცებთ. წარმოიდგინეთ, ახლა რომ გითხრათ, თუ როგორ მიყვარს ზანგები... ხომ შეიძლება ისინი სულაც არ მიყვარდეს, იმიტომ კი არა, რომ ზანგები არიან, იმიტომ, რომ ოდნავ უკან დგანან ჩემზე, კულტურის მხრივ“, — აღნიშნა რობერტ სტურუამ. მისივე თქმით, მართლაც არ სურს, რომ საქართველოს პრეზიდენტი იყოს სხვა ერის წარმომადგენელი.

„სულ არ მინდა, საქართველოს პრეზიდენტი იყოს ამერიკელი. გამოგვიგზავნიან ვინმე ლუზერს და თვალებში უნდა ვუყურო. არც იტალიელი მინდა. აი, გერმანელებზე რომ მიდგება ხოლმე საქმე, შეიძლება შევჩერდე. სულ ცოტა ხნის წინ ტელეფონით გამომიგზავნა წერილი სომეხმა მეგობარმა და აი, რას წერს: „რობიკ, ეგ შენი აზრია, რაც თქვი, ჩვენ კი შენ მხარეზე ვართ“. თქვენ რომ წაიკითხოთ, რას წერენ უკრაინელებზე რუსები, საერთოდ გადაირევით. მე რომ უკრაინელი ვიყო, საერთოდ, ამ წუთშივე შევიძულებდი რუს ერს. ქართველები კი უფრო ლოიალურები ვართ“, — აღნიშნა რობერტ სტურუამ საღამოზე.

***INTERPRESSNEWS.GE***



# ვაუჩერის გამო ჩადენილი დანაშაული თუ შეშლილი ბიჭის ნამოქმედარი

## ლამარა ჯაფარიძე: „ჩემი თავდამსხმელი მანიაკია ან სატანა"

*თეა ხურცილავა*

*27 მაისს, კოსტავას გამზირზე, საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში 75 წლის ქალბატონი უმძიმეს მდგომარეობაში იპოვეს. ლამარა ჯაფარიძე სისხლის გუბეში გონებადაკარგული იწვა. მეზობელი საშინელი სურათის თვითმხილველი გახდა. ქალს სახე დასახიჩრებული ჰქონდა, ლოყაზე — კანი ათლილი, ყურის ბიბილო — მოჭრილი, გახეთქილი თავიდან სისხლი სდიოდა, მარცხენა ხელის მტევანი მოტეხილი ჰქონდა. იქვე, სადარბაზოში ეყარა სამი ცალი პური და ხურდა ფული. ცხადი იყო, პურის საყიდლად მაღაზიაში გასულ ქალბატონს სადარბაზოსთან ბოროტმოქმედი დაესხა თავს. ხმაური რომ არავის გაეგო, დამნაშავემ სადარბაზოს კარი დახურა, მოხუცს დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.*

*„სასწრაფო დახმარების" ბრიგადამ ლამარა ჯაფარიძე პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ექიმები ოჯახს ავადმყოფის გადარჩენის იმედს არ აძლევდნენ. მას დაზიანებები კეფაზე აქვს. ექვსი დღე რეანიმაციაში გაატარა. საბედნიეროდ, გონზე მოვიდა და დღეს მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მოხუცს მთელი სხეული სტკივა. სახესა და თავზე ათეულობით ნაკერი ადევს. ექიმებმა მოჭრილი ყური და თითი მიუკერეს. ნეკა თითის ამპუტაცია დასჭირდა, ხელი კი თაბაშირში ჩაუსვეს.*



ლამარა ჯაფარიძე

*თავდაპირველად გავრცელდა ვერსია, რომ მოხუცს მანიაკი დაესხა თავს. ამ ფაქტიდან ცოტა ხანში ძალადობაზე კიდევ ერთი ქალბატონი ალაპარაკდა. ამბობდა, რომ მას ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდა მამაკაცი აედევნა. ქალმა მოძალადეს მკლავზე უკბინა და ამ გზით შეძლო მისგან თავის დაღწევა. ამ ფაქტების შემდეგ კოსტავას ქუჩის მცხოვრებლები პანიკაში ჩაცვივდნენ. იქვე, პარკში სასეირნოდ გამოსულები, სახლში დაბინდებამდე ბრუნდებოდნენ. ყველას მანიაკის გამოჩენის ეშინოდა და მომხდარზე დიდხანს მსჯელობდნენ.*

*ლამარა ჯაფარიძის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ძალოვნებმა აღძრეს. სამართალდამცავები და კინოლოგები შემთხვევის ადგილზე დიდხანს მუშაობდნენ. იქ დღემდე დარჩენილია სისხლის ლაქები. მომხდარს ახსნას ვერ უძებნიდნენ მეზობლები. ამბობდნენ, რომ ლამარა ჯაფარიძეს მტერი არ ჰყავს, ძალიან კარგი ადამიანია და ყველასთან ნორმალური ურთიერთობა აქვს.*

*დაზარალებული ქალის მდგომარეობის გაუმჯობესებამ მთავარ კითხვას პასუხი გასცა და პოლიციამ დამნაშავეც დააკავა. იგი ჯაფარიძის კარის მეზობელი, 30 წლის სოსო (თანბი) ვაჩნაძე აღმოჩნდა. დაზარალებული ძალოვნებმა უკვე დაჰკითხეს. მან მეზობლის ბიჭი ამხილა, მაგრამ დღემდე არა აქვს მთავარ კითხვაზე პასუხი, თუ რატომ გაუსწორდა ასე სადისტურად მას ახალგაზრდა.*

*დაკავებულ ვაჩნაძეს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. ის თავის საცხოვრებელ ბინაში აიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაულის მიზეზად მეზობელთან კონფლიქტს ასახელებს. ამბობს, რომ მეზობლის კუთვნილი სასურსათო ვაუჩერის გამო წაკამათდნენ და გაბრაზებულმა მოხუცზე შური იძია. დაზარალებული პირველი კლინიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიის განყოფილებაში წევს. ამ ფაქტის მეორე დღეს დამნაშავე და დედამისი, ეკა დადიანი, ლამარა ჯაფარიძის სანახავად საავადმყოფოში მისულან და თურმე ისე იქცეოდნენ, თითქოს მომხდართან არაფერი აკავშირებდათ. „მეორე დღეს მოვიდა დედა-შვილი; არაფერი უთქვამთ. ეკამ ბებიას უთხრა, — თუ დახმარება დაგჭირდება, დაგეხმარებით, 500 დოლარი მაქვს გადადებული და გასესხებო. ეჭვი არ შეგვიტანია. ისე, ახლა რომ ვიხსენებთ, ეკა ცოტა უცნაურად იქცეოდა. რას წარმოვიდგენდით, ეს მისი შვილის ჩადენილი რომ იყო? მერე სახლშიც არ ჩანდნენ რამდენიმე დღე", — მითხრა ქალბატონი ლამარას შვილიშვილმა ნინომ. აი, რა მიამბო თავად დაზარალებულმა:*

**ლამარა ჯაფარიძე:**

— იმ დილით, 9 საათსა და 30 წუთზე პურის საყიდლად მაღაზიაში სახლის „ფორმით" გავედი. სადარბაზოდან მეზობლები იშვიათად გადიან, მაგრამ მე ძირითადად ამ გზით ვსარგებლობდი. ეტყობა, ჩემი გასვლა დაინახა კარის მეზობელმა და სადარბაზოსთან ჩამისაფრდა. არ ვიცი, რა მოუვიდა თავში, ის მანიაკია ან უბედური სატანა! მასთან კონფლიქტი არასოდეს მქონია. სადარბაზოში რომ შემოვედი, წინ გადამიდგა, ხელში რკინის ორი წვრილი „შტირი" ეჭირა. არანაირი ფრაზა არ უთქვამს, მოულოდნელად მთელი ძალით რკინა გვერდებში ჩამარტყა. გაოგნებულმა შევყვირე, — თანბი, ბიჭო, რას შვრები, ხომ არ გაგიჟდი, სულელი ხომ არა ხარ-მეთქი?!. კიდევ კარგი, იმ რკინის წართმევა არ ვცადე, თორემ ალბათ უფრო გამხეცდებოდა და მომკლავდა. რკინას გამეტებით მირტყამდა, საშინლად მტკიოდა, მისგან გაქცევას ვერ ვახერხებდი. მერე შევეხვეწე, — თანბი, რას აკეთებ, თავი დამანებე-მეთქი, მაგრამ არ გაჩერდა, შეშლილი სახით უმოწყალოდ მცემდა. თავში ძლიერი დარტყმა რომ ვიგრძენი, უცებ სისხლი თქეშით წამოვიდა. შევეცადე, თავი ხელებით დამეფარა. ისევ დამარტყა. ახლა უკვე შველას ხალხს ვთხოვდი და გამწარებული ვყვიროდი, მიშველეთ-მეთქი! კიდევ ერთხელ ჩამარტყა თავში. მერე არაფერი მახსოვს, გონება დავკარგე. არ ვიცი, ამის შემდეგ რამდენ ხანს მირტყამდა. არც ის ვიცი, როგორ დამანება თავი და როდის წავიდა. ეტყობა, ვიღაცამ გაიგონა ჩემი გან-

წირული ხმა და „სასწრაფო“ გამოიძახა. მას ალბათ მკვდარი ვეგონე და გაიქცა. გონზე რამდენიმე დღის შემდეგ მოვედი. რეანიმაციაში ერთი კვირა უგონოდ ვიყავი. თურმე ექიმებს ჩემი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ.

— **მაინც რა იყო მიზეზი?**

— მართლა არ ვიცი. ადრე არ შემინიშნავს მისთვის ეს მანიაკური თვისება. მერწმუნეთ, ის მანიაკია ან სატანა! ძალიან მაინტერესებს, რა დიაგნოზს დაუსვამენ ექიმები. 50 წელზე მეტი მედმუშაკად ვიმუშავე და ვიცი, ყველაზე საშიშია თავში მიყენებული დაზიანება. საშინელ დღეში მაქვს მთელი სხეული, დაუეჟილი ვარ, ყველაფერი მტკივა. თქვენი თვალით ხედავთ, რამდენი ნაკერი მადევს თავზე. ეს ბიჭი ჩემ თვალწინ გაიზარდა. დედამისი სულ ჩემს სახლში იყო. ოჯახებით კარგი ურთიერთობა გვქონდა. მართალია, სასიკვდილოდ გამიმეტა, მაგრამ გონზე რომ მოვედი, რამდენიმე დღე გამომძიებლისთვის დამნაშავის ვინაობა არ მითქვამს. ვამბობდი, არაფერი ვიცი-მეთქი. ამას ერთადერთი მიზეზით ვმალავდი: ვიცოდი, დააპატიმრებდნენ და არ მინდოდა, დედამისი გამწარებულიყო. ეკას თანბის მეტი შვილი არ ჰყავს, მეუღლეს გაცილებულია და სიმწრით გაზარდა. მეც ხომ დედა ვარ! დღესაც ცუდად ვარ, მაგრამ როგორც დედა, შემეცოდა და ამიტომ დავმალე. ჩემი ძმისშვილი რომ მოვიდა, სიმართლე ვუთხარი. მითხრა, დამალვა არ შეიძლება, ამით დანაშაულს სჩადიხარო. გამომძიებელი გამოიძახეს და სიმართლე მაშინ ვთქვი. ამ ბიჭის ნამდვილი სახელი გამომძიებლისგან გავიგე — სოსო ვაჩნაძეა, ჩვენ ყველანი თანბის ვეძახდით.

— **დაკავებულს უთქვამს, რომ თქვენთან კონფლიქტი ვაუჩერის გამო მოუხდა და ეს გამხდარა ამ ფაქტის მიზეზი, ეს მართალია?**

— გამომძიებელმა მითხრა, რომ ასე უთხრა მათ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს სისულელეა. ფაქტს ვადასტურებ. ამ დანაშაულამდე ორი კვირით ადრე ვაუჩერის გამო მათთან მართლა მივედი. მეზობლის ვაუჩერების ნაწილი ჩემთან, ნაწილი — ეკასთან იყო: იმ გოგონას ვუთხარი, მოგეხმარები დარიგებაში-მეთქი და დატოვა. ერთი მეზობლის ვაუჩერს ვეძებდი. ავადმყოფი ქალია, ფეხი მოტეხილი აქვს და მეზობელთან ერთად, მინდოდა მიმეტანა. ეკასთან ავედი. კარი თანბიმ გამიღო. ვუთხარი, — ვაუჩერი მომაწოდე, პატრონს უნდა წავუღო-მეთქი. — აქ არაფერი არ არისო, — გაბრაზებულმა უკმეხად მიპასუხა. — ტყუილად ნერვიულობ, ეკა რომ მოვა, უთხარი და ჩამომიტანს-მეთქი. ასე წამოვედი. არ გამილანძღავს და არც რაიმე კონფლიქტი მქონია მასთან არასოდეს. გავარკვიე, რომ ის ვაუჩერი მეორე მეზობელთან იყო და პატრონს მივუტანეთ. ეს ორი კვირით ადრე იყო. არ ვიცი, ეს რამდენად არის მიზეზი. თუ ეს მიზეზია, ეტყობა, მას მერე ფიქრობდა, სამაგიეროს როგორ გადაეხადა და წინასწარ დაგეგმა ყველაფერი. დაელოდა სადარბაზოში ჩემს შესვლას და ასე გამიმეტა. მისი სიმხეცე ადრე არ შემინიშნავს; ისე, უცნაური ბიჭი იყო. ფაქტობრივად, სახლიდან არ გადიოდა და სულ ფანჯარაში იყურებოდა.

— **ფსიქიკური პრობლემა ხომ არ აქვს?**

— მსგავსი რამ არასდროს გამიგია. ბავშვობაში მენინგიტი ჰქონდა გადატანილი, სხვა არაფერი მსმენია. დედამისი სულ ჩემს სახლში იყო, მაგრამ არასოდეს დაუჩივლია. ეკამ მეზობლებში ხმაც გაავრცელა, — ლამარა გარდაიცვალაო. ეტყობა, ეს ძალიან უნდოდათ და ამით მთავარ მოწმეს მოიცილებდნენ. ის ბიჭი სამძიმარზე ჩემს ქმართან მისულა, — მწუხარების მონაწილე ვარო. გამომძიებელმა ისიც მკითხა, — ბავშვობაში ხომ არ გიცემია და გულში ხომ არ ჰქონდა ბოღმა ჩადებულიო? სისულელეა: ჩემი შვილები არასოდეს მიცემია და სხვისას რატომ ვცემდი?!.

*მომხდარით მეზობლებიც გაოგნებულები არიან. ადასტურებენ, რომ ამ ორ ოჯახს შორის კარგი ურთიერთობა იყო და კონფლიქტი არასოდეს მოსვლიათ.*

**ლილი მაისურაძე,** *მეზობელი:*

— იტალიური ეზოა. აქ ვარ დაბადებული და გაზრდილი. ყველას ვიცნობ. ძალაუნებურად, ვინ როდის შემოდის და გადის, იმასაც ვხედავთ. ახლა გავიგეთ, რომ თანბი დაუჭერიათ და ეს ვაუჩერის გამო მომხდარა. მე და ლამარამ ერთად მივუტანეთ პატრონს ის ვაუჩერი. ლამარა ძალიან კარგი ქალია, ყველას უნდა, რომ პატივი სცეს. საავადმყოფოში რომ ვნახე, სახე მთლიანად დასივებული ჰქონდა. ვერაფერს ამბობდა. ყველა მიზეზის დადგენას ვცდილობდით, მაგრამ რას ვიფიქრებდით, რომ ეს თანბის ჩადენილი იყო?! მას უმაღლესი დამთავრებული აქვს, მაგრამ არ მუშაობდა, სულ სახლში იყო, თავის თავში ჩაკეტილი ადამიანია. ისე, კარგი მისალმება იცოდა, სულ ფანჯრიდან იყურებოდა და გვესალმებოდა. ბავშვობაში რაღაც დაავადება აქვს გადატანილი, მაგრამ არ ვიცი, რა. ახლა დედამისს უთქვამს, ფსიქიკურად ავადმყოფია ჩემი შვილი, ექსპერტიზა ჩაუტარდება, საავადმყოფოში გადაიყვანენ და არ დაიჭერენო. არ ვიცი, მისთვის ფსიქიკური გადახრა არ შეგვინიშნავს და კონფლიქტი არავისთან მოსვლია. როგორც ამბობენ, აღიარა დანაშაული. უთქვამს, გამაბრაზა და ამიტომ მინდოდა მომეკლაო. ეს ამბავი რომ მოხდა, იმ ღამით დედა-შვილი სახლში არ ყოფილა, შუქი არ ენთო და ცოტათი გამიკვირდა. მერე მეზობელს ვკითხე, სად არიან-მეთქი? — მეორე სახლში არიან და გვიან მოდიანო, — მიპასუხა. ეჭვი არ შემიტანია, უბრალოდ, შუქი რომ არ ენთო, გამიკვირდა. კონფლიქტური და ბოროტი ბავშვი არ ყოფილა, სულ თავისთვის იყო. რომ ვთქვი, სულ სახლში იყო-მეთქი, მეზობელმა მითხრა, — არა, თანბი სხვებს უნახავთ კუს ტბაზეც, თბილისის ზღვაზეც მარტო რომ დადიოდაო. ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა, ალბათ გამომძიებლები გაარკვევენ ყველაფერს.

*ვცადე, დაკავებულის დედის პოზიციაც გამერკვია, მაგრამ ბინის კარი არავინ გამიღო. როგორც მეზობელმა მითხრა, შვილის დაკავების შემდეგ ეკა დადიანი არ უნახავთ. გამოძიება გრძელდება. როგორც ჩანს, სოსო ვაჩნაძის შერაცხადობის საკითხი ეჭვქვეშ დადგება და სავარაუდოდ, მას ექსპერტიზა ჩაუტარდება. ვნახოთ, რა დასკვნას გამოიტანენ ექსპერტები და რა გაირკვევა გამოძიებით.* ■

ქოლესტერინის საზომი აპარატი
გლუკომეტრები
69 ლარი
35-99 ლარი

შპს „კონტრასტი“
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55
ჩააბარე ძველი, დაამატე 27 ლარი და მიიღე
ახალი გლუკომეტრი + 10 ტესტ-ფურცელი

## აფხაზეთში „სბერბანკის“ ინკასატორები დაჭრეს



აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში „სბერბანკის“ კუთვნილ დაჯავშნულ ÂÀÇ–2131-ს, რომლითაც ინკასატორებს 5 მლნ რუბლი გადაჰქონდათ, ცეცხლი გაუხსნეს. თავდამსხმელები ტყვიამფრქვევითა და კალაშნიკოვის ავტომატით იყვნენ შეიარაღებულნი. „თანხა, რომელიც ინკასატორებს გადაჰქონდათ, „სბერბანკის“ ტყვარჩელის ფილიალისთვის იყო განკუთვნილი. თავდამსხმელებმა ავტომობილის ფანჯრები ჩაამსხვრიეს და მთელი თანხა გაიტაცეს“, — აცხადებენ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის პრესსამსახურში. თავდასხმის შედეგად ავტომობილის მძღოლი დაურ გუმბა და ინკასატორი გურამ ჯინჯოლია დაჭრეს. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ■

## შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში მყოფი „ქვეყანა“

რუსეთის მთავრობამ ე.წ. სამხრეთ ოსეთი იმ ქვეყნების სიაში შეიყვანა, რომლებიც საგანგებო მდგომარეობაში ან შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში იმყოფებიან. აღნიშნული სია რუსეთის ფედერაციის მთავრობამ გასულ კვირას დაამტკიცა. ამავე ჩამონათვალში, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ერთად მოხვდნენ: ერაყი, ავღანეთი, იემენი, ლიბია და პალესტინის ადმინისტრაცია. რუსეთის მთავრობამ დაამტკიცა იმ ქვეყნების ჩამონათვალიც, რომლებშიც რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა. ამ სიაში საქართველო და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა მოხვდნენ. ამავე ჩამონათვალში შევიდნენ: ალჟირი, გვატემალა, ისრაელი, ირანი, ყირგიზეთი, კოლუმბია, კონგო, კორეა, ლიბანი, ნიგერია, პაკისტანი, სერბეთი, სირია, სუდანი, ტაჯიკეთი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, შრილანკა, ეთიოპია. ვლადიმირ პუტინმა მთავრობას ამ ქვეყნებში მომუშავე დიპლომატებისთვის დამატებითი გარანტიების შემუშავება დაავალა. ■

## კოკოითი არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს



ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. ამის შესახებ მან სააგენტო „ინტერფაქსს“ განუცხადა. „მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო რეფერენდუმთან დაკავშირებით, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე მესამე ვადით კენჭისყრას გულისხმობს, მე არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ“, — განაცხადა კოკოითიმ. რეფერენდუმის მიხედვით, მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, მიეცეს თუ არა უფლება ერთ პირს, სამჯერ იყაროს კენჭი პრეზიდენტის პოსტზე. რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავდა ორი შეკითხვა, რომელსაც მოსახლეობას შესთავაზებენ: „პირველი — ეთანხმებით თუ არა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენები უნდა იყოს ოსური და რუსული?“ მეორე — „თანახმა ხართ თუ არა, რომ ერთი და იმავე პირმა პრეზიდენტის პოსტი ზედიზედ სამჯერ დაიკავოს?“ ■

## აიშა კადაფი ნიკოლა სარკოზის სასამართლოში უჩივის



ლიბიის ლიდერის, მუამარ კადაფის ქალიშვილი, აიშა საფრანგეთის პრეზიდენტს, ნიკოლა სარკოზის სასამართლოში უჩივის. გარდა ამისა, აიშა კადაფიმ საფრანგეთის სასამართლოში სარჩელი ნატოსა და საფრანგეთის არმიის წინააღმდეგაც შეიტანა. აიშა კადაფის განცხადებით, ალიანსმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა და არმიამ მისი ოჯახის წევრების დახოცვისთვის სასამართლოს წინაშე უნდა აგონ პასუხი. აღსანიშნავია, რომ აიშა კადაფიმ სარჩელი ნატოს წინააღმდეგ უკვე მეორედ შეიტანა. 7 ივნისს კი მისი სარჩელები პარიზისა და ბრიუსელის სასამართლოებში შევიდა. როგორც აიშა ამბობს, ნატოს მიერ განხორციელებული დაბომბვის შედეგად, მისი შვილი, ძმა და ორი ძმისშვილი დაიღუპნენ. მისი თქმით, ალიანსის გადაწყვეტილება, იერიში მიეტანა სამოქალაქო ობიექტებზე, სამხედრო დანაშაულია. ■

*რუბრიკა მოამზადა*
*ხათუნა ბახტურიძემ*
*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

# „არტდღეები დევნილი ბავშვებისათვის“

**ამ ცოტა ხნის წინ, წეროვანის მე-3 საჯარო სკოლის 7-დან 12 წლამდე ასაკის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. პატარები ერთთვიან სტუდენტურ პროექტში — „არტდღეები დევნილი ბავშვებისათვის“ მონაწილეობდნენ. გამოფენაზე მათ სწორედ პროექტის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინეს...**





ეთო ყორღანაშვილი

**დავით ჭირველაშვილი:**

— „არტდღეები დევნილი ბავშვებისათვის“ ჩემი და ჩემი მეგობრების იდეა გახლავთ. მის განხორციელებაში სხვადასხვა ფონდი და კომპანია დაგვეხმარა. გვინდოდა, პატარები სახატავ მასალებს, ხატვის ტექნიკას კარგად გასცნობოდნენ. ამისთვის საკმარისი დრო არ გვქონია, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში ბავშვებში სასიკეთო ცვლილებები მაინც მოხდა. პროექტს საზოგადოება კარგად შეხვდა. რამდენიმე ნამუშევარი ისე სწრაფად გაიყიდა, რომ ამას არც ველოდით. შეგროვებული თანხით წეროვანის მე-3 საჯარო სკოლას „არტკუთხეს“ მოვუწყობთ — წიგნებსა და ყველა საჭირო ნივთს შევუძენთ.

**ლიკა შულღიაშვილი,** *11 წლის:*

— ხატვა ძალიან მიყვარს. ამიტომ პროექტი ძალიან მომეწონა. იმედია, კიდევ ჩატარდება.

**სალომე ბუთხუზი,** *12 წლის:*

— მინდა, მხატვარი გავხდე. ამ პროექტის მეშვეობით, ზეთის საღებავებით მუშაობა ვისწავლე.

— **ძირითადად, ნახატებს რა თემაზე ქმნით?**

— პორტრეტებს, ნატიურმორტებს ვქმნი. სხვა მხატვრების ნახატების გადმოხატვა უფრო მიადვილდება. ჩემი საყვარელი მხატვარი ლეონარდო და ვინჩია.

**ლიკა:**

— მე ბუნებას, ცხოველებს ვხატავ, თუმცა მხატვრების ნამუშევრებისგან გადახატული უკეთესად გამომდის. ხელსაქმითაც ვარ დაკავებული. გამოფენაზე ჩემ მიერ შექმნილი სამკაულები წარმოვადგინე.

**ლეილა ოვაშვილი,** *წეროვანის მე-3 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი:*

— ბავშვები ხელსაქმითაც ინტერესდებიან, მაგრამ ძირითადად — ხატვით. ძალიან ნიჭიერები არიან. მინდა, მათ ნიჭს გასაქანი ჰქონდეს.

— **მათ თავს დამტყდარი უბედურების გამო, პატარები გულჩათხრობილები ხომ არ არიან?**

— გულჩათხრობილი მართლაც ძალიან ბევრია, მათ „გახსნა“ და წახალისება სჭირდებათ. ასეთი სახის ღონისძიებები კი ბავშვებს სტიმულს აძლევს.

■







# სახე

# 7 წლის შემდეგ სცენაზე ხელახლა ნაპოვნი სიყვარული

## მიხარია, რომ ისეთი იმედი მყავს გვერდით, რომელსაც რუსკა ჰქვია

**ჩემი მოუხელთებელი და თავმდაბალი რესპონდენტი, ფეხბურთელ დავით ყიფიანის ვაჟი და მსახიობ რუსკა მაყაშვილის შეყვარებული, გიორგი ყიფიანი მესამე ცდაზე ჩავწერე. იგი პროფესიით იურისტია, მუშაობდა ჟურნალისტად და თავი მსახიობის ამპლუაშიც სცადა, სადაც თავისსავე შეყვარებულს გაუწია პარტნიორობა. მასთან ინტერვიუზე მისულს სახლში რუსკაც დამხვდა, რომელიც სამზარეულოში ფუსფუსებდა. როგორც თავად გიორგიმ მითხრა, მისი რჩეული არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებს.**



სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი თავით არ ვარ კმაყოფილი

*ელენე ბასილიძე*

— **როგორც ვიცი, ტელევიზიაში მუშაობდი...**

— სწორად თქვი, მართლაც ვმუშაობდი. ახლახან წამოვედი ტელევიზიიდან. განათლებით ჟურნალისტი არ ვარ, ჟურნალისტიკასთან შეხება არასოდეს მქონია, მაგრამ ამის მიუხედავად, ტელევიზიაში მუშაობა არ გამჭირვებია. მეგობრებმა გამომიწოდეს დახმარების ხელი და „პირველ არხზე“ მიმიყვანეს. თავდაპირველად სპორტულ გადაცემებში ვაკეთებდი რეპორტაჟებს, მერე პოლიტიკაზეც გადავედი... დროთა განმავლობაში მივხვდი, ჩემგან კარგი ჟურნალისტი არ დადგებოდა და ამ საქმეს შევეშვი (*იცინის*). მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიასთან „ურთიერთობა“ ხანმოკლე აღმოჩნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ — კარგი გამოცდილება მივიღე.

— **პროფესიით ვინ ხარ?**

— საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული.

— **და ამას წინათ, კინემატოგრაფიაშიც სცადე ბედი და ფილმში რუსკასთან ერთად მიიღე მონაწილეობა...**

— მშვენიერი კინო გამოვიდა. ერთი-ორჯერ რეკლამაში კი ვმონაწილეობდი, მაგრამ ფილმში არასოდეს მითამაშია და მთავარი როლი ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლო გახლდათ. სხვათა შორის, თამაში არ გამჭირვებია — გამიმართლა, ფილმზე არაჩვეულებრივი გადამღები ჯგუფი მუშაობდა და მეც ლაღად ვგრძნობდი თავს. ამასთან ერთად, გადამღებ ჯგუფს დიდი ხანია ვიცნობ და რაღას უნდა შევვებოჭე?! სხვათა შორის, რუსკამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. რომ ვიცოდი, გადაღებებზე ერთად უნდა ვყოფილიყავით, ეს დიდ სტიმულს მაძლევდა. ამ ფილმის შესახებ რეჟისორმა ირაკლი ჩხიკვაძემ ჯერ კიდევ 4 წლის წინ მითხრა. როცა გამიმხილა, მთავარ როლზე შენი დამტკიცება მინდაო, გამეცინა. მერე ამ ფილმზე საუბარი შეწყდა. ერთ დღესაც, ისევ დამიკავშირდნენ და აღმოჩნდა, რომ ისევ ჩემი გადაღების სურვილი ჰქონდათ.

— **როგორი იყო რუსკას პარტნიორობა?**

— თამაში ძალიან გამიადვილდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსკა ჩემია და მიყვარს; არამედ იმიტომ, რომ პროფესიონალი მსახიობია, თავის საქმეს სერიოზულად უდგება და ძალიან უყვარს. მე არ მახსოვს რუსკას გაცდენილი რეპეტიცია — თუ ქვეყანა არ ინგრევა, არ არსებობს, არ წავიდეს. ყველაფერს ძალიან სერიოზულად უდგება და ამ ფილმის გადაღებაზეც, მიუხედავად იმისა, რომ სანერვიულო არაფერი ჰქონდა, ჩემზე ბევრად მეტი ინერვიულა. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი თავით არ ვარ კმაყოფილი, მაგრამ საბოლოო ჯამში კარგი ფილმი გამოვიდა.

— **კიდევ თუ დათანხმდებოდი ფილმში თამაშს?**

— ალბათ კი. გააჩნია სიტუაციას და იმას, თუ ვინ იმუშავებს ფილმზე. თუკი ისევ ისეთი გარემო იქნება, როგორიც ფილმის — „გული“ გადა-

ღებებზე იყო, უარს ნამდვილად არ ვიტყოდი.

— **მოდი, რუსკაზეც მომიყევი, რომელიც ძალიან დაკავებულია. შენთვის როგორ იცლის?**

— რუსკა არის ადამიანი, რომელიც ყველაფერს ასწრებს. რაც მთავარია, ძალიან დამოუკიდებელია — ყველაფერს მარტო აკეთებს. ახლაც ძალიან გემრიელი საჭმელი მოამზადა (*იღიმის*). დარწმუნებული ვარ, რომ რუსკა იმაზე მეტ დროს მითმობს, ვიდრე აქვს და იმაზე მეტ ყურადღებას მაქცევს, ვიდრე შეუძლია. მიხარია, რომ ისეთი იმედი მყავს გვერდით, რომელსაც რუსკა ჰქვია.

— **როდის გაიცანი?**

— მაგას რა დამავიწყებს?! რუსკა 2003 წლის აგვისტოში გავიცანი, მაშინ ორივე ძალიან პატარები ვიყავით და სხვათა შორის, ერთმანეთი 1 თვე გვიყვარდა. მერე ისე მოხდა, რომ 7 წლის განმავლობაში ველარ შევხვდი. 2 წლის წინ კი, რობერტ სტურუას სპექტაკლის სანახავად თეატრში მისულმა, სცენაზე რუსკა აღმოვაჩინე. ამდენი წლის უნახავი ძველი შეყვარებული სცენაზე გამომეცხადა და მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ფილმში. სპექტაკლი რომ დამთავრდა, სახლში მისულმა დავურეკე და შევაქე, ძალიან მაგარი მსახიობი ხარ-მეთქი. მას შემდეგ... აგერ, უკვე საჭმელებს აკეთებს ჩემთან (*იცინის*).

— **რუსკა ძალიან ყურადღებიანიაო, აღნიშნე... შენ როგორი ხარ? ახერხებ პირადი ცხოვრებისა და კარიერის შეთავსებას?**


როცა მამა გარდაიცვალა, მქონდა სურვილი, მისი ხათრით კარგი ფეხბურთელი დავმდგარიყავი

— ამჟამად არ ვარ არაფრით დაკავებული და ჩემი თავისუფალი დრო რუსკასია. მივიჩნევ, რომ თუ მოინდომებ, საყვარელი ადამიანისთვის დროს აუცილებლად გამონახავ. არა აქვს მნიშვნელობა, დღეში 1 საათს ატარებ საყვარელ ადამიანთან თუ — ორს. შეიძლება, რამდენიმე წუთი ისე გაატარო, მთელ ცხოვრებას უდრიდეს. რაც მთავარია, მინდა, რომ რუსკასთან ურთიერთობის დრო მქონდეს და ყველაფერი იოლად გამომდის.

— **როგორც ვიცი, სექტემბერში 1 წლით მიდიხარ საზღვარგარეთ სასწავლებლად...**

— იოჰან კრუიფის სახელობის სპორტული მენეჯმენტის სკოლაში მივდივარ სასწავლებლად. მინდა, სპორტული მენეჯმენტი შევისწავლო, რომელიც ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ეს ცოდნა ბევრ რამეში დამეხმარება.


რუსკა ჩემია და მიყვარს

— **მგონი, ფეხბურთს შენც თამაშობდი...**

— ბავშვობიდან ვთამაშობდი, მაგრამ ტრავმის გამო ჩემი ფეხბურთელად ჩამოყალიბება ველარ მოხერხდა. ბუნებრივია, გამიჩნდა სურვილი, რომ ფეხბურთი არ მიმეტოვებინა და ისევ ამ სფეროში გამეკეთებინა რამე. დღეს ძალიან ბევრი და კარგი იდეა მაქვს, კრუიფის სკოლა კი ხელს შემიწყობს იდეების დახვეწასა და განხორციელებაში.

— **რუსკა როგორ შეხვდა შენს გადაწყვეტილებას? 1 წელი არც ისე ცოტა დროა...**

— ეს განშორება ჩვენთვის კატასტროფას არ წარმოადგენს. რუსკამ იცის, რომ ამ ერთ წელიწადს კარგ საქმეს მოვახმარ. 3 თვეში ერთხელ ხან მე ჩამოვალ, ხან რუსკა მესტუმრება და 1 წელიწადიც გაივლის როგორმე.

— **გიორგი, მოდი, ბატონ დავითზეც ვისაუბროთ. როგორი მამა იყო?**

— კარგი მამა და ადამიანი იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის, ვინც მას იცნობდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ყველა ადამიანისათვის შეეძლო მამობის გაწევა. ყველა, ვინც დათოს ნახავდა, იოლად ხვდებოდა, თუ როგორი კაცი იყო. ხშირად აღნიშნავენ, — ერთხელ ვნახე და ეს ვინ ვნახე, ეს რა კაცი ყოფილაო?! არ უყვარდა პირფერი, მოღალატე, ბოროტი და მატყუარა ადამიანები. ცდილობდა, ბევრი სიკეთე გაეკეთებინა და რაც მთავარია — უანგაროდ. არ მახსოვს, რაიმე მნდომებოდა და იგი ამას წინასწარ ვერ მიმხვდარიყო. ყოველთვის ისე აკეთებდა ყველაფერს, როგორც მე მესიამოვნებოდა და მუდამ გვერდით მედგა. 11 წელი გვქონდა ურთიერთობა და მე ეს დროც მეყო, დამენახა, თუ როგორი უნდა იყოს მამა და რას ნიშნავს მამაშვილობა. გული მწყდება, რომ მამას ჩემთან, როგორც ჩამოყალიბებულ ადამიანთან ურთიერთობა არ დასცალდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მისი კარგი თვისებები დავინახე, „ამოვკრიბე“ და 50 წელიც რომ გავიდეს, ჩემი გონებიდან არასოდეს წაიშლება. ყოველთვის მიჭირს მასზე საუბარი. მეამაყება, რომ დათო ყიფიანის შვილი მქვია. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ტვირთი და ბედნიერებაა.

— **მაშინ, როცა ფეხბურთს თამაშობდი, მამა თუ გაძლევდა რჩევებს?**

— ჩემს ფეხბურთით გატაცებას სერიოზულად არ უყურებდა, რადგან ძალიან პატარა ვიყავი. ალბათ გულის სიღრმეში უხაროდა, რომ შვილი მის კვალს დაადგა. თავად მთელი ცხოვრება ფეხბურთს შესწირა და მისმა თავგანწირვამ შედეგი გამოიღო. როცა მამა გარდაიცვალა, მქონდა სურვილი, მისი ხათრით კარგი ფეხბურთელი დავმდგარიყავი, მაგრამ არსებობს სხვა საქმე, რომელიც შეიძლება მამის ან იმ ადამიანების ხათრით გააკეთო, რომელიც ძალიან გიყვარს და ასეც ვაპირებ. მიზნად დასახული მაქვს ისეთი რამის გაკეთება, რაც დარწმუნებული ვარ, მამას ძალიან გაახარებდა.

— **როგორც ვხვდები, შენი მიზნები ფეხბურთს უკავშირდება, არა?**

— მართალია. იმედი მაქვს, ქართული ფეხბურთის განვითარებაში ჩემს წვლილს შევიტან.

— **წარმატებებს გისურვებ.**

— დიდი მადლობა!

■

# კასკადიორობით დაწყებული სამსახიობო კარიერა

**მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, ნიკა კუჭავა საკმაოდ განებივრებულია საინტერესო და ახალ-ახალი როლებით. აქტიურად მუშაობს და გასტროლებზეც ხშირად დადის. მოგეხსენებათ, თითქმის ერთი წელია, რაც ერთ-ერთი ტელეარხის ყოფილი წამყვანის — თაკო ცქვიტინიძის მეუღლეა და ახალგაზრდა წყვილი თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს. ნიკა კუჭავა ოჯახზე, სიახლეებსა და „შემთხვევით არჩეულ პროფესიაზე“ გვესაუბრება:**

*თამთა დადეშელი*



— ბოლო 5 წელია, რაც მარჯანიშვილის თეატრში ვმუშაობ და საბედნიეროდ, სიახლის გარეშე არ ვყოფილვარ. ერთი სპექტაკლი დაიდგმება თუ არა, მაშინვე მეორის სამზადისი იწყება და ა.შ. ამჟამად ვმუშაობთ პიესაზე — „მარჯანიშვილი“, რომელსაც ლევან წულაძე და დიმა ხვთისიაშვილი დგამენ. რაც შეეხება ტელევიზიას, სერიალებს — სიახლე არ მაქვს. კინემატოგრაფია დღეს სამწუხაროდ, არ არსებობს. ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანში ვიყავით გასტროლზე. ორკაციანი სპექტაკლი „ჟოლო“ წარვადგინეთ, სადაც მე და ნატო მურვანიძე პარტნიორები ვართ. ჩემდა საბედნიეროდ, საკმაოდ პოპულარული გახდა და რამდენიმე ქვეყანაში მიგვიწვიეს. 3 ივნისს რუმინეთის ფესტივალზე ვაპირებთ მის გატანას და სამომავლოდაც ბევრი გეგმა გვაქვს.

— **ბოლოს, როგორც მახსოვს, ლიფონავას „12 ნაფიც მსაჯულში“ გადაგიღეს. ხომ ასეა?**

— დიახ, „12 განრისხებული მამაკაცი“, რომლის მიხედვითაც ეს ფილმი გადაიღეს, მსოფლიოში ცნობილი და გავრცელებული პიესაა, ამიტომ მასზე მუშაობა, რა თქმა უნდა, საინტერესო იყო და კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, რომ გიორგი ლიფონავა საკმაოდ ნიჭიერია.

— **რომელი სპექტაკლით დაიწყო თქვენი სამსახიობო კარიერა მარჯანიშვილის თეატრში?**

— ბატონმა გიზო ჟორდანიამ „სამგროშიანი ოპერა“ დადგა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეგობრები, რომლებთან ერთადაც ამ თეატრში მივედი, მთავარ როლებს ასრულებდნენ, მე კი „მასოვკაში“ ვმონაწილეობდი, მაინც საინტერესო იყო. ეს ასე ხდება, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამ სპექტაკლმა და თვითონ გიზო ჟორდანიამ მომცა შანსი, გავმხდარიყავი ის, რაც დღეს ვარ — მსახიობი, რომელსაც არ მაკლია არც როლები და არც ხელფასი.

— **ალბათ დამეთანხმებით, რომ პროფესიონალიზმისა და ნიჭიერების გარდა, გამართლებაცაა საჭირო, რადგან ბევრი კარგი არტისტი ვერ ახერხებს ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი თეატრის მსახიობი გახდეს.**

— რა თქმა უნდა და ყველგან ვამბობ, რომ დღემდე არ ვიცი, როგორ მოვხვდი მარჯანიშვილის თეატრში — ეს გიზო ჟორდანიას დამსახურებაა. სად მნახა, რატომ გადაწყვიტა ჩემი მიწვევა, ნამდვილად არ ვიცი. თეატრალურ ინსტიტუტში ნუკრი ქანთარიას სტუდენტი ვიყავი, იქაც ბევრ სპექტაკლში ვმონაწილეობდი.

— **როგორ აღმოჩნდით სერიალში „ჩიფსების თაობა“?**

— მე და როლანდ ოქროპირიძე ახალი მისულები ვიყავით თეატრში, როცა ჩვენი ერთ-ერთი ნიჭიერი მსახიობი — ეკა მჟავანაძე ამ ფილმის პროდიუსერი გახდა და კასტინგზე მიგვიწვია. მოვეწონეთ. ხელფასზე რომ დაგველაპარაკნენ, გაოცებისგან „თვალები შუბლზე აგვივიდა“ — კარგი წინადადება იყო და რა თქმა უნდა, დავთანხმდით. 3 წელი ვიმუშავეთ, ჯერ „ბიჭები და გოგონები“ იყო, შემდეგ კი — „ჩიფსების თაობა“, „ჩვენს ოფისში“ კი ჩემი და როლანდის პერსონაჟები უბრალოდ, აღარ დასჭირდათ.

— **როგორ ფიქრობთ, მსახიობს ტელევიზია ხდის პოპულარულს?**

— ვფიქრობ — არა. ტელეეკრანი კი, მაგრამ სერიალი — არა. ტყუილია, როცა ამბობენ, პოპულარობა მაღიზიანებსო, გულის სიღრმეში ყველას მოსწონს, როცა ხალხი სიყვარულს გამოხატავს შენ მიმართ, სასიამოვნოა. კინო სხვა ამბავია. სამწუხაროდ, არ მქონია ბედნიერება, მხატვრულ ფილმში მეთამაშა. სატელევიზიო ფილმში პირველ კურსზე სწავლისას მივიღე მონაწილეობა, მაშინ გიგა ლორთქიფანიძემ „ღმერთო, რისი გულისთვის?“ გადაიღო, სადაც ავთო ჯაყელის როლს ვასრულებდი. ვფიქრობ, კარგად არ გამომივიდა, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ მქონდა სასწავლი. აქედან დაიწყო ჩემი პირველი სამსახიობო ნაბიჯები. სხვათა შორის, ინსტიტუტში სწავლისას ცუდი ნიშანი არ მიმიღია, რასაც სკოლაზე ნამდვილად ვერ ვიტყვი.

— **გვიამბეთ, რატომ გადაწყვიტეთ მსახიობობა.**

— მოდი, არ მოვყვები, თუ რატომ ავირჩიე ეს პროფესია, რადგან ეს ცოტა ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური საკითხია და შორს წაგვიყვანს; გიამბობთ, როგორ ავირჩიე: კინოხელოვნების კოლეჯში ვსწავლობდი, სადაც შემთხვევით მოვხვდი. მანამდე სპორტსმენი ვიყავი — ჩოგბურთს ვთამაშობდი. ასეთი ფაკულტეტი იყო — „კასკადიორის ხელოვნება“, რომელიც, მართალია, არავის სჭირდებოდა, რადგან დღეს

ყველანაირ სპეცეფექტს კომპიუტერი აკეთებს, მაგრამ მაინც ჩავაბარე. რუსულის მასწავლებელი მყავდა, რომელმაც ერთხელ მაიმუნობის გამო გაკვეთილიდან გამომაგდო, თუმცა რუსული ისეთ დონეზე ვიცი, კლასიკოს მწერლებს ორიგინალში ვკითხულობდი... დერეფანში ძალიან ციოდა, გათბობის მიზნით პირველივე კარი გამოვაღე და აუდიტორიაში შევედი, სადაც არც მერხი იყო, არც დაფა, ნახევარწრეზე სკამები იდგა. ამ ყველაფერმა გამაოცა, შუაში წვერიანი კაცი იდგა და საუბრობდა. თქვენი ლექცია მაინტერესებს და თუ შეიძლება, დავესწრები-მეთქი, — ვუთხარი. ეს კაცი ცნობილი მსახიობის, გიორგი ნაკაშიძის მამა — ცოტნე ნაკაშიძე აღმოჩნდა და მერე ისე მოხდა, რომ რუსულის ნაცვლად, მის ლექციებს ვესწრებოდი ხოლმე. პირველად ერთმა ბიჭმა მაიმუნი რომ განასახიერა, გამეცინა. თავიდან ცოტა სხვანაირად შევხედე, ვერ ვხვდებოდი, რა სისულელეებს აკეთებდნენ. თუმცა ნელ-ნელა მეც ჩავერთე ამ პროცესებში... კოლეჯი დავამთავრე და დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ბატონმა ცოტნემ თეატრში დამიბარა, კასკადიორიც იყავი, ფარიკაობაც იცი, ხრიდოლსაც გასწავლიანო. „სამეფო უბნის თეატრში“ იზა გიგოშვილი, ზურაბ ცინცქილაძე, ვალერი კორშია, ონისე ონიანი და სხვები თამაშობდნენ და 16 წლისა, იქ მათამაშა. შემდეგ, კახა ბაკურაძის დამ, ეკამ შემომთავაზა, — კარგი მონაცემები გაქვს და სამსახიობოზე ჩააბარეო. ბევრი მეუბნებოდა, — არ გინდა მსახიობობა, ფული არ გექნებაო, მაგრამ დრამატული თეატრის მსახიობობა ცოტა სხვა რამაა: შენი ქვეყნის, ენის, კულტურის, ლიტერატურის, სახელმწიფოებრივი სიძლიერის შენარჩუნებისთვის ბრძოლაა.

**— თქვენი აზრით, ფილმებში რატომ არ გიწვევენ?**

— ვერ გეტყვით. მიუხედავად იმისა, რომ სარეკლამო სააგენტოებში ჩემი მეგობრები მუშაობენ, არ მინდა ვინმე შევაწუხო. მაგალითად, ირაკლი ჩოლოყაშვილი ჩემი ნათლიაა, ეკა ანდრონიკაშვილი — ჩემი მეგობარი და პარტნიორი, ქეთოსა და კოტეს ერთად ვთამაშობთ „ხანუმაში“. უბრალოდ, სააგენტოებთან თანამშრომლობა რატომღაც არ მინდა. მე ჩემი თეატრითა და როლებით კმაყოფილი ვარ. თუმცა, მხატვრულ ფილმში მონაწილეობის სურვილი, რა თქმა უნდა, უდიდესი მაქვს. ზოგიერთი ქართული სერიალი მომწონს. თუ შემომთავაზებენ, დავთანხმდები.

**— რა არის დღევანდელი ქართული კინოს პრობლემა?**

— ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა დრამატურგიის ნაკლებობაა, თორემ კარგი კამერა უკვე ბევრია. საკმაოდ ნიჭიერი დრამატურგები და სცენარისტები გვყავს, შეიძლება, ავტორთან ერთად რაიმე პიესის ისე გადაკეთება, რომ საინტერესო გამოვიდეს, მაგრამ თანამედროვე ფილმებში ბანალური სიუჟეტებია, ზოგიერთი კი — ზედმეტი „ფილოსოფიით“ გადატვირთული, გაუგებარია. ოქროს შუალედი უნდა არსებობდეს. ყველაფერი რეჟისორების გემოვნებაზე მეტყველებს.

**— როგორი როლი შეიძლება იყოს თქვენთვის მიუღებელი?**

— ვერ გეტყვით. შეიძლება, სცენარის წაკითხვისას ესა თუ ის როლი არ მოგეწონოს, მაგრამ რეჟისორმა ისე აგიხსნას, რომ დათანხმდე.

**— ამ ბოლო დროს, ქართულ ფილმებში მამაკაცებმაც დაიწყეს გახდა. თქვენ რომ ასეთი რამ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

— რა პრობლემაა? სცენაზეც შემიძლია გავიხადო. სხვა საკითხია, რამდენად მოეწონება კამერას ჩემი ფიგურა, ვჯდები თუ არა მის პროპორციებში, როლს რამდენად სჭირდება და ა.შ. თუ სექსის ესთეტიკური სცენაა, სხვა საქმეა. ბევრ ფილმში კი გახდა მხოლოდ სიშიშვლისთვისაა, ამით მაყურებელს ვერ „დააბამ“.

**— ორი სიტყვით თქვენს ოჯახზეც ვისაუბროთ. თაკო რას საქმიანობს ამჟამად?**

— სამწუხაროდ, არ მუშაობს, რაც ძალიან მიკვირს, რადგან 25 წლის გოგონა, რომელსაც 2 დიპლომი აქვს, სახლში არ უნდა იჯდეს. მის განათლებაზე ჩემი მხრიდან საუბარი ცოტა უხერხული იქნება. ჩემი ხელფასი მაინც არ არის ახალგაზრდა ცოლ-ქმარისთვის საკმარისი, მაგრამ ფარ-ხმალს არ ვყრით. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე შეიცვლება რაიმე უკეთესობისკენ.

**— შვილს ხომ არ ელოდებით უკვე?**

— ჯერ არა, 8 თვეა, რაც დავოჯახდით, თუმცა უკვე ვფიქრობთ ამაზე. მოგეხსენებათ, თაკოს ჰყავს შვილი — 7 წლის ალექსანდრე შარაშიძე. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვსეირნობთ, მოკლედ, ვმეგობრობთ. ქუჩაში რომ შეეკითხებიან ხოლმე სანდროს, — ნიკა შენი ვინ არისო? — ჩემი ძმააო, პასუხობს. ჯერ ბევრ რამეს ვერ ხვდება, პატარაა.

**— როგორ შეეგუეთ ოჯახურ თანაცხოვრებას?**

— დასაწყისში რთული იყო. პირველი ორი კვირა თითქოს რაღაც მიშლიდა ხელს, ვერ ვიძინებდი, უცნაური შეგრძნება მქონდა. ჩემი მეგობრები სადმე რომ მიდიოდნენ, მე ვრჩებოდი — ახალმოყვანილი ცოლი მყავდა, მარტო ხომ ვერ დავტოვებდი? ეს ცოტა მძაბავდა, მაგრამ ყველაფერმა მალე გაიარა, რადგან მე ის ნაბიჯი გადავდგი, რაც გულით მინდოდა და გონებაც ჩვეულებრივად შეეჩვია.

**— ბედნიერებას გისურვებთ.**

■



**ფარ-ხმალს არ ვყრით. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე შეიცვლება რაიმე უკეთესობისკენ**

# თიკა ჯამბურიას გოგონა ჯექსონის „ფანია“

**მომღერალი თიკა ჯამბურია თვეზე მეტია, რაც დედა გახდა. პატარა ნინა ხოფერია მშვიდი და წყნარი ბავშვია, ძილიც ძალიან უყვარს და მისი პირველი „ინტერვიუს“ დროს ფოტოების გადაღება ძლივს მოვასწარით, რომ ჩაეძინა კიდეც. 20 წლის დედა შვილის მოვლასთან ერთად, კარიერაზეც ზრუნავს და სიმღერებს არათუ ორსულობის პერიოდში, ახლაც ინტენსიურად წერს.**

*თამთა დადეშელი*


ნინას ძალიან ეპრანჭავთ

**— თიკა, პირველ რიგში გილოცავ პატარა ნინას დაბადებას. მოგვიყევი, როგორი ბავშვია?**

— დიდი მადლობა. ძალიან წყნარი და ადვილად მოსავლელია, ღამე არ გვაწუხებს, თვითონაც მშვიდად სძინავს და ჩვენც.

**— სახელი როგორ შეურჩიეთ?**

— ნინა ბექას მამის ბებიას ერქვა; დაბადების მოწმობის მიხედვით, ჩემს დედამთილსაც ნინა ჰქვია და ჩემს დასაც. თანაც, ყველა ნინო წარმატებული და კარგი ადამიანია. ამიტომ სიამოვნებით დავარქვი. ნინა 9 მაისს, გამარჯვების დღეს გაჩნდა. ყველაფერმა პრობლემების გარეშე ჩაიარა. ნინა 3,6 კგ და 52 სანტიმეტრი დაიბადა.

**— რა შეცვალა ნინამ შენს ცხოვრებაში? როგორი შეგრძნებაა დედობა?**

— საოცარი შეგრძნებაა; ძალიან ბედნიერი ვარ და ნინა ყველაზე მეტად მიყვარს. ვამბობ ხოლმე — ნეტავ აქამდე სად იყო-მეთქი? ბევრი რამ შეცვალა ჩემს ცხოვრებაში. მთლიანად ბავშვზე ვარ გადართული... შინიდან ცოტა ხნითაც რომ გავდივარ, ძალიან მენატრება და ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები. სიგიჟემდე მინდოდა, გოგონა გამჩენოდა. ბექასაც — ასევე. მამამისის მხრიდან სულ ბიჭები არიან და 300 წელია, გოგო არავის შესძენია. ამიტომ ყველა მოუთმენლად ელოდებოდა ნინას გაჩენას. მეორე შვილი ბიჭი გვინდა... ნინას ძალიან ვპრანჭავთ. ისეთი ტანსაცმელი აქვს, მე არ მაქვს ისეთი (*იცინის*). თეთრს, ვარდისფერს და ღია ფერებს ვაცმევ, შედარებით მუქი კანი აქვს და უხდება. სტუმრები რომ მოდიან, ბავშვის ხელში აყვანაზე რიგია ხოლმე.

**— ბექა როგორი მამიკოა? ალბათ, ისიც ძალიან ბედნიერია შვილის დაბადებით.**

— დიახ, ძალიან კარგი მამაა.

**— ვის უფრო მეტად ამსგავსებენ ნინას?**

— ამბობენ, რომ ბექას და ხათუნას (ბებიას) უფრო მეტად ჰგავს, თუმცა ბექა ბავშვობაში შედარებით ქერა და თეთრი ყოფილა. ზოგი მეც მამსგავსებს.

**— პატარას თვითონ უვლი თუ გეხმარებიან?**

— დედაჩემი და დედამთილი მეხმარებიან. ახლა პარალელურად გამოცდებს ვაბარებ თეატრალურში და საშინლად დატვირთული გრაფიკი მაქვს. მუსიკისა და დრამის სამსახიობო ფაკულტეტზე ვსწავლობ და მესამე კურსზე გადავდივარ.

**— ამავდროულად, სიმღერების ჩაწერასაც ასწრებ, როგორც ვიცი...**

— დიახ, მე და ბიჭოლამ სულ ახლახან დუეტი ჩავწერეთ და უკვე პრემიერაც შედგა. სოლო სიმღერებზეც ვმუშაობ და აქტიურად ვემზადები. ორივე მათგანი ქეთი გაბისიანს ეკუთვნის, სოლო ჯერჯერობით წერის პროცესშია და მსმენელს უახლოეს მომავალში შევთავაზებთ.

**— პატარას უმღერი ხოლმე?**

— კი, რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ჯექსონის „სმაილს“ ჩავურთავ თუ არა, იმწამსვე ეძინება. როგორც ჩანს, მუსიკალური გოგო იქნება. ორსულობის პერიოდში სულ კონცერტები მქონდა — კლუბებში დავდიოდი. სპეციალური მუსიკაც არსებობს, რომ ბავშვი მშვიდი და წყნარი დაიბადოს. მაგალითად, მოცარტის...

**— ზაფხულშიც აპირებ კონცერტებში მონაწილეობას?**

— დიახ, თუ იქნება, აუცილებლად.

**— კლიპის გადაღებასაც ხომ არ გეგმავ?**

— ჯერჯერობით — არა, ფორმაში უნდა ჩავდგე და მეორე კურსი წარმატებით დავამთავრო. წლევანდელი წელიწადი ცოტა „გამიხალტურდა“ ორსულობის გამო. ახლა მთავარი მიზანი ის არის, რომ მესამე კურსზე აქტიურად ჩავება სწავლაში, რადგან მიუზიკლი იდგმება, მასში მონაწილეობა კი ჩემი ოცნებაა და ამისათვის ბევრს ვიშრომებ.

**— ფორმაში ჩადგომაზე ზრუნვა უკვე დაიწყე? დიეტას იცავ?**

— ჯერჯერობით არა. 40 დღემდე არ შეიძლება და მერე აუცილებლად — დიეტა და ინტენსიური ვარჯიში.

**— ხომ არ გაკომპლექსებს მომატებული წონა?**

— არა, რადგან ეს ბუნებრივია ორსულობისას.

**— ნინა უკვე მონათლეთ?**

— ზუსტად მეორმოცე დღეს ვაპირებთ, რომ მოვნათლოთ ქაშუეთის ტაძარში, სადაც ჯვარი დავიწერეთ და სადაც ჩემი და ბექას მამაო — ელიზბარ ოდიშვილია. სხვათა შორის, ბექა მისი სტიქაროსანიცაა.

**— ვინ იქნებიან ნათლიები?**

— ჩემი და ბექას მეჯვარეები და კიდევ, რამდენიმე მეგობარი — 10 ნათლია ეყოლება. მათ შორის საზოგადოებისთვის ცნობილები — ნინი ქარსელაძე და სალომე წვერაიძე არიან. ■

# „ჩვენი სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს!“

**მშვენიერ თიკა ფაცაციას და „მრავალწახნაგოვან“ (როგორც თიკამ აღნიშნა) აჩიკო სოლოღაშვილს ერთმანეთთან „ჯანმრთელი“ მეგობრობა აკავშირებთ. ჯერჯერობით, ეს 2 „ცელქი ბავშვი“ ზაფხულის გატარებას ტელემაყურებელთან ერთად აპირებს — „შუადღე“ ეთერში ივლისის ბოლომდე გავა...**



ჩემი „მონაპოვარი“ — თიკა ფაცაცია იყო

ეთო ყორღანაშვილი

**— „ნიჭიერის“ გამო, აჩიკოსთვის ორშაბათი „წმინდა დღე“ იყო. პროექტის დასრულების შემდეგ როგორ განწყობილებაზე ხართ?**

**აჩიკო:**

— ყოველ ორშაბათს მოუთმენლად ველოდი, რადგან არაჩვეულებრივ ადამიანებთან მიწევდა მუშაობა — „ნიჭიერის“ ქორეოგრაფი ვიყავი. გარდა ამისა, ცოტა არ იყოს, ნიჭიერ ხალხთან ურთიერთობის დეფიციტი მაქვს, რადგან ზაფხულია და თეატრის სეზონი დავხურეთ, ორშაბათი დღე კი ამ „ნიშას“ მივსებდა — ბედნიერი ვიყავი... რა თქმა უნდა. პროექტში ვიღაც მეტად მომწონდა, ვიღაც — ნაკლებად, მაგრამ ვერც ერთ კონკურსანტზე ვერ ვიტყვი, რომ უნიჭო იყო. ჩემი, როგორც მაყურებლის ფავორიტი, „აკროსტაილი“ იყო...

**— აჩიკო, რატომ ყოყმანობდი, „ნიჭიერში“ შენი ქორეოგრაფობის შესახებ გაგემხილა?**

— სცენაზე „სუხიშვილები“ ნატალია ვეფხვაძის უკან რომ იდგნენ, ძნელია, ამას ქორეოგრაფია უწოდო. უბრალოდ, კონკურსანტებს ნომრის სტილისტურად „დავარცხნაში“ ვეხმარებოდი. იცი, რისი მეშინია? არ ეგონოთ, რომელიმე კონკურსანტს ვეხმარები, რომელიმეს — არა. ამ თემაზე საუბარს ამიტომ ვერიდები ხოლმე.

**— „აკროსტაილიც“ შენ „დავარცხნე“?**

— რაღაც კორექტივები შევიტანე. მაგალითად, მინდოდა, ნომერი „აკროსტაილის“ ერთ-ერთი წევრის ზემოდან ჩამოვარდნით დასრულებულიყო. ჩემთვის, როგორც მაყურებლისთვის, ეს უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ჰაერში 3 სალტოს გაკეთება. თავს უფლებას არ მივცემ, ვინმეს სცენაზე დისკომფორტი შევუქმნა. „ნიჭიერი“ ნიჭიერი ადამიანების კონკურსია და არა — აჩიკოს ქორეოგრაფიის. უბრალოდ, მონაწილეებს რჩევებს ვაძლევდი.

**თიკა:**

— ვინც აჩიკოს რჩევა გაითვალისწინა, ნამდვილად კარგი შედეგი მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში „ნიჭიერით“ ვიცხოვრე! პროექტის დასრულებით ჩემი ცხოვრების დიდი ეტაპი დამთავრდა. ყველა კონკურსანტს გამორჩეული თვისებები ჰქონდა, რის გამოც ისინი მაყურებელმა შეიყვარა.

**აჩიკო:**

— როცა სცენაზე თიკა გამოდის, უნიჭოც ნიჭიერი მოგეჩვენება!..

**— აჩიკო, ახლა რა გივსებს ნიჭიერ ხალხთან ურთიერთობის დეფიციტს?**

— „შუადღის“ ეთერში ყოველდღე „ნიჭიერი“ მაქვს! დღეს ჩვენი თანაწამყვანი ჩემი „მონაპოვარი“ — თიკა ფაცაცია იყო!

**თიკა:**

— მონაც და „პოვარიც“ (*იცინიან*)!..

**— თიკა, რაც ტელეწამყვანი გახდი, აქტიური მომღერალი აღარ ხარ...**

— რატომ დამაჭირეთ ფეხი მტკივნეულ ადგილზე? ისედაც ძალიან მტკიოდა!

**აჩიკო:**

— მეორე ფეხს მე დავაჭერ!.. სერიოზულად ვიტყვი: როცა 2 ბავშვის დედა ხარ, სხვა რამის „დევნა“ რთულია. სიმღერა უფრო შრომატევადია, ვიდრე — გადაცემის წაყვანა.

**თიკა:**

— არ იფიქროთ, რომ სიმღერა

თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად
წიგნი №5
16 ივნისიდან




სერიის მომდევნო თემები:
№6 ყველაფერი ჰეპატიტების შესახებ
№7 ყველაფერი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების შესახებ
უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!



მას მხოლოდ ვაჟები უნდა ჰყავდეს

ჩემს ცხოვრებაში დამთავრდა.

**აჩიკო:**

— პაუზა ყველაფერში კარგია. ზუსტად ვიცი, რომ თიკა ესტრადაზე ახალი სიმღერებით, ახალი ჟანრით, ახალი ფერებით მოვა... სიმღერით თავის გატანა დღეს ძალიან რთულია. ჩემს პროფესიაზეც იმავეს თქმა შემიძლია. ამიტომაც ეთერში ვართ.

**თიკა:**

— მე მომწონს ჩემი სამსახური!

**— აჩიკო, „შუადღის“ ეთერში თავს კომფორტულად გრძნობ?**

— ხომ მეტყობა, რომ თავს კომფორტულად ვგრძნობ? უბრალოდ, ზოგჯერ ვცდილობ, ახალი საქმე ვისწავლო. როცა გვერდით ნიჭიერი ხალხი გყავს, ეს მეტ სტიმულს გაძლევს.

**თიკა:**

— „შუადღის“ მეშვეობით ჩვენი ცოდნა ღრმავდება, რადგან ბევრ თემასთან შეხება გვიწევს — კონკრეტულ თემაზე პროფესიონალები საუბრობენ. ასე რომ, გადაცემაში მუშაობა ჩვენთვის შემეცნებითიც აღმოჩნდა.

**— „შუადღის“ საპრეზენტაციო გადაცემაში თქვი, რომ ინტრიგა, ექსკლუზივები გექნებოდა. სადაა ან ინტრიგა, ან — ექსკლუზივები?**

— გადაცემაზე შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს. რაც აქტუალურია, „შუადღის“ ეთერში იმაზე ვსაუბრობთ. ჩვენს პროდიუსერებს ვემორჩილებით.

**— შენ და აჩიკოს ერთმანეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა გაქვთ? აჩიკოს შენთან ერთად ინტერვიუს ჩაწერა რომ შევთავაზე, სიხარულით დამთანხმდა.**

**თიკა:**

— ასე დავთანხმდი ერთ-ერთ მუსიკალურ პროექტში მონაწილეობას, რადგან პარტნიორობას აჩიკო მიწევდა. პროექტში გავიმარჯვეთ.

**აჩიკო:**

— ჩვენი სიყვარული ყოველთვის, ნებისმიერ სფეროში იმარჯვებს!

**თიკა:**

— აჩიკომ მაშინ აღმოაჩინა, რომ საოცრად მღერის და დიდ სცენაზე დადგომა გაბედა. ისედაც, როცა სიმღერას იწყებს, მეორე ხმას ვმღერი...

**— თიკა, აჩიკომ წეღან გამიმხილა, რომ „ცუდი“ დედა ხარ...**

**აჩიკო:**

— დიახ, იმდენად „ცუდი“ დედაა, რომ გადაცემის ჩაწერებიდან გარბოდა, ბავშვს აჭმევდა და მერე სამუშაოს უბრუნდებოდა.

**— თიკა, ასეთი თავდადებული დედა ხარ?**

**აჩიკო:**

— ვფიქრობ, თავდადებაზე მეტია, როცა ადამიანი ასეთი დაკავებულია, მაგრამ შვილისთვის მაინც ბევრს აკეთებს.

**თიკა:**

— ბევრი თავდადებული დედა მინახავს. ნეტავ, ღმერთმა მათი მესამედი შემაძლებინოს...

**აჩიკო:**

— ასე ნუ ამბობ. მაშინ სხვა დრო იყო...

**— თიკა, შენი უმცროსი შვილი გოგონაა?**

— არა, ორივე ბიჭუნაა.

**აჩიკო:**

— მას მხოლოდ ვაჟები უნდა ჰყავდეს! თიკა ლედი მაკბეტია! მეშინია...

**— წეღან თქვი — „ცუდი“ დედააო, ახლა — ლედი მაკბეტიაო... რა ხდება?**

— თიკა ძლიერი პიროვნებაა. ლედი მაკბეტს ამიტომ შევადარე. ქალი თუ ძლიერი არაა, ბიჭს ვერ გაზრდის.

**— გამოცდილი მშობელივით ლაპარაკობ.**

— კარგ დედას ვაჟები უნდა გაეზარდა — შექსპირი ასე ამბობდა. თუმცა თიკას ერთი გოგონაც მოუხდებოდა. ყველაფერი წინაა...

**— თიკა, ორსულობის პერიოდში დრამზე კომპოზიცია შეასრულე. შენი უმცროსი ბიჭუნა როგორი ბავშვია?**

— ძალიან მაინტერესებს, სმენა თუ ექნება! საოცრად ცნობისმოყვარე ბავშვია...

**აჩიკო:**

— კარგი ოჯახიშვილი.

**თიკა:**

— კარგი სასიძო (*იცინიან*)... თავიდანვე შევატყვე, რომ იუმორის გრძნობა აქვს, ყველას მიმართ კეთილგანწყობილია. საკმარისია, ერთხელ გაუღიმო, რომ პასუხად გულწრფელი ღიმილი მზად აქვს. ბავშვები ამიტომ გვიყვარს — გულწრფელები არიან, ყველაფერს გაპატიებენ...

**აჩიკო:**

— მსახიობი მაშინ „კვდება“, როცა აღარ „იზრდება“. ამიტომ ბავშვებთან ურთიერთობაზე ვგიჟდები (მიუხედავად იმისა, რომ ვწუხდები ხოლმე — პატარა ძმისშვილები მყავს). ისინი საოცრად გულწრფელები არიან, სჯერათ, რასაც აკეთებენ. ასეთი დამაჯერებლობა სცენაზე თუ არ გამოვიყენე, მაშინ ყალბი ვიქნები. სიყალბე ყველაზე მეტად არ მიყვარს.

**თიკა:**

— აჩიკო, სათქმელი რა საოცრად ჩამოაყალიბე... მეტყველების პედაგოგიც ხომ არ ბრძანდები?

**აჩიკო:**

— თიკა მხოლოდ მომღერალი და წამყვანი კი არაა. მას არაჩვეულებრივი პროფესია აქვს. რაც უფრო იზრდება, უფრო „იქით“ ვხედავ...

**— „იქით“ — სად?**

**თიკა:**

— პროფესიით დიპლომატი ვარ. აჩიკოს საერთაშორისო ეკონომიკური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ამ პროფესიის ადამიანები წარმატებულები სულ სხვა სფეროში აღმოვჩნდით, მაგრამ დადგება დრო, როცა საერთაშორისო ეკონომიკასა და დიპლომატიაში ჩვენს სათქმელს ვიტყვით!..

■



ჩვენი სიყვარული ყოველთვის, ნებისმიერ სფეროში იმარჯვებს

# ქართველი „ჯადოქარი“ მაროკოში

## „საქართველო საოცრების ქვეყანაა-მეთქი, ვტრაბახობდი“

**სულ რამდენიმე დღეა, რაც ქართველი „ჯადოქარი“, ზურა ვადაჭკორია მაროკოდან ჩამოვიდა, სადაც მაროკოს მეფის ეგიდით მოწყობილ კონცერტებში მონაწილეობდა. მას კიდევ 2 ქართველი მსახიობი უწევდა კომპანიონობას. ახალი ამბების შესატყობად, ბატონ ზურას ჩამოსვლისთანავე ვეწვიე.**



*ელენე ბასილიძე*

— 2008 წლიდან ერთ-ერთი მაროკოული ასოციაციის წარმომადგენელი ქალბატონი, რომელიც ქართველია, ტურნეს ჩასატარებლად მეპატიჟებოდა. რატომღაც სულ ფეხს ვითრევდი და უარს ვამბობდი, მაგრამ ბოლოს უარის თქმა აღარ გამომივიდა და წავედი... საათი და 20-წუთიანი პროგრამა გვქონდა. კონცერტზე 20 წუთის განმავლობაში ჩემი მეგობრები — ნიკოლოზი და გოშა მუშაობდნენ, 1 საათი კი მე ვიდექი სცენაზე. სხვათა შორის, მაროკოში საკმაოდ კარგი თეატრები აქვთ, მაგრამ 2-3 ქალაქში ძალიან გამიჭირდა მუშაობა, რადგან საშინლად ცხელოდა. სცენიდან რომ ჩამოვდიოდი, გასაწური ვიყავი. სხვათა შორის, ქალაქ კასაბლანკაში 3 ქართული ოჯახია, მათაც დიდი პატივი გვცეს. ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად მიგვიწვიეს — ქართველ ქალბატონს არაბი ქმარი ჰყავს. იმ კაცს ისე უყვარს თავისი ცოლი, სუფრასთან თავად გვემსახურებოდა, ქალი კი ჩვენ გვესაუბრებოდა.

— **სანამ ჩახვიდოდით, თქვენ შესახებ თუ იცოდა იქაურმა მაყურებელმა?**

— კი, იმ ასოციაციამ, ვინც ამ ღონისძიებებს აკეთებდა, საქართველოს საკმაოდ ოსტატურად გაუთქვა სახელი. ჩემ შესახებ ტელევიზიითაც გავიდა რამდენიმე გადაცემა. ასოციაციის წევრ ქართველ ქალბატონს ხშირად ჩაჰყავს ქართული ფოლკლორული ანსამბლები, მოცეკვავეები, ატარებს საქართველოს დღეებს მაროკოში... თურმე მაროკოელები 3 წელი ითხოვდნენ, ჯადოქარი ჩამოგვიყვანეთო და როგორც იქნა, ოცნება აუხდათ. ჩემს ჩასვლამდე, ნანატრი ჯადოქრის შესახებ მოსახლეობისთვის წინასწარ მიუწვდიათ ინფორმაცია, მათ კი, ჩემი ფოკუსები უნახავთ ინტერნეტით.

— **როგორც ვიცი, მაროკოში ჩატარებული კონცერტები მეფის ინიციატივა იყო, არა?**

— მართალია, კონცერტები იქაური გუბერნატორებისა და მეფის დავალებით ტარდებოდა. მეფე საკუთარ მოსახლეობას უკეთებს საჩუქარს და სხვადასხვა ქვეყნის პოპულარული მსახიობები ჩამოჰყავს. კონცერტები გვქონდა სამეფო თეატრში, სადაც იმხელა აფიშა იყო გაკრული, გამიკვირდა, ამხელა აფიშა თბილისშიც არ მქონია-მეთქი.

— **თავად მეფე თუ დაესწრო თქვენს კონცერტს?**

— სხვათა შორის, ორგანიზატორებმა წინასწარ გამაფრთხილეს — შესაძლოა, რომელიმე კონცერტს მეფეც დაესწროსო. ამაზე ვუპასუხე, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, პარტერში მეფე იჯდება თუ რომელიმე უსახლკარო ბავშვი; მე ყველასთვის ერთნაირად ვმუშაობ-მეთქი. სხვათა შორის, ძალიან მოეწონათ ჩემი პასუხი. რომელ ქალაქშიც ჩავიდოდით, იმ ოლქის ხელისუფლების წარმომადგენელი კონცერტზე აუცილებლად მოდიოდა. მე რომ სხვა ქვეყანაში მივდივარ, ჩემი „ქვეყნის სახე“ ვარ და ვცდილობ, მათზე ისეთი შთაბეჭდილება დავტოვო, ჩვენი ქვეყანა უნახავად შეუყვარდეთ. ყველა ქალაქში მაროკოს მეფეს უზარმაზარი რეზიდენცია აქვს, რომლის მიმდებარე ტერიტორიაც კარგადაა დასუფთავებული, სხვა ადგილებზე კი იმავეს ვერ იტყვი. მაროკოში მცხოვრებ ფრანგებს ვუთხარი, ჩემი თბილისი ყველაფერს მირჩევნია-მეთქი. რატომო? ამ დროს ნაგვის გროვას გავუარეთ, რომელიც შუა ქუჩაში ეყარა. — აი, თუნდაც ამიტომ; ამას ჩემს ქალაქში ვერსად ნახავთ-მეთქი, — თავი მოვიწონე. მერე დავამატე, — თბილისში შუაღამისას კომუნალურ გადასახადებსაც დაფარავ და მარკეტში ცივ სასმელსაც იყიდი-მეთქი.

— **იქ ღამით არ მუშაობს მაღაზიები?**

— იშვიათია მა-



**ყველა ქალაქში მაროკოს მეფეს უზარმაზარი რეზიდენცია აქვს, რომლის მიმდებარე ტერიტორიაც კარგადაა დასუფთავებული**

ღაზია, რომელსაც საღამოს 8-9 საათის შემდეგ ღიას ნახავთ. პარასკევს ლოცვის დღე აქვთ და ისვენებენ, შაბათ-კვირაც უქმე დღეა. აფთიაქიც კი 6 საათზე იკეტება. კვირას ადამიანი ცუდად რომ გახდეს, წამალს ვერსად იშოვის. საქართველოს საოცრების ქვეყანაა-მეთქი, ვტრაბახობდი. ერთ-ერთი კონცერტის დასრულებისას მაროკოელი ილუზიონისტებიც გვეწვივნენ. შემოგვჩივლეს: — რეკვიზიტების უცხოეთიდან გამოწერა არ შეგვიძლიაო... ქვეყანაში ეროვნული ვალუტის დოლარზე გადახურდავებაც კი არ შეუძლიათ. მაროკოელებს ქვეყნიდან გასვლისას მხოლოდ ეროვნული ვალუტის გატანის უფლება აქვთ.

**— თავად მაყურებელმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?**

— უამრავი ქვეყანა მომივლია, მაგრამ ჩემი მაყურებელი რომ მხოლოდ უცხო ქვეყნის წარმომადგენელი ყოფილიყოს, მსგავსი შემთხვევა არ მქონია. დღეს საქართველოდან კონცერტის ჩასატარებლად ვინც მიდის საზღვარგარეთ, ისინიც ქართველი მაყურებლისთვის ჩადიან. სულ ვფიქრობდი, — ნეტავ, როგორი მაყურებლები იქნებიან, როგორი კონცერტები გამოვა-მეთქი? მაგრამ მერე ვიფიქრე, ყველაზე რთული მაყურებლისთვის — ქართველებისთვის ვმუშაობ და არც მაროკოელებისთვის გამიჭირდება-მეთქი.

**— ქართველი მაყურებელი რატომაა „რთული"?**

— ქართველი მაყურებელი კონცერტზე რომ მოდის, კი არ გიყურებს, გამოწმებს. თითოეულ ნიუანსს აქცევს ყურადღებას. აი, მაროკოელები კი კონცერტზე ისვენებდნენ. ყოველი წარმოდგენის შემდეგ კულისებში იმდენი ადამიანი შემოდიოდა, ჩემი რეკვიზიტების ჩალაგებას ვეღარ ვახერხებდი.

**— გარდა იმისა, რომ მუშაობდით, დასვენებაც თუ მოახერხეთ?**

— მე მაშინ ვისვენებ, როცა ვმუშაობ. როცა საქმე არ მაქვს, ძალიან ვიღლები. ამასთან ერთად, კონცერტის მსვლელობისას თავს ძალიან ვუფრთხილდებოდი, რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდეს; ან მზე ძალიან არ მომეკიდოს, არ დავიწვა-მეთქი. ამდენ მაყურებელს იმედს ვერ გავუცრუებდი.

**— კიდევ ხომ არ აპირებთ მაროკოში წასვლას?**

— ჯერ არ ვიცი, არ მიყვარს წინასწარ გეგმების დაწყობა, მაგრამ იდეა ბევრია — სიახლეებით მალე გაგახარებთ. ■

*კოლეგა*

# ახალბედა წამყვანმა „დღის შოუს" საიდუმლო არ გასცა

**თავდაპირველად „იმედში" სტაჟიორად მივიდა, კულტურულ სიახლეებს „ქრონიკაში" 4 წლის მანძილზე აშუქებდა. სამსახური ახლახან შეიცვალა, ოღონდ იმავე ტელევიზიაში — მას შემდეგ, რაც ია ფარულავამ „დღის შოუ" დატოვა, თანაწამყვანის ადგილისთვის გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. კასტინგი პირდაპირ ეთერში ჩატარდა, მაყურებლის მოწონება სწორედ მან დაიმსახურა. ამბობს, რომ ეს ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებს და ძალისხმევას არ იშურებს იმისთვის, რომ მაყურებლის იმედი და ნდობა გაამართლოს. ყველაზე მეტად პირველი ეთერის დროს ინერვიულა. ალბათ მიმიხვდით, ჩემი რესპონდენტი „დღის შოუს" ერთ-ერთი წამყვანი, სალომე კასრაძე გახლავთ.**

*თამუნა კვინიკაძე*

**— ჟურნალისტობა ის პროფესიაა, რომელზეც ბავშვობიდან ოცნებობდი?**

— არა, ჟურნალისტობაზე არასდროს მიოცნებია. სკოლა რომ დავამთავრე, საერთოდ არ მქონდა გადაწყვეტილი, სად შეიძლებოდა ჩამებარებინა. ბევრი ახლობელი მეუბნებოდა, შენი დიქცია მომწონს, მხატვრულად კარგად კითხულობ და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარეო. ინტერესი მეც გამიჩნდა და ასე აღმოვჩნდი ამ ფაკულტეტზე. სანამ უნივერსიტეტს დავამთავრებდი, მანამდე ვეყომანობდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ეს ის არის, რაც მინდოდა? IV კურსიდან „იმედში" სტაჟიორად მუშაობა დავიწყე. მალევე მივხვდი, რომ ეს ის იყო, რაც მაინტერესებდა. საქმის კეთება და მერე იმ სიუჟეტის ეთერში ნახვა, რომელზეც ვმუშაობდი, სიამოვნებას მანიჭებდა.

**— პირველი სიუჟეტი გემახსოვრება...**

— რა თქმა უნდა, მახსოვს — მასზე 2 დღე ვიმუშავე. ჩემი რესპონდენტი ანუკი არეშიძე — წარმატებული ქართველი მოდელი იყო, რომელიც მილანში მიდიოდა. გამგზავრების წინ გადავიღეთ, ჩავწერე, პატარა ჩვენებაც იყო. კარგი სიუჟეტი გამომივიდა.

**— შენიშვნები არ მიიღე?**

— შენიშვნები თავიდან არ მოუციათ, ცოტა დრო რომ გავიდა, მერე შემომაპარეს, იქნებ ცოტა ხმაზე იმუშაო, დაადინჯო, ინტონაცია ცოტა შეცვალოო და ა.შ. სიუჟეტის მომზადება საინტერესოა, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველია პირდაპირ ეთერში მუშაობა.

**— პირდაპირ ეთერში მუშაობა უფრო რთული არ არის?**

— რთულია, მაგრამ მე ძალიან მიყვარს — ამ დროს ყველაზე მეტად ვარ მობილიზებული. „დღის შოუში" თავს კარგად ვგრძნობ. თავიდან მეტს ვფიქრობდი, წინადადებას ვალაგებდი, ვფრთხილობდი, არაფერი შემშლოდა. მეუბნებიან, რომ შეცდომების არ უნდა შემეშინდეს. ძალიან მინდოდა, „ქრონიკაშიც" დავრჩენილიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე: „ქრონიკა" დიდ ენერგიასა და დროს მოითხოვს. მთლიანად გშთანთქავს, ვერაფერს შეუთავსებ.

**— რა თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ ჟურნალისტს?**

— ცნობისმოყვარე უნდა იყო, ისე ჟურნალისტი ვერ იქნები. მთავარია, შენს თავზე მუშაობა არ დაიზარო და უფრო კარგად გამოგივა. შენი სტილი უნდა გქონდეს.

**— „დღის შოუდან" ია ფარულავა რატომ წავიდა?**

— ამბობენ, გადაიღალა და მხოლოდ ერთ გადაცემაზე მუშაობა არჩია.

**— ამბობენ, ნანიკოსთან დაპირისპირების გამო წავიდა — მათ შორის ქიშპობა პირდაპირ ეთერშიც იგრძნობოდაო.**

— არა მგონია, ნანიკოს გამო წასულიყო. ია ის ადამიანი არ არის, ვინმეს გამო „ბრძოლის ველი" დატოვოს. დოდოშკა და ნანიკო არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. არ ვიცი, ჩემთან ერთად ეთერში სხვა ადამიანები რომ ყოფილიყვნენ, თავს როგორ ვიგრძნობდი. ხელი ძალიან შემიწყვეს. ერთმანეთს კარგად გავუგეთ; როგორც წამყვანი, მათ ხელში ვიზრდები.

**— შენი საყვარელი რესპონდენტი ვინ არის?**

— ბევრნი არიან, კონკრეტულად ერთის დასახელება მიჭირს. ჩვენ გვერდით იმდენი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს, ალბათ ცხოვრების ბოლომდე არ გეყოფა დრო, რომ აღმოაჩინო, ყველაზე მიჩუმათებული კუთხიდან ამოიყვანო და ხალხს გააცნო. ხშირად მეკითხებიან, შენი საოც-

ნებო რესპონდენტი ვინ არის, ყველაზე მეტად ვისი ჩაწერა გინდაო? მათ ვპასუხობ, რომ ასეთები არიან ის ადამიანები, რომლებიც სიკეთეს ჩუმად აკეთებენ — ისე, რომ ხალხმა მათი სახელი და გვარიც კი არ იცის. ისინი იმიტომ არ არიან ცნობილები, რომ ჟურნალისტებთან არა აქვთ კონტაქტი, სულ არ აინტერესებთ, ვინ გააშუქებს, ვინ მიუშვერს მიკროფონს. ისინი ქველმოქმედები იმისთვის არ არიან, რომ მათი გაკეთებული საქმე კამერებმა გადაიღონ. ასეთი ადამიანები არიან ჩემი საოცნებო რესპონდენტები.



ყურებამდე შეყვარებული არც არასდროს ვყოფილვარ

**— თემა შევცვალოთ. მითხარი, თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

— ახლა მეტი თავისუფალი დრო მაქვს, ვიდრე საინფორმაციო სამსახურში მუშაობის დროს მქონდა. მინდა დავისვენო და ის გავაკეთო, რასაც მაშინ ვერ ვასწრებდი. მეგობრებისა და ნათესავების ნახვას ვერ ვახერხებდი. ახლა 2 საათის შემდეგ თავისუფალი ვარ, სახლში მარტო ვრჩები და ვზებივრობ, როცა მინდა, წიგნებს ვკითხულობ.

**— რომელი ავტორები გიყვარს?**

— ვცდილობ, კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად, ახალგაზრდა ავტორების წიგნებიც ვიკითხო. ახლაც თანამედროვე ფრანგი მწერლის, მიშელ ველბეკის შემოქმედებას ვეცნობი და ძალიან საინტერესოა. ვწუხვარ, რომ მისი ბევრი ნაწარმოები ნათარგმნი არ არის.

**— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— მნიშვნელოვანი არაფერი, სიმშვიდეა.

**— შეყვარებული არ ხარ?**

— არა. ყურებამდე შეყვარებული არც არასდროს ვყოფილვარ. ერთიორჯერ მქონდა ისეთი პერიოდი, მეგონა მიყვარდა (2 საათით მაინც), მაგრამ მალევე მივმხვდარვარ, რომ არ მყვარებია.

**— როგორი უნდა იყოს მამაკაცი, შენი ყურადღება რომ მიიქციოს?**

— უნდა მომწონდეს.

**— მაშინ ასე გკითხავ — როგორი ბიჭები მოგწონს?**

— (*იცინის*) მთავარია, ჩემზე მაღალი იყოს. მაღალ ქალთან დაბალი კაცი არ მომწონს.

**— სიმაღლეში რამდენი ხარ?**

— 180 სანტიმეტრი ვარ; ის მინიმუმ 190 უნდა იყოს და ამაზე მაღალიც შეიძლება...

**— ეი. შანსი კალათბურთელებს აქვთ.**

— არა, კალათბურთელების ეტაპი გავიარე (*იცინის*) — ეს ბავშვობაში იყო. ისე, სპორტის ეს სახეობა ყველაზე მეტად მომწონს და მიყვარს.

**— სიმაღლის გარდა, მამაკაცში რა პიროვნულ თვისებებს ანიჭებ უპირატესობას?**

— ძალიან საინტერესო უნდა იყოს; მხოლოდ ვიზუალურად კი არ უნდა შევეფერებოდეთ, ერთმანეთის უსიტყვოდ უნდა გვესმოდეს. საერთო შეხედულებები და ღირებულებები უნდა გვქონდეს.

**— ეთერში შენს ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს?**

— საკუთარი გარდერობიდან ვიმოსები. ეთერში ერთი და იგივე არასდროს მცმია; თან არ მიყვარს, როცა მეგობრებისგან ტანსაცმელს თხოულობენ. სამოსს წინადღეს რომ ვამზადებ, ვფიქრობ, რამდენი რამ მქონია-მეთქი.

**— ტანსაცმელს სად იძენ?**

— თბილისში არის ერთი მაღაზია, სადაც ხშირად დავდივარ. ზოგჯერ ინტერნეტით ვიწერ — უფრო სამკაულებსა და აქსესუარებს. ჩემთვის მთავარია, თავი კომფორტულად ვიგრძნო, ტანისამოსი კარგად შეკერილი და ხარისხიანი იყოს.

**— ზაფხული დაიწყო. დასასვენებლად წასვლას სად აპირებ?**

— ჯერ ამაზე არც მიფიქრია. საერთოდ, ცხოვრებაში არაფრის დაგეგმვა არ მიყვარს. ზაფხულში წავკისში ვარ, იქ სახლი გვაქვს და ოჯახთან ერთად ავდივარ ხოლმე. მართლა კარგად ვისვენებ. დაღლა თუ მინდა, ზღვაზე მივდივარ და იქ სასიამოვნოდ ვიღლები. ■



# ლიანა ასათიანის სიმარტოვე და ლექსო თორაძის აუხდენელი ოცნება



**...ის ახლა სრულიად მარტო ცხოვრობს თორაძის ჩიხში მდებარე ძველებურ სახლში, საყვარელი ადამიანების მონატრებითა და შავ-თეთრი ფოტოებით გარემოცული. ტელეფონის ზარის ხმაზე კი თვალები სხვაგვარად უბრწყინავს, რადგან ის ერთადერთი გზაა საზღვარგარეთ გადახვეწილი შვილების მიმართ უსაზღვრო მონატრების დასამარცხებლად. მაგრამ ქალბატონი ლიანა ასათიანი არავის არაფერს საყვედურობს და არც სინანულს გამოთქვამს, რომ ბედმა საყვარელ შვილებს დააშორა; ის გასაოცარი ოპტიმიზმითაა აღსავსე და სიამოვნებით იხსენებს განვლილი ცხოვრების თითოეულ ეპიზოდს, რომელიც, ასაკის მიუხედავად, ზედმიწევნით კარგად ახსოვს. მეხსიერებასთან ერთად, მსახიობს განგებამ ღვთაებრივი სილამაზეც შეუნარჩუნა, რითაც არასდროს გათამამებულა...**

*ნატა კობიძე*

*ჩვენი საუბარი „მისი ყველაზე დიდი სიამაყის“ — ლექსო თორაძის ცხოვრების გარშემო წარიმართა, რომელიც 1983 წელს გასტროლიდან „გაუჩინარდა“.*

— იმ საბედისწერო დღეს მოსკოვში დავრჩი და ლექსოს დაბრუნებას ველოდი. იმ დროს გუგულის (დავით თორაძის) ბიძაშვილმა დამირეკა და მითხრა, — ლექსო დაიკარგაო. მივხვდი, რაშიც იყო საქმე, მაგრამ მანამდე არაფერი უთქვამს უცხოეთში იმ წასვლის შესახებ. ალბათ, არც უფიქრია, რადგან ამ გასტროლებამდე, ამერიკაში რვაჯერ მაინც იყო ნამყოფი, სადაც სურვილი რომ გამოეთქვა, სიამოვნებით დატოვებდნენ... იმ დღეს მოსკოვის კონსერვატორიაში მას და ლექსოს კონცერტი უნდა ჰქონოდათ, თუმცა მოსკოვის რადიოსა და ტელევიზიის მთავარი დირიჟორი — ფედოსეევი ისე მოიქცა, რომ ლექსოს ამ საბედისწერო ნაბიჯისკენ უბიძგა. რამდენიმე დღე შვილის შესახებ არაფერი ვიცოდით და საშინელ განცდებში ვიყავით. მოგვიანებით კი მივიღეთ ინფორმაცია, რომ მეგობრებმა ის ქალაქ ხიხონიდან იტალიაში გადაიყვანეს და შემდეგ ამერიკაში გააპარეს. ლექსოს როგორც „დამნაშავეს“ ყველგან ეძებდნენ, მისი ფოტოები მთელ ესპანეთში გამოიფინა.

— **როდის მიიღეთ მისი პირველი წერილი?**

— რამდენიმე თვეში. ის რუსულ ენაზე იყო დაწერილი, რომ „კაგებეს“ მისი წაკითხვა არ გასძნელებოდა:

***„დედა, შენს დაბადების დღეზე, 6 დეკემბერს, მე რახმანინოვის მე-2 საფორტეპიანო კონცერტს ნიუიორკის „ლინკოლნ-ცენტრში“, „ევერი-ფიშერის“ დარბაზში დავუკრავ. ეს ყველაზე დიდი დარბაზია ნიუიორკში, „კარნეგი-ჰოლზეც“ კი. შენი ადგილი ყოველთვის თავისუფალი იქნება. ვიდრე დავუკრავ, ის ყოველთვის შენ დაგელოდება, დედა! კონცერტიდან შემოსულ ანაზღაურებას, შენს სახელზე, მთლიანად შევწირავ ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდებს. მთავარია, მაგრად იდგე, ამ განსაკუთრებით მძიმე საათებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი მე გამოვიწვიე, გახსოვდეს, ახლა ჩემთვის გაცილებით ძნელია, ვიდრე თქვენთვის, რადგან მე აქ სრულიად მარტო ვარ! გთხოვ, გაძლოთ 2-3 თვე და შემდეგ ვეცდები, რაღაცით გაგახაროთ. თქვენ ხომ იცით მოთმინება?! მამა, მოიკრიბე მთელი ენერგია და წერე მუსიკა, რადგან მუსიკამ ჩვენ ორივე უნდა გადაგვარჩინოს. ვიცი, რომ უჩვეულოდ გავართულე თქვენი და ჩემი ცხოვრება, მაგრამ ამ სიძნელეებმა და განცდებმა უნდა გამოგვაფხიზლოს... თქვენ ახლა უჩემოდ ხართ, მე კი — უთქვენოდ, ამან უნდა გაგვაკაჟოს და გაამძაფროს ჩვენი დამოკიდებულება იმათ მიმართ, ვინც***



წერილი რუსულ ენაზე იყო დაწერილი, რომ „კაგებეს“ მისი წაკითხვა არ გასძნელებოდა

***ამ საბედისწერო ნაბიჯისკენ მიბიძგეს. იყავით მაგრად და შემიმსუბუქეთ განცდები, ნუ შეგეშინდებათ, ძალა ჩვენს ერთობაშია! არავისი არაფერი გვმართებს, მხოლოდ — ერთმანეთის! არ მსურს მყიდდნენ, მამცირებდნენ და სულიერად მანადგურებდნენ სამინისტროებსა და გოსკონცერტში, მე ხომ ჯერ ბოლომდე არ ამიხდენია თქვენი ოცნებები, არც — ჩემი!“***

— ვიდრე წერილი ჩვენამდე მოაღწევდა, უშიშროების თანამშრომლებმა მრავალგზის გადაიკითხეს და როცა მის „უვნებლობაში“ დარწმუნდნენ, საფოსტო ყუთში ჩაუშვეს. გუგული გაზეთების ასაღებად გავიდა და იქ გახსნილი კონვერტი დახვდა, მაგრამ იმ დროს ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, რომ ლექსო გამოჩნდა... გახარებულმა შემოირბინა ოთახში და კონვერტი გამომიწოდა. დიდხანს ვტიროდით... საბედნიეროდ, დაკითხვებზე არავის მივყავდით. თუმცა ლექსოს წასვლას ერთი უსიამოვნო ფაქტი მოჰყვა, ჩემი ძმა — რეზო ასათიანი იმ დღეებში მაღალი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

**— ალბათ შოკის მომგვრელი იყო ეს ამბავი თქვენთვის...**

— ამას არც მე და არც გუგული არ ველოდით, გაოცებულები ვიყავით. მაშინ ისეთი დრო იყო, ერთი სკამიდან მეორეზე რომ გადამჯდარიყავი, დაფიქრება გჭირდებოდა, ქვეყნიდან წასვლა კი ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო... მაგრამ დირიჟორმა ფედოსეევმა ლექსოს შეურაცხყოფა მიაყენა. ლექსომ ეს ვერ აიტანა. ეგონათ, თვალს დახუჭავდა და ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ პირიქით მოხდა... მისი წასვლის ამბავი მთელ საბჭოთა კავშირში მეხის გავარდნას ჰგავდა. მაშინვე გოსკონცერტში დავრეკე და ყველა გავლანძღე, რადგან უსირცხვილოდ, მოვაჭრეებივით მოიქცნენ. საბედნიეროდ, არ გაგვისწორდნენ, რატომღაც დაცულები აღმოვჩნდით. საქართველოს მაშინდელი უშიშროების მინისტრი — ალექსი ინაური ჩვენი მეზობელი და ახლობელი იყო. ლექსო რომ გაუჩინარდა, გუგული პირველად მასთან მივიდა და ჩვენი გასაჭირი უამბო. ინაურმა დიდხანს უსმინა და როცა გუგულიმ საუბარი დაასრულა, ატირდა... სამწუხაროდ, გუგული დიაბეტით ავადმყოფობდა და იმავე წელს (1983 წლის 7 ნოემბერი) გარდაიცვალა.

**— ქალბატონო ლიანა, ლექსო თორაძე ხომ არ ნანობს, რომ წლების წინ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო?**

— ვერ გეტყვით; შეიძლება, კიდეც ნანობს, მაგრამ ამის შესახებ არასდროს უთქვამს. ამერიკაში რომ წავიდა, ის უკვე ვან კლიბერნის კონკურსის ლაურეატი გახლდათ, არაფერი აკლდა, კონცერტები და გასტროლებიც მრავლად ჰქონდა. თუმცა, ძნელი სათქმელია, საქართველოში რომ დარჩენილიყო, მიაღწევდა თუ არა ისეთ წარმატებას, როგორსაც უცხოეთში მიაღწია...

**— როგორ უძლებთ სიმარტოვეს?**

— ამას წინათ, ერთმა შესანიშნავმა ჟურნალისტმა ჩემზე წერილი მოამზადა, რომელსაც სათაურად „ლიანას ძლიერი სიმარტოვე“ დაარქვა. ბუნებრივია, მიჭირს მარტოობა, თუმცა ხშირად ჩამოდიან ჩემი შვილები — ლექსო და ნინოც, მაგრამ მათ თავთავიანთი ცხოვრება აქვთ და მათივე კეთილდღეობისთვის ჯობს აქ ვიყო. საზღვარგარეთ ცხოვრება დიდ ენერგიას მოითხოვს. გუშინ ლექსომ დამირეკა: ახალი მანქანა ვიყიდე და მინდა, გაგასეირნოო. გამეცინა, ოთახში ველარ დავდივარ 3-4 წელია და სად უნდა წავიდე?! წასვლაზე ფიქრიც ზედმეტია. მოგზაურობა მაშინ არის კარგი, როცა სიარული საკუთარი ფეხით შეგიძლია. სხვები არ უნდა გააწვალო. ჩემს სახლში თავს კარგად ვგრძნობ. ახლობელი ადამიანები არ მტოვებენ. მალე 85 წელი შემისრულდება და ვცდილობ, არ გავურთულო ჩემს შვილებს ცხოვრება. ლექსო ახლა „საუს ბენდის“ საკუთარ სკოლაში მოღვაწეობს, 14 ივლისს უმნიშვნელოვანესი კონცერტი აქვს „ლა სკალაში“ დაგეგმილი, რომლის სცენაზეც ბეთჰოვენის საფორტეპიანო კონცერტს დაუკრავს.

**— მშობლიურ ქალაქს ბოლოს როდის ესტუმრა?**

— შარშან გახლდათ ჩამოსული, რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა, რომელიც 500-ჯერ მაინც ექნება დაკრული. ისეთი როიალი დაახვედრეს, ვფიქრობ, უარი უნდა ეთქვა გამოსვლაზე, მაგრამ... სამწუხაროდ, 2010 წლამდე, მისი შვილები თბილისში არ იყვნენ ნამყოფები. გადასარევი ბიჭები არიან, პრინცებს ჰგვანან. ლექსოს ვუთხარი, — ახლა მათ უნდა ეფერო და გაუთავებელი მოთხოვნები შეუსრულო-მეთქი. დევიდი 18 წლისაა და გარეგნულად ძალიან ჰგავს მამას; ალექსანდრე კი 17-ის გახლავთ. ის კი ზედგამოჭრილი



ადამიანი სილამაზეს ისევე ეჩვევა, როგორც შეუხედაობას და შემდეგ ერთიც და მეორეც მისთვის სულერთი ხდება

დედაა. ლექსოს ყოფილი მეუღლე წარმოშობით ირლანდიელია, ულამაზესი ქალია. ბავშვები მასთან გაიზარდნენ, ამიტომ, ქართული არ იციან. მათი განშორებისას სიტყვა არ მითქვამს, რადგან ადამიანის პირად ცხოვრებაში მშობელი არ უნდა ჩაერიოს. თუმცა ოჯახის დანგრევა ყოვლად მიუღებლად მიმაჩნია, რადგან შვილები ამ დროს ყველაზე მეტად ზარალდებიან. დღეს უამრავი ოჯახი ინგრევა და შვილებზე არავინ ფიქრობს, მხოლოდ საკუთარი თავი აღელვებთ. არასდროს მივცემდი თავს უფლებას, რომ მეუღლეს გავყროდი, რადგან ვიცოდი, ამას დიდი უსიამოვნებები მოჰყვებოდა. თუმცა არც ვმდგარვარ ამ აუცილებლობის წინაშე.



შვილებთან — ლექსოსა და ნინოსთან ერთად

**— თქვენმა სილამაზემ ალბათ, გადამწყვეტი როლი ითამაშა თქვენს პირადსა და პროფესიულ ცხოვრებაში...**

— ვერ გეტყვით, ალბათ არა, რადგან ადამიანი სილამაზეს ისევე ეჩვევა, როგორც შეუხედაობას და შემდეგ ერთიც და მეორეც მისთვის სულერთი ხდება. მახსოვს, სკოლაში რომ ვსწავლობდი, ჩემს კლასში ახალი მოსწავლე (ბიჭი) გადმოვიდა (VIII-კლასელები ვიყავით). ის შეუხედავი იყო და ყველამ ავითვალწუნეთ,

მაგრამ დროთა განმავლობაში, ისე შევეჩვიეთ, რომ მასზე შეყვარებულებიც კი ვიყავით. ასე რომ, ადამიანის ცხოვრებაში გარეგნობა მთავარი არ არის. აქვე, ბარნოვის ქუჩაზე, მე-18 სკოლაში ვსწავლობდი. ჩვენი სახლი ოპერის უკან მდებარეობდა. ის გასტროლებზე ჩამოსული მომღერლებისთვის იყო განკუთვნილი. სახლში დედ-მამასთან და ჩემს ძმასთან — რეზო ასათიანთან ერთად ვცხოვრობდი. ამ სახლს უამრავი მომღერალი სტუმრობდა, იყო გაუთავებელი მისვლა-მოსვლა, რაც მომწონდა. თვალს ვადევნებდი მათ და ვოცნებობდი, რომ ოდესმე მეც ცნობილი ადამიანი გავმხდარიყავი...

— **როგორც ვიცი, დავით თორაძეს 25 წლის ასაკში შეხვდით; ის იმ დროისთვის უკვე ცნობილი კომპოზიტორი იყო...**

— ერთმანეთს 1945 წელს, გადასაღებ მოედანზე შევხვდით, როცა



სამწუხაროდ, 2010 წლამდე, მისი შვილები თბილისში არ იყვნენ ნამყოფები

ქვეყანა ომისგან მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა. ის ფილმისთვის მუსიკას წერდა; საკმაოდ სიმპათიური, ელეგანტური ახალგაზრდა იყო (ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი); მე 20 წლის გახლდით, მაგრამ უკვე ნათამაშები მქონდა თეკლას როლი მიხეილ ჭიაურელის გახმაურებულ ფილმში — „გიორგი სააკაძე“. გუგულის, როგორც ნიჭიერ მუსიკოსს, ქვეყანა იცნობდა. ის საქართველოში პირველ ჯაზორკესტრს ხელმძღვანელობდა. კარგი ხასიათი ჰქონდა, რთული არ იყო მასთან ცხოვრება, თუმცა სულ მუშაობდა და სტუმარიც უყვარდა.

— **თეკლას როლმა პოპულარობა მოგიტანათ, არა?**

— 16 წლის ვიყავი, როცა „გიორგი სააკაძეს“ იღებდნენ. მთელ საქართველოში ეძებდნენ, ხმელი ტანის გოგოს, ირიბი თვალებითა და არაბანალური სახით. მე და ჩემი მეგობრები მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლს ვესწრებოდით. ანტრაქტზე, ფოიეში, სურათების დასათვალიერებლად გავედით, უეცრად 2 სოლიდური პიროვნება მომიახლოვდა და ვინაობა გამომკითხა. მათ კინოსთვის სასინჯ გადაღებებზე დამიბარეს. სიხარულით ლამის გავგიჟდი. რამდენიმე დღეში მიხეილ ჭიაურელთან გამოვცხადდი. უამრავი ხალხი დამხვდა, ერთი გაკნაჭული გოგო რომ დამინახეს, გაოცდნენ, მიხეილ ჭიაურელი კი აღფრთოვანებული შემომყურებდა. შემდეგ მომიბრუნდა და იქ მყოფთ ჰკითხა, — მოგწონთ თუ არაო? ყველამ თავი დაუქნია, ბუმბერაზ რეჟისორს უარს ვინ გაუბედავდა?! მოგვიანებით შევიტყვე, რომ თეატრში ჩემთან მოსული 2 ადამიანიდან ერთ-ერთი ბატონი მიშას ასისტენტი — ნატაშა გახლდათ, მეორე კი შალვა გედევანიშვილი — ფილმის მეორე რეჟისორი. გამიკეთეს გრიმი, ჩამაცვეს ლამაზი კაბა და გადამიღეს რამდენიმე საცდელი კადრი. საბედნიეროდ, ტელეგენური აღმოვჩნდი, ალბათ, ბედი იყო. ფილმი დასრულდა და ნიჭიერთა ათწლედიც დავამთავრე, მაგრამ არც მუსიკას გავყევი და არც სამსახიობოზე ჩავაბარე.

— **რატომ?**

— გადაღებების დროს ვხედავდი, როგორ ემუდარებოდნენ მიხეილ ჭიაურელს ცნობილი მსახიობები, მასობრივ სცენებში მაინც გვათამაშეო. ვიფიქრე, წლების შემდეგ, მეც ასეთ დღეში აღმოვჩნდები და ჯობს, სხვა პროფესიას დავეუფლო-მეთქი. ამიტომ, სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. რამდენიმე წელი თვალის ექიმადაც კი ვიმუშავე, პარალელურად კინოში მიღებდნენ. მძულდა სოფლის ქალის როლის თამაში. ამიტომაც ვამბობ, რომ ჩემი საყვარელი გმირი თავადის ქალი მაიაა! ეს ფილმი („თავადის ქალი მაია“) ლანა ღოღობერიძის შედევრი გახლავთ! მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ფილმში ვითამაშე, ჩემი შემოქმედებიდან მხოლოდ ამ როლს გამოვყოფდი, რადგან როგორც მსახიობმა, მისგან უდიდესი სიამოვნება მივიღე. პარალელურად, შალვა ღამბაშიძე, აკაკი ხორავა და სხვები თეატრში მიხმობდნენ, მაგრამ იქ თამაშის უფლება თავს არ მივეცი, ლექსოსა და ნინოს უპატრონოდ ხომ არ დავტოვებდი? შვილებს მარტო ვზრდიდი... 13 წლის რომ ვიყავი, დედაჩემი მეორედ გათხოვდა; მეორე ქორწინებიდან შვილი შეეძინა, რომელიც მისთვის ყველაფერი იყო. მამაც მალე დაქორწინდა სოხუმელ ქალზე და 3 შვილი გაუჩნდა. მე და ჩემი ძმა კი ღვთის ანაბარა დავრჩით. ამიტომ ვთქვი, ოჯახი არ უნდა დაინგრეს, თორემ შემდეგ ვინ საით წავა, არავინ იცის-მეთქი. ძნელი იყო ჩემთვის მშობლებთან განშორება. დედა რომ წავიდა, თან წამიყვანა, მაგრამ სწორი იქნებოდა, მამასთან დავრჩენილიყავი. ის ცოლს აღარ მოიყვანდა და მეტ ყურადღებას დაგვითმობდა. მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრებაში მსგავს შეცდომას არასდროს დავუშვებდი...

— **ლექსო თორაძე ყოველთვის საუბრობს თქვენზე, როგორც არაჩვეულებრივ დედაზე. მასთან შეხვედრას ალბათ დიდი ემოციები ახლავს...**

— ამ ემოციების გადმოცემა სიტყვებით წარმოუდგენელია. გავიხსენებ ნიუ-იორკში (1988 წელი) ჩემი და ლექსოს შეხვედრას. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა 5-წლიანი განშორების შემდეგ... მეტსაც გეტყვით, პირველი ქართველი დედა ვიყავი, ვისაც საზღვარგარეთ გაქცეული შვილის ნახვის უფლება მისცეს... ლექსომ აეროპორტში ისეთი ფეიერვერკი მომიწყო, ემოციების გამოხატვის დრო და ადგილი აღარ იყო...

— **„დედა ტრაპზე რომ დაეშვა, ამერიკელები მისი სილამაზით გაოგნებული დარჩნენ“, — წერს ლექსო თორაძე...**

— ამერიკელებს ტრადიცია აქვთ ასეთი, ყველას კომპლიმენტს ეუბნებიან — ლამაზია თუ არა.

— **ლექსო თორაძის წარმატება მისი ნიჭის დამსახურებაა თუ საზღვარგარეთ წასვლამაც ითამაშა ამაში როლი?**

— ბუნებრივია, ნიჭიერება მუსიკოსის წარმატების აუცილებელი პირობაა, მაგრამ როგორც ცნობილი პიანისტი რიხტერი ამბობდა, ყოველდღე რამდენიმე საათი მეცადინეობის გარეშე არაფერი გამოვა... ლექსო თბილისში რომ ცხოვრობდა, დღეში 5-6 საათს მეცადინეობდა და შედეგიც სახეზე იყო; ახლა ვერ გეტყვით, რამდენს მეცადინეობს. რაც შეეხება მის საზღვარგარეთ გამგზავრებას, ეს მისი გადარჩენის აუცილებელი პირობა იყო და არა წარმატების!

— **ლექსო თორაძეს თბილისში არასდროს დაუკრავს დავით თორაძის საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც მას მიუძღვნა...**

— სამაგიეროდ, არაერთხელ დაუკრავს ის საზღვარგარეთ. ლექსოს ოცნებაა რაჭაში, მისი წინაპრების კუთხეში სახლის შეძენა და იქიდან თბილისამდე კონცერტებით ჩამოსვლა. თუ ეს ოცნება აიხდინა, ტურნეს აუცილებლად გუგულის ნაწარმოებით დააგვირგვინებს, მაგრამ ეს დღემდე ლექსოს აუხდენელ ოცნებად რჩება... ■

# ფსიქიკურად დაავადებულ პატიმარს ციხეში სასტიკად სცემენ

## ადვოკატი დახმარებას ითხოვს

თეა ხურცილავა



*სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა ცემა-წამების არაერთი ფაქტი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. სამწუხაროდ, რამდენიმე შემთხვევა უმძიმესი შედეგით — სიკვდილითაც დასრულდა. კონკრეტულ ფაქტზე ცოტა ხნის წინ „გზაშიც“ ვისაუბრეთ. ადვოკატი — ვლადიმერ ტაბაღუა სათანადო უწყებებში ჩივის და პატიმრების დაცვას ითხოვს. ამბობს, რომ მისი საჩივრები უპასუხოდ რჩება. თუ დროული რეაგირება არ მოხდა, არ გამორიცხავს, რომ მისი 2 პატიმრის სიცოცხლე, ციხის რეჟიმმა შეიწიროს...*

*22 წლის ტარიელ საყვარელიძის ცემა-წამების ფაქტი პირველად ცოტნე გამსახურდიამ გამოამზეურა. ვლადიმერ ტაბაღუას თქმით, საყვარელიძე დღემდე უმძიმეს მდგომარეობაშია.*

**ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა:**

— ტარიელ საყვარელიძეს განზრახ მკვლელობისთვის 30 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. გამოძიების პერიოდში ექსპერტიზა ჩაუტარდა და დადგინდა, რომ 22 წლის საყვარელიძე, ფსიქიურად შეურაცხადი იყო. ამიტომ მას წინასწარ გამოძიებაში და არც სასამართლო განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია. ექსპერტიზის დასკვნით, მართალია დანაშაულის ჩადენისას იგი შერაცხადი იყო, მაგრამ შემდეგ შეიშალა ჭკუიდან და შეურაცხადი გახდა. როგორც წესი, ადრე, ასეთ საქმეზე გამოძიება წყდებოდა და პატიმარს იძულებით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გზავნიდნენ. კანონმდებლობაში ცვლილება შევიდა და ახლა ასეთი საქმეები სასამართლომდე მიდის. თუ პიროვნება დანაშაულს შერაცხად მდგომარეობაში ჩაიდენს და შემდეგ შეურაცხადი გახდება, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დგება. კონკრეტული განმარტება კანონში არ არის. წერია, რომ პატიმარმა განკურნებამდე სასჯელი შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში უნდა მოიხადოს. ტარიელ საყვარელიძე 2008 წელს გაასამართლეს და პატიმართა და მსჯავრდადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს, სადაც 2009 წლის ივნისამდე იმყოფებოდა. ამ პერიოდში, ის მრავალჯერ აწამეს. ივნისში სამკურნალო დაწესებულებიდან სასჯელაღსრულების VIII საპყრობილეში გადაიყვანეს.

— **ფსიქიკურად ავადმყოფ პატიმარს მაინც რა მიზეზით სცემდნენ?**

— ამის დადგენა არავის უნდა. ადმინისტრაცია აცხადებს, რომ საყვარელიძე რეჟიმს არღვევს და შინაგანაწესს არ ემორჩილება. ფაქტია, ფსიქიურად დაავადებულია და ვერ აკონტროლებს თავის საქციელს. ასეთ ავადმყოფს ცემა და ჩვეულებრივ საპყრობილეში გადაყვანა კი არ სჭირდება, უნდა უმკურნალონ და დაამშვიდონ. განაჩენით, განკურნების შემდეგ უნდა გადაეყვანათ იგი სხვა დაწესებულებაში, მაგრამ ყველა პროცედურის დარღვევით გადაიყვანეს და მას დღემდე ყველგან სცემენ. არაოფიციალურად მოპოვებული ინფორმაციით, ისანი-სამგორის ერთ-ერთი პროკურორი დაინტერესებულია მისი წამებით (ჩვენი ინფორმაციით, ის დაზარალებულის ახლობელია). ჯერ კიდევ ორთაჭალაში მდებარე ციხის საავადმყოფოში ყოფნის დროს, პროკურორმა საავადმყოფოს ადმინისტრაციას მითითება მისცა, რომ საყვარელიძე რაც შეიძლება მკაცრ პირობებში ჰყოლოდათ და ისეთ მდგომარეობაში ჩაეგდოთ, რომ იქიდან ცოცხალი არ გასულიყო. ოფიციალურად მივწერე პროკურატურას, რომ ეს საკითხი გაერკვია და ზომები მიეღო. პროკურორის ვინაობის დადგენაც არ გაუჭირდებოდათ, რადგან ჟურნალში გატარებული იქნება იმ დღეს, რომელი პროკურორი შევიდა საავადმყოფოში. გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში კი საყვარელიძე დირექტორმა სასტიკად სცემა, მერე იგივე გაიმეორა მეორე დირექტორმა, არ ვიცი, ეს კოლეგიალური მხარდაჭერაა, თუ რა...

— **იმას ამტკიცებთ, რომ ახლა ციხეების დირექტორები სცემენ პატიმრებს?**

— დიახ, დირექტორები და მათი ხელქვეითები... ციხის საავადმყოფოში ბუთლიაშვილმა სასტიკად სცემა ტარიელ საყვარელიძე და ეს ფაქტი ცოტნე გამსახურდიას მეშვეობით გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი, რაც არ ესიამოვნათ და ნაცემი საყვარელიძე VIII დაწესებულებაში გადაიყვანეს. იქ დირექტორმა თოლორდავამაც იგივე გაიმეორა და საშინელ დღეში ჩააგდო. სწორედ მაშინ, მეც უკანონოდ, რამდენიმე საათით დამაკავეს. სახეწაშლილი პატიმარი რომ ვნახე, ვერ დადიოდა და სხეულზე უამრავი ნაიარევი და სისხლჩაქცევა ჰქონდა, მომხდარზე პატარა განცხადება დავაწერინე. ციხიდან რომ გამოვდიოდი, ჩემთვის განცხადების წართმევა დააპირეს. ჟურნალისტსაც ვაცნობე, რომ შეიძლებოდა, დავეკავებინეთ და ცხელ ხაზზეც დავრეკე. ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ თოლორდავამ მანამ არ გამომიშვა, სანამ განცხადება არ წამართვა (მაინც შევძელი იქიდან იმ წერილის გამოტანა, ორ ეგზემპლარად მქონდა დაწერილი). რამდენიმე დღის წინაც იგივე განმეორდა. ახლა ავადმყოფი — საყვარელიძე რუსთავის მე-17 დაწესებულებაში კანონის დარღვევით იხდის სასჯელს (მკურნალობა შეუწყვიტეს და იქ გადაიყვანეს). როდესაც აღზნებულია და ფსიქიკური აშლილობა პიკს აღწევს, იძულებულები არიან, ისევ გლდანში, სამკურნალო დაწესებულებაში დააბრუნონ. ასე მოხდა თებერვალშიც. 10 თებერვალს, უკვე ახალმა დირექტორმა — ვაჟა

ცხვედიანმა სასტიკად სცემა, აწამა და ისევ დააბრუნა რუსთავში.

— **ალბათ, საჩივარი შეიტანეთ პროკურატურაში, არა?**

— საჩივარი ყველა უწყებაში რამდენჯერმე გავგზავნე, მაგრამ რეაგირება არ მომხდარა. 7 აპრილს ადმინისტრაცია იძულებული გახდა,



ჩემს დასაცავ პატიმრებს საშინელ დღეში ამყოფებენ

იგი ისევ გლდანში დაებრუნებინათ, მაგრამ კვლავ სცემეს და უკან მალე გადმოიყვანეს. ცხვედიანმა ბუთლიაშვილის თანამდებობა დაიკავა და პატიმარს უთხრა, — ჩვენთან ვერ გაიხარებო. ხათუნა კალმახელიძესაც მოვთხოვე ზომები მიეღო, მაგრამ უშედეგოდ. 27 აპრილს საყვარელიძე ისევ ნაცემი დამხვდა, მითხრა, — ასე ყოფნა არ შემიძლია, ამდენ ცემა-წამებას ველარ ვუძლებ. მომკლან, ან მომცენ ჯანმრთელის საბუთი და ციხის სამკურნალო დაწესებულებაში აღარასოდეს გადმომიყვანენო. ცხვედიანს უთქვამს, სანამ შენ და შენი ადვოკატი არ მიატოვებთ საჩივრების წერას, მანამდე არ გაგახარებთო. ტარიელს ვთხოვე, რაც მოხდა, ის დაეწერა, რომ განცხადება სახალხო დამცველისთვის გადამეცა. ისიც მკარნახობდა და მე ვწერდი, გვარებიც დაასახელა. ამის გამო პატიმართან ერთად, პაემნის ოთახში 2 საათი ვიყავი და 7-გვერდიანი განცხადება დავწერე. როგორც ჩანს, იმ პერიოდში დირექტორმა ვერ მოითმინა და სცადა, თვითონ გაერკვია, თუ რას ვაკეთებდი საყვარელიძესთან. მას პაემნის ოთახში შემოსვლის უფლება არა აქვს, მაგრამ შემოგვეჭრა. ფურცლები რომ დაინახა, უკან გაბრუნდა. გარეთ რომ გამოვედი, გასასვლელთან დაცვის თანამშრომელი დამხვდა: — იქ რაღაც დაგიწერიათ. ბატონი ვაჟა ცხვედიანის განკარგულებით, ის ნაწერი უნდა გადმომცეთო. შევეწინააღმდეგე, მოვთხოვე, შეედგინათ სათანადო ოქმი და დოკუმენტს ასე მივცემდი. ამ ფაქტს ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი და კიდევ ჩემი რამდენიმე კოლეგა შეესწრო. ხალხისგან ჩემი განრიდება მოითხოვეს, მაგრამ არ დავემორჩილე. ორ საათზე მეტხანს ვყავდით დაკავებული. ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად დამატებითი ძალები გამოიძახეს. მივხვდი, შეიძლებოდა, პროვოკაცია მოეწყოთ. პატიმრისთვის უთქვამთ: — დაგვაჭერინეთ შენი ადვოკატი და შენ სახლში გაგიშვებთო. ნაკუწებად ვაქციე ის წერილი და მათ მაინც არ დავუტოვე. „სანამ მე აქ ვარ, ვერავინ გიშველისო," — ეუბნება მას ცხვედიანი. იმაზე მეტი პატიმრის წამება რა გინდათ? ამბობს, — ან თავს მოვიკლავ, ან ვინმეს მოვკლავო...

— **გავრცელდა ინფორმაცია, რომ საყვარელიძემ ციხეში ყური მოიჭრა და შეჭამა. ეს ფაქტი სიმართლეა?**

— მას ყურის ბიბილოს ნაწილი მოჭრილი აქვს. ხან ამბობს, რომ ყური მოაჭრეს, ხან მომაჭრეს და მერე მე შევჭამეო... იმის გამო, რომ ყველა უკანონობაზე საჩივარს ვწერ, ჩემს დასაცავ პატიმრებს საშინელ დღეში ამყოფებენ. სამართალს ვითხოვ, სხვას არაფერს! ყველა სახელისუფლებო შტოში მიუღებელი ადვოკატების სია არსებობს და მათ რიცხვში მეც ვარ.

— **ასეთ გაუსაძლის პირობებში თქვენი სხვა პატიმარიც ხომ არ იმყოფება?**

— 30 წლის ვაჟა ჯამატაშვილი ტუბერკულოზით გახლავთ დაავადებული, ამასთან, ციროზიც აქვს და სასჯელს, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულებაში იხდის. ვაჟა ქურდობისთვის გაასამართლეს და 7 წლამდე პატიმრობა მიესაჯა. სასჯელის თითქმის ნახევარი მოხდილი აქვს. მისი მდგომარეობა საგანგაშოა, მკურნალობას არ ექვემდებარება. იმ მედიკამენტებს, რაც ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტისთვის არის საჭირო, ვერ იყენებენ, რადგან ღვიძლს ვნებს. მას კი ციროზის ბოლო სტადია აქვს... შესაძლოა, მოულოდნელად გარდაიცვალოს. 2011 წლის 2 თებერვალს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მივმართე, რომ ჯამატაშვილისთვის ექსპერტიზა ჩაეტარებინათ. საჭირო თანხა გადავიხადეთ, მარტში ექსპერტიზა ჩატარდა. 7 აპრილს დასკვნა დაიწერა და სასამართლო სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე — ირაკლი ბახტაძემ ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს უფროსის მოადგილეს — ვახტანგ კარგარეთელს ხელმოსაწერად გადასცა. 7 აპრილიდან მოყოლებული, ეს დასკვნა მის კაბინეტში დევს და არ გვაძლევენ. ბევრჯერ ვითხოვე პასუხი, მეუბნებიან, რომ ჯერ განხილული არ არის. მხოლოდ ფორმალური ხელმოწერაა საჭირო. არადა, ამან ადამიანის ბედი უნდა გადაწყვიტოს; ამასობაში შეიძლება, პატიმარი ციხეში დაიღუპოს. დავწერე პროკურატურაშიც საჩივარი, მაგრამ უშედეგოდ. ასეთი ფაქტებით, კლიენტის თვალში ჩემი დისკრედიტაციაც ხდება. ვინც ჩემ შემდეგ შეიტანა მოთხოვნა, ყველას მისცეს პასუხი, მე — არა... რა შეფასება მივცე ამ ფაქტებს? ყველა უწყებაში ასეთ სიტუაციას ვაწყდებით. იგივე ხდება ლტოლვილთა სამინისტროში. ადვოკატებს ისეთ დღეში გვაგდებენ, რომ გვაიძულებენ, ან შევეგუოთ იმას, რასაც ისინი აკეთებენ, ან თავი დავანებოთ პროფესიულ საქმიანობას; სასამართლოში ჩვენი სიტყვა არ გადის, წერილებზე პასუხს არც ერთი უწყებიდან არ ვიღებთ. ეს არის დანაშაულის ერთიანი ჯაჭვი, რომელსაც ჩინოვნიკები სჩადიან, რომელთაც ზევით მფარველებიც ჰყავთ. გაგვარკვიეთ, როგორ მოვიქცეთ და როგორ დავიცვათ პატიმრები სიკვდილისა და წამებისგან?!.

■

**მას ყურის ბიბილოს ნაწილი მოჭრილი აქვს. ხან ამბობს, რომ ყური მოაჭრეს, ხან მომაჭრეს და მერე მე შევჭამეო...**

# დედაშვილობამ ყველა ავადმყოფობასა და სირთულეს სძლია...

**მარიამი 2 დღის იყო, როდესაც საკუთარმა დედამ მასზე უარი თქვა და ვილაცის კართან უპატრონოდ დატოვა. „დედობის წყურვილი მარიამმა მომიკლა. ჩემთვის მისით იწყება და მთავრდება სამყარო“, — მითხრა საუბრისას 37 წლის ქალმა, რომელიც სხვისი შვილის დედობის მძიმე ტვირთს ღირსეულად ზიდავს. ბავშვი არაერთ წყვილს უშვილებია და ამაში არაფერია უცნაური, მაგრამ ჩემთვის უცნაური ის არის, რომ ნონა კორკოტაძემ 33 წლის ასაკში მარტომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და პასუხისმგებლობაც თვითონ იკისრა. მარიამის გამო, წლების წინ, ერთადერთი სახლის გაყიდვაც მოუხდა, მაგრამ დედაშვილობამ ყველა ავადმყოფობასა და სირთულეს სძლია...**

*ნინო ჯავახიშვილი*

**— ნონა, ქალების უმრავლესობას მარტოობის ეშინია. ამის გამო ხომ არ გადაწყვიტეთ, ბავშვი გეშვილებინათ და გაგეზარდათ?**

— მარტოობის ალბათ ყველა ქალს ეშინია, მაგრამ ეს არ ყოფილა ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი. 8 წელი ვიცხოვრე ჩემს პირველ მეუღლესთან, მაგრამ ბავშვი არ შეგვეძინა და დავშორდით. საკუთარი სახლი და ყველა პირობა მქონდა შვილის გასაზრდელად. დედობაზე ვოცნებობდი, რასაც არასდროს ვმალავდი. მართლაც, ისე მოხდა, რომ ჩემს ცხოვრებაში პატარა მარიამი გამოჩნდა და ყველაფერი შეცვალა...

**— გვიამბეთ, როგორ იპოვეთ ის?**

— სახლში მომიყვანეს, უფრო ზუსტად — კართან დამიტოვეს... ამის შესახებ პოლიციაში განვაცხადე. გაირკვა, რომ ბავშვი ოფიციალურად არ იძებნებოდა და ის სასამართლოს დადგენილებით ვიშვილე. პატრონი რომ ჰყოლოდა, ეს პროცედურა უფრო გართულდებოდა. ბავშვის ბიოლოგიური მშობლები არც ვიცი, ვინ არიან და არც მაინტერესებს...

**— როგორი იყო მარიამთან თქვენი პირველი შეხვედრა?**

— რაკი ღმერთმა ასე ინება, ბავშვი უნდა გავზარდო-მეთქი, — ეს იყო პირველი, რაც გავიფიქრე. თავდაპირველად ამ ყველაფერს სიხარული ახლდა. ბედნიერი ვიყავი, რომ მარიამის სახით საზრუნავი გამიჩნდა. რაც დრო გადის, რაც უფრო მეტად ვირჯები და ვიხარჯები მისთვის, მით მეტად მიყვარს.

**— ალბათ გაგიჭირდათ კიდეც თავიდან მისი მოვლა...**

— ძალიან არ გამჭირვებია, რადგანაც სანათესაოსა და სამეზობლოში თითქმის ყველა ბავშვი ჩემი გაზრდილია. არ ვმუშაობდი და მთელ დღეს მარიამს ვუთმობდი. წყნარი, უპრობლემო და ადვილად აღსაზრდელი ბავშვი იყო. მარიამს უკავშირდება პირველი დედობრივი გრძნობა, პირველი სითბო და სიყვარული...

**— მერე მაიკოც გაჩნდა. მეუღლე როგორ შეხვდა ამ ყველაფერს?**

— მარიამი 3 წლის იყო, როდესაც მეორედ გავთხოვდი. მეუღლე და ჩემი დედამთილი ცუდად არ შეხვედრიან მარიამს და მასზე დიდი ამაგიც აქვთ. არც კი მეგონა, თუ შვილი გამიჩნდებოდა და ამიტომ მეუღლემ თავიდანვე მითხრა, — ჩვენ გვაქვს მომავალი მარიამის სახით; თუ ღმერთი ინებებს და ბავშვი შეგვეძინება, ამას რა სჯობს, თუ არა და, გასაზრდელი და ფეხზე დასაყენებელი უკვე გვყავსო. როდესაც გაიგო, რომ სხვის შვილს ვზრდიდი, მითხრა, — ჩემს თვალში ერთიორად ამაღლდი, რადგან ამხელა ტვირთი თავზე მარტომ აიღე და კარგი დედა ხარ მისთვისო. გათხოვებიდან ორ წელიწადში მაიკოც გაჩნდა. იმდენად მოულოდნელი იყო ეს ამბავი, რომ დავიბენი და ექიმს ვუთხარი, — რაღაც გეშლებათ, ალბათ სხვისი ბავშვი ჩანს ეკრანზე-მეთქი. გაეცინა და მიპასუხა, — ქალბატონო, ეს ექოსკოპიის აპარატია, ფოტოაპარატი კი არ არის, სხვისი სურათები რომ გაჩვენოთ; ნამდვილად 3 თვის ფეხმძიმე ხართო.

**— რა თქმა უნდა, გაგიხარდებოდათ...**

— იცით, როგორი გრძნობა მქონდა? მიჭირს სიტყვებით გადმოცემა... თითქოს მარიამს ვუღალატე, რადგან ჩემი მიზეზით, მას კონკურენტი გამოუჩნდა.

**— მარიამს რა რეაქცია ჰქონდა მაიკოს დაბადებაზე?**

— ორსულად როცა ვიყავი, მარიამი მუცელზე მადებდა ხოლმე ხელს და დაიკოს ზღაპრებს უყვებოდა, „ნანას“ უმღეროდა. მოუთმენლად ელოდებოდა, როდის „გამოვაჩენდი“ მას. სამშობიაროში ბავშვი პირველად რომ ნახა, გაუჭირდა იმის აღქმა, რომ ისიც ჩემი შვილი უნდა ყოფილიყო და იეჭვიანა, რაც მტკივნეულად განვიცადე... ახლა ერთმანეთი ძალიან უყვართ. ორივეს ვეუბნები, რომ ერთმანეთის მეტი არავინ ჰყავთ და ერთმანეთს უნდა გაუფრთხილდნენ.

**— მითხარით, მარიამმა იმის შესახებ, რომ ჩემი ბიოლოგიური შვილი არ არის, იცისო. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ამის შესახებ გეთქვათ მისთვის?**

— ჩემი დედამთილის გარდა, ყველა მეწინააღმდეგებოდა და მირჩევდა, დამემალა მარიამისთვის, მისი ბიოლოგიური დედა რომ არ ვიყავი. მაგრამ ვამჯობინე, მარიამს სიმართლე სცოდნოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისთვის გული არავის ეტკინა და სიმართლე პირში არ მიეხალა. პრობლემებს რაც უფრო დაემალები, მეტად დაგტანჯავს...

**— მარიამს კითხვები არ უჩნდება?**

— როგორ არა?! მკითხა, საიდან მოვიყვანე? რომ არ წამომეყვანა, რა მოუვიდოდა?.. ვცდილობ, მისი ინტერესი ისე დავაკმაყოფილო, რომ გული არ ეტკინოს. გული იმაზე მწყდება, როდესაც ტელევიზიით ამა თუ იმ გადაცემას ვუყურებ, იქ დედებს ხშირად ახვედრებენ წლების წინ მიტოვებულ შვილებს, ხოლო ის ქალბატონები, ვინც ჩემსავით, ცხოვრება სხვის შვილებს მიუძღვნეს, იშვიათად თუ გაახსენდება ვინმეს. სხვისი შვილი გაზარდო — ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ნიშნავს... მარიამი 7 თვის იყო, როცა ცუდად გამიხდა. 2 თვის განმავლობაში საავადმყოფოში იწვა და ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ. მითხრეს, — მკურნალობას დიდი თანხა სჭირდება და ვერ შეძლებთ მის გადახდასო, მაგრამ შევძელი: რუსთავში საცხოვრებელი ბინა გავყიდე და თუკი რამის გაყიდვა შეიძლებოდა, ყველაფერი გავყიდე... მარიამი გადავარჩინე და ხომ ხედავთ, როგორი გოგო დადგა?! ყველა დედას უყვარს და მოსწონს თავისი შვილი, მაგრამ მე — განსაკუთრებულად... ღმერთმა ორივე გამიზარდოს და კარგად მიმყოფოს!.. ■



ღმერთმა ორივე გამიზარდოს და კარგად მიმყოფოს

# ნარკომანიის წინააღმდეგ — სიმღერით გამოხატული თანაგრძნობა

**მართალია, საქართველოში ნარკომანიის პრობლემასთან დაკავშირებით, სტატისტიკური მონაცემები დამაიმედებელია, მაგრამ ცნობილმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, ყურადღება მაინც არ მოედუნებინათ და ნარკომანიის წინააღმდეგ აქცია-კონცერტი გამართეს...**

*ეთო ყორღანაშვილი*

*ღონისძიების ორგანიზატორი ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პროფესიის მქონე ქალბატონი — ბიოლოგი და მუსიკოსი —* ***ფიქრია მეგრელაძე*** *გახლდათ, რომლემაც გვითხრა:*

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემი 16 წლის ვაჟი სპორტსმენია, მღერის, ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს, ეს სიმშვიდის უფლებას არ მაძლევს. იმ დედებს თანავუგრძნობ, ვისი შვილებიც წამალდამოკიდებულები არიან. თუკი ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანი ჯანსაღად ცხოვრებას თავად არ მოინდომებს, მას ვერავინ უშველის. მკაცრი ტონი პრობლემას ვერ მოაგვარებს. ამიტომ მე და ჩემმა მეგობრებმა ღონისძიების მოწყობა გადავწყვიტეთ.



**თუკი ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანი ჯანსაღად ცხოვრებას თავად არ მოინდომებს, მას ვერავინ უშველის**

— **ამ იდეას ცნობილი სახეები როგორ შეხვდნენ?**

— ყველას მოეწონა, მხარში ამოომიდგნენ... გვინდა, ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანების მიმართ თანაგრძნობა სიმღერით გამოვხატოთ...

**ირმა სოხაძე:**

— ღონისძიებაში მონაწილეობას უყოყმანოდ დავთანხმდი. ვალდებული ვართ, ამ პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებულ ყველა წამოწყებას მხარი დავუჭიროთ. წინათ „ძველი ბიჭი", ნარკომანი საშინელებად არ მიიჩნეოდა, პირიქით — გოგონებს ასეთი ბიჭები მოსწონდათ კიდეც. მიხარია, რომ ამ მხრივ, მენტალიტეტი შეიცვალა. როგორც ექსმწეველმა, შემიძლია გითხრათ, რომ სიგარეტიც ერთგვარი ნარკოტიკია... ყველას მოვუწოდებ: ჯანმრთელობას ნუ „დაინგრევთ"! ცხოვრება ყოველგვარი ნარკოტიკის მიღების გარეშეც დამათრობელია!..

**ეთერ გალოგრე,** *ნარკოლოგი:*

— ფიქრიას დიდ პატივს ვცემ — აქტიური ადამიანია. ამის დადასტურება — დღევანდელი საღამოა. ახალგაზრდებმა უნდა დაგვიჯერონ, რომ ღონისძიებას გულწრფელად ვაწყობთ და არა — რაღაც პროექტის განსახორციელებლად. მთავარია, მოზარდმა ნარკოტიკი არ გასინჯოს, თორემ თუ გასინჯა, დიდი შანსია, რომ მას ის მოეწონოს!

— **თუმცა ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებსაც ცხოვრებაში ყველაფრის გასინჯვა უნდათ, აინტერესებთ...**

— დიახ, ე.წ. „ექსპერიმენტატორებიც" არსებობენ და მთელი უბედურებაც ეს არის: ნარკოტიკი მეორედ რომ არ გასინჯოს, ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება, სისტემატური მოხმარება კი პიროვნების ქცევას ცვლის. ის იმ საზოგადოებაში ველარ „ჯდება", რომლის გარემოცვაშიც ცხოვრობს, მისთვის დამახასიათებელი, ნარკომანული ქცევა უყალიბდება. ამის გამო, საზოგადოება ერიყება, რაც სხვა პრობლემებსაც წარმოქმნის... როცა ასეთი ადამიანი ნარკოტიკის მოხმარებას თავს ანებებს (სამწუხაროდ, ასეთი ბევრი არ არის), უპირველეს ყოვლისა, ძველებური ურთიერთობების აღდგენა უჭირს.

— **როგორც ვიცი, კანონით, ნარკოტიკის მოხმარების გამო დაკავებულმა ადამიანმა მკურნალობის კურსი უნდა გაიაროს, თუმცა ჯერ კიდევ შარშან, ამისათვის საჭირო ფინანსები არ არსებობდა. დღეს როგორი სიტუაციაა?**



**ცხოვრება ყოველგვარი ნარკოტიკის მიღების გარეშეც დამათრობელია!..**

— ვერ გეტყვით, რომ სიტუაცია მკვეთრად გამოსწორდა, მაგრამ გარკვეული სასიკეთო ცვლილებები არის: პენიტენციარულ სისტემაში მეტადონური ანუ ჩანაცვლებითი პროგრამა ძალაში შევიდა. მკურნალობისათვის აუცილებელია ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია. საქართველოში 2 სარეაბილიტაციო ცენტრი მაინც უნდა არსებობდეს.

— **ნარკომანიის პრობლემის მოსაგვარებლად, კონცერტების გამართვა რაიმე შედეგის მომტანია?**

— დადებითი თუნდაც ის არის, რომ ნარკოტიკების მიმართ ღონისძიებაზე მოსული ახალგაზრდების დამოკიდებულება უარყოფითია. ■

# „სპეცრაზმელი ვარ და სახელმწიფოში კანონებს ვიცავ“

**„გზის“ წინა ნომერში, ჩემი კოლეგის მიერ მოქმედ და ყოფილ სპეცრაზმელებთან გამოქვეყნებულ ინტერვიუს, ქართულ ინტერნეტ-სივრცეში დიდი აჟიოტაჟი და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ნაწილმა რესპონდენტის სპეცრაზმელობაში ეჭვი შეიტანა და იქ მოთხრობილი ჟურნალისტის ფანტაზიად მიიჩნია... იმის შემდეგ დიდხანს ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა, იმ სპეცრაზმელის ნაამბობი, რომელსაც მე შევხვდი და რომელიც პირადად მონაწილეობდა 26 მაისის დარბევაში. სხვადასხვა მოსაზრების გამო, ჩვენს საუბარს ინტერვიუს სახე მივეცი და ჩვენს მკითხველს მის მონათხრობს უცვლელად ვთავაზობ...**

სალომე გიორგაძე

*ჩემი რესპონდენტი, რომელსაც პირობითად ლევანს დავარქმევ, მესამე წელია, ძალოვან უწყებაში მუშაობს. იქ მოსახვედრად, უმკაცრესი ნორმატივების ჩაბარებამ და ასევე, ძალზე რთული კარანტინის გავლამ მოუწია... სპეცრაზმელი საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებას მათი გაუნათლებლობისა და ზომბირების შესახებ სასაცილოდ მიიჩნევს... ისე, ამ პროფესიის ადამიანებიდან ბევრს ვიცნობ, მათთან ნორმალური, ადამიანური ურთიერთობა მაქვს და პირადი საუბრისას მათთვის გონებაშეზღუდულობა ნამდვილად არ შემიმჩნევია. ერთადერთი, რის გამოც მუდმივად გაცხარებული კამათი გვაქვს ხოლმე, ეს მათი იდეოლოგია და პოლიტიკური პოზიციაა...*

**— აქციის დარბევისას, საზოგადოებაში ყველაზე დიდი უკმაყოფილება, სპეცრაზმელების მიერ აქციის მონაწილეების ალყაში მოქცევამ გამოიწვია. არაერთმა აქტივისტმა აღნიშნა, რომ ქაშუეთის ეკლესიის მხრიდან შეუტიეთ და იმ დროს ყველა გასასვლელი ჩაკეტილი გქონდათ...**

— თუ ალყაში იყვნენ, კინოთეატრ „რუსთაველში“ როგორ შეცვივდნენ?!. მათ რომ მივუახლოვდით, იერიშზე კი არ უნდა გადმოსულიყვნენ, უნდა გაქცეულიყვნენ და საკუთარი თავებისთვის ეშველათ... გასაგებად აუხსნეს, რომ აქცია არასანქცირებული იყო, მეორე დღეს იქ აღლუმი უნდა გამართულიყო და ნებისმიერ ადგილას შეეძლოთ გადანაცვლება. ადამიანს თუ თავში ტვინის ნაცვლად დროშის ტარი არ უდევს, უნდა იცოდეს, რომ თუ კანონს არ დაემორჩილება, დაისჯება... მათმა ლიდერმა ხომ თქვა — ჩხუბი მორევაზეა, ვინც მოერევა, გამარჯვებული ის იქნებაო... ეს გამოწვევა არ იყო?! იმ ქალმა, რომელსაც ჟურნალისტები პოლიტიკოსად მოიხსენიებთ, პირდაპირ მოითხოვა, — მოდით და დაგვარბიეთო და იმიტომაც წავიდა თავისი ამალით თავისუფლების მოედანზე. იცოდა, რომ ის ვითომ საპროტესტო აქცია, დაშლისთვის იყო განწირული და ვერაფერს მიაღწევდა...

**— არ მიგაჩნიათ, რომ სპეცრაზმელებმა ძალას გადაამეტეთ?**

— აქციის დაშლა გულისხმობს ადამიანებისგან იმ ადგილის გაწმენდას, სადაც ისინი კანონდარღვევით იმყოფებიან... შესაძლოა, რაღაც შემთხვევაში, რამდენიმე სპეცრაზმელი მართლაც გამოვიდა წონასწორობიდან, მაგრამ ის მაკვირვებს, როცა ოპოზიცია გაყვირის — მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბიესო! ისინი ხომ დროშის ტარებითა და კანალიზაციის მილებით იყვნენ შეიარაღებულები, იქვე ბენზინით სავსე ბოთლები და ქვები ეწყოთ, რომლებიც საგანგებოდ ჩვენთვის მოაგროვეს. დარბევამდე, რამდენიმე დღით ადრე, ისინი ხომ მანქანაში მსხდომ სამართალდამცველებს სასტიკად გაუსწორდნენ — მანქანაც დაუმტვრიეს... წარმოგიდგენიათ, ის ხალხი თავის ნებაზე რომ მიეშვათ, რას იზამდნენ?! 90-იანი წლები მონაგონი იქნებოდა... მაშინდელმა ხელისუფლებამ დამნაშავეებს ყვავილები რომ ესროლა, იმიტომაც ვიცხოვრეთ 20 წელი სიბნელეში... ის მომიტინგეები, თავის ლიდერებიანად დამნაშავეები არიან. კანონს არ დაემორჩილნენ და ჯიბრზე არასანქცირებულ მიტინგზე დარჩნენ. არ შეიძლება, ჯიბრით ელაპარაკო ხელისუფლებას... ჩვენზე ამბობენ, გამხეცებული სახეები ჰქონდათო. ვინმემ ნახა, მათ როგორი სახეები ჰქონდათ ცემამდე და გაკოჭვამდე?! მეგონა, წყლის ჭავლის გაშვების შემდეგ დაიშლებოდნენ, მაგრამ ქალიან-კაციანად შეტევაზე გადმოვიდნენ. იქ კი უკვე ძნელი იყო ასაკოვნისა და ახალგაზრდის გარჩევა. ყველა ერთნაირად დაუნდობელი იყო.



**აქციის დაშლა გულისხმობს ადამიანებისგან იმ ადგილის გაწმენდას, სადაც ისინი კანონდარღვევით იმყოფებიან...**

**— ამიტომაც ჩაკეტეთ გასაქცევი გზა?**

— გზა ჩაკეტილი არ ყოფილა. ვისაც ჭკუა ეყო, დროზე უშველა თავს. გზა ჩაკეტილი რომ ყოფილიყო, ვიმეორებ, კინოთეატრ „რუსთაველში“ ვერ შეცვივდებოდნენ... რკინის ღობესთან რომ ბურჯანაძისა და რუსული ფულის ერთგული ხალხი იდგა და ჯოხებს ახათქუნებდა, ისინი გაილახნენ და არ მრცხვენია ამის თქმის, — სრულიად დამსახურებულად!..

**— როგორ ფიქრობ, აქციაზე რატომ გავიდა ხალხი?**

— არ გინდათ, ეს სენტიმენტალიზმი. ვიცი, რომ ხალხს უჭირს, ჩემ გარშემო უამრავი უმუშევარი და გაჭირვებულია, მაგრამ ნავთლუღის ბაზრის მოვაჭრეების მიერ შეცვლილი ხელისუფლება არ მინდა! მათ იქ დღეში 10 ლარამდე ჰქონდათ შემოსავალი, აქციაზე დგომისთვის კი 20 ლარს უხდიდნენ.

**— მათთან ერთად საზოგადო მოღვაწეებიც იდგნენ...**

— მაგალითად, ლუკა კურტანიძე?!. რომელსაც საგანგებოდ მოჰყავდა ვეთხოვება ღირსეული ჩხუბი?!. ის კადრები ინტერნეტით არაერთხელ ვნახე, ყველა იქ მყოფის სახეს სათითაოდ დავაკვირდი, სიბრალული არც ერთს ემჩნეოდა.

**— კინოთეატრ „რუსთაველში“ მომხდარ „ამბებშიც“ მონაწილეობდით?**

— რომელ ამბებში, ქალები და 19-20 წლის ბიჭები რომ „გაუუპატიურებიათ“?.. როგორც ჩანს, კიდევ ბევრი რამის დანახვა ვერ მოასწრეს, თორემ დაბლა კოცონიც გვქონდა დან-


ვინც ბილწსიტყვაობდა, იმათ მოხვდა

ბიჭები, რომ აქციაზე განსხვავებული აზრის დასაფიქსირებლად მისული ადამიანები ეცემათ?!. ისინი საცემი კი არა, ქვეყნიდან არიან გასაძევებლები. რაც შეეხება დანარჩენებს, — მწერლის საქმე აქციების მოწყობა კი არა, წერაა და ქაღალდზე გადმოსცეს თავისი აზრი. ნონა გაფრინდაშვილს ნინოს გვერდით დადგომის ნაცვლად, ერთი მოჭადრაკე მაინც რომ გაეზარდა, ქვეყნის წინაშე ვალი მოხდილი ექნებოდა... ბურჯანაძის გვერდით მდგომი ადამიანები მე და ჩემნაირებს ქვეყნის სიყვარულს ვერ გვასწავლიან, ამის მორალური უფლება არ აქვთ! ისინი ყოველდღე ცდილობდნენ სამართალდამცველების გაღიზიანებას, რომ ხელჩართული ჩხუბი გამართულიყო... მე ვნახე სპეცრაზმელი, რომელმაც მოხუცი წამოაყენა, მოსწავლეთა სასახლის კიბეზე ჩამოსვა და სანამ მობრუნდებოდა, იმ ბიჭს უმოწყალოდ სცემეს... გახსოვთ ალბათ, 2007 წლის 7 ნოემბერს ერთ სპეცრაზმელს ნიღაბი რომ ჩამოაგლიჯეს და წიხლქვეშ რომ გაიგდეს?! ის სასწაულებრივად გადაურჩა ჩაქოლვას. მაშინ ის ბიჭი არ იყო ქართველი?! თუ მხოლოდ ჩვენ მოგთებული... „არასამთავრობოები“ და ჟურნალისტები ინფორმაციას რომ ავრცელებენ: იმ ღამეს 300-მდე ადამიანი „დაიკარგაო“... დიახ, ისინი სწორედ იქ დავხოცეთ და კოცონზე მოვხარშეთ...

**— ეს „სპეცრაზმული იუმორია“?**

— რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ მართლა სასაცილოა; 00.05 წუთზე აქციის დაშლა დაიწყო, 10-15 წუთი — თავისუფლების მოედნის გაწმენდასა და ამ 30-მდე წუთი კინოთეატრ „რუსთაველიდან“ დაკავებულების გაყვანას დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში, სპეცრაზმს ხალხის დაკავებაც მოუსწრია, ქალებისა და პატარა ბიჭების დახარისხებაც და მათი გაუპატიურებაც... მოაზროვნე საზოგადოება ამას იჯერებს და მერე ჩვენ გვიწოდებს გონებაშეზღუდულ „ზონდერებს“... მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სპეცრაზმი კოლუმბიას, ისრაელსა და გერმანიას ჰყავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართველი სპეცდანაყოფების ოპერატიულობის მათაც კი შეშურდებოდათ... ნახეთ, რას დაამსგავსეს იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში კინოთეატრი „რუსთაველი“? ველურებივით კიოდნენ, მანქანები და შენობები უნდა დავწვათო. არ მინდა, კიდევ ერთხელ გადაბუგული თბილისის ხილვა. არც ქართველთმოძულე პუტინის „ჩექმებთან“ განრთხმული ნინო ბურჯანაძე მინდა პრეზიდენტად!

**— კინოთეატრ „რუსთაველში“ დაკავებულთა ცემაზე რას მეტყვით?**

— არაფერს, — ვინც ბილწსიტყვაობდა, იმათ მოხვდა. ისე კი, ისინი ერთმანეთის დასანახავად გვაგინებდნენ, რომ შემდეგ ერთმანეთში ეტრაბახათ...

**— მოხუცები და ქალებიც?**

— როგორც გითხარით, პირველი იერიშის დროს ძნელი გასარკვევი იყო ადამიანის ასაკი და სქესი. ყველა მოქალაქე, ვინც თავისი ნებით არ დატოვა თავისუფლების მოედანი, დააკავეს. შემდეგ კი ვერც ერთი ქალი ვერ იტყვის, რომ მას სამართალდამცველის ხელკეტი მოხვდა... ისე კი, უკეთესი იქნება, თუ ასეთ დროს ქალბატონები სახლში დაბრძანდებიან.... რატომ არ გააფრთხილეს ორგანიზატორებმა, შესაძლოა, დაგვარბიონ და ვისაც სუსტი ჯანმრთელობა აქვს, აქცია დატოვოსო?! ხომ იცოდნენ, რა კატეგორიის ადამიანები ჰყავდათ აქციაზე გამოყვანილი?! მსხვერპლი უნდოდათ, რომ შემდეგ ხმაური აეტეხათ...

**— ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ თქვენს უწყებაში არსებულ პრობლემებზე, უსამართლობაზე, ნაცნობობით მოწყობაზე...**

— იმაზე არაფერი იცით, რომ დილას ადრე გვაღვიძებენ, ზოგჯერ დღელამის განმავლობაში საერთოდ არ გვძინავს და უმძიმესი წვრთნები გვაქვს?!. ამ სისტემაში ნაზებისა და ემოციურების ადგილი არ არის. აქ ყველას თავისი ფუნქცია აქვს და თავის საქმეს აკეთებს. ვისაც ეს სისტემა არ მოსწონს, შეუძლია, სამსახური მაშინ დატოვოს, როცა ნერვები უმტყუნებს.

**— მითხარით, რომ რამდენიმე სპეცრაზმელმა წონასწორობა დაკარგა. რატომ? თქვენ ხომ საკმაოდ ძლიერ ფსიქოლოგიურ წვრთნებს გადიხართ...**

— როცა მუდმივად დედის, ოჯახისა და ცოცხალ-მკვდრის გინება გესმის, როცა სახეში გაფურთხებენ, უსისხლოს, არაადამიანსა და არაქართველს გიწოდებენ, ძნელია, წონასწორობა არ დაკარგო...

**— კიდევ ერთხელ რომ მოგიწიოთ აქციის დარბევამ, მზად ხართ ამისთვის?**

— მე სპეცრაზმელი ვარ, დავალებას ვასრულებ და ჩემს სახელმწიფოში კანონებს ვიცავ!.. ■

# „ხშირად ღალატობდა იღბალი“



**ერთადერთხელ შევხვდი, არადა, ბავშვობიდან მეოცნებებოდა, ახლოს მენახა, დავლაპარაკებოდი ან თვითონ ეთქვა რამე. იმ ერთხელაც მასზე არ გვილაპარაკია. ახალბედა ჟურნალისტი ქართული ფეხბურთის მეფეზე, მიხეილ მესხზე სასაუბროდ ვეწვიე „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე. ჩვეულებრივად შემხვდა, თავაზიანად, ჩემს გულს კი ბაგაბუგი გაუდიოდა და, მგონი, ხმაც მიკანკალებდა. ინტერვიუ მალევე დამისრულა, სკამიდან არც წამომდგარა, კვლავ თავაზიანად დამემშვიდობა და მაგიდაზე გაბნეულ ფურცლებში ჩარგო თავი. წამოდგომისას შევბედე და... იცით, ამ დღეზე ვოცნებობდი-მეთქი. გაკვირვებით ამომხედა, მე კი თვალის დახამხამებში ყველაფერი ვუთხარი, რასაც მასზე ვფიქრობდი. სახე გაუბრწყინდა და როდესაც ავტოგრაფი ვთხოვე, წამში ამოიღო უჯრიდან თავისი სავიზიტო ბარათი, ულამაზესი კალიგრაფიით წამიწერა და მომაწოდა. მერე კარამდე გამომაცილა და გულთბილად გამომემშვიდობა. მას მერე აღარ შევხვედრივართ, ის ავტოგრაფი კი ჩემს ცრემლებთან ერთად დაკარგულ ჩანთას „გაჰყვა“...**

ირმა ხარშილაძე

*აი, ეს პატარა მოგონება მაკავშირებს ჩემს იმჟამინდელ კერპთან და უდიდეს ფეხბურთელთან, დავით ყიფიანთან, რომელსაც თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი გუნდის „აზრსა და ტვინს“, სხვები კი დირიჟორს უწოდებდნენ.*

*დავით ყიფიანს 18 ივნისს 60 წელი შეუსრულდებოდა.*

*სტატიის წერა რომ დავიწყე, საოცარი დამთხვევები აღმოვაჩინე (ალბათ, პირველი არ ვარ): თბილისის „დინამოში“ 40 წლის წინ, 1971 წელს დაუწყია თამაში; ევროპის თასების მფლობელთა თასით მსოფლიომ, ფაქტობრივად, 30 წლის წინ, 1981 წელს გაიცნო; 50 წლის წინ, 2001 წელს დაიღუპა; 2011 წლის 18 ივნისს კი 60 წლის გახდებოდა...*

*დავით ყიფიანზე ამომწურავთან მიახლოებულადაც ვერაფერს დავწერ, მაგრამ ლეგენდარული თბილისის „დინამოს“ არქივიდან, რომელსაც ბავშვობიდან ვქმნიდი, მერე კი, ჟურნალისტობის დროიდან, საკუთარი ინტერვიუებით შევავსე, საინტერესო ამბებს, მოგონებებსა და აზრებს შემოგთავაზებთ და ვეცდები, „ჩემეული“ დავით ყიფიანი დაგანახვოთ. ვეცდები...*

**ლევან ყიფიანი,** *დავით ყიფიანის უფროსი ვაჟი:*

— დავით ყიფიანის შვილობა დღესაც წინ მხვდება. დღესაც, მამის სიყვარულით, ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ლოცავს ჩვენს გვარს... მამა ოჯახში თითქოს სტუმარივით იყო, მე და ჩემი ძმა ნიკა კი — მუდამ მის მოლოდინში. შემოირბენდა და გაფართოებული თვალებით ვაკვირდებოდი მის ყველა მოძრაობას, სიტყვას. და მაინც — შინ ჩვეულებრივი მამა იყო, ჩვეულებრივი ვალდებულებებით, გაკვეთილების ჩაბარებას ვგულისხმობ. მაგრამ... ვერასდროს ვაბარებდი — მამასთან ვმუნჯდებოდი. არადა, გაკვეთილი ყოველთვის მომზადებული მქონდა. შიშის გამო-მეთქი, — ვერ ვიტყვი. ალბათ, მერიდებოდა. მამა ყველაფერში ერკვეოდა, ყველაფერზე ჰქონდა პასუხი. ძალიან უყვარდა მუსიკა. მახსოვს, უცხოეთიდან „პრაიგრივატელი“ და მოდური ფირფიტები ჩამოიტანა, განსაკუთრებით ბარი უაითის ჩანაწერები დამამახსოვრდა. კიევის „დინამოს“ ცნობილმა ფეხბურთელებმა — ოლეგ ბლოხინმა და ვლადიმერ ბესონოვმაც ჩამოუტანეს ჩანაწერები და ბოლოს საუკეთესო კოლექცია შექმნა. კლასიკასაც უსმენდა. ძალიან მეგობრობდა ლექსო თორაძესთან. მე და ნიკუშა ვარჯიშზეც ხშირად დავყავდით. ჩვენთვის საოცნებო სამყარო იყო „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა, იქაურ სასადილოსაც კი ზღაპრულ ადგილად აღვიქვამდით. ყველა გვეფერებოდა, მაგრამ მაინც მორიდებულები ვიყავით — ეს მამის „ბრალიც“ იყო, დედისაც და არაჩვეულებრივი ოჯახისაც, სადაც გავიზარდეთ... თვალში საცემი იყო მამის თვისებები — ძლიერი ნებისყოფა და დისციპლინა, რაც ძალიან მომწონდა და, შეძლებისდაგვარად, ცხოვრებაშიც გამოვიყენე — თამაშის წინ ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან სტუმრები, სუფრაც იშლებოდა, მაგრამ 11 საათის შესრულებისთანავე მამა ყველას მოუბოდიშებდა ხოლმე და დასაძინებლად მიდიოდა, სტუმრები კი მოლხენას განაგრძობდნენ.

*დავით ყიფიანი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტ ვ. ბაიბურთთან ინტერვიუში ჰყვება:* **„მეც სხვა ბავშვებივით დავდევდი ეზოში ბურთს და ამბობენ, არცთუ ურიგოდ. 13 წლისა მამამ საფეხბურთო ტრადიციებით სახელგანთქმულ თბილისის 35-ე სკოლაში მიმიყვანა. 6 წელიწადს ვვარჯიშობდი ბორის ჭელიძესთან და სწორედ მას ვუმადლი ყველაფერს, რასაც დღეს ფეხბურთში ვაკეთებ. შემდეგ თბილისის „ლოკომოტივში“ დავიწყე თამაში, 1971 წლიდან კი თბილისის „დინამოში“ ვარ... მიყ-**



მას კიდევ ბევრის, ძალზე ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენი ფეხბურთისთვის

ვარს მუსიკა, ლიტერატურა. ძალიან კარგი ბიბლიოთეკა მაქვს. ბავშვობაში დედა მაძალებდა ინგლისურის შესწავლას. დღეს თავისუფლად ვლაპარაკობ შექსპირის ენაზე, ორიგინალში ვკითხულობ ინგლისელი მწერლების ნაწარმოებებს და გვიან მივხვდი, რა მნიშვნელოვანია, როდესაც მშობლებს უჯერებ".

**ლევან ყიფიანი:**

— პირველად სიგარეტით რომ დავინახე მამა, გავოგნდი, საშინელებად აღვიქვი — მივხვდი, რაღაც ახალი ეტაპი იწყებოდა მის ცხოვრებაში და მალე დაანება კიდეც თამაშს თავი. 11-12 წლისა ვიყავი, მაგრამ ვერაფერს ვეტყოდი. არადა, დღეს დაახლოებით ამ ასაკისაა ჩემი უმცროსი ვაჟი — ზუკა და ძალიან ვძმაკაცობთ. მამა და მე კი, მაგ ასაკში, ნამდვილად არ ვყოფილვართ ძმაკაცები. ჩვენ მოგვი-



ყიფიანი ადამიანი-ორკესტრი და მოედანზე ყოვლისშემძლეა

ანებით დავმეგობრდით, მას შემდეგ, რაც შვილი შემეძინა. უკვე შეკამათებასაც კი ვუბედავდი... მახსოვს, მენისკის ოპერაციის შემდეგ, უცხოეთიდან დაბრუნებული კვლავ „დინამოში" რომ მოვხვდი, სულ ვეკამათებოდი: რატომ მჩაგრავ, შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას არ მაძლევ-მეთქი. მერე მივხვდი, რომ მართალი იყო: სხვაზე ორჯერ ძლიერი მაინც უნდა ვყოფილიყავი, ჩემთვის მეტი გასაქანი რომ მოეცა. იმხანად კი ნერვიულობისგან ღამეებს ვათენებდი. საბოლოოდ, ისევ მამის ლაპარაკმა გადამაწყვეტინა საფეხბურთო კარიერის მიტოვება... საუბედუროდ, ჩვენმა სიახლოვემ დიდხანს არ გასტანა — მამა ძალიან მალე, 50 წლისა გარდაიცვალა.

*დავით ყიფიანი ჟურნალ „დროშის" კორესპონდენტ ოთარ გაგუასთან ინტერვიუში ამბობს:* **„ფეხბურთი ბუნებით მომადლებული ნიჭია, შთაგონებაა. მეტად მძიმე, მარ-**



**ნამდვილი ოსტატი რომ გახდე, ყველაფერი უნდა შესწირო ფეხბურთსო...**

**თლაც ტიტანური შრომაა. ვარჯიში ქარსა თუ წვიმაში, ტრავმები, მოგზაურობა, ცოლ-შვილთან დაშორების სინანული, უძილო ღამეები, წაგებული მატჩის მღელვარება და განცდები. ეს მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც უზომოდაა ამ საქმეზე შეყვარებული..."**

*მასვე უთქვამს, — ნამდვილი ოსტატი რომ გახდე, ყველაფერი უნდა შესწირო ფეხბურთსო... დავით ყიფიანისთვის ათასნაირ ეპითეტს იგონებდნენ ქართველები, რუსები, ფრანგები, გერმანელები, ჰოლანდიელები და კიდევ — ვინ აღარ: „ულტრაპასების მქონე ყიფიანი", „ყიფიანი ადამიანი-ორკესტრი და მოედანზე ყოვლისშემძლეა", „ყველაფერი ყიფიანის ირგვლივ ბრუნავს", „ბურთს ჟონგლიორივით ფლობს. ევროპის მასშტაბის სუპერვარსკვლავია. თითოეული ნაბიჯი გამოზომილი აქვს, თითქოს მტკაველ-მტკაველ შეუსწავლია მთელი მინდორი და ალბათ ერთი ბოლოდან ჩამოწოდებულ ბურთს თვალახვეულიც დაუსვამს ფეხზე ნებისმიერ მოთამაშეს (თანაც აუცილებლად მარჯვენა ფეხზე)"...*

*ლევან ყიფიანს რომ ვკითხე: ნუთუ ერთხელ მაინც არ გამოგსვლიათ მამის დარი ილეთი ან პასი-მეთქი? — მიპასუხა:*

— 1990 წელს, პირველი ეროვნული ჩემპიონატის ბოლოს, „შევარდენი 1906"-ში თამაშისას სეზონის საუკეთესო ბურთი გავუტანე თბილისის „დინამოს", რომელსაც დავით ყიფიანი წვრთნიდა: ცენტრიდან წამოვიღე ბურთი, 4-5 კაცი მოვატყუე, მარადონას სტილში დავტრიალდი და მეკარეს შევუგდე. ბედის ირონიაა, არა? მახსოვს, მამამ „მკაცრად" შემაფასა: არ იცი, ვის უნდა გაუტანო ბურთიო? თავდაპირველად შევცბი კიდეც, მაგრამ მერე, — ყოჩაღო, — მოაყოლა და მივხვდი, მართლა ფასეული რამ გავაკეთე...

*დავით ყიფიანს ლექსებსაც ხშირად უწერდნენ და ფუნაგორიებსაც. მილანის „ინტერნაციონალესთან" თამაშის წინ (ის თამაში „დინამომ" მოიგო) დაუწერეს:*

**„დღეს მეკარეს „ინტერისას" რაც მოუვა დავითაო,**
**ყველა შენი ფეხითა და ყველა შენი თავითაო!"**

*ალმაზონ თავაძე უწერდა ხშირად სალაღობოებს:*

***„ბურთს რომ მიიღებ, იმწამსვე ატყდება ბრძოლის ქარბუქი,***
***ამის მოწმეა მილანი, ლივერპული და ჰამბურგი!"*** *ან*

***„ახალი რაღა გისურვო, შესძარიცა და ხმელეთი,***
***შენს ხსენებაზე მეტოქეს მოუდის ელეთმელეთი.***
***წლები, ტრავმები, მსაჯები რადგან ვერაფერს ვერ გაკლებს,***
***კვლავ ველით შენი ხელწერით ფეხბურთის ახალ სპექტაკლებს"...***

*„დინამოელთა" ჩემეული არქივიდან სათუთად შენახული გაზეთის ამონაჭერი ამოვაძვრე — „საქინფორმის" კორესპონდენტის, ი. გორელოვის სტატია — „მიხაკები სინიორა ყიფიანისთვის":*

***„დავით ყიფიანის სახელი ის ჯადოსნური პაროლი აღმოჩნდა, რომელმაც ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატამდე დიდი ხნით ადრე ესპანეთის ქალაქ მალაგაში საბჭოთა ტურისტებს კარი გაუღო",***

— თურმე ყველას სურდა, ენახა ნაგებობა, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს უნდა ეთამაშა, მაგრამ სტადიონის მონახულება არ შედიოდა ტურისტული მოგზაურობის პროგრამაში. ამასთან, იქ სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობდა... თუმცა ავტობუსის მძღოლს,



ჩვენთვის საოცნებო სამყარო იყო „დინამოს" საწვრთნელი ბაზა



ეს მანდილოსანი დავით ყიფიანის დედა — ქალბატონი ციალა შურღაია ყოფილა

რომელსაც მარშრუტიდან გადახვევა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა, ერთ-ერთი ტურისტი მანდილოსნის სურვილი მაინც დაუკმაყოფილებია. ეს მანდილოსანი დავით ყიფიანის დედა — ქალბატონი ციალა შურღაია ყოფილა:

***„ო, ყიფიანი! — წამოიძახა მძღოლმა და უყოყმანოდ გააქროლა ავტობუსი სტადიონისკენ. რას ნიშნავდა ეს ნაბიჯი, ტურისტებმა მაშინ გაიგეს, როცა ავტობუსს — პოლიციის მანქანა დაედევნა, პოლიციის მანქანას — ადგილობრივი ტურისტული ფირმის ხელმძღვანელთა ავტომობილი. მაგრამ მათთვისაც პაროლი „ყიფიანი“ ჯადოსნური აღმოჩნდა: პოლიციელებს მრისხანე სახეები გაუნათდათ, სიხარულს გამოხატავდა ტურიზმის ბიზნესმენთა ღიმილიც. სტადიონის ჭიშკარი ფართოდ გაიღო ქართველ ტურისტთა წინაშე...“*** *ხოლო ესპანეთიდან შინ გამომგზავრებისას პირსზე შავი ლიმუზინით მიბრძანებულ ესპანეთის ტურისტული ფირმის წარმომადგენელს ცისფერი მიხაკების უშველებელი თაიგული საბჭოთა მეზღვაურებისთვის გადაუცია და უთხოვია, — ეს მიხაკები სენიორა ყიფიანს მიართვითო.*

*მსმენოდა, ფეხბურთელები ოჯახის განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევიანო. არადა, მახსოვს, რა აჟიოტაჟი მოჰყვა დავით ყიფიანის მეუღლესთან განშორებას და მეორედ დაქორწინებას. ლევან ყიფიანს მამის ამ გადაწყვეტილებაზეც ვკითხე:*

— ჩვენი ოჯახიდან წასვლა და ახლის შექმნა მამის გადაწყვეტილება იყო და მოდი, მისადვე დარჩეს — მე ვერ განვსჯი. მშობელს ყველაფერი ეპატიება. იმ ახალი ოჯახიდან მყავს ძმა — გიორგი, რომელიც საკუთარ თავზე მეტად მიყვარს და, სხვათა შორის, გარეგნობით ყველაზე მეტად ჰგავს მამას.

ბოლო ხანს ბევრს ნერვიულობდა, არადა, ხან გულმა შეაწუხა, ხან თავის ტრავმა მიიღო და ტრეპანაცია დასჭირდა და მეც გავცხარდი: მწვრთნელობას ხომ არ უნდა გადაჰყვე-მეთქი! — შენ ვერ მიხვდები, რა გრძნობაა, ფეხბურთს რომ თავს ანებებ. მე სულ იქ, მოედანთან ახლოს მინდა ყოფნაო, — მიპასუხა... რომ დასცლოდა, მწვრთნელობაშიც დიდ წარმატებას მიაღწევდა. ხშირად ღალატობდა იღბალი. ალბათ, ასეთი ბედისწერა ჰქონდა...

*ჟურნალისტი — არჩილ გოგელია 1982 წელს გაზეთ „ლელოში“ წერს:* ***„დავით ყიფიანი ახალგაზრდა წავიდა ფეხბურთიდან, იმდენად ძლიერი, რომ შეეძლო ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში კვლავინდებური ოსტატობით მოეხიბლა უამრავი მაყურებელი და გულშემატკივარი... მაგრამ ის ალბათ მაინც დროულად წავიდა დიდი ფეხბურთიდან, რადგან არასოდეს მოსვლია სერიოზული შეცდომა საფეხბურთო თუ ცხოვრებისეულ საკითხებში. ეტყობა, ასე იყო საჭირო... მაგრამ გული კი გვეუბნება, რომ დათო ნაადრევად წავიდა, მას კიდევ ბევრის, ძალზე ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენი ფეხბურთისთვის...“***

*ჩემი მეგობარი გია გეგუჩაძე, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონის, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი ძალიან მეგობრობდა დავით ყიფიანთან და პირად საუბარში ბევრ ამბავსაც იხსენებს ხოლმე, თუმცა პრესის ფურცლებზე, ტრადიციულად, ლაკონურია:* ***„ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე დავით ყიფიანის გვერდით ვიქნებოდი, მასთან ერთად ვიმუშავებდი*** *(თბილისის „დინამოში“. — ავტ.)*, ***თუმცა ბავშვობიდან ვოცნებობდი მასთან ურთიერთობაზე. ყიფიანი პატარაობიდან ჩემი კერპი იყო და ასეთად დარჩება. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ის დიდი პიროვნება და დიდი კაცი იყო“...***

*ჩვენმა კოლეგამ და დავით ყიფიანის უახლოესმა მეგობარმა ბატონმა გია გორგოძემ შესანიშნავი წიგნი მიუძღვნა დავით ყიფიანს — „დღესასწაულის წადილი“. როდესაც ლევან ყიფიანმა შეიტყო დაკარგული ავტოგრაფის ამბავი, სწორედ ეს წიგნი მისახსოვრა, ოღონდ, თავისი ავტოგრაფით და მინაწერით: დავით ყიფიანის ნიჭის დამფასებელსა და ფეხბურთის გულშემატკივარსო. უბედნიერესი ვარ, რომ ყიფიანის სამახსოვროდ ეს მაინც დამრჩა — წიგნი, სადაც ნამდვილ დავით ყიფიანს გაიცნობთ, იმას, ჯერ ცაში რომ აიყვანეს და იმავე ადამიანებმა მალევე ტალახიც რომ ესროლეს. სწორედ ისე, როგორც ხდება ხოლმე აქ, ჩვენთან, საქართველოში.*

*დავით მაღრაძის ლექსიდან „დათო ყიფიანს“:*

***„...აქ ასპარეზად იჭვების***
***გაკიდულია მანდილი.***
***მთელი სიმკაცრით ისჯება***
***დღესასწაულის წადილი...“***

*ამიტომაც ამბობს გია გორგოძე: „ბოლო დროს მაინც ძალიან გაუჭირდა, იობის მოთმინებით ველარ იტანდა მისი პიროვნების მიმართ სხვადასხვა ჭიალუისა და პირანიის შხამიან გამოხდომებს... როცა პანაშვიდებისთვის გასადიდებელ სურათებს ვარჩევდით, მაშინ აღმოვაჩინე, რომ ბოლო წლების ფოტოებზე საოცრად ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ამოუხსნელი სევდა იდგა მის მზერაში...“ და იქვე ამატებს:* ***„იმ ავადმოსაგონარ 17 სექტემბერს დღევანდელმა უგმირო, ანთხეულმა საქართველომ ბოლომდე ვერ გაისიგრძეგანა მომხდარი უბედურება — დაჭიანებულ და დაბეჩავებულ ქვეყანას ჯილა მოუკვდა, კაცი სახელიანი და გულშიჩასაკრობი, ვინაც იმდენი დღესასწაული და გამარჯვების გემო გაგვასინჯა ქართველებს“...***

**„...უკვე ნიავი მიაქან-**
**მიმოაქანებს კიდობანს.**
**წყალზე დარწეულ კიდობანს**
**ეპოქა დაემშვიდობა“.**

*(დ. მაღრაძე)*

*საოცარია: რა ადრეც წავიდა ფეხბურთიდან, ისევე ადრიანად დატოვა წუთისოფელი, არადა, 18 ივნისს მხოლოდ 60 წლის გახდებოდა! ღმერთმა გაანათლოს მისი სული!* ■



დაბეჩავებულ ქვეყანას ჯილა მოუკვდა





# ამერიკელი კრიმინალების მესაიდუმლე გოგონა



## „კარატემ ბრძოლაც მასწავლა და ტკივილის გაძლებაც“

**გაოცებული დავრჩი, როდესაც ერთი შეხედვით ნაზსა და მომხიბლავ გოგონაზე მისმა მწვრთნელმა ასეთი რამ მითხრა, — „ღმერთმა ნუ ქნას, რომ დასჭირდეს, თორემ... გარწმუნებთ, დაუნდობელი მკვლელია. თქვენ მის თვალებში არ ჩაგიხედავთ და არც „სეიკენზე“ (მუშტებით დგომა) მდგარი გინახავთ, მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, უერთგულესი მეგობარი და გულმოწყალე ადამიანია. იმას, რაც მან ამერიკაში ყოფნისას გააკეთა, ბევრი ვაჟკაცი საკუთარ სამშობლოშიც კი ვერ შეძლებდა“. 26 წლის მარი ოსნადჩუკი კარატე ნეკო-რიუს წარმომადგენელი და ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლია. ის ახლა ამერიკაში, ატლანტაში ცხოვრობს, სამედიცინო კლინიკაში მუშაობს და სერიოზული პროექტის განხორციელებასაც გეგმავს. მასთან შეხვედრა მაშინ მოვახერხე, როდესაც საქართველოში ოჯახის წევრების მოსანახულებლად ჩამოვიდა.**

*ხათუნა ბახტურიძე*

— მამა უკრაინელი მყავს, დედა — სომეხი, მაგრამ საქართველოში დავიბადე, გავიზარდე და შესაბამისად, ჩემი სამშობლო აქ არის.

— **კარატეს შესწავლა რატომ გადაწყვიტე?**

— თავდაპირველად ვარჯიში მხოლოდ იმიტომ დავიწყე, რომ მინდოდა, კარგ ფორმაში ვყოფილიყავი. ძალიან ბევრი სპორტის სახეობა მოვსინჯე, მაგრამ გული ვერაფერს დავუდე; როდესაც კარატეზე მივედი, მივხვდი, რომ სწორედ ეს მჭირდებოდა. ფიზიკურ წვრთნასთან ერთად, სულიერადაც გავძლიერდი. მერწმუნე, მხოლოდ მუშტებისა და ფეხების ქნევა არაფერს ნიშნავს, სულიერი სიმტკიცე არანაკლებ მნიშვნელოვანია. კარატემ, პირველ რიგში — საკუთარ თავთან, შემდეგ კი გარე სამყაროსთან ბრძოლა მასწავლა. შეიძლება ითქვას, სამყარო სხვა თვალით დამანახვა.

— **საკუთარ თავსა და გარე სამყაროსთან ბრძოლა რისთვის დაგჭირდა?**

— მორალურად ძალიან სუსტი ვიყავი ანუ საიდანაც ქარი დაუბერავდა, იქით მივექანებოდი. მიზნები არ მქონდა და არც მომავალზე ვფიქრობდი. საკუთარი თავის ყველაზე დიდი მტერი, ემოციებს აყოლილი გოგო გახლდით, კარატემ კი საკუთარი სურვილებისა და ქმედებების გაკონტროლება, ემოციების მართვა მასწავლა, შემდეგ ცხოვრებაში შექმნილი პრობლემების დასაძლევად ბრძოლაც ვისწავლე. ამერიკაში ყოფნისას ბევრჯერ მიფიქრია, — ყველაფერს მივატოვებ და საქართველოში დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ მწვრთნელის სიტყვები მახსენდებოდა: თუ გადაწყვიტე, რომ „სეიკენზე“ დადგე, იცოდე, ბოლომდე უნდა იდგეო.

— **ამერიკაში ასეთი რა გადაგხდა?**

— უცხო ქვეყანაში სრულიად მარტო, უფულოდ წავედი და წელიწადნახევარი უპატრონო ქალთა თავშესაფარში ვიცხოვრე. რთულ პირობებში მიწევდა ყოფნა, მაგრამ ყველაფერს ვუძლებდი. ბოლოს, იქიდანაც წამოვედი.

— **უფულოდ როგორ წახვედი, ოკეანეს ხომ ვერ გადაცურავდი?**

— თუ მგზავრობის ფულს გულისხმობთ, თავად დავაგროვე — წასვლამდე „ჯეოსელის“ ფირმაში ვმუშაობდი.

— **სამსახური თუ გქონდა, ამერიკაში რატომ წახვედი?**

— ახალი ცხოვრების დასაწყებად და საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის მიზნით წავედი.

— **ამ გადაწყვეტილების გამო, ოჯახის წევრებისგან წინააღმდეგობა ხომ არ შეგხვდა?**

— როგორ არა, დედაჩემისგან ძალიან დიდი წინააღმდეგობა შემხვდა, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე. ვფიქრობ, ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს საკუთარი მომავალი. ადამიანი მარტო იბადება, მარტო ფიქრობს, მარტო კვდება ანუ ჩვენ ყველანი მარტოსულები ვართ და მხოლოდ თავად ვიცით, რა გვინდა სინამდვილეში...

— **თავშესაფრიდან რატომ წამოხვედი?**

— თავშესაფარში, სადაც მე ვცხოვრობდი, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, ქმრებისგან გამოქცეული და მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდადებული ქალები ცხოვრობდნენ; ბევრ მათგანს ფსიქოლოგიური პრობლემაც ჰქონდა. ერთხელ, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი თავშესაფრიდან გააგდეს. ის მარტო



**თავდაპირველად ვარჯიში მხოლოდ იმიტომ დავიწყე, რომ მინდოდა, კარგ ფორმაში ვყოფილიყავი**

არ გავუშვი, რადგან ვიცოდი, უჩემოდ დაილუპებოდა... რამდენიმე კვირა ქუჩაში ვცხოვრობდით.

**— თქვენი მეგობარი თავშესაფრიდან რატომ გააგდეს?**

— შინაგანაწესის დარღვევის გამო. შეზღუდულ პირობებში გვიწევდა ცხოვრება. საძინებელ ოთახში ტკივილგამაყუჩებელი ან დასამშვიდებელი წამლის შეტანა არ შეიძლებოდა და თუ რაიმე აბი გვქონდა, სპეციალურ ოფისში უნდა დაგვეტოვებინა. ჩემს მეგობარს ოფისში წამლის დატოვება დაავიწყდა, მერე კი უკან გაბრუნება დაეზარა და როცა ეს აბები უპოვეს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ქუჩაში გააგდეს.

**— გამოსავალი როგორ იპოვე?**

— სხვა თავშესაფარი მოვძებნე. იქ ცოტა განსხვავებული სიტუაცია იყო, თუნდაც იმით, რომ თავშესაფრის ყველა მკვიდრი ნაციხარი გახლდათ.

**— ნაციხარ ქალებთან ურთიერთობა არ გაგიჭირდა?**

— არა, კარატემ ადამიანებთან ურთიერთობაც მასწავლა. ნაციხარ ქალებს კრიმინალებად არ მივიჩნევდი. ვცდილობდი, მათ სულს ჩავწვდომოდი, მათი ტკივილი გამეზიარებინა. თითოეულს ვეკითხებოდი, რა სტკიოდა, რა აწუხებდა და ბოლოს, მათი მესაიდუმლე გავხდი. მალე ეს ადმინისტრაციამაც შენიშნა და ოფისის მენეჯერად დამნიშნეს.

**— იქ ძირითადად, რა ასაკის ქალები იყვნენ?**

— სხვადასხვა ასაკის ქალები იყვნენ, მათ შორის ყველაზე პატარა გახლდით.

**— ამერიკაში ლეგალურად ცხოვრების უფლებაც მაშინ მოიპოვე?**

— კი. იქ ადვოკატი უფასოდ გვემსახურებოდა და მისი დახმარებით, ამერიკაში ლეგალურად ცხოვრების უფლება მოვიპოვე.

**— ოფისმენეჯერის თანამდებობაზე ყოფნისას ხელფასი თუ დაგინიშნეს?**

— თვეში 100 დოლარს მაძლევდნენ. გარდა ამისა, საცხოვრებლად ოთახიც გამომიყვეს; მანამდე ერთ ოთახში რამდენიმე ადამიანთან ერთად, საკმაოდ ვიწროდ ვცხოვრობდი.

**— თქვენს მეგობარს რა ბედია ეწია?**

— მან ერთ დღეს ვენები გადაიჭრა, რის გამოც თავშესაფრიდან წაიყვანეს. როგორც მოგვიანებით გავიგე, საგიჟეთში ამოყო თავი.

**— თავშესაფრიდან სამედიცინო კლინიკაში როგორ მოხვდი?**

— კლინიკის მეპატრონეს დავუმეგობრდი და მისი დახმარებით, მასაჟის შემსწავლელი კურსებიც გავიარე. ახლა პაციენტები მყავს და ნორმალური ხელფასიც მაქვს — საათში 11 დოლარს მაძლევენ. უკვე იმის საშუალებაც მაქვს, რომ ბინა ვიქირაო და დამოუკიდებლად ვიცხოვრო.

**— ვარჯიშს თავი დაანებე?**

— არა, რას ამბობთ, ვარჯიშისა და სპეციალური რეჟიმის გარეშე ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. უახლოეს მომავალში კარატეს შემსწავლელი კურსების გახსნას ვაპირებ და მოსწავლეებს მასაჟსაც გავუკეთებ ხოლმე. ჩემს გეგმას განვახორციელებ თუ არა, რამდენიმე ქართველ სპორტსმენს ამერიკაში უსასყიდლოდ წავიყვან. მინდა, ისევე დავეხმარო სხვებს, როგორც თავის დროზე მე დამეხმარნენ.

**— ამ გეგმის განხორციელებას საკმაოდ დიდი თანხა დასჭირდება...**

— დიახ, მაგრამ ჩემი მეგობრები ამ საქმით ძალიან დაინტერესდნენ და გადაწყვიტეს, დამეხმარონ.

**— მარი, საქმრო ან „ბოიფრენდი“ თუ გყავს?**

— არა, ამ ეტაპზე არც საქმრო მჭირდება და არც — „ბოიფრენდი“.

**— თაყვანისმცემლები არ გაწუხებენ?**

— ვერ მაწუხებენ (*იღიმის*).

**— რატომ? მათ ცემით ხომ არ ემუქრები?**

— არა, არავის ვემუქრები, მაგრამ თაყვანისმცემლებს ჩემი ხელში ჩაგდების იმედი არა აქვთ.

**— შენ აღნიშნე, რომ ჯერ ქუჩაში, შემდეგ კი კრიმინალების გარემოცვაში მოგიწია ცხოვრებამ. თავდაცვის მიზნით პროფესია არასდროს გამოგიყენებია?**

— თუ დამიჯერებთ, არა. თუ შინაგანად ხარ ძლიერი, ამას სხვებიც გრძნობენ და შენი დაჩაგვრის სურვილი აღარ უჩნდებათ.

**— პრობლემიდან გამოსავალს ყოველთვის პოულობ?**

— თითქმის ყოველთვის, თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს.

**— გამონაკლისის შემთხვევაში როგორ იქცევი?**

— იმაზე ვფიქრობ, არსებული პრობლემის ფონზე როგორ გავაგრძელო ცხოვრება მანამდე, ვიდრე ახალი შანსი არ გამიჩნდება. ვიცი, რომ ცხოვრება ბრძოლაა, ისიც ვიცი, რომ ბევრი ტკივილის ატანა მომიწევს, მაგრამ არაფრის მეშინია, რადგან კარატემ ბრძოლაც მასწავლა და ტკივილის გაძლებაც. ■



# ახალი სამკარიანი Astra

კომპანიამ — Opel გაავრცელა დეტალური ინფორმაცია და ფოტოსუ-



რათები ახალი თაობის Opel Astra-სი, რომელსაც GTC დაარქვეს. ფართო საზოგადოებას ამ მანქანას სექტემბერში, ფრანკფურტის ავტსალონზე უჩვენებენ. ეს სამკარიანი ავტომობილი, ხუთკარიანისგან განსხვავებით, 15 მმ-ით დაბალია, საბორბლე ბაზა კი 10 მმ-ით აქვს გაზრდილი. საინტერესოა, რომ მომცრო მოდელს ისეთივე საკიდარი დაურთეს, როგორიც მძლავრ Insignia OPC-ს აქვს. თავდაპირველად ჰეჩბეკი 4 ძრავათი აღიჭურვება: ბენზინის — 1,4 ლ მოცულობის, 120 და 140 ცხძ-იანით და 1,6 ლ მოცულობის, 180 ცხძ-იანი ტურბოდიზელით, აგრეთვე — ორლიტრიანი „დიზელით", რომელიც 165 ცხძ-ს ავითარებს და 100 კმ-სთ სიჩქარეს 8,9 წმ-ში აღწევს. მწარმოებლის მონაცემებით, საწვავის ხარჯი



ე.წ. შერეულ ციკლში 4,9 ლ-ს შეადგენს, ხოლო სავსე ავზით (56 ლ) მანქანის გარბენის „მარაგი" 1100 კმ-ს მიაღწევს. ყველა ძრავას 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი და „სტარტ-სდეკ" სისტემა ერთვის. როგორც კომპანიის მესვეურები იუწყებიან, სხვა საძარე ვარიანტების შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას ფრანკფურტში მიაწვდიან. ევროპის ბაზრებზე ახალი ჰეჩბეკის მინიმალური ფასი 21.750 ევრო იქნება, ხოლო ყველაზე დახვეწილი ვარიანტი მომხმარებელს 27.855 ევრო დაუჯდება. ■



# BMW-ის „ერთიანი" — „მესამეს" ბაზაზე

გერმანულმა ავტოგიგანტმა ახალი თაობის 1-Series ჰეჩბეკის ფოტოსურათები გამოამზეურა. ის BMW 3-Series პლატფორმაზეა აგებული და თავის წინამორბედთან შედარებით „გაზრდილია": საბორბლე ბაზა 30 მმ-ით დიდია, ავტომობილის გაბარიტული სიგრძე — 85 მმ-ით, ხოლო სიგანე — 17 მმ-ით. საბარგო დანაყოფის მოცულობა 360 ლ-ს შეადგენს, ხოლო აკეცილი უკანა სავარძლების შემთხვევაში — 1200 ლ-ს მიაღწევს. ახალი ბე-ემ-ვეს საბაზო ძრავად 1,6 ლ მოცულობის ტურბოდიზელს გამოიყენებენ, რომელიც 136 და 170 ცხძ სიმძლავრის მოდიფიკაციების იქნება. გარდა ამისა, დაანონსებულია კიდევ 3 აგრეგატი: 2 ლ მოცულობის დიზელის (116, 143 ცხძ-იანი) და 184 სიმძლავრის ბენზინის მოტორი. გერმანული „ერთიანი" 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება და გოლფ-კლასის პირველი ავტომობილი იქნება, რომელსაც ასეთ ტრანსმისიას დაურთავენ. ■



# Chevrolet Corvette ZR1-ის ახალი რეკორდი

სუპერავტომობილმა ნიურბურგრინგის ე.წ. „ჩრდილოეთის ყულფის" საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა — 7 წთ-სა 19,63 წმ-ში გაიარა ტრასა. მანქანის საჭეს კონცერნ „ჯენერალ მოტორსის" ინჟინერი, ჯიმ მერო უჯდა, რომელიც „კორვეტის" საკიდრის რეგულირებაზე იყო პასუხისმგებელი. 2012 წლის სამოდელო რიგის „შევროლე კორვეტი" უფრო მყარი — 285 და 335 მმ სიგანის, Michelin Pilot Sport Cup-ის საბურავებითაა აღჭურვილი, თვით დისკები კი ალუმინისგან აქვს დამზადებული და ამის წყალობით, ჩვეულებრივ, 20-დუიმიან დისკებთან შედარებით, 2,2 კგ-ით მსუბუქია. სუპერავტო 6,2 ლ მოცულობის 638 ცხძ-იანი აგრეგატითა და 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. ბოლოს დავძენთ, რომ ახალი შეჯიბრებისას „კორვეტმა" ისეთი მანქანები დაჯაბნა, როგორებიცაა: Dodge Viper, Porsche 911 GT2, Ferrari Enzo. ■



# აბრაგ ზელიმხანის ქართველი შვილობილის შურისძიება

**XX საუკუნის დასაწყისში, ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც მაშინაც „რუსეთის დენთის კასრს“ უწოდებდნენ, სახელი დიდად გაითქვა ჩეჩენმა აბრაგმა ზელიმხან გუშმაზაყაევმა. ის წარმოშობით ბარის ჩეჩნეთის სოფელ ხარაჩოიდან იყო, თუმცა 1911 წლიდან ჯერ ინგუშეთს აფარებდა თავს, მერე კი მთიანი ჩეჩნეთის მელხისტის ანუ მითხოს თემს, რომელიც შატილს ესაზღვრება. ზელიმხანს ქართველებთან საკმაოდ ხშირად უწევდა ურთიერთობა — მას აქ ბევრი მეგობარიც ჰყავდა და მტერიც. ჩეჩენ აბრაგს მაშინდელი ქართული პოლიტიკური პარტიების მესვეურებიც კარგად იცნობდნენ, რადგან ზელიმხანი — რასაკვირველია, სოლიდური გასამრჯელოს საფასურად — პოლიტიკურ ტერაქტთა აღსრულებაზე უარს არასოდეს ამბობდა.**

*მიხეილ ლაბაძე*

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აბრაგი ზელიმხანი მრავალრიცხოვან მომხრეებთან ერთად ჩეჩნეთის ბარში დათარეშობდა, გროზნოს ოლქის პლასტუნთა ასეულს ქართველი თავადი — ალმასხან მარღანია მეთაურობდა. როგორც წესი, პლასტუნებს ანუ კაზაკთა რეგულარულ შინაგან ჯარს იმხანად ჩეჩნეთში აბრაგების წინაალმდეგ ბრძოლა ევალებოდა და აქედან გამომდინარე, ზელიმხანი და ალმასხანი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი — რუსების სამსახურში მდგარი ქართველი თავადი კარგა ხანს ნადირობდა ჩეჩენ აბრაგზე, თუმცა ვალში არც ის რჩებოდა. ზელიმხანი საყოველთაოდ ცნობილი იყო როგორც ერთ-ერთი ძნელად მოსახელთებელი და ცხენოსნობის დიდოსტატი, რომელსაც სროლას ვერავინ დაასწრებდა. თავის მხრივ, ალმასხან მარღანიაც არანაკლები ვაჟკაცი გახლდათ — სამურზაყანოში აღზრდილმა, ცხენოსნობაც კარგად იცოდა და ტყვიასაც ტყვიაში აჯენდა. ჩეჩნურ ფოლკლორში ამ ორი ადამიანის დაპირისპირების შესახებ უამრავი ლექსი თუ გადმოცემა მოიპოვება.

ალმასხან მარღანიას მეუღლე, დოლეთხანი ყარაჩაელი იყო — ყრიმშამხალოვთა არისტოკრატიული საგვარეულოდან. ისინი 1908 წელს დაქორწინდნენ და დროებით ვლადიკავკაზში დასახლდნენ. ალმასხანს იმედი ჰქონდა, რომ ზელიმხანს დაიჭერდა და მერე საქართველოში დაბრუნდებოდა. პლასტუნთა ასეულის მეთაურმა აბრაგის დევნას ამაოდ შეალია კიდევ ერთი წელიწადი. თავის მხრივ, მარღანიას მოსაკლავად ზელიმხანიც ამაოდ დაშვრა და საბოლოოდ, იძულებული გახდა, ბარის ჩეჩნეთიდან ინგუშეთში გადასულიყო — ქართველი თავადის პლასტუნებმა მშობლიურ ადგილებში ძალიან შეავიწროეს და თანაც, მის გამო მშვიდობიან მოსახლეობასაც დაუკარგეს მოსვენება. ინგუშეთში გაქცევამდე, ზელიმხანმა სანდო კაცის მეშვეობით ალმასხანს რამდენჯერმე შეუთვალა კიდეც: — ნუღარ დამდევ, ქართველის სისხლში ხელის გასვრა არ მინდაო, მაგრამ თავადს ეს სიტყვები სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა და ამბობდა: „თუკი მისი ხანჯალი მჭრელია, ჩემიც არ არის ბლაგვი!“

1910 წლის დეკემბრის თვეში, როდესაც ჩრდილო კავკასიაში ანტიცარისტული გამოსვლები შეწყდა, პლასტუნები ინგუშეთში, მდინარე ასას ხეობაშიც გამოჩნდნენ და იქაური მშვიდობიანი მოსახლეობა სასტიკად დაარბიეს. ცხადია, ისინი ზელიმხანს ეძებდნენ, მაგრამ ინგუშებმა აბრაგი არ გასცეს. პლასტუნებს ალმასხან მარღანია არ ახლდა, მაგრამ ხმა დაირხა, რომ ზელიმხანის ასაყვანად ქართველი თავადი სულ მალე, თავად ავიდოდა ასას ხეობაში და თუ საწადელს ვერ მიაღწევდა, აღარავის დაინდობდა. ერთი სიტყვით, ინგუშებს ძალიან ეშინოდათ მარღანიასი, რომელიც იმ დროს ვლადიკავკაზში იმყოფებოდა და მართლაც აპირებდა მთებში გალაშქრებას, თანაც — არა მხოლოდ პლასტუნების, არამედ რეგულარული ჯარის თანხლებით. ასე რომ, ზელიმხანს რაღაც უნდა ეღონა.



**გროზნოს ოლქის პლასტუნთა ასმეთაური ალმასხან მარღანია, 1909 წლის ფოტო**



**აბრაგ ზელიმხანის ღვიძლი შვილები: მადი და ანისა ზელიმხანოვები; 1988 წლის ფოტო**

1910 წლის 12 დეკემბრის დილას, ვლადიკავკაზის ცენტრში, მეჩეთთან ახლოს, სადაც იმხანად ალმასხან მარღანია ცხოვრობდა, მდიდრულად მორთული შავი ეტლი შეჩერდა. ცოტა ხანში იქიდან სამი შავნაბდიანი მამაკაცი გადმოვიდა და სადარბაზოსაკენ გაემართა, თუმცა მარღანიას ბინის კარზე მხოლოდ ერთმა — თვით აბრაგმა ზელიმხანმა დააკაკუნა. მასპინძელი სახლში მარტო იყო და სტუმარს კარი თავადვე გაუღო. „სალამ ალეიქუმ! — უთხრა დაუძინებელ მტერს აბრაგმა: — მე შენს მოსაკლავად მოვედი“. ალმასხან მარღანია თავიდან დაიბნა, მაგრამ მერე გონს მოეგო და ხანჯალი იშიშვლა...

მეორე დღეს ვლადიკავკაზის საქალაქო პოლიციამ გროზნოს ოლქის პლასტუნთა ასმეთაური საკუთარ ბინაში, მუცელგამოფატრული იპოვა. გვამთან აღმოჩნდა ბარათი, რომელიც მკვლელს სამართალდამცველებისთვის დაეტოვებინა — „მე ვარ ზელიმხანი. ასმეთაური მარღანია მოვკალი იმიტომ, რომ მას მთიელთა სისხლი მართებდა“. წერილში ამ სიტყვების გარდა არაფერი ეწერა, მაგრამ „გოროდოვოებისთვის“ ესეც საკმარისი იყო. მოკლედ, ვლადიკავკაზის პოლიციამ ჩეჩენი აბრაგის თავი იმ დროისთვის საარაკო თანხად — 18 ათას მანეთად შეაფასა, ალმასხან მარღანია კი ქალაქის სამხედრო სასაფლაოზე დიდი პატივით დაკრძალეს. ერთი შეხედვით, ყველაფერი დამთავრდა, რადგან ზელიმხან გუშმაზაყაევის დამჭერი არავინ აღმოჩნდა და ცხადია, პლასტუნებმა ასას ხეობაში ასვლაც ვეღარ გაბედეს.

ალმასხან მარღანიას ფეხმძიმე მეუღლე

## ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

ჭრმდეენილი თემურ ივანიძე

1. ექიმები მასაჟს სხეულის დღესასწაულს ეძახიან.
2. „ბერკუტი“ უკრაინული სპეცდანიშნულების რაზმია.
3. თეთრი ვარდი შერონ სტოუნს პიერ კარდენმა შეარქვა.
4. სალომე ზურაბიშვილი ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილია.
5. სათვალე XIII საუკუნის ბოლოს ქალაქ პიზაში გამოიგონეს.
6. უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა სურამში გარდაიცვალა.
7. გაზეთი „იზვესტია“ ბორის პაიჭაძეს მწვანე მოედნის მეფეს ეძახდა.
8. „იესლი ბალნოი ხოჩეტ ჟიტ, მედიცინა ბეზსილნა“, — ამბობენ რუსები.
9. გერმანელ პოეტ იოჰან შილერს ბელინსკი კაცობრიობის ვექილს ეძახდა.
10. ცნობილი ფოტომოდელი მარგო ჰემინგუეი, მწერალ ერნესტ ჰემინგუეის შვილიშვილი გახლდათ.
11. ექვთიმე თაყაიშვილი პატარაობაში მსხლის ხიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. სოფლის ექიმმა მას ცუდად უმკურნალა, რის გამოც ექვთიმე სამუდამოდ დაკოჭლდა.
12. მოწამეთაში მოღვაწე მამა გიორგი ბასილაძეს უყვარს თქმა: ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელიო.
13. ჩანჩქერ ნიაგარაზე კასრით დაშვება კანონით ისჯება. კანონის დამრღვევს, თუ რა თქმა უნდა, ცოცხალი გადარჩა, 10.000 დოლარით აჯარიმებენ.
14. პოლინეზიელები მცირე ზომის ჩაქუჩისა და ზვიგენის კბილის დახმარებით აკეთებდნენ სხეულის ტატუირებას. ჩაქუჩი დარტყმისას დაახლოებით ასეთ ხმას გამოსცემდა: „ტატალ!“ და სიტყვა „ტატუ“-ც აქედან წარმოიშვა.
15. „რასკოვივალის კონი, ი გარიაჩიე პადკოვი ლეტელი ვ პილ ნა სჩასტიე ტემ კტო იხ პატომ ნაიდიოტ...“, — მღეროდა ვლადიმირ ვისოცკი.
16. მსოფლიოს ჩემპიონატები ფეხბურთში 1930 წლიდან მოყოლებული 4 წელიწადში ერთხელ იმართება. ამ ასპარეზობის პრინციპები ფიფამ 1920 წელს დაამტკიცა. შეჯიბრების მოთავე საფრანგეთის ფეხბურთის ასოციაციისა და ფიფას პრეზიდენტი ჟიულ რიმე გახლდათ და ტურნირსაც მისი სახელი ეწოდა.
17. განთქმული ლონდონური ორსართულიანი ომნიბუსების გამოსაცდელად ინგლისელი კონსტრუქტორები მათ ტყვიის ფილებით ტვირთავენ, რათა მათმა წონამ უკიდურეს ზღვარს





მოკლული ზელიმხანი და პორუჩიკი ქიბიროვი (ჩამუხლულია) დაღესტნის პოლკის ჯარისკაცები, 1913 წლის ფოტო.

დარჩა. დოლეთხან ყრიმშამხალოვა ქმრის მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, მოსალოგინებლად ყარაჩაეთში, მამის ოჯახში გაემგზავრა და მეუღლის მკვლელობის შესახებ კარგა ხანს, არაფერი იცოდა — ფეხმძიმობის გამო ახლობლები ალმასხანის ამბავს არ ეუბნებოდნენ, მაგრამ ბოლოს, თავს დატეხილი უბედურების შესახებ გაზეთიდან შეიტყო და ნერვიულობისგან ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. 1910 წლის 22 დეკემბერს, დოლეთხან ყრიმშამხალოვამ ვაჟი შვა, მაგრამ სისხლდენა აუტყდა და ვეღარ გადაარჩინეს. მუსლიმანური ჩვეულების თანახმად, ის გარდაცვალების დღესვე — მზის ჩასვლამდე, საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს.

ალმასხან მარღანიას სიმამრი — თავადი მურათბი ყრიმშამხალოვი მართალია, რუსთა სამსახურში იდგა, მაგრამ მეამბოხე მთიელებთანაც ჰქონდა კავშირი და არ სურდა, სიძის გამო ზელიმხანთან ურთიერთობა გაჰფუჭებოდა. ამიტომაც, რაოდენ საკვირველადაც უნდა ჟღერდეს, ჩვილი შვილიშვილი ჩეჩენ აბრაგს მდინარე ასას ხეობაში გაუგზავნა — გინდ გაზარდე, გინდ მოკალი, მე ხელები დამიბანიაო. ზელიმხანმა, რომელსაც თავად ორი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი ჰყავდა, მტრის შვილი ოჯახში დაიტოვა და მაჰმადი დაარქვა. აბრაგი მას საკუთარი შვილებისგან არ არჩევდა და დიდად ანებივრებდა. გადმოცემით, ზელიმხანის მეუღლე ძიეზაგი ბავშვს „გურჯიელგს“ (ჩეჩნურად — „პატარა ქართველი“) ეძახდა და განსაკუთრებული სითბოთი ეპყრობოდა. იმხანად, აბრაგის ოჯახი უკვე მელხისტის ანუ მითხოს თემს აფარებდა თავს.

1913 წლის 26 სექტემბერს, მოუხელთებლობით ცნობილი ჩეჩენი აბრაგი დაღესტნის პოლკის ოსმა პორუჩიკმა, ვინმე ქიბიროვმა სტანიცა შალისთან (ბარის ჩეჩნეთი) ახლოს, შემთხვევით მოკლა: მძიმედ დაჭრილი ზელიმხანი ერთ-ერთ მოკეთეს გროზნოსკენ ფორნით მიჰყავდა. გზაზე მდგარმა ჯარისკაცებმა ჩეჩენს გაჩერება უბრძანეს, მაგრამ მან პირიქით — ცხენებს მათრახი გადაუჭირა და გაქცევა სცადა. პორუჩიკმა აბრაგის მოკეთეს ცეცხლი გაუხსნა. დაჭრილ ზელიმხანს ზურგში ბრმა ტყვია მოხვდა და ფილტვი გაუგლიჯა. სახელგანთქმულმა აბრაგმა მაინც მოასწრო გასროლა — ერთი ჯარისკაცი დაჭრა და სულიც განუტევა. ქიბიროვმა გვამს გაცივებაც არ აცალა, ისე მივარდა და სურათი გადაიღო — აბრაგის მოკვლისთვის ჯილდოდ 18 ათასი იყო დაწესებული და ცხადია, მხოლოდ სიტყვაზე პოლიცია არავის ენდობოდა. ერთი სიტყვით, პორუჩიკმა ქიბიროვმა ზელიმხანის მოკვლისთვის 18 ათასი მანეთიც მიიღო და ჩინიც; მალე, მან ჟანდარმერიაში დაიწყო მუშაობა.

ზელიმხანის მკვლელობის გამო მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად, რუსულმა ადმინისტრაციამ გუშმაზაყაევების საგვარეულოს ყველა მამაკაცი ცხელ კვალზევე დაატუსაღა, ხოლო უშუალოდ ზელიმხანის ოჯახის წევრები — მეუღლე ძიეზაგი, ოთხივე შვილი და შვილობილი მაჰმადი ჯერ სტავროპოლში გადაასახლეს, მერე კი ყუბანში და გვარად „ზელიმხანოვი“ მიანიჭეს. 1916 წელს ხელისუფლებამ მათ სამუდამოდ აუკრძალა ჩეჩნეთში დაბრუნება, თუმცა ერთი წლის შემდეგ, როდესაც ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოაგდეს, აკრძალვა თავისთავად გაუქმდა. აბრაგის ოჯახი მშობლიურ სოფელ ხარაჩოიში დაბრუნდა. იქ მათ ნათესავები აღარ დახვედრიან და ამიტომაც, დამკვიდრება ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ — ზელიმხანის საკარმიდამო ნაკვეთი უკვე სხვებს დაეკავებინათ და ძმებს საცხოვრებელი ადგილის ძებნა მოუხდათ. საბოლოოდ, ისინი სოფლის განაპირას დასახლდნენ და პატარა ხუტორიც კი მოაწყვეს. 20-იანი წლების ბოლოს, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში ის-ის იყო, კოლექტივიზაცია უნდა დაწყებულიყო, ძმები ზელიმხანოვები უკვე

შეძლებულად ცხოვრობდნენ — მათ უამრავი ხარ-ძროხა, თხა, ცხვარი ჰყავდათ და საბჭოთა ხელისუფლებასთანაც კარგად იყვნენ: ზელიმხანის ქართველი შვილობილი — მაჰმადი სოფსაბჭოს აგიტატორი გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ კოლექტივიზაციის დაწყებისთანავე, ზელიმხანოვებმა საკუთარი საქონლის უდიდესი ნაწილი უსასყიდლოდ გადასცეს მთავრობას და სოფელ ხარაჩოიში კოლმეურნეობა „ზელიმხანი" ჩამოაყალიბეს. მაჰმად ზელიმხანოვი მალე „ჩეკაში" შევიდა და შალის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსიც კი გახდა. სხვათა შორის, ზემდგომ ორგანოებში იცოდნენ, რომ მაჰმადი წარმოშობით ჩეჩენი არ იყო და ამიტომაც, მას უფრო ენდობოდნენ — იმხანად კავკასიელ მუსლიმანებსა და განსაკუთრებით, ჩეჩენ-ინგუშებს „ჩეკაში" ნაკლებად იღებდნენ, რადგან სტალინი მათ ალმაცერად უყურებდა. მაჰმად ზელიმხანოვმა თავადაც იცოდა, რომ ქართველი იყო — სრულწლოვანი გახდა თუ არა, დედობილმა უამბო, თუ როგორ მოხვდა ის აბრაგის ოჯახში, ოლონდაც, ცხადია, არ უთქვამს, რომ მამამისის მკვლელი ზელიმხანი იყო.

ამავდროულად, ზელიმხანის მკვლელი ქიბიროვიც „ჩეკაში" მუშაობდა — ის უკვე გამობრძმედილ მუშაკად მიიჩნეოდა და მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში უდიდესი გავლენით სარგებლობდა. ჩეჩნეთში ყველამ იცოდა, რომ აბრაგი ზელიმხანი სწორედ მას ჰყავდა მოკლული, მაგრამ ვერავინ ვერაფერს უბედავდა — ქიბიროვი ლავრენტი ბერიას მეგობარი გახლდათ და მასთან დაპირისპირება, რბილად რომ ვთქვათ, ძნელი იყო. ასე მიილია 30-იანი წლები, დაიწყო მეორე მსოფლიო ომიც და გერმანელები ჩრდილო კავკასიაში შემოიჭრნენ. ამ დროისათვის ზელიმხანოვები კვლავ ხარაჩოიში ცხოვრობდნენ და შეძლებულ კოლმეურნეებად მიიჩნეოდნენ. 1941 წელს მათ ფაშისტური გერმანიის აგენტურა დაუკავშირდა და გადაიბირა კიდეც. მაჰმად ზელიმხანოვი კი, როგორც ქართველი, თანაც — „ჩეკისტი" აგენტების ინტერესების მიღმა დარჩა. აღსანიშნავია, რომ შესაბამისად ამუშავდა „ჩეკაც" და ერთ მშვენიერ დღეს, ქიბიროვმა მაჰმად ზელიმხანოვი ვლადიკავკაზში გამოიძახა, კაბინეტში შესულს კი მაგიდაზე ძველი, გაცრეცილი გაზეთი დაუდო, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი, თუ როგორ მოკლა აბრაგმა ზელიმხანმა გროზნოს ოლქის პლასტუნთა ასმეთაური, ალმასხან მარღანია. გარდა ამისა, ქიბიროვს თან ჰქონდა 1937 წელს დახვრეტილი მურათბი ყრიმშამხალოვის ჩვენებაც, ზელიმხანის ოჯახში ძუძუთა ბავშვის გაგზავნის თაობაზე. ერთი სიტყვით, „ჩეკამ" მაჰმად ზელიმხანოვის წარსულის ყველა დეტალი იცოდა და ამას იმიტომ ამზეურებდა, რომ სურდა, აბრაგის შვილობილი და შვილები როგორმე დაეპირისპირებინა.

მაჰმად ზელიმხანოვმა წარმოდგენილი მასალები გადაიკითხა და გაოგნდა — მას რაღაც-რაღაცები ეცნო და დარწმუნდა, რომ ამ შემთხვევაში „ჩეკა" არ ტყუოდა. „აი, ხომ ხედავ, ვის გაუზრდიხარ? შენი ვალია, შური იძიო! — უთხრა მას ქიბიროვმა და დასძინა: — ზელიმხანის ღვიძლი შვილები გერმანელების აგენტები არიან... დახოცე ისინი და აიღე შენი ნამდვილი მამის სისხლი!.."

ეს ქიბიროვის უკანასკნელი სიტყვები აღმოჩნდა — მაჰმად ზელიმხანოვმა პისტოლეტი იძრო და მთელი მჭიდი დააცალა. სროლის ხმაზე კაბინეტში „ჩეკისტები" შეცვივდნენ და მაჰმადი დააკავეს. მას ტირილი აუტყდა და წინააღმდეგობა აღარავისთვის გაუწევია: „ვნანობ, რომ უფრო ადრე არ მოვკალი!" — თქვა ქიბიროვზე და უცებ, ისტერიული სიცილი აუვარდა.

მაჰმად ზელიმხანოვის სასამართლო აღარ გამართულა — იგი სულიერად მძიმედ დაავადდა და სიცოცხლე ერთ-ერთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაასრულა. მისი ძმობილები და დობილები — აბრაგ ზელიმხანის ღვიძლი შვილები „ჩეკამ" 1941 წელს დააპატიმრა და ციმბირში გადაასახლა. იქიდან დაბრუნება 1960 წელს, მხოლოდ და მხოლოდ დებმა — მადი და ანისა ზელიმხანოვებმა შეძლეს, რომლებმაც აბრაგის ქართველი შვილობილის შურისძიების ამბავი პირველად გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ერთ-ერთ უცხოელ ენათმეცნიერს უამბეს. ■



**აბრაგ ზელიმხანის ღვიძლი შვილები და მათი ოჯახების წევრები. მარცხენა ქვედა კუთხეში ჩაწებებულია მაჰმად ზელიმხანოვის ფოტო**

## სამყარო

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

*შემდგენელი თემურ ივანიძე*

მიაღწიოს და შემდეგ 28 გრადუსით ხრიან. თუკი ავტობუსი ამგვარ დატვირთვას უძლებს და არ ყირავდება, იგი ვარგისიანია ექსპლუატაციისათვის.

18. „მამაჩემი ცნობილი მსახიობი გახლდათ და როცა არსენა მარაბდელის როლში მიღებდნენ, ასეთი სიტყვებით წამაქეზა: „აბა, ვნახოთ ვის მიერ ნათამაშები არსენა აჯობებს, შენი თუ ჩემიო", — ჰყვებოდა სპარტაკ ბაღაშვილი.

19. ვან გოგს აუტანელი ხასიათის მქონე პიროვნებად ახასიათებენ ბიოგრაფები. იგი მუდამ მზად იყო ყოვლად უმნიშვნელო რამეზე ჩხუბი აეტეხა ნებისმიერი ადამიანისათვის. მხატვარმა საბოლოოდ იმას მიაღწია, რომ მასთან სტუმრად აღარავინ დადიოდა.

20. სირაკუზელმა ტირანმა დიონისე უმცროსმა, რომელსაც მამისგან მემკვიდრეობით ერგო ძალაუფლება, ირგვლივ ფილოსოფოსები შემოიკრიბა. როცა ჰკითხეს, ამას რა მიზნით აკეთებო, მან უპასუხა: „მე მათ ვწყალობ და ვინახავ არა იმიტომ, რომ აღფრთოვანებული ვარ მათით, არამედ იმიტომ, რომ ისინი დღენიადაგ ჩემით იყვნენ აღფრთოვანებულები".

21. იმის გამო, რომ საკუთარი ნაწარმოები სრულყოფილი გაეხადა (ანდა სულაც სიზარმაცის გამო), ფრანგი მწერალი ფრანსუა მალერბი ძალზე ნელა წერდა ლექსებს, რის შემდეგაც დიდხანს ხვეწდა და მრავალგზის გადააკეთებდა ხოლმე. ამის გამო იგი რამდენჯერმე სულელურ მდგომარეობაშიც კი აღმოჩენილა. ერთხელ პოეტმა თავისი მეგობრის ცოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამგლოვიარო ოდის წერას მიჰყო ხელი, რომელიც მხოლოდ 3 წლის შემდეგ დაასრულა. ამასობაში მისმა მეგობარმა უკვე მეორე ცოლის შერთვა მოასწრო.

22. მილეთში მყოფმა ალექსანდრე მაკედონელმა ერთხანს ათვალიერა იქაური ათლეტების უამრავი ქანდაკება და ბოლოს იკითხა: კი, მაგრამ სად იყვნენ ეს ვაჟკაცები, როცა ბარბაროსები თქვენს ქალაქს იპყრობდნენო.

23. ინგლისელმა ფერმერებმა, რომლებიც ცენტრალური გზების სიახლოვეს აძოვებენ თავიანთ საქონელს, დამატებითი შემოსავლების მისაღებად სარეკლამო საქმიანობას მიჰყვეს ხელი. ისინი თავიანთ პირუტყვს ზურგზე სხვადასხვა ფირმის ემბლემით აჭრელებულ ჯვალოს ტილოებს აფარებენ და ამ ფირმების მეპატრონეებისგან საკმაოდ კარგ გასამრჯელოსაც იღებენ.

# მწერალზე შეყვარებული ნუკი კოშკელიშვილის კოლექცია

**„ინტელექტუალური თამაშები მიზიდავს და ვფიქრობ, რომ ტვინის გავარჯიშება კარგია", — მითხრა ნუკი კოშკელიშვილმა, როცა მას „ერუდიტისთვის" ჩასაწერად ვესტუმრე. წიგნი არასდროს მოუპარავს. ამბობს, რომ კარგი ლიტერატურის კითხვა დიდ სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ ზოგიერთი ეპიზოდი მალევე ავიწყდება. წიგნების ერთგულმა მეგობარმა ისიც აღნიშნა: „ძალიან კარგი ფანტაზია მქონდა და როცა ვკითხულობდი, წარმოვიდგენდი, რომ ესა თუ ის პერსონაჟი ვიყავი და ვთამაშობდი — ხან დეტექტივი გახლდით, ხანაც — მოგზაური".**

## „ის ჩემი ერთადერთი სიყვარული იქნებოდა"

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

— **ნუკი, რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?**

— მწერალი რომ ავირჩიო, შეიძლება?

— **შეიძლება.**

— მაშინ ოსკარ უაილდს დავასახელებ.

— **უაილდი რით გიზიდავს?**

— მიზიდავს — რბილი ნათქვამია, ის მიყვარს და მაგიჟებს. წლების წინ რომ დავბადებულიყავი და მისი გაცნობის ბედნიერება მღირსებოდა, ვფიქრობ, ის ჩემი ერთადერთი სიყვარული იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამბობენ, ჰომოსექსუალი იყოო. მამაკაცში ყველაზე მეტად ინტელექტს და იუმორის გრძნობას ვაფასებ, ოსკარ უაილდი კი უჭკვიანესი და ზღვა იუმორის მქონე დიდი ბავშვი იყო.

— **გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებს ხშირად კითხულობ?**

— დიახ, მაგრამ ყველაზე მეტად გამონათქვამების, აფორიზმების კითხვა მიყვარს და რომელიც მომეწონება, არ მავიწყდება. მოკლედ, ტვინში დიდი კოლექცია მაქვს.

— **მათ შორის გამორჩეულად რომელი გიყვარს?**

— მე უაილდის ფანი ვარ. სამწუხაროდ, ის ყოველთვის ღარიბი იყო. პარიზში, სენას მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობდა. უამრავი კარგი გამონათქვამის ავტორია, მაგრამ ამჯერად, ერთ-ერთს გამოვყოფ (ჩემი გადაცემიდან გამომდინარე): „ქალს არ უნდა გაუგო, ქალი უნდა გიყვარდეს". ეს მართლა ასეა! არ არის საჭირო, ქალს ჩაეძიო. ის ისეთი რთული არსებაა, ბოლომდე ვერასდროს ამოიცნობ და ამიტომაც, ისეთი უნდა გიყვარდეს, როგორიცაა.

— **„ყოფილი ცოლების კლუბში" რა ხდება?**

— საქართველოში ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა კვლავ დიდ პრობლემად რჩება. სხვათა შორის, ქალბატონები ჩვენთან თავად მოდიან.

— **მათ ჩასაწერად რა ნიშნით არჩევთ?**

— გულწრფელობის მიხედვით.

— **ყოფილ ქმრებს თქვენი რესპონდენტების საქციელი არ გაუპროტესტებიათ?**

— ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

— **მაშინ კითხვარზე გადავიდეთ.**

— დავიწყოთ.

— **ის გალაკტიონის მუზა იყო. 1921 წელს სტამბოლში გამართული მსოფლიოს სილამაზის კონკურსის გამარჯვებული გახდა. ვისზეა ლაპარაკი?**

— გალაკტიონის მუზა მერი შერვაშიძე იყო, მაგრამ არ ვიცი, მან სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა თუ არა.



— **დიახ, გაიმარჯვა. გერმანული ანდაზის მიხედვით, ოქროს ცეცხლი გამოცდის, ქალს — ოქრო, მამაკაცს...**

— ცეცხლი?

— **არა, ქალი. წელიწადის რომელ დროს არიან დაბადებულები კირჩხიბები?**

— ზაფხულში.

— **ასტროლოგიაში კარგად ერკვევი? შენ რომელი ნიშნის ქვეშ ხარ დაბადებული?**

— ტყუპი ვარ. რომ გითხრა, ასტროლოგთა რჩევებს ვკითხულობ და ვითვალისწინებ-მეთქი, მოგატყუებ.

— **რომელ მდინარეზეა გაშენებული ავსტრიის დედაქალაქი ვენა?**

— (*ფიქრობს*)...

— **მიგანიშნებ, ის ევროპის ერთ-ერთი დიდი მდინარეა და მასზე კიდევ ბევრი სხვა ქალაქია გაშენებული.**

— დუნაი, არა?

— **რა თქმა უნდა! 1824 წელს პარიზში გამოვიდა ფრანგი დედოფლის — მარია ანტუანეტას მოდელიერი ქალის, მადმუაზელ ბეხტეინის მემუარები. რომელი ფრთიანი გამონათქვამის ავტორი გახდა ის მას შემდეგ, რაც დედოფლის ძველი კაბა განაახლა?**

— არ ვიცი.

— **ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ბავშვობაში ზღაპრებს კითხულობდი?**

— რა თქმა უნდა!

— **„ასფურცელა", „სამი გოჭი", „კომბლე", „წითელქუდა"...**

— (*მაწყვეტინებს*) ყველა ეს ზღაპარი მახსოვს.

— **რომელში არ ფიგურირებს მგელი?**

— „ასფურცელაში".

— **სპორტის რომელ სახეობაში მოასპარეზის**

**აქსესუარებია თეთრი კოსტიუმი, ლითონისბადიანი მუზარადი და ხელთათმანი?**

— მოფარიკავის.

— **ძმები — ადოლფი და რუდოლფი ორი ცნობილი ფირმის დამაარსებლები იყვნენ. სავაჭრო ბაზარზე მათი დაპირისპირება პირად სიძულვილში გადაიზარდა. დაასახელე, რომელი ფირმები დააარსეს ძმებმა?**

— სპორტული ხაზით მუშაობდნენ?

— **დიახ.**

— „ადიდასი“ და „პუმა“.

— **როგორ ადამიანს უწოდებენ დილეტანტს?**

— საქმის კარგად არმცოდნეს.

— **რას ვეძახით ნატრიუმის ქლორიდს?**

— პერეჰიდროლის მსგავსი ხსნარია, არა?

— **ცდები, მას საკვებში ყოველდღიურად მოვიხმართ.**

— საკვებად ვიყენებთ? ა, გამახსენდა, ნატრიუმის ქლორიდი მარილია.

— **ნატიურმორტები, პორტრეტები, პეიზაჟები, ბიბლიური თემები — ამათგან, რომელი ნამუშევრებითაა ცნობილი ივანე აივაზოვსკი?**

— პეიზაჟებით.

— **ამ საბანაო კოსტიუმის პირველი ჩვენება წყნარი ოკეანის ერთ-ერთ ტროპიკულ კუნძულზე საცდელი ბირთვული აფეთქების დღეს დაემთხვა და სწორედ ამიტომაც, მას ამ კუნძულის სახელი ეწოდა.**

— ვერ გიპასუხებ.

— **ბიკინი. ერთი პოპულარული დიზაინერის ბიოგრაფი, ლორას ბენაიმი წერდა: „ის ხატავდა ემოციებს. მან თავის ტანსაცმელში ჩააქსოვა სიხარული, სიყვარული, სიგიჟე... შექმნა კოლექციები, როგორც საიდუმლო წიგნის თავები. ის ხატავდა ანგელოზებს და დემონებს. იყო პირველი კუტიურიე, რომელმაც განადიდა სხეულის სული, დაამკვიდრა რეტროს სიფაქიზე თანამედროვე გემოვნებაში და დარჩა ერთადერთი სინანული, რომ თავად არ გამოიგონა ჯინსი“. რომელ დიზაინერზეა ლაპარაკი?**

— ქალია თუ კაცი?

— **ისეთ მინიშნებას გეტყვი, რომლითაც პასუხი შენს დასმულ კითხვასაც გაეცემა: მას მაღალი მოდის პატარა პრინცს ეძახდნენ. ამბობენ, რომ მოდა ეზიზღებოდა და საკუთარ თავს არა კუტიურიეს, არამედ ხელოსანს უწოდებდა. 1962 წელს შექმნა სმოკინგი. 21 წლის ასაკში „დიორის სახლის“ ხელმძღვანელი გახდა. „არაფერია შიშველ სხეულზე მშვენიერი და ყველაზე ლამაზი ტანსაცმელი, რომელმაც შეიძლება ქალი შეამკოს, საყვარელი კაცის მკლავებია. ვისაც არ ერგო ეს ბედნიერება, მე აქ ვარ“, — ვკითხულობთ მის ჩანაწერებში.**

— ვერ გიპასუხებ.

— **ივ სენ ლორანი.**

— რთული კითხვებია. ისე, რამდენიმე კითხვა მეც რომ დაგისვა, შეიძლება?

— **გისმენ.**

— დაასახელე დიზაინერი, რომელმაც თქვა: „რაც უფრო ცუდ ხასიათზე ხარ, მით უკეთესად უნდა გამოიყურებოდე“.

— **შანელი.**

— რომელმა მწერალმა თქვა, რომ ჯოჯოხეთი არის ყველაზე დიდი ქრისტიანული ორგანიზაცია?

— **არ ვიცი.**

— მარკ ტვენმა. ამქვეყნად ბევრი გამონათქვამია და ცხადია, ყველა არ გეცოდინება.

— **ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია! კითხვა კიდევ გაქვს თუ ჩემი ჯერია?**

— მკითხე.

— **„ვეფხისტყაოსნის“ რომელ გმირთანაა შედარებული ვეფხვი ამ სტრიქონში: „ხრმალი გავსტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხვი შევიპყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“?**

— ტარიელთან.

— **დარწმუნებული ხარ?**

— არა, არა, შემეშალა, ნესტან-დარეჯანი უნდა მეთქვა.

— **შუა საუკუნეების იტალიასა და ესპანეთში ბიჭები სატრფოებს სარკმლის წინ, გიტარის ან სხვა სიმებიანი საკრავის აკომპანემენტით უმღეროდნენ. რა ერქვა ამ სიმღერებს?**

— სერენადა.

— **შენთვის უმღერიათ?**

— (*იცინის*) კი, და რა თქმა უნდა, ეს მიხაროდა. ყოველ შემთხვევაში, თაყვანისმცემელს თავზე წყალს არ ვასხამდი.

— **პოეზია გიყვარს?**

— ზომიერად.

— **„ველური მზერით გიყვარს თამაში,/ ჩემს წინ ამაყად ნებივრად დგომა,/ ძლივს დატეულხარ ვიწრო კაბაში/ შენ, გაზაფხული და შემოდგომა./ ჯანსაღი ფერით, მდიდარი ტანით/ მოხეთქილი ხარ, როგორც ჩანჩქერი,/ ჩემს წასალეკად და გასატანად/ და არსაიდან არ ჩანს საშველი“. ვინაა ამ ლექსის ავტორი?**

— ვერ გიპასუხებ.

— **შოთა ნიშნიანიძე. რა ჰქვია ბგერათა აღმავალ ან დაღმავალ თანამიმდევრობას ერთ ან რამდენიმე ოქტავას შორის?**

— გამა.

— **ჩარლი ჩაპლინი, სტივენ სპილბერგი, ელდარ რიაზანოვი, ფედერიკო ფელინი — ამათგან, რომელი იყო საკუთარი ფილმების სცენარისტი და მთავარი როლის შემსრულებელი?**

— ჩარლი ჩაპლინი.

— **ვინ არის ფილმის — „უძინართა მზის“ რეჟისორი?**

— (*ფიქრობს*)...

— **მიგანიშნებ, ამ ფილმმა 1992 წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვი“ მოიპოვა.**

— თემურ ბაბლუანი.

— **ფრინველთა ოჯახის რომელი წევრია მგალობელი?**

— როგორც ვიცი, მხოლოდ მამალი ფრინველები გალობენ.

— **რას იჭრიდნენ ძველი ბერძნები გლოვის ნიშნად?**

— თმას.

— **ეს ბერძენი პოეტი უიმედო სიყვარულის გამო, ლევკადიის კლდიდან აქაფებულ ზღვაში გადავარდა. დაასახელე იგი.**

— მინიშნება არ შეიძლება?

— **მისი გვამი ზღვის ტალღებმა კუნძულ ლესბოსზე გარიყა.**

— არ ვიცი.

— **საფო. დაბოლოს, დაასრულე თეოფილ გოტიეს ცნობილი გამონათქვამი: „ვისაც შეუყვარებული ადამიანი არ უნახავს, ის ვერ იტყვის...“**

— „...რა არის ქალი“.

■

# წიგნის კითხვის მანერა და ხასიათი

**ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ბუნება თითოეულ მის ჟესტში, მოძრაობასა და მოქმედებაში ვლინდება. თურმე, იმისდა მიხედვით, თუ კითხვისას როგორ ზიხარ, შენი ხასიათის თავისებურებები ჩანს.**

## კითხვისას წიგნი ხელებით გიჭირავს

ყოველდღიურ ცხოვრებაში ცივი, გულგრილი და აუღელვებელი ხარ. შეგიძლია ყველგან და ყოველთვის აკონტროლო და მართო შენი ემოციები. „რკინის ნიღბის" მიღმა იფარება შენი მისწრაფება — წინასწარ დაიცვა თავი გარშემო მყოფთა ზედმეტი ყურადღებისგან. ეს კი ნამდვილად ზედმეტია. ცოტა მოეშვი, განიტვირთე, მიიხედ-მოიხედე და დარწმუნდები, რომ ცხოვრება მშვენიერია.



## კითხვის დროს თავი ხელზე გაქვს დაყრდნობილი

სიმშვიდისა და შინაგანი ჰარმონიის იშვიათი უნარით ხარ დაჯილდოებული. ძნელად თუ აგაღელვებს რამე. შენს ახლობლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა შენში ენთუზიაზმის ნაპერწკალი გააღვივონ. ერთნაირი ხარ ყველგან — სახლში, სამსახურში, მეგობრებთან. მუდმივი სიმშვიდე — ნირვანა — ეს რა თქმა უნდა, შესანიშნავი რამაა, მაგრამ ცოტაოდენი ცეცხლიც და... ნამდვილად არ ინანებ.

## კითხვის დროს ხელები მუხლებზე გიწყვია

ემოციათა ზღვა — ეს შენი სტიქიაა. თუმცა, ამით კმაყოფილი ნამდვილად არ ხარ. მუდმივად გეშინია, რომ თავს ვერ გააკონტროლებ და ისეთ რამეს ჩაიდენ, რაც შენს გულსა და გონებას ეწინააღმდეგება. რატომ აკრიტიკებ გამუდმებით თავს? ხანდახან მართლაც შეიძლება „აფრების აშვება".

## წამოწოლილი კითხულობ

ბავშვური გულუბრყვილობა შენი მომხიბვლელობის მთავარი საიდუმლოა. ყოველთვის გაინტერესებს, რა ხდება შენ ირგვლივ. ხშირად გადასახლდები ხოლმე იმ წიგნის სამყაროში, რომელსაც კითხულობ. ეს ნამდვილად კარგად გამოგდის. ის კი არა და, ხშირად წაკითხულის მიხედვით ცხოვრობ. უნდა დაიმახსოვრო, რომ ზომიერების გრძნობა საუკეთესო რამაა. წიგნიერი გამონაგონი რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის არ გამოგადგება. გაფრთხილდი: ცაში აფრენილი, მოულოდნელად მიწაზე არ დაენარცხო.

## კითხვის დროს ფეხები სავარძე გაქვს შემოწყობილი

წიგნის კითხვის შენეულ მანერაში არის რაღაც არისტოკრატიული. თითქოს შენი სურვილით კი არ კითხულობ, წიგნები თვითონ „გთხოვენ" წაკითხვას და შენც, მათ დროსა და ყურადღებას იძულებით უთმობ. რა საჭიროა ასეთი ქედმაღლობა? წიგნებში ბევრ ისეთ რამეს იპოვი, რაზეც დაფიქრება ნამდვილად ღირს.

## სახეზე ხელებშემოჭდობილი კითხულობ

მგრძნობიარე, ნერვიული და მერყევი პიროვნება ხარ. დაძაბული კითხულობ და ცდილობ, სწორად გაიგო და ჩაწვდე წაკითხულს, დაიმახსოვრო იგი. იმიტომ ხომ არ შემოიჭდე სახეზე ხელები, რომ სულ პაწაწინა საინტერესო აზრიც კი არ გაგისხლტეს? ასე ძნელია შენთვის ერთ საგანზე კონცენტრირება? მერე რა?! შენნაირი ამქვეყნად ბევრია. ჯობს დამშვიდდე, მოეშვა, ნუ მოითხოვ საკუთარი თავისგან ბევრს და დანარჩენი თავად მოგვარდება. ■

# თუ ზურგამოჭრილი კაბის ჩაცმა გადაწყვიტეთ...

ზურგამოჭრილი კაბების ჩაცმა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყეს, მანამდე კი ზურგი კორსეტით იყო დაფარული.

ფსიქოლოგების აზრით, ყველაზე სექსუალური და ამავე დროს, გამოსასვლელი კაბა ის არის, რომელიც ზურგს „აშიშვლებს". კაბა ამოჭრილი ზურგით — ეს პროვოკაციაა: წინა მხარეს ყველაფერი დაფარულია, უკან კი ღია...

ზამთრის პერიოდში სხეულზე კანი შრება, იფიტება და იქერცლება. ამიტომ, კანი რომ იდეალური — გარეგნულად სუფთა და გლუვი, შეხებით კი ხავერდოვანი იყოს, ზურგის გასუფთავება-დატენიანებაზე უნდა იზრუნოთ. ზურგი არანაკლებ მგრძნობიარეა, ვიდრე მკერდი. მასზე ასობით ნერვული დაბოლოებაა განლაგებული. ამიტომაცაა, რომ ყველა ხერხემლიან ძუძუმწოვარს ფხანა და ზურგზე ხელის გადასმა ძალზე სიამოვნებს.



ზურგის დასაბანად გამოიყენეთ ჯაგრისი ან სახეხი. პროცედურის შემდეგ კი სხეულზე კრემი შეიზილეთ ან კოსმეტიკური რძე წაისვით.

ზურგის კანისთვის შეიძლება გამოიყენოთ იგივე ნიღაბი, რასაც სახისთვის იყენებთ; ძალზე ეფექტურია პილინგიც.

სანამ ზურგამოჭრილ კაბას ჩაიცვამდეთ, იზრუნეთ მის მაკიაჟზეც: მცირე ლაქები და სიწითლე ოქროსფერი ტონალური კრემით დაიფარეთ. ■

# ანტიდეპრესიული პრეპარატები თუ მსუბუქი ფლირტი?



სტრესი ორგანიზმს აუძლურებს. განერვიულებულ ადამიანს კი შეიძლება წვრილმანი საზრუნავიც გადაულახავ პრობლემად ექცეს. კარგი იქნება, თუ ნერვიულობას არ აჰყვებით და თავს სტრესული მდგომარეობისგან დაიცავთ. ამაში უპირველეს ყოვლისა, სუნთქვითი ვარჯიშები დაგეხმარებათ:

**1** მოძებნეთ მყუდრო ადგილი, სადაც ყურადღებას არავის გაგიფანტავთ და არც თქვენ შეუშლით ხელს ვინმეს. სკამზე ან იატაკზე დაჯექით, წელში გაიმართეთ, არ მოიხაროთ — ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია! დამშვიდდით და თვალები დახუჭეთ.

**2** მთელი ყურადღება სუნთქვაზე გადაიტანეთ. ისუნთქეთ ნორმალურად, მშვიდად. არ შეეცადოთ სუნთქვის გაკონტროლებას. ნება მიეცით სუნთქვის რიტმს, დამოუკიდებლად ჩადგეს ნორმაში.

**3** თუ ფიქრები (მით უმეტეს, უსიამოვნო), მაინც მოგეძალათ, შეეცადეთ, ნელ-ნელა ყურადღება ისევ სუნთქვაზე გადაიტანოთ.

**4** ამ მდგომარეობაში (ჩუმად და უმოძრაოდ) დაახლოებით 15 წუთი დაყავით.

**5** როცა თქვენი წარმოდგენით, ეს დრო გაივლის (საათის დანიშვნა საჭირო არ არის — ეს ყურადღებას გაგიფანტავთ), ნება მიეცით აზრებს, ყოველდღიურ საზრუნავს დაუბრუნდეს. მერე თვალები გაახილეთ.

### შეინარჩუნეთ ტონუსი

მართალია, დაღლილს დივანზე წამოწოლა ყველაფერს გირჩევნიათ, მაგრამ ფიზიკური დატვირთვის გარეშე, სტრესული სიტუაცია უფრო მწვავდება. შეეცადეთ, ირბინოთ ან სწრაფად იმოძრაოთ და კუნთები დაძაბოთ. მათი აქტივობა გულ-სისხლძარღვთა სისტემას წვრთნის, სხეულსა და ტვინს ჟანგბადით უფრო აქტიურად ამარაგებს. ეს აგიმაღლებთ ტონუსს და ენერგიით აგავსებთ. როცა ფორმაში ჩადგებით, დატვირთვა ნაკლებ ძალას წაგართმევთ. ძალზე ეფექტურია ყოველდღიური ვარჯიში, თუნდაც ეს მხოლოდ გასეირნება იყოს. იდეალური ვარიანტი კვირაში 3-ჯერ, 30 წუთით ვარჯიშია.

### შეიძინეთ ახალი სამოსი და...

დაბალი თვითშეფასება ხშირად ქრონიკული დაღლილობის მიზეზი ხდება და შეიძლება დეპრესიამდეც მიგიყვანოთ. თუ სამუშაოსადმი ინტერესს კარგავთ, ცუდად გძინავთ, წონაში მოულოდნელად იმატებთ ან იკლებთ, რიგით ცხოვრებისეულ პრობლემებს ვერ უმკლავდებით — ასეთი მდგომარეობიდან საკმაოდ მარტივი გამოსავალი არსებობს. შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი და მსუბუქი ფლირტით გაერთეთ. მიღებული სიამოვნება სულიერ სიმხნევეს შეგმატებთ და ანტიდეპრესიული პრეპარატები აღარ დაგჭირდებათ.

■

## ბრინჯი კარტოფილითა და კვერცხით



**მასალად საჭიროა:**
500 გ ბრინჯი;
4 ცალი კარტოფილი;
3 სუფრის კოვზი ცხიმი;
4 ცალი კვერცხი.

**მომზადების წესი:**
ბრინჯი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით, გადაიტანეთ თუშფალანგზე და გადაავლეთ წყალი. შეაზავეთ მარილითა და ცხიმით.

ქვაბის ძირზე დააწყვეთ გათლილი და რგოლებად დაჭრილი კარტოფილი, დააყარეთ მომზადებული ბრინჯი, დაახურეთ თავსახური და შედგით ცეცხლზე. თავსახური ხშირად მოხადეთ, მასზე წარმოქმნილი წვეთების გადასაწურად. როდესაც ზედმეტი სითხე აღარ წარმოიქმნება, თანაბარ ფენად დაასხით ათქვეფილი კვერცხი და ისევ დაახურეთ თავსახური. 3-5 წუთის შემდეგ კერძი მზად იქნება.

■

*რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა*

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი



# გულისთვის სასარგებლო 10 პროდუქტი

**გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რისკის შესამცირებლად საჭიროა დიეტა, რომელიც ღარიბია წითელი ხორცის ცხიმისა და შაქრის შემცველი პროდუქტებით და მდიდარია ხილით, ბოსტნეულით, თევზით.**

**გულისთვის სასარგებლო პროდუქტებია:**

**1. ორაგული**

ეს თევზი მდიდარია ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავით, რომელიც აქვეითებს თრომბის განვითარების რისკს და ორგანიზმისთვის საჭირო ქოლესტერინსაც შეიცავს. ორაგული ან სხვა ცხიმიანი თევზი, მაგალითად: თინუსი, ქაშაყი, სარდინი კვირაში ერთხელ მაინც უნდა მივირთვათ.

შეგიძლიათ მოამზადოთ კალმახი, ოღონდ გრილზე და მიირთვით ლიმონის წვენში შეზავებულ მწვანე ბოსტნეულთან ერთად — ასე შეამცირებთ თევზის კალორიულობას.

**2. ზეითუნის ზეთი**

ეს ზეთი აქვეითებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების რისკს (სისხლში ქოლესტერინის დაქვეითების ხარჯზე). კარგი იქნება, თუ კერძის მოსამზადებლად ზეითუნის ზეთს გამოიყენებთ.

**3. შვრია**

შვრია შეიცავს ხსნად ბოჭკოებს, ე.წ. ბეტა-გლუკანს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში ქოლესტერინის შემცველობის დაქვეითებას და საჭმლის მომნელებელი სისტემის სიჯანსაღესაც განაპირობებს.

საუზმეზე მოამზადეთ შვრიის ფაფა, დაუმატეთ მცირე რაოდენობით ყავისფერი შაქარი ან თაფლი, მარწყვი და კაკალი. ფაფის მოსამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ უცხიმო რძეც.

**4. ვაშლი**

ვაშლი შეიცავს კვარცეტინს, რომელსაც აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება და თრომბების წარმოქმნას უშლის ხელს. ეს ხილი მდიდარია ვიტამინებითა და უჯრედისით.

**5. ნუში**

ნუში შეიცავს ეთერზეთებს, ვიტამინ E-ს და სხვა სასარგებლო ნივთიერებას, რომელიც ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს არეგულირებს. ნუში მდიდარია ცილებითა და უჯრედისით.

ნუში შეგიძლიათ წვრილად დაჭრათ და მოხარშულ მწვანე ლობიოს მოაყაროთ.

**6. წითელი ღვინო**

წითელი ღვინო შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს (ანტიოქსიდანტი გულის მუშაობაზე დადებითად მოქმედებს). ეს სითხე აუცილებლად, ზომიერად უნდა მიიღოთ. კვლევებმა უჩვენა, რომ დღეში 1/2 ჭიქა ღვინის მიღება ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

**7. მსხვილად დაფქული მარცვლეულისგან მომზადებული ცომეული**

მსხვილად დაფქული მარცვლეულისგან მომზადებული პური ორგანიზმს ვიტამინებით უზრუნველყოფს და გულის სიჯანსაღეს უწყობს ხელს.

მოამზადეთ ბუტერბროდი ორი ნაჭერი პურის, მოხარშული ინდაურის ან ქათმის ხორცის, პომიდვრისა და ავოკადოსგან. მოგვიანებით დაუმატეთ მდოგვი.

**8. მწვანეფურცლოვანი ბოსტნეული**

ასეთი ბოსტნეული შეიცავს E ვიტამინს და ფოლიუმის მჟავას, რომელიც აქვეითებს ჰომოცისტეინის დონეს (იწვევს არტერიოსკლეროზს).

**9. პომიდორი**

პომიდორი შეიცავს უამრავ ვიტამინსა და ლიკოპენს, რომელიც გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკს ამცირებს.

**10. სოიის ცილები**

სოიის ცილები აფერხებს გულის შეტევის განვითარებას. ასევე, ცვლის ხორცის ცილას და მისი გამოყენება ორგანიზმში უჯერი ცხიმების დონეს აქვეითებს.

*სამეცნიერო კვლევებით დადგენილია, რომ სწორი დიეტის დროს გულ-სისხლძარღვთა განვითარების რისკი რამდენჯერმე მცირდება.* ■

# როგორ მოვიშოროთ სტრიები

სტრია არის კანის გაწელვის შედეგად მიღებული ლაქა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ჩნდება. მიზეზებს შორის აღსანიშნავია წონის მკვეთრი ცვლილება და ენდოკრინული დარღვევები (თირკმელზედა ჯირკვლების ჰორმონების ჭარბად გამომუშავება). პირველ შემთხვევაში სტრია თეთრი ფერისაა, მეორე შემთხვევაში — წითელი. უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად სტრია მართლაც წითელია, მაგრამ თანდათანობით თეთრი ხდება. თუ წითელი დარჩა, მაშინ აუცილებელია ენდოკრინოლოგთან ვიზიტი თირკმელზედა ჯირკვლის გამოსაკვლევად.

რაც შეეხება თეთრ სტრიებს — არსებობს წონის ცვალებადობასთან (ან ორსულობასთან) დაკავშირებული თეთრი სტრიების საწინააღმდეგო კრემები. მაგალითად: ციკატრიქსი, პრეგნაქეა, კონტრატუბექსი, კრემი სტრიებისთვის და სხვა. ეს კრემები, გარდა პრეგნაქეასი (ისიც, გინეკოლოგთან კონსულტაციის შემდეგ), ორსულობის პერიოდში არ იხმარება. ისინი რამდენადმე აღადგენენ (ხშირად სრული აღდგენა ვერ ხერხდება) დაზიანებულ კანს. ეს საშუალებები ახალწარმოქმნილი სტრიების შემთხვევაში უფრო ეფექტურია. გარდა ამისა, სტრიების მოსაშორებლად ეფექტურია მეზოთერაპია, მეზოპილინგი, პილინგი და ა.შ.

**სტრიების შემამცირებელი პროცედურა:**

1 ჭიქა შაქარი, 1 ჭიქა მარილი და 1/2 ჭიქა ზეთი კარგად აურიეთ. ეს ნარევი დაზიანებულ კანზე წაისვით, შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ და შეიზილეთ ტანის ნებისმიერი კრემი. პროცედურა ჩაიტარეთ ყოველდღე. შესაძლოა, ეფექტი ერთ თვეში შესამჩნევი იყოს, მაგრამ პროცედურა კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში ჩაიტარეთ.

## სტრიების საწინააღმდეგო კრემი

ასეთი კრემი მუმიოსგან (მოიკითხეთ აფთიაქებში) მზადდება. გაადნეთ 1

გ მუმიო 1 ჩ/კ მდუღარე წყალში. დაამატეთ 80-100 გ საბავშვო კრემი და მოათავსეთ სტერილურ ქილაში. ეს ნარევი პრობლემურ ადგილას დღეში ერთხელ უნდა შეიზილოთ. კრემი მაცივარში შეინახეთ.

*P.S. თუ სტრიები ახალწარმოქმნილ-ია, თითქმის სულ გაქრება და კანს ელასტიკურობა დაუბრუნდება.*

### სტრიების საწინააღმდეგო პილინგი

ერთმანეთში აურიეთ 150 მლ იოგურტი, 1 ს/კ ნუშის ზეთი, 1 ლიმონის კანი (გახეხილი). დაიდეთ დაზიანებულ კანზე, 20 წუთის განმავლობაში. ჩამობანისას მოახდინეთ პრობლემური კანის მასირება. ასეთი პილინგი გაიკეთეთ კვირაში 2-ჯერ.

აიღეთ 1 ავოკადო, 2 ს/კ კოსმეტიკური თიხა, 2 ს/კ შვრიის ფქვილი და 1 ს/კ ხორბლის ზეთი. ბლენდერში გააკეთეთ ავოკადოს პიურე, დაუმატეთ კოსმეტიკური თიხა, შვრიის ფქვილი და ბოლოს — ზეთი. ეს კრემი დაიდეთ პრობლემურ კანზე, გაიჩერეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში, შემდეგ კი ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეფექტი ერთ თვეში უნდა გახდეს შესამჩნევი.

აიღეთ 100 გ ახალი (ან გაყინული) ბაბუაწვერას ფოთლები, 75 გ ზეითუნის ზეთი, 1 ჩ/კ ალოეს წვენი და სისქის მისაცემად — შვრიის ფქვილი. ბაბუაწვერას ფოთლების, ზეითუნის ზეთისა და ალოეს წვენისგან გააკეთეთ პიურე, დაუმატეთ იმდენი შვრიის ფქვილი, რომ ნარევი კრემის კონსისტენციის გახდეს. კრემი (შეინახეთ მაცივარში) დაიდეთ პრობლემურ კანზე, გაიჩერეთ 5-10 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით. პროცედურა ჩაიტარეთ დილა-საღამოს.

### ალოე და ზეითუნის ზეთი

0,5 ჭიქა ზეითუნის ზეთი, 0,5 ჭიქა ალოეს წვენი, 5 წვეთი ვიტამიანი A და 10 წვეთი ვიტამინი E აურიეთ. ეს ნარევი შეინახეთ მაცივარში. ამ საშუალების გამოყენება მიზანშეწონილია სკრაბის შემდეგ.

### ყურძენი — სტრიების წინააღმდეგ

ახალგაჩენილი სტრიების მოსაშორებლად კარგია შავი ყურძნის წვენი. ყურძნისგან გააკეთეთ ფაფა (ანუ დასრისეთ) და დაიდეთ პრობლემურ კანზე 20-30 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი ჩამოიბანეთ. ერთ თვეში ეფექტი შესამჩნევი გახდება.

### თიხა

აურიეთ თანაბარი რაოდენობის მწვანე, რუხი და ცისფერი თიხა. დაუმატეთ თაფლი და ურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. დაიდეთ პრობლემურ ადგილზე ყოველღამე და ბინტით დააფიქსირეთ. ყოველ ჯერზე ახალი ნარევი უნდა მომზადდეს.

### მუმიო

2 ტაბლეტი მუმიო გაალღვეთ 50 მლ ტანის კრემში ან რძეში. უსიამოვნო სუნის გასაქრობად დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ფორთოხლის წვენი. სააბაზანოში გაიკეთეთ ყავის სკრაბი, შემდეგ კი მუმიოს კრემი წაისვით და არ ჩამოიბანოთ. პროცედურა ჩაიტარეთ ყოველდღე, ერთი თვის განმავლობაში.

■



# ჩასახვისთვის ხელსაყრელი დღეები

დაორსულების ალბათობა ყველაზე დიდია ოვულაციის დროს. ამ პერიოდის დადგენა ყველაზე ზუსტად ექოსკოპიური კვლევით ან საოვულაციო ტესტითაა შესაძლებელი.

ოვულაცია საკვერცხიდან კვერცხუჯრედის საშვილოსნოში გადასვლის პროცესია. ეს მომენტი დაახლოებით, ორ მენსტრუაციას შორის შუა პერიოდს ემთხვევა. თუმცა, ქალმა უნდა იცოდეს, რომ ორსულობის განვითარება მოსალოდნელია არა მხოლოდ იმ დღეს, როცა ოვულაცია მოხდა, არამედ მაშინაც, თუ სქესობრივი ურთიერთობა ოვულაციამდე სამი დღით ადრე (რადგან სპერმატოზოიდები განაყოფიერების უნარს სამი დღის განმავლობაში ინარჩუნებენ) ან ოვულაციიდან მეორე-მესამე დღეს (რადგან საშვილოსნოში გადასული კვერცხუჯრედიც ასევე, 2-3 დღეა განაყოფიერებისუნარიანი) ჰქონდა. თუმცა ოვულაციის ზუსტი დღის განსაზღვრა ზეპირად შეუძლებელია — ეს თარიღი მხოლოდ დაახლოებით შეიძლება გამოვიანგარიშოთ. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, განვიხილავთ 28-დღიანი მენსტრუაციის მაგალითს: თუ ქალს 28-დღიანი ციკლი აქვს, მაშინ ოვულაციის მოსალოდნელი დღეებია მენსტრუაციის მოსვლიდან მე-12 და მე-17 დღეებს შორის პერიოდი; თუ ამას დავუმატებთ იმ სამ-სამ დღეს (ოვულაციამდე და ოვულაციის შემდეგ), გამოდის, რომ განაყოფიერებისთვის მოსალოდნელი პერიოდია მენსტუაციის მოსვლიდან მე-9 და მე-20 დღეები ანუ ორსულობის განვითარების თეორიული შანსი თითქმის არ არსებობს მენსტრუაციის დაწყებიდან პირველი 8 დღის განმავლობაში და მომდევნო მენსტრუაციის მოსვლამდე 9 დღით ადრე, მაგრამ განაყოფიერების შანსი არსებობს ციკლის შემდგომი 11 დღის განმავლობაში.

ქალმა ოვულაციის დღეები უფრო ზუსტად რომ დაადგინოს, აფთიაქში საოვულაციო ტესტი უნდა შეიძინოს, რომელსაც მოჰყვება ინსტრუქცია. ეს ტესტი უნდა გაკეთდეს ოვულაციის სავარაუდო დღეებში, მაგალითად: 24-დღიანი ციკლის დროს მენსტრუაციის მე-8 დღიდან 10 დღის განმავლობაში, 25-დღიანი ციკლის შემთხვევაში — მე-9 დღიდან, 26-დღიანი ციკლის დროს — მე-10 დღიდან და ა.შ.

ტესტი უნდა გაიხსნას უშუალოდ მოხმარების წინ; გახსნამდე გაათბეთ ხელებით, შარდში ჩადეთ აკურატულად (ვერტიკალურად, ისრით ქვემოთ) და შედეგი ნახეთ 5 წუთის შემდეგ. საოვულაციო ტესტი შარდში ლუთეინური ჰორმონის არსებობაზე რეაგირებს და სწორედ აქედან გამომდინარე იძლევა ინფორმაციას ოვულაციის შესახებ.

■

**P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგება, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## ფიქრზე ერთგული...



ფიქრზე ერთგულ არაფერ,
არ გუჩენავ უფალს
ფიქრით ცა-მყარს შემიფრენ,
იმედს მიხვევ მფუთავს.
ფიქრით სამზეოს გავლევ,
ვისთანაც გულს უხარს,
ვისთანაც გინდ ჭერს იფარ,
გიჟიჯჟიჯებ ბუხარს.
ვისთანაც გინდ ლამაზად –
სოფელს გავლევ უქარს,
ფიქრზე ერთგულ არაფერ,
არ გუჩენავ უფალს...

*ეთერ თათარაიძე*

# სახსოვარი

## სულხან-საბა ორბელიანი

◆ბოროტი თვალი — ცეცხლს მინათვალი.

◆ყოველ სიტყვასა დრო უნდა, ლაპარაკს — მისი ადგილი.

◆თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითა.

◆სადა დადგომა არ ვარგა, გაცლა სჯობს გარიდებითა.

◆ვინ უსამართლოდ მახვილი ქარქაშით ამოაქანა, მისმან მახვილმან მისივე სისხლი დასთხიოს აქანა!

◆ენისა დანაკოდარი ხმლისაგან უარესია: ვერა მკურნალი ვერ არგებს, რაგინდ მჯობისა ზესია.

# ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი თემურ ივანიძე

## ლ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-23, 2011

**ლანქერი** — დამდნარი თოვლი, ღვარ-ად წამოსული.

**ლანძვი** (ძვ.) — ვიწრო და მაღალი ფანჯარა, სარკმელი, სანათური.

**ლაპი** — ზოგი ფრინველის (მაგ., ხოხბის, კაკბის, გნოლის) ბარტყი.

**ლაპოტი** — დიდი ცაცხვი (საბა); 2. ნავიდან წყლის ამოსახაპი ნიჩაბი; 3. ნავის ნიჩბის, გემის ბორბლის, სა-ჰაერო ხრახნისა.

**ლაჟვარდი** სპ. — 1. ძვირფასი ქვა ლურჯი ფერისა; 2. ღია ლურჯი ფერი (ცის მუდმივი ეპითეტია).

**ლარი** (ძვ.) — ძვირფასი ნივთეულო-ბა, განძი, საუნჯე.

**ლართხი** — ურემზე დაგებული ფი-ცარი.

**ლარტყა** — ოთხკუთხა ბრტყელი ძელი სხვადასხვა დანიშნულებისა.

**ლარტყულა** — ნივნივებზე (ნივნივი — ერთი იმ ორ ძელთაგანი, რომ-ლებიც თითო ბოლოთი ერთმანეთ-თან კუთხითაა შეერთებული, ხოლო მეორე ბოლოებით შენობას ეყრდნო-ბა და ქმნის სახურავის ჩონჩხს) დაჭედე-ბული ლარტყები.

**ლარძაყინი** — იგივეა, რაც ნივნივი.

**ლასტი** — წველის ბრტყელი წნული.

**ლატანი** — წვრილი და გრძელი ძელი (საბა).

**ლაფათა** — თონეში ლავაშის ჩასაკრავი ბალიში, ნამჯით, ჩალით გატენილი.

**ლაფათინი** — საქსოვი დაზგის სა-ვარცხლის ჩარჩო.

**ლაფარო, ლაფარე, ლაფარა** — ადგილი შენობის ირგვლივ, რომელ-საც სახურავის გამოშვერილი ნაწ-ილი ფარავს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# მორიგანი

## აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-23, 2011



მარი ჯაფარიძე

ძალზე შეშინებული, დამფრთხალი და შეშფოთებული ვიყავი, სანდროს კი ჩემს ნათქვამზე გულიანად გაეცინა.

— კარგი რა, მარგო, რამ შეგაშინა, ლევანი დარწმუნდა, რომ შენ არაფერ შუაში ხარ, მე და შენ მხოლოდ ნათესაური კავშირი გვაქვს და თუ რაიმე ეჭვი ჰქონდა, გაეფანტა.

— ლევანს შენც კარგად იცნობ და მაგის ილუზია არ უნდა შეგექმნას, — მაინც ჩემს აზრზე ვიდექი.

— მომისმინე, საყვარელო — არავითარ შემთხვევაში არ დაგთმობ. რაც უნდა მოხდეს, უკან დახევას არ ვაპირებ. უბრალოდ, ფრთხილად უნდა ვიყოთ და ეს ყველაფერი რომ ასეა, ეგეც შენი ბრალია. მოინდომა ჩემს სიმამრთან საქმის დაჭერა... უტვინოდ გადადგი ნაბიჯი და ახლა კეთილი ინებე და შენვე გამოასწორე სიტუაცია — დაშორდი ლევანს!

— მგონი, ავად ხარ, ისე აბდაუბდად ლაპარაკობ.

— მარგო, ჩვენი უერთმანეთოდ ყოფნა არ შეიძლება. ნავთი და ცეცხლივით ვართ, როცა ერთმანეთს ვხედავთ. ამიტომ არ გამოვა ის, რასაც შენ ამბობ — ჩვენ ერთმანეთს არ დავშორდებით.

— ერთმანეთი აღარ უნდა ვნახოთ, — მტკიცედ ვთქვი.

— მოკლედ, ახლა მეჩქარება, უნდა წავიდე. თუ გინდა, დღეს საღამოს ან ხვალ შევხვდეთ და ვილაპარაკოთ, — არც სანდრო აპირებდა თავისი პოზიციის დათმობას.

მისი სიჯიუტე უადგილოდ მომეჩვენა. პატარა ბავშვივით ჭირვეულობდა, რომელსაც სათამაშოს დათმობა არ უნდა.

— კარგი, კარგი, — ხელი ჩავიქნიე.

შემდეგი რამდენიმე დღე ისე გავიდა, არც სანდროს შევხვედრივარ და არც მნიშვნელოვანი რამ მომხდარა. ლევანი ჩვეულებრივად იქცეოდა და მასში ისეთი არაფერი იგრძნობოდა, რაც შეშფოთების მიზეზს მომცემდა. მის მიმართ შედარებით თბილი გავხდი. ეს თავადაც შენიშნა და ერთ დღეს მითხრა კიდეც, რას მივაწერო შენი ასეთი ცვლილებაო?! იმდენი საქმე აღარ მაქვს, როგორც აქამდე მქონდა, აღარ ვიღლები და ნაკლებად ვარ გაღიზიანებული-მეთქი, — ვუთხარი.

ანზორ შამუგიასთან დაკავშირებით რაღაცების გარკვევა ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. ლევანს ვაძალებდი, მის შესახებ ყველაფერი გაეგო — რად უნდოდა ჩემი ფოტოები, ვისთან თანამშრომლობდა, საიდან იღებდა ინფორმაციას, მაგრამ ის მამშვიდებდა, არაფერს დაგიშავებს, ნუ ნერვიულობო.

ერთ დღეს, როდესაც ღამით ლალისთან დავრჩი, სანდრო გამომეცხადა. შუაღამე უკვე გადასული იყო და მე და ლალი დასაძინებლად ვემზადებოდით.

— ასე გვიან რამ შეგაწუხა? — მივხვდი, არც ლალის ესიამოვნა მისი დანახვა.

— მარგოსთან საქმე მაქვს, რამდენიმე წუთით შემოვირბინე, — თითქოს თავი იმართლაო.

— რაშია საქმე, ტყუილად აქ არ მოხვიდოდი, ყავას დალევ? — რამდენიმე კითხვა ერთად დავაყარე.

— არა, ერთ კაცს შენი ნახვა სურს და უნდა გამომყვე.

— ეს ბრძანებაა, თხოვნა თუ შემოთავაზება?

— როგორც გინდა, ისე მიიღე, მაგრამ აუცილებლად უნდა წამოხვიდე.

— კარგი, ჩავიცვამ და მოვალ.

რამდენიმე წუთი მოვანდომე ჩაცმას. ოთახიდან რომ გამოვედი, ლალი და სანდრო რაღაცაზე იცინოდნენ.

— მარგო, ჭიშკარს ნუ ჩაკეტავ. რომ დაბრუნდები, აღარ გამაღვიძო.

— შეიძლება, შეაგვიანდეს, — უკვე კარიდან გასძახა სანდრომ.

— სანდრო, ხომ მშვიდობაა? ხვალ დილამდე ვერ მოითმენდა ეგ საქმე? — ვკითხე, როდესაც ადგილიდან დავიძარით.

— ვერა, მარგო, დილით შესაძლოა, გვიან იყოს.

დიღმის მასივში, ერთ-ერთ კორპუსთან გავჩერდით. ორიოდე წუთში გამხდარი, წვერიანი, წვრილთვალება მამაკაცი მოგვიახლოვდა და უკანა სავარძელზე მოთავსდა.

— გამარჯობა, — თითქოს მოვალეობის მოხდის მიზნით თქვა.

— გაგიმარჯოს, — მეც ასევე ვუპასუხე და დაველოდე, როდის გადავიდოდა საქმეზე.

— აგერ, ეს ნახეთ, — ყოველგვარი შესავლის გარეშე რაღაც გამომიწოდა.

გამოვართვი და დავხედე. სურათები იყო. ავღელდი, მაგრამ გარეგნულად სიმშვიდე შევინარჩუნე. ყველა გულდასმით დავათვალიერე — იგივე ფოტოები იყო, რომლებიც ანზორ შამუგიას კაბინეტში უკვე ნანახი მქონდა.

— კარგი ფოტოებია, — უკან გადავაწოდე ყველა.

— ეს თქვენთვის საშიშია, ქალბატონო, — „ქალბატონო“ ნამდვილი, მეგრული ლასით თქვა.

მაშინვე გულში ცუდად გამკრა — საიდან შეიძლებოდა, ეს ფოტოები ჰქონოდა?

— მერე? საშიში რომაა, რა ვქნათ? — გულგრილობას ვინარჩუნებდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ვღელავდი და ამასთან, ვბრაზობდი კიდეც. ვხვდებოდი, ახლა რაღაც ოინს მომიწყობდა, ეს ვირთხისთვალებიანი კაცი.

— ეს ფოტოები ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან მოხვდება და თქვენს კარიერას საფრთხე დაემუქრება. თანაც, აფხაზებმა რომ გაიგონ...

— სურათების სანაცვლოდ რას ითხოვენ?

— იმ თანხის უკან დაბრუნებას, რომელიც ტვირთის გაცილებაში აიღეთ და ერთი იმდენის დამატებას.

— ოჰო, კარგი მადა ჰქონიათ! იცი, რას გეტყვი? — უკან შევბრუნდი და თვალებში შევხედე. — სულ ფეხებზე მკიდია, ვინ რას გაიგებს; ბინძურ თამაშს თამაშობთ და ამის გამო ერთხელაც გაგაგორებენ.

— მე ამბის სათქმელად გამომგზავნეს, ქალბატონო, — მისი რბილი ლასი უკვე ძალიან მიშლიდა ნერვებს. სავარძელზე უცებ მუხლებით დავდე-

ქი, ცალი ხელით მისი საყელო ჩავბღუჯე, მეორით იარაღი ამოვიღე და შუბლზე დავადე.

— ეე, მარგო, რას აკეთებ? — სანდრომ სიტუაციის განმუხტვა სცადა.

— წადი და იმ შენს „ამბის დამბარებლებს“ უთხარი, დედიმისისას ნუ მიირთმევენ. ორმაგი თამაში სიკეთეს არ მოუტანთ. ზუგდიდში ჩავალ და ჩავაძაღლებ „ფოტოგრაფს“. გასაგებია? ასე გადაეცი... თუ გამშიფრეს, ეცოდინებათ, რომ მათი მიგნება არ გამიჭირდება. ეს სურათები კი ერთ ადგილზე გაიკეთონ! შენ კი — თუ კიდევ გაბედავ ჩემთან მოსვლას, იცოდე, ცოცხალს არ გაგიშვებ! გასაგებია?

— კი, — თვალები ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა, ისე ჰქონდა დაჭყეტილი.

— ჰოდა, ახლა წადი, რაც დაგაბარე, სიტყვასიტყვით გადაეცი და მეორედ ჩემთან მოსვლა აღარ გაბედო! — გავათავისუფლე თუ არა, მანქანიდან კი არ გადავიდა, გადაფრინდა. გზის მოპირდაპირე მხარეს მდგარ მანქანაში ჩაჯდა და მალე თვალს მიეფარა.

სანდრო ხმას არ იღებდა. როგორც ჩანს, დამშვიდება დამაცადა.

— შენთან როგორ მოხვდა ეს კაცი?

— რაღაც ვიეჭვე.

— ესენი ჩემთვის მუშაობენ.

— მაშასადამე, გამოდის, რომ იცოდი, სად ვიყავი? აფხაზეთში ჩემი წასვლის ამბავი შენთვის ცნობილი იყო?

— დიახ, ვიცოდი, სად იყავი და ისიც ვიცოდი, რას აკეთებდი. ჩემი საქმე ეგაა, მარგო, გავიწყდება?

— აქამდე რატომ არ მითხარი?

— სიმართლე რომ გითხრა, ფოტომასალა მხოლოდ დღეს ვნახე და იმიტომ. მანამდე უბრალოდ, გადმოცემით ვიცოდი.

— მაგრამ როგორც ჩანს, შენ ყველაფერი არ იცი — მათ შენზე ადრე ფოტოებიც და ინფორმაციაც ანზორ შამუგიას მიაწოდეს.

— არ არსებობს!

— „რსებობს“! და მერე — როგორ?!

— შენ საიდან იცი ეგ ამბავი?

— იმ დღეს, ლევანმა კინაღამ რომ წაგვასწრო მე და შენ, ანზორის მდივანი გამოგიგზავნე, მე კი მის კაბინეტში მომიხდა შესვლა და იქ ვნახე, მის მაგიდაზე. ლევანს ვუთხარი კიდეც.

— მაგათი დედები!.. — უწმაწურად შეიგინა სანდრომ.

— შენ ეს „კანალი“ იცოდი? — ნარკოტიკის გადასატან გზას ვგულისხმობდი.

— რა თქმა უნდა, აფხაზეთიდან ავღანური ჰეროინი შემოდის. ჩვენ ვაკონტროლებთ მხოლოდ იმას, რომ აქ არ დარჩეს ტვირთი. აზერბაიჯანში თუ გადავა, ამაზე პრეტენზია არ გვაქვს...

— სანდრო, მე მაგათ არ მივცემ იმის საშუალებას, რომ ნარკოტიკი აქ გაატარონ... ჰეროინის ტრანზიტისთვის სხვა გზა მოძებნონ.

— შენ ხელს ვერ შეუშლი. საკუთარ სიცოცხლეს დადებ სასწორზე.

— მერე რა? ფეხებს ვერ მომჭამენ... რადგან სამმაგ თამაშს აწვებიან, მიყურონ, როგორ უნდა თამაში.

— მარგო, ნუ ხარ ცანცარა. შენ გგონია, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს მოიყვანს? ეს ბიზნესი რამდენიმე მხრიდან კონტროლდება და თუ ტრანზიტისთვის გვიყენებენ, შესაბამის მაყუთს იხდიან იქ, სადაც საჭიროა და იმასთან, ვისთანაც საჭიროა. ასე რომ, შენ თუ მაგას ჩაშლი, არავინ დაგინდობს. მილიარდებზეა ლაპარაკი. მაგხელა ფულს შენ გამო არავინ დაკარგავს. არ გირჩევ. არ გირჩევ კი არა — გიკრძალავ!

— კარგი, როგორც იტყვი, — უცებვე დავეთანხმე სანდროს იმის გამო, რომ თავი დაენებებინა და ჭკუის დარიგებას მორჩენილიყო.

მერე რას ვიზამდი, ეგ უკვე ჩემი საქმე იყო და სულაც არ იყო აუცილებელი, სანდროს ყველაფერი სცოდნოდა.

— მარგო, პირობას მაძლევ, რომ მართლა დაანებებ თავს ამ საქმეს?

— ვნახოთ... მთლად დარწმუნებული არ ვარ. ავწონ-დავწონი ყველაფერს და შემდეგ გადავწყვეტ, — ტყუილის თქმაც არ მინდოდა.

— ჯიუტი ხარ, შენ არაფერი გამოგასწორებს. ამაღამ ჩემთან დარჩი, მარგო, — მოულოდნელად, საუბარი სრულიად განსხვავებულ კალაპოტში გადაიყვანა.

— გაგიჟდი?!

— ლევანმა იცის, რომ ლალისთან ხარ. საშიში არაფერია; მეც შინ დავიბარე, რომ შესაძლოა, არ მივიდე. ასე რომ, არაფერი გვაბრკოლებს.

— არა! არავითარ შემთხვევაში!

— მარგო, — ჩურჩულზე გადავიდა სანდრო, — ნუ ბრაზდები... მითხარი, რომ სულით და გულით გინდა ჩემთან, მაგრამ უარს იმის გამო ამბობ, რომ ლევანის რეაქციის გეშინია... ნარკობარონებს უნდა გადაველობო გზაზეო, 2 წუთის წინ ამბობდი... იმათი არ გეშინია და ლევანისი გეშინია?

სახე ნელა მომიახლოვა და ბოლო სიტყვებს უკვე ყურში ჩამჩურჩულებდა. თვალები თავისით დამეხუჭა. მისი სუნამოს სურნელმა ცხვირში შემიღიტინა... უფრო სწორად — ტვინში, რადგან აშკარად ვიგრძენი, ეს სურნელი როგორ გაუჯდა ტვინის ზედაპირს, შემდეგ მის სიღრმეშიც შეაღწია და აზროვნების უნარი დამიბინდა. ტუჩები უნებურად მივუშვირე საკოცნელად. სანდრომ, რა თქმა უნდა, შესაფერისი მომენტი ხელიდან არ გაუშვა და ტუჩებზე დამეწაფა. ახლა ტვინთან ერთად მთელ სხეულს გაუჯდა მისი ალერსის სურვილი. მზად ვიყავი, ყველაფერი დამეთმო, ოღონდ ამაზე უარი არ მეთქვა. მისი ხელები თამამად დასრიალებდნენ ჩემს სხეულზე და ეს ცეცხლზე ნავთს ასხამდა.

— წავიდეთ, მარგო, დროს ნუღარ დავკარგავთ, — ჩამჩურჩულა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

თავით სავარძლის საზურგეს მივეყრდენი და თვალები არც გამიხელია, სანამ მანქანა არ გაჩერდა.

დილით ადრიანად გამეღვიძა. სანდროს ისე ვყავდი ჩახუტებული, განძრევაც არ მინდოდა, რომ არ გამეღვიძებინა. ცხვირი მის მკერდში ჩავრგე და თვალები ისევ ნეტარებით მივლულე.

სასტუმროდან შინ მივედი, ტანისამოსი გამოვიცვალე და მაშინვე სამსახურში წავედი.

ლევანი არც მინახავს, რადგან თათბირი არ ჩატარებულა. შუადღისას საშასთან წავედი. ბარგი შეეკრა და გასამგზავრებლად ემზადებოდა.

— სოხუმში მიდიხარ? — ვკითხე და ჩანთაზე ვანიშნე.

— კი.

— ალბათ აღარ დამიძახებენ მაგ საქმეზე, — დანანებით ვთქვი.

— მარგო, რაღაც უნდა გითხრა — ინფორმაცია მაქვს, რომ შენზე არასასიამოვნო ხმები გავრცელდა. მე დამავალეს რაღაცების გადამოწმება. რასაც გავიგებ, ყველაფერი უნდა მივაწოდო, რადგან დარწმუნებული ვარ, ჩემს იმედად არ იქნებიან და იმავე დავალებას სხვასაც მისცემდნენ. ჩვენი ინფორმაცია ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. შარში თავს ვერ ჩავიგდებ. ამიტომ გირჩევ, თუ რაიმე არასასურველი ფაქტი არსებობს შენ წინააღმდეგ, რაღაცნაირად მოახერხო მისი დამალვა. შენ მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი და ამას იმიტომ გეუბნები. სოხუმში ალბათ რაიმე ახალ დავალებას ან ინფორმაციას მივიღებ შენზე — რა მიმართულებით უნდა ვიმუშაო და რომ დავბრუნდები, ყველაფრის; გამოკვლევა მომიწევს. ასე რომ, მზად იყავი. თუ ხვდები, რომ ამის საჭიროება

**ის იყო, წამოდგომას ვაპირებდი, რომ უეცრად თავზე 2 მამაკაცი წამომადგა. ერთმა ხელები გამიკავა და ქამარში გაყრილი პისტოლეტი ამომაცალა**

არსებობს, ქვეყანაც დატოვე. ეს ხალხი არასოდეს ხუმრობს და მათთან თამაში არ შეიძლება.

— საშა, ნუ ინერვიულებ, საშიში არაფერია, ჩემ წინააღმდეგ რამეს თუ შეთითხნიან, თორემ რეალურად ვერაფერს ნახავენ.

საშა კი დავამშვიდე, მაგრამ ავნერვიულდი. მიუხედავად ამისა, ჩემს გადაწყვეტილებაზე, რომ აფხაზების საქმიანობისთვის ხელი შემეშალა, უარი არ მითქვამს.

გამოვთვალე, დაახლოებით რა დრო დასჭირდებოდა საშას უკან დასაბრუნებლად ანუ როდის იქნებოდა ტვირთი „წითელ ხიდზე“ და „სპეცოპერაცია“ დავგეგმე.

ლაშას დავუკავშირდი და დახმარება ვთხოვე. მანამდე საბუთი შევადგინე, რომელიც ჩხრეკის უფლებას მანიჭებდა. ასეთ საბუთზე ხელმოწერა ჩემი თანამდებობისთვის სავსებით შესაძლებელი იყო და არ გამჭირვებია. ისღა რჩებოდა, საშას და მის ტვირთს ჩავსაფრებოდი.

2 დღე ვიყურყუტეთ საზღვარზე მე და ლაშამ. მესამე დღეს, როგორც იქნა, გაგვიმართლა და საშას თვალი მოვკარი. სატვირთო მანქანებს თვალი გადავავლე და იოლად ამოვიცანი, რომელში იქნებოდა საჭირო ტვირთი. როდესაც გამშვებ პუნქტთან მივიდა, მესაზღვრეებს საჭირო დოკუმენტი წარვუდგინე და ჩხრეკა მოვითხოვე. მანქანა სპეციალურ სადგომზე გადაიყვანეს და დაცალეს. მეორადი ტანისამოსით სავსე ფუთები დაშალეს, მაგრამ შიგ ვერაფერი აღმოაჩინეს. ლამის გავგიჟდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ რამდენიმე კილოგრამი ნარკოტიკი იყო. ხელცარიელი იქიდან გამობრუნებას არ ვაპირებდი. დაშლილ ფუთებთან დავდექი და დავიწყე ფიქრი — ტვირთის პატრონი რომ ვყოფილიყავი, სად დავმალავდი? ვიდრე სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლს მოიყვანდნენ, ლაშასთან ერთად ტანისამოსის ჩხრეკა დავიწყე. ეს ჯოჯოხეთური სამუშაო იყო, მესაზღვრეებიც მოგვეხმარნენ და ჩემი ვარაუდი გამართლდა — მცირე ულუფებად დაფასოებული ჰეროინი ტანისამოსის ჯიბეებში იყო ჩალაგებული. ძაღლების დახმარებით თითქმის ყველა აღმოვაჩინეთ — მთელი ღამე ვმუშაობდით.

ამ ფაქტის გამო განგაში ატყდა. ჟურნალისტები მაშინვე მოცვივდნენ, ყველაფერი გადაიღეს. მესაზღვრეებს დავუთმე „დიდება“, მე კი თვალს მივეფარე.

ახლა საჭირო იყო შემდგომი გეგმის დასახვა. ამ ფაქტის გახმაურება მეც მაძლევდა ხელს, რადგან ახლა ანზორ შამუგიას ის ჩემი ფოტოები ნამდვილად „ოხრად“ დარჩებოდა და ჩემ წინააღმდეგ სამხილად ვერ გამოიყენებდა. ახლა უკვე არსებობდა მიზეზი, რითაც ჩემს აფხაზეთში წასვლას გავამართლებდი.

ლევანისგან საყვედური მივიღე ამ ყველაფრის გამო. მადლობის მაგივრად საყვედური გამომიცხადეს. სამსახურში ყველას ჩემი თვითნებობა ეკერა პირზე. მაგრად გავიხლართე.

რამდენიმე დღის შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე საშასგან შეტყობინება მივიღე — მოსკოვში ვარ და აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს შენთვისო.

ლევანს ვუთხარი, რამდენიმე დღით მოსკოვში უნდა წავიდე-მეთქი. რაღაცნაირად ჩაიცინა. არ მესიამოვნა, მაგრამ მივიჩნიე, რომ უბრალოდ, მომეჩვენა და ყურადღება აღარ გავამახვილე. გაშვებაზე უარი არ უთქვამს, მაშინვე დამთანხმდა, რამდენი ხნითაც გინდა, წადიო.

წასვლამდე სანდროსაც შევხვდი და გულახდილად მოვუყევი ყველაფერს. ისიც ვუთხარი, რატომ მივდიოდი მოსკოვში. არაფერი უთქვამს. გაჩუმებული მისმენდა და მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია — მეგონა, ჩემი წასვლის ამბავი არ ესიამოვნა-მეთქი.

სახლში შევიარე. დედა არ დამხვდა — ისევ კლინიკაში იწვა. ჩანთა დავტოვე, ცოტა დავისვენე და საშას მიერ წერილში მითითებულ მისამართზე გავეშურე. კარგა ხანს ვრეკავდი ზარს კარზე, მაგრამ არავინ გამომხედა. შიგნიდან ჩართული ტელევიზორის ხმა გამოდიოდა და ვიფიქრე, შესაძლოა, ტელევიზორთან ჩაეძინა და ზარის ხმა არ ესმის-მეთქი. სახელურს დავაწექი და კარი შეიღო. ზღურბლზე თამამად გადავაბიჯე. ოთახში შესული გავხევდი. საშა კედელთან ჩაკეცილიყო, იქვე სისხლის გუბე იდგა. მივხვდი, მკვდარი იქნებოდა და ვიდრე მას მივუახლოვდებოდი, ოთახი მოვათვალიერე. დივანზე გაშლილ სურათებს ვკიდე თვალი და კარგა ხანს გაოგნებული დავყურებდი. მასზე ჩემი და სანდროს სასტუმროში გატარებული ღამე იყო აღბეჭდილი. ყველა წამი, ყველა პოზა გადაღებული ჰქონდათ. სურათების ხარისხით მივხვდი, რომ კადრები ვიდეოჩანაწერიდან იყო ამოღებული. სახეზე ალმურმა გადამკრა. ვიფიქრე, საშას სწორედ ამ თემაზე სურდა საუბარი და ალბათ ჩემს გაფრთხილებას აპირებდა, საშიშროება გელისო, მაგრამ არ დასცალდა — ვიღაცამ სიცოცხლეს გამოასალმა. აზრზე რომ მოვედი, საშას მივუახლოვდი და ჩავიმუხლე. პირველ რიგში პულსი შევუმოწმე, თან იატაკს ვათვალიერებდი — მკვლელობის იარაღს ვეძებდი, მაგრამ ახლომახლო ვერაფერი შევნიშნე. როგორც ვვარაუდობდი, გულის ცემა არ იგრძნობოდა — ერთი გასროლით მოეკლათ. საწყალს, თვალები ღიად დარჩენოდა. ტყვია კი შუბლში ჰქონდა დახლილი, როგორც ჩანს — მიბჯენით, რადგან სისხლი კედელზე იყო მისხმული და სახეზე მხოლოდ რამდენიმე ნაკადად ჩამოდენილი. შორიდან რომ ესროლათ, შუბლი გაგლეჯილი ექნებოდა, სახე — დასახიჩრებული. მას კი მხოლოდ ნატყვიარი ემჩნეოდა. ის იყო, წამოდგომას ვაპირებდი, რომ უეცრად თავზე 2 მამაკაცი წამომადგა. ერთმა ხელები გამიკავა და ქამარში გაყრილი პისტოლეტი ამომაცალა.

— თანამშრომელი ვარ, პოლიციელი, საბუთი ჯიბეში მაქვს, — ვცადე, მათგან თავი დამეხსნა, მაგრამ ორივემ გაიცინა და არც დაინტერესდნენ, მართლა მქონდა თუ არა პირადობის ან პოლიციელის დამადასტურებელი საბუთი.

მათ სახეებს რომ შევხედე, გონებაში წამიერად წინა რამდენიმე დღემ გამიელვა და მაშინ მივხვდი, რომ ხაფანგში გამაბეს და ეს ხაფანგი ლევანის დაგებული იყო — ამას სურათები მოწმობდა. ჩვენი ნაცნობობის პირველ დღეს ნათქვამი, მისი სიტყვებიც ამომიტივტივდა გონებაში — დიდი სიყვარული შემიძლია, მაგრამ ამასთან — დიდი სიძულვილიც და ეცადე, ჩემი სიძულვილი არ დაიმსახურო, თორემ ამ დროს ძალზე სასტიკი ვხდებიო. თქვა და შეასრულა კიდეც... ძალზე სასტიკად მომექცა — გამწირა და ღმერთმა იცოდა, რაიმე საშველი არსებობდა თუ არა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ხაფანგში



დასაწყისი იხ. „გზა“ №19-23

რუსუდან ბერიძე

## თავი VI

ორდენიძემ შეფს გაკვირვებულმა შეხედა.

— რას მიყურებ? — შეუბღვირა ხელქვეითს პოლკოვნიკმა. — ვერ ხვდები, რომ საქმეს შველა უნდა?

— ამ გზით?

— თუნდაც!

— რა უნდა აღიაროს სეხნიაშვილმა?

— თავს ნუ იშტერებ! — ხმას აუწია პოლკოვნიკმა.

— მართლა ვერ ვხვდები, ბატონო კახაბერ, რა გაქვთ ჩაფიქრებული? — თავის მოკატუნებას აგრძელებდა ორდენიძე.

— იოსებიძის მკვლელობა უნდა აიღოს თავის თავზე.

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! — გააწყვეტინა გამომძიებელს პოლკოვნიკმა. — უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია. სეხნიაშვილი იოსებიძის მკვლელობას აღიარებს, მისი მეზობელი კი დაადასტურებს, რომ მოხუცი სეხნიაშვილის სიკვდილი უბედური შემთხვევის ბრალი იყო.

— მერე მკვლელობის იარაღი?

— რა მკვლელობის იარაღი? — გაუკვირდა პოლკოვნიკს. — დაგავიწყდა, რომ სეხნიაშვილის ბებიამ თავი მაგიდის კიდეს ჩამოჰკრა?

— იოსებიძის მკვლელობის იარაღს ვგულისხმობ. ის დამბაჩა ხომ უკვე ლაზიშვილის საქმეშიც გამოჩნდა?

— გადამრევს ეს კაცი! — ხელები გაშალა პოლკოვნიკმა. — ამდენი ტყუილად გელაპარაკე? სეხნიაშვილს „დამწვარ“ იარაღს მივუგდებთ, ის ავადსახსენებელი დამბაჩა კი აღარ გამახსენო!

ორდენიძე დარწმუნდა, რომ ურთმელიძეს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა და ხმა აღარ ამოუღია. ამის შემდეგ ოთახში სიჩუმე ჩამოწვა და უფროსი და ხელქვეითი ერთმანეთს თვალით ზომავდნენ.

— აღარ გამახსენო-მეთქი! — კიდევ ერთხელ გაიმეორა ურთმელიძემ და თავი ხელებში ჩარგო. — ღმერთო, ნეტავ, ოდესმე თუ დამთავრდება ეს კოშმარი?

— ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, ბატონო კახაბერ! — უფროსის წამიერი სისუსტით სასწრაფოდ ისარგებლა გამომძიებელმა. — თუ ცოტა დროს კიდევ მომცემთ, პირობას გაძლევთ, რომ იოსებიძის მკვლელს...

— კმარა! — მაგიდას მუშტი გამეტებით დასცხო პოლკოვნიკმა. — ვიცი, შენი ცოტა დრო! სანამ ყველა ოხერსა და მამაძაღლს საფლავში არ ჩაჰყვები, არ მოისვენებ! „ზემოთ“ უკვე ვუპატაკე, რომ იოსებიძის მკვლელი ავიყვანეთ-მეთქი, გასაგებია?

— გასაგებია, — ამოიოხრა ორდენიძემ და ფეხზე უხალისოდ წამოდგა.

— სად მიდიხარ? — გაუკვირდა პოლკოვნიკს. — ჯერ ლაპარაკი არ დამიმთავრებია.

— უკაცრავად, — სკამს დაუბრუნდა გამომძიებელი, — მომეჩვენა, რომ...

— როცა რამე გეჩვენება, პირჯვარი უნდა გადაიწერო.

— ჰმ... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ორდენიძემ.

— რა იყო?

— ისეთი არაფერი. უბრალოდ, ამ „ღვთიურ“ გარემოში, — ჰაერში ხელით სივრცე შემოხაზა გამომძიებელმა, — პირჯვრის გადაწერას ვერ ვბედავ.

— ეგ უკვე შენი პრობლემაა, — მაგიდაზე ხელის თითები არხეინად აათამაშა პოლკოვნიკმა, რომელმაც ორდენიძის ირონიას ყურადღება არ მიაქცია, — თუმცა რა გასაკვირია? შენ ხომ, ბნელი და უღმერთო კომუნისტური წარსულის ერთ-ერთი ტიპური გადმონაშთი ხარ.

— თან, იმდენად მძიმე გადმონაშთი, რომ ვერაფრით მომიშორეთ, ხომ?

— კარგი, მოვრჩეთ სისულელეებს, — მაგიდას ახლა გაშლილი ხელი დაჰკრა პოლკოვნიკმა, — ქვეყნის საქმე გვაქვს მოსაგვარებელი. ამიტომ, ასე მოვიქცეთ: — ახლა იმ ბიჭთან შეხვალ საკანში და ყველაფერს გასაგებად აუხსნი.

— ავუხსნი, მაგრამ რომ არ დაგვეთანხმდეს?

— კიდეც შეგვეხვეწება, — ბოროტად ჩაეცინა ურთმელიძეს, — ჯერ ხომ იოსებიძის საქმის მოგვარების მეორე ვარიანტზე არ გადავსულვარ.

— პირველზე უარესია?

— გააჩნია — ვისთვის, — თვალები ეშმაკურად მოწკურა პოლკოვნიკმა, — თუ ის ბიჭი გაჯიუტდება, უთხარი, რომ მაშინ მარტო ბებიამისისა და იოსებიძის კი არა, ლაზიშვილის მკვლელობასაც ადვილად ავკიდებთ.

— როგორ?

— როგორ და, ჩემი მეორე ვარიანტის თანახმად, სეხნიაშვილმა გაიგო, რომ იოსებიძეს სახლში დიდი თანხა ჰქონდა, მას კი ფული სჭირდებოდა. ამიტომ, კუზიანი მოკლა და ფული მიითვისა. შეიძლება, ყველაფერი ხახვივითაც შერჩენოდა, ეს ამბავი სიმთვრალეში მეგობართან რომ არ წამოსცდენოდა. როცა გამოფხიზლდა, მიხვდა, რა სისულელეც ჩაიდინა და, ამიტომ, როგორც კი დრო იხელთა, მეგობარიც იოსებიძის გზას გაუყენა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სეხნიაშვილს ამ 2 ვარიანტიდან ერთ-ერთის ამორჩევა მოუწევს.

— 2 ვარიანტიდან თუ 2 ბოროტებიდან?

— ეგ უკვე თქვენ გაარკვიეთ, — ფეხზე წამოდგა პოლკოვნიკი, რაც საუბრის დასრულების ნიშანი იყო.

ორდენიძეც მაშინვე ადგა და წელში საგულდაგულოდ გასწორდა:

— პასუხი როდის უნდა მოგახსენოთ?

— რა პასუხი? — უცბად ვერ მიუხვდა ურთმელიძე.

— სეხნიაშვილის პასუხი თქვენს ერთმანეთზე უკეთეს ვარიანტებზე.

— დღესვე. თან, — პასუხი კი არა, უტყუარი დასტური, — შეუსწორა კმაყოფილმა პოლკოვნიკმა ხელქვეითს...

— სულ გაგიჟდა ეს კაცი! —

კარის მიჯახუნებისთანავე აბურტყუნდა საკუთარ კაბინეტში დაბრუნებული ორდენიძე.

— ასეთი მაინც რა გითხრა? — დაინტერესდა ლეკიშვილი.

— სეხნიაშვილისთვის აპირებს იოსებიძის მკვლელობის აკიდებას.

— ხომ გითხარი, უკვე ყველაფერი „გაიასნებული“ აქვს-მეთქი?

— ეს „გაიასნება“ რა უბედურებაა? — შეუღრინა თანაშემწეს მდგომარეობიდან გამოსულმა ორდენიძემ. — ქართული სულ დაგავიწყდა?

— კი, ბატონო, „გარკვევა“ იყოს, მაგრამ ამით საქმის არსი ხომ არ იცვლება?

— ამით — არა, მაგრამ რაღაც გზა აუცილებლად უნდა მოვძებნოთ, — ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა ორდენიძე, — აბა, მართლა უდანაშაულო ადამიანს ხომ ვერ გამოვამწყვდევთ ციხეში?

— ეგეთები გამოუმწყვდევიათ?.. — დამნაშავესავით გაეღიმა ლეკიშვილს. — თან, სეხნიაშვილის ამბავი ურთმელიძისთვის მართლა მისწრებაა: ასეა თუ ისე, ეს ბიჭი ბებიამისის სიკვდილში ხომ მაინც არის ეჭვმიტანილი?

— ჰოდა, პასუხსაც ამისთვის აგებს, — წასასვლელად მოემზადა გამომძიებელი.

— საით, შეფ? — ფეხზე წამოხტა ლეკიშვილიც.

— სეხნიაშვილის დასაკითხავად.

— დასაკითხავად თუ დასამუშავებლად? — გამომძიებელმა ხელქვეითს პასუხად ერთი შეუბღვირა და კარი გაიჯახუნა...

„იმ დღეს პურის საყიდლად ადრიანად გავედი. ჩემი ცოლი — მარიკა კი შინ დარჩა და სადილის თადარიგი დაიჭირა. უკვე დილიდანვე იგრძნობოდა, რომ წინ ივლისის ცხელი დღე გველოდა. ჩვენი საცხოვრებელი კორპუსიდან ორსართულიან სუპერმარკეტამდე სწორი, მოასფალტებული ბილიკი მიდის, სადაც ოციოდე წლის გადაფითრებულ გოგონას გადავეყარე, რომელთან შეხვედრამაც ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. თავიდან გოგონა ჩვენს ქალაქში იმ მომრავლებულ მოზარდ ნარკომანთაგან ერთ-ერთი მეგონა, დოზის ფულისთვის, ნებისმიერ გამვლელს ნებისმიერ მომსახურებაზეც კი რომ არ ეუბნებიან უარს. მაგრამ კარგად რომ დავაკვირდი, იმდენად კოპწია და მომხიბლავი აღმოჩნდა, რომ სულმა წამძლია და გამოველაპარაკე.

— საშოვარზე ხარ გამოსული? — ვკითხე და, თან, გულმოდგინედ ავათვალიერ-ჩავათვალიერე.

— პირიქით, — მშვიდად მიპასუხა მან, — შემიძლია, ფული იქით გაშოვნინოთ.

— რას მელაპარაკები? — დამცინავად გამეღიმა. — მაინც როგორ?

— ჯანმრთელი ორგანიზმი გაქვთ?

— საკმაოდ. მაგრამ ჩემი ჯანმრთელობა რა შუაშია?

— „საყოველთაო რეაბილიტაციის“ წარმომადგენელი ვარ.

— ვისი წარმომადგენელი?

— ფირმაა ასეთი.

— რაო თქვენმა ფირმამ, ვის ან რის რეაბილიტაციას ვახდენო?

პასუხის ნაცვლად, გოგონამ მომხიბლავად გამიღიმა და ბილიკიდან მოშორებით, მტირალა ტირიფების ჩრდილში შემალული ხის გრძელი სკამისკენ მანიშნა:

— თუ არ გეჩქარებათ, ჩამოვსხდეთ და ყველაფერს აგიხსნით.

მეჩქარებოდა რომელია. მარიკას მტკიცედ შევპირდი, გასული არ გეგონები, რომ შინ გავჩნდები-მეთქი, მაგრამ გოგონას რატომღაც მონუსხულივით ავედევნე.

როგორც კი სკამზე დავსხედით, მან ხელჩანთა გახსნა და „კენტის“ კოლოფი ამოიღო:

— მოსწევთ?

— რატომაც არა, — სავსე კოლოფიდან სიგარეტის ღერი წვალებით ამოვაძვრინე და ჯერ მის და შემდეგ კი საკუთარ სიგარეტსაც ჩემი სანთებლით მოვუკიდე. გოგონამ სიგარეტი ხარბად მოქაჩა და ბოლი რგოლებად გამოუშვა:

— რამდენიმე კითხვაზე უნდა მიპასუხოთ.

— რამდენზეც გაგიხარდება, — სიგარეტი გემრიელად გავაბოლე მეც.

ამის შემდეგ გოგონამ ხელჩანთიდან ნატურალური ტყავისყდიანი ბლოკნოტი და ძვირფასი ავტოკალამი ამოიღო.

ამის დანახვაზე ხასიათი გამიფუჭდა და ფეხზე მაშინვე წამოვდექი.

— სად მიდიხართ? — გაუკვირდა გოგონას.

— რაღაც არ მომწონს ეს ყველაფერი. არა მგონია, სიმართლეს ამბობდე.

— რას გულისხმობთ?

— მითხარი, ვინ ხარ?

— ხომ გითხარით, ფირმა — „საყოველთაო რეაბილიტაციიდან“ ვარმეთქი.

— აჰ, ასე, ხომ? მაშინ არც სარეაბილიტაციო მჭირს რამე და არც შენს სულელურ კითხვებზე ვაპირებ პასუხის გაცემას.

— აღარც ფულის შოვნა გინდათ? — ამოღამებული თვალები სევდიანად შემომანათა მან.

— ფულზე უარს ვინ იტყვის, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, ვინ და რაში მიხდის? — უკან მაინც არ დავიხიე.

— სხვათა შორის, დიდ ფულზეა ლაპარაკი, — ბლოკნოტი საქმიანად გადაშალა გოგონამ.

— მაინც რამდენზე?

— თუ გაგიმართლათ, 5.000 აღებასაც ადვილად შეძლებთ...

— 5.000 ლარის? — გაოცებისგან თვალები გამიფართოვდა.

— რატომ ლარის? 5.000 დოლარი ვიგულისხმე. ხოლო თუ...

— მკითხე, რაც გინდა! — აზრის დამთავრება აღარ ვაცალე. — ყველა კითხვაზე გიპასუხებ.

— მაშინ დავიწყოთ: — თქვენი გვარი?

— ედიშერაშვილი.

— სახელი?

— ტატო, ტარიელი.

— სქესი?

— მამრობითი.

— ეროვნება?

— ქართველი.



— ასაკი?

— ორმოცდაათის ვარ, მაგრამ ალბათ, დამეთანხმები, რომ ბევრად უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურები, — მაცდურად გავუღიმე

გოგონას, მაგრამ მას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და განაგრძო.

— ამ ასაკში დისტროფია, ფილტვების ემფიზემა, გასტრიტი, კოლიტი, პარკინსონი, ტუბერკულოზი, ჰიპერტონია, დიაბეტი, ეპილეფსია და შიზოფრენიაც კი უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ დაავადებებიდან რომელიმე ხომ არ გჭირთ ან ადრე ხომ არ გადაგიტანიათ?



— ხომ გითხარი, ხარივით ჯანმრთელი ვარ-მეთქი. შენ კიდევ ათასი უბედურება ჩამომითვალე. რა, გგონია, ფულს რომ ავიღებ, წამლებსა და მკურნალობაში დავხარჯავ?

— ეგ არ მითქვამს, — მშვიდად მიპასუხა გოგონამ.

— მართლა, სულ დამავიწყდა, რა გქვია?

— ნანუკა... რა პროფესიის ბრძანდებით?

ამ კითხვაზე წამით დავფიქრდი და ამის შემდეგ ვუპასუხე:

— ალბათ, სოციოლოგი.

— როგორ გავიგო?

— როგორ და პირდაპირ. ჩვენს ქვეყანაში ხომ უკვე ყველაფერი ისეა არეულ-დარეული, რომ ვინ ვინ არის და რა პროფესიის, ძნელად გაარკვევ. ანდა, ვის სჭირდება შენი განათლება და გამოცდილება? ასე რომ, სოციოლოგი ჩაწერე. უფრო კონკრეტულად — სოციალური კონფლიქტების სპეციალისტი.

— ინტელექტის ინდექსი?

— რაო?

— არაფერი, — ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა ნანუკამ.

ალბათ, მინუსი დამიწერა, — გავიფიქრე.

— ოჯახური მდგომარეობა?

— მყავს მეუღლე და 2 ზრდასრული შვილი... იქნებ მაინც ამიხსნა, რად გინდა ეს ყველაფერი?

— ცოტაც მოითმინეთ, რა, — უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა შუბლი გოგონამ, — რამდენიმე კითხვა დამრჩა. თქვენი საყვარელი ფერი?

— წითელი, — დაუფიქრებლად წამოვისროლე, მაგრამ მაშინვე დავუმატე: — არა, წითელი კი არა, მწვანეა ჩემი საყვარელი ფერი.

— საყვარელი საჭმელი?

— მწვადი, ხინკალი, კუპატი, ხაჭაპური... მოკლედ, ყველაფერი, რაც ნოყიერი და გემრიელია. თან, ბლომადაც მივირთმევ ხოლმე.

— სექსუალური ორიენტაცია?

— კარგი, რა, ნანუცუნა, ნუ გამაწითლე... არ მეტყობა თუ რა?

ჩემს პასუხზე გოგონას როგორც იქნა, გაეღიმა და მეც მაშინვე იმედი მომეცა, რომ ჩვენი ეს უაზრო თამაში შეიძლება, რაღაც სერიოზულშიც გადაზრდილიყო.

— სისხლის ჯგუფი?

— II. M

— განსაკუთრებული გატაცება?

— რაღა დროს ჩემი განსაკუთრებული გატაცებებია? ისე, ადრე წიგნების კითხვა მიყვარდა.

— როგორი ქალები მოგწონთ?

— როგორი და ლამაზი.

-— მსუქნები, გამხდრები, ახალგაზრდები თუ ასაკოვნები? — კითხვა დამიკონკრეტა გოგონამ.

— სანამ არ მეტყვი, ეს ყველაფერი რაში გჭირდება, აღარ გიპასუხებ, — ისევ გავჯიუტდი.

ნანუკამ კი ბლოკნოტი გვერდზე გადადო და კვლავ სიგარეტი შემომთავაზა. ორივემ ამჯერადაც გემრიელად გავაბოლეთ და როგორც იქნა, გოგონამ ჩემი ცნობისმოყვარეობაც დააკმაყოფილა:

— ამ მონაცემებს კომპიუტერში შევიტანთ და შედეგს უკვე ის დადებს.

— კომპიუტერი?

— ჰო.

— რა შედეგს?

— რამდენად შევძლებთ თქვენს გამოყენებას. ჩვენი ფირმა კლიენტებს სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს.

— მართლა? რა მოთხოვნებზეა ლაპარაკი?

— კითხვარის დასრულებამდე ვერ გეტყვით. 5.000 დოლარის შოვნა ხომ გინდათ?

— რა თქმა უნდა.

— მაშინ განვაგრძოთ. თქვენი წლიური შემოსავალი?

— კომერციული საიდუმლოა.

— კარგი... ამ კითხვის გამოტოვებაც შეგვიძლია. ახლა იცით, რაზე მიპასუხეთ?

— რაზე? — თვალი თვალში გამომცდელად გავუყარე გოგონას.

— რაზე და... — წამით ბლოკნოტს ჩააშტერდა ნანუკა და შემდეგ დასძინა: — აი, თუნდაც ამაზე: — რამდენის დალევა შეგიძლიათ?

— ღვინის?

— ღვინის, არყის... ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელი მაქვს მხედველობაში.

— არაყი დიდად არ მიყვარს, აი, ღვინის შემთხვევაში კი სიტუაციას გააჩნია. კარგ სუფრასთან ლიტრანახევარ, ზოგჯერ კი ორ ლიტრ ღვინოსაც კი სიამოვნებით ვსვამ და თითქმის არ ვთვრები, მაგრამ რას გეტყვი, იცი, გოგონი?

— რას? — ახლა ნანუკამ გამიყარა თვალი თვალში.

— რატომღაც მგონია, რომ ეს სასაცილო ანკეტა, ფირმა „რეაბილიტაცია“ და მსგავსი სისულელეები შენი მოგონილია. სინამდვილეში კი სულ სხვა რამე გინდა ჩემგან. ასეა, ხომ?

— ცდებით. თქვენგან არაფერი მინდა.

— აბა, გიჟი ხომ არ ვარ, დავიჯერო, რომ შენ და შენი ფირმა მარტო ამ სულელური ანკეტის შევსებაში მომცემთ 5.000 დოლარს?

— რა თქმა უნდა, არა, — წამით თვალებში უცნაური სიცივე ჩაუდგა გოგონას და ის იყო, მეც გულში ეჭვმა გამკრა, რომ მაშინვე ღიმილით დასძინა: — ნუ ნერვიულობთ, მალე ყველაფერს გაიგებთ... ოღონდ, მანამდე აი, აქ მომიწერეთ ხელი. — ავტოკალამი და გადაშლილი ბლოკნოტი გამომიწოდა.

— ხელის მოწერა რაში გჭირდება?

— მე — არაფერში, მაგრამ ჩვენი ფირმის ბუღალტერიისთვის აუცილებელია.

ამის შემდეგ ბლოკნოტში მითითებულ ადგილზე ხელი მშვიდად მოვაწერე და მხიარულად დავძინე:

— უკვე დოლარების შრიალი მესმის. ამიტომ მითითებებს ველოდები. 5.000-ის მისაღებად მზად ვარ. მითხარი, რა უნდა გავაკეთო?

ნანუკამ პასუხად ცივი და ცარიელი მზერა მესროლა, შემდეგ ბლოკნოტი ხელჩანთაში შეინახა და მის ნაცვლად, პომადის ტუბის მსგავსი, რაღაც ვერცხლისფერი ნივთი ამოიღო.

— ეს რა არის? — მაშინვე დავინტერესდი.

— ამ ეტაპზე განსაკუთრებული არაფერი მოგეთხოვებათ, — თითქოს ჩემი კითხვა არ გაუგონიაო, ისე განაგრძო ნანუკამ და ტუბი ცხვირთან

მომიტანა: — უბრალოდ, ამას უნდა უსუნოთ. ეს არის და ეს...

მას შემდეგ ბევრჯერ ვცადე იმის გაანალიზება, თუ იმ დილით ასე დაუფიქრებლად, მეტიც, თითქმის ბრიყვულად რატომ მოვიქეცი ან ასე მაინც რით მომხიბლა იმ გოგონამ. კი, კარგი ტანი, სავსე მკერდი და კოხტა ცხვირ-პირი ჰქონდა, მაგრამ ასეთებს ხომ ჩვენი ქალაქის ქუჩებში მრავლად შეხვდები. მაშ, რით შემაცდინა? 5.000 დოლარის მოცემაზე ბოდვით? არა მგონია. ასე იყო თუ ისე, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ნანუკას ნებას დავყევი, ყველა მის კითხვას ბეჯითი მოწაფესავით ვუპასუხე, ცოტა ბებრულად გავეარშიყე და ბოლოს იმდენადაც ავცეტდი, რომ იმ პომადის „ტუბიც“ კი დაუფიქრებლად დავყნოსე. ამის შემდეგ გოგონამ თლილი საჩვენებელი თითი „ტუბის“ ღილაკს ნაზად დააჭირა. ცხვირის ნესტოები მაშინვე რაღაც უცნაურმა მოტკბო-მომწარო სუნმა დამწვა და გონი დავკარგე...

ამის შემდეგ საკუთარი სახლის საძინებელში გამეღვიძა. ვიგრძენი, რომ ჩემი ტვინი მაშინვე მოტორივით მოიმართა და ნანუკაცა და მასთან დაკავშირებული ისტორიაც დაწვრილებით გამახსენდა. ოღონდ, მახსოვრობა რატომღაც იმ უცნაური „ტუბის“ დაყნოსვამდე მიმყვა, იმის იქით კი სრული ჩავარდნა დაიწყო, ანუ ვეღარ გავიხსენე, ამის შემდეგ სად ან რამდენ ხანს ვიყავი, ან შინ, საკუთარ ლოგინში როგორ აღმოვჩნდი. ამ ამბავმა ისე დამაფრთხო, რომ პატარა ბავშვივით საშველად მარიკას მოვუხმე და ისიც მაშინვე საძინებელში გაჩნდა. ქალს თვალებში სასოწარკვეთილება ჩასდგომოდა. — არა გრცხვენია, ტატო?.. ასე როგორ მომექეცი? — საწოლზე ჩამომიჯდა და ხელზე ფრთხილად შემეხო.

— რა მოხდა? — ფრთხილად წამოვჯექი მეც.

— როგორ თუ რა მოხდა? 3 დღე სახლში არ გამოჩენილხარ. დარეკვაც კი არ ინებე. იცი, რომ კინაღამ ყველანი ჭკუას გადავცდით?..

— ვინ ყველანი?

— ვინ და მე, გოგა, თეკუნა... ყველა ჩვენი ნაცნობი თუ მეგობარი... ლამის მთელი ქალაქი ფეხზე დავაყენეთ...

ამის შემდეგ მარიკა მკერდში ჩამეკრა და ასლუკუნდა და როგორც იქნა, მეც დავიჯერე, რომ ამჯერად ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა.

„გამოდის, რომ 3 დღე და ღამე არავინ იცოდა, თუ სად ვიყავი და რას ვაკეთებდი, — ვფიქრობდი მე, — მაგრამ ამას კიდევ რა უშავს. ტრაგედია ისაა, რომ თავადაც არ მაქვს წარმოდგენა, სად ვიყავი, ან რას ვაკეთებდი. როგორც მარიკამ მიამბო, გაუჩინარებიდან 3 დღის თავზე, ჩვენი ბინის კარი საკუთარი გასაღებით გავაღე, საძინებელში შევედი, გავიხადე, დავწექი და მაშინვე მკვდარივით დამეძინა.

— დიდხანს მეძინა? — დაბნეულად ვიკითხე.

— თითქმის 10 საათი, — სლუკუნს განაგრძობდა მარიკა, — დღისით ექიმი გამოვიძახე, მაგრამ ვერაფრით გამოგაფხიზლეთ, რომ რამე ეკითხა და წესიერად გაესინჯე.

— ექიმი რაღად გინდოდა?

— როგორ თუ რად მინდოდა? — შეიცხადა მარიკამ. — მთვარეულივით იქცეოდი. თვალები ღია გქონდა და ვერავის ამჩნევდი. ასე მეგონა, კედელს ველაპარაკებოდი. ამიხსნი თუ არა, ბოლოს და ბოლოს, სად იყავი?

სამწუხაროდ, არაფრის ახსნა არ შემეძლო, რადგან ვერაფერს ვიხსენებდი. თანაც, ერთადერთი, რაც იმ წუთში მოსვენებას არ მაძლევდა, აუტანელი შიმშილი იყო.

— ტატო, გემუდარები... თუ შენი გაუჩინარება ქალთან ან ძმაკაცებში დროს ტარებასთან არის დაკავშირებული, შევეცდები, გაგიგო. ოღონდ, სიმართლე უნდა მითხრა, — ისევ თავისას განაგრძობდა მარიკა.

და მეც როგორც იქნა, ამოვღერღე:

— ყველაფერს გეტყვი, ოღონდ, ჯერ რამე მაჭამე. შიმშილით ვკვდები. გაქვს საჭმელი?

— საჭმელი შენ და ჯანდაბა! — ხმას აუწია მარიკამ და სამზარეულოში სლუკუნ-სლუკუნით გავიდა.

მეც წამოვდექი და უკან ლასლასით გავყევი. სამზარეულოში შესვლამდე, დერეფანში მდგარ სკამის საზურგეზე ფაქიზად გადაკიდებული ჩემი პიჯაკის ჯიბეები მოვსინჯე. ყველა საბუთი და ფულიც — ოციოდე ლარი — ადგილზე დამხვდა. „მადლობა ღმერთს, რომ გაძარცვით მაინც არავის გავუძარცვივარ,“ — ოდნავ დავმშვიდდი და სამზარეულოში შევედი.

მარიკას სუფრა უკვე გაეწყო და საჭმელს მაშინვე მგელივით დავეძგერე. სული რომ მოვითქვი, თავი ავწიე და ცოლს დამნაშავესავით შევხედე. საბრალო ქალი ჩემ პირდაპირ ქანდაკებასავით უძრავად იჯდა და სევდიანად მათვალიერებდა. დაღლილობისა და უძილობისგან სახე ჩამოგრძელებოდა და თვალები ამოღამებოდა. „ალბათ, მართლა ინერვიულა,“ — შევწუხდი. თუმცა ისიც მკაფიოდ გამახსენდა, რომ ეს შინიდან ჩემი ხანმოკლე გაუჩინარების პირველი შემთხვევა არ იყო. ამიტომ, ცარიელი თეფში გვერდზე ფრთხილად გავწიე და ის იყო, ბოდიშის მოხდა უნდა დამეწყო, რომ ცოლმა დამასწრო:

— აქ რაღა გაქვს? — შიშით თვალები გაუფართოვდა მას.

— სად? — შევცბი მეც.

— აი, აქ, — მაშინვე ჩემთან გაჩნდა მარიკა და ნეკნებს ქვემოთ, მუცელზე, რამდენიმე ნაკერდადებული ჭრილობა ხელით ფრთხილად მომისინჯა“...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*





სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

# ყალბი ლტოლვა

დასაწყისი იხ. გზა №23

— უკაცრავად, ქალბატონო! — მომესმა უეცრად ზურგს უკან.

მოვიხედე. ორი გოგონა აღმოჩნდა, ჩემზე ცოტათი ახალგაზრდა, მაგრამ არა იმ ასაკის, „ქალბატონოთი“ რომ მომმართოს. ერთი ამათ დამიხედეთ! ქალბატონოო! ასე ბებრუხანებს მიმართავენ ან ადრე დაბერებულ ახალგაზრდა ქალებს, ცხოვრებაში რომ არ გაუმართლათ და უდროოდ დაჭკნენ. თავხედობის უმაღლესი დონე! მე კი ჯერ 30-ისაც არა ვარ. უფრო სწორად, კი ვარ, მაგრამ სულ ახლახან შემისრულდა... მე ვარ ახალგაზრდა, თავისუფალი და მარტოხელა... ხომ კარგი დახასიათებაა? წარმომიდგენია, რამდენს იცინებენ, ასეთი დახასიათება რომ გადაგზავნო რომელიმე ორგანიზაციაში და სამსახური მოითხოვო. ეჰ, რა აზრები მაწუხებს მაშინ, როცა ასეთ მნიშვნელოვან საქმეზე მივდივარ. გული აღარ მეტევა საგულეში, ლამისაა ამოხტეს ბუდიდან!

— უახლოეს მეტრომდე ხომ ვერ გვეტყვით, როგორ მივიდეთ? — შემეკითხა ერთ-ერთი, ცხვირჭორფლიანი.

რა უნდა შუაგულ ვაკეში მეტროს? გადამრევს ეს ხალხი! კი გავიფიქრე, მაგრამ მეტიჩარა გოგონებს მაინც ზრდილობიანად მივასწავლე გზა, როგორ მიეღწიათ მეტრომდე, მე კი კორპუსებს ავხედე. აქ უნდა იყოს რომელიღაცა, მაგრამ ეშმაკმა უწყის, რომელია! ალბათ მეც მომიწევს ვიღაცის გაჩერება და კითხვა, „უკაცრავად, ქალბატონო...“ არა, რაც უნდა იყოს, „ქალბატონოს“ მაინც არ გამოვიყენებ, პრინციპის ამბავია!

ეჰ, ნეტავ თათია მყავდეს ახლა აქ! ნეტავ ისიც ჩემთან ერთად იყოს! აი, ის ეტყოდა, თუ ეტყოდა იმ ჩემს გამჩენს, დედაჩემი რომ ჰქვია! დააყრიდა მწარე-მწარეს! მაგრამ ვაი, რომ თბილისში არ არის. ხვალ ჩამოვა სოფლიდან მხოლოდ. მე კი ვერ ვითმენ. მუდამ ასეა. ჩვენთვის საჭირო ადამიანები ყოველთვის იმ დროს არ არიან ახლოს, როცა ეს ჩვენ განსაკუთრებულად გვჭირდება. თათია ისეთია, სიტყვას არავის დაესესხება! შეუძლია, მხარზე გაიგდოს ენა, როცა ამას სიტუაცია მოითხოვს...

მთავარია, არ დავიბნე და ნერვიულობა არ შემატყონ. სიმშვიდე უნდა შევინარჩუნო, აუცილებელი ეს არის. ნეტავ, რას მეტყვის? სხვა გზა არ მქონდაო? დუხჭირმა ცხოვრებამ მაიძულა შენი გაშვილებაო? ნუთუ გამყიდა? საინტერესოა, რამდენი გადაუხადეს? ოხხხხხხხ! ლამისაა, ისტერიკაში ჩავვარდე!

როგორც იქნა, მივადექი საჭირო კორპუსის საჭირო სადარბაზოს. ნელა, სვენებ-სვენებით ავედი მეოთხე სართულამდე. მუხის მოჩუქურთმებულ კარზე ლამაზად იყო ამოტვიფრული სრულიად უცხო ინიციალები და გვარი — ვაგელაძე. რა უცნაური გვარია, არც გამიგია! ეს, ალბათ, დედაჩემის ქმრის გვარი იქნება. ჰო, რა თქმა უნდა!

ის, იყო, ზარის დარეკვას ვაპირებდი, რომ კარი გაიღო და მაღალი, შავთმიანი მოხდენილი გოგო გამოჩნდა ზღურბლზე, დაახლოებით ჩემი ასაკის.

— უკაცრავად... — სათქმელი პირზე შემაშრა, ისე დავიძაბე, დავმუნჯდი.

— გისმენთ?! ვინმეს ეძებთ? — ნაზი, ჰაეროვანი ღიმილი შემომაფრქვია შავთმიანმა.

— დ...დიახ... სამუშაოს ვეძებ... — მხოლოდ ეს მომაფიქრდა.

— სამუშაოს? ვინმემ გამოგგზავნათ?

— არა... კი, როგორ არა, ჩემმა ახლობელმა... დიმიტრი ახობაძემ, — თავხედურად ვიცრუე, — პროფესორია, ქირურგი, ორი კორპუსის იქით ცხოვრობს, გეცოდინებათ ალბათ...

— ა! გამიგია, როგორ არა! — დაიბნა ისიც, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

გაუგია არა, ტოროლა! ამწუთას მე თვითონ გამოვიგონე მისი გვარ-სახელიც და მისი პროფესორ-ქირურგობაც, რას მატყუებს? თუმცა, არაფერი შევიმჩნიე და გავაგრძელე.

— მასთან ვმუშაობდი ორი წელი. ახლა კი ბინა გაყიდეს და იქაურობის დატოვებამ მომიწია... — დავახვავე ტყუილების გროვა.

— და რაზე მუშაობდით ბატონ დიმასთან? — „შინაურულად“ მოიხსენია შავთმიანმა არარსებული ახობაძე.

— მე... მე... სახლს ვულაგებდი... კვირაში ერთხელ. — კიდევ ერთი „სიტყვამახვილი“ ტყუილი.

— უი, მართლა? რა კარგია! ჩვენც გვჭირდება ბინაში დამლაგებელი. კარგ დროს კი მოხვედით. ჩვენი მადლენა აღარ დადის, უკვე ერთი კვირაა. მისმა ქალიშვილმა ინვალიდი ბავშვი გააჩინა და იმას ეხმარება. შემოდით, დავილაპარაკოთ.

თავი დავუქნიე და ავიწურე. ისე მაკანკალებდა, კბილებმა კაწკაწი დამიწყო. შავთმიანი უკან შებრუნდა და მეც შევყევი...

ასე მეგონა, ვერსალის სასახლეში ამოვყავი თავი. ალბათ, ყველაზე ცოტა, 9-ოთახიანი ბინა მაინც იქნებოდა! სვეტებიანი დარბაზებით, მარმარილოს ხვეული კიბით, უზარმაზარი ჭაღით შუა ოთახში, იქვე პატარა აუზი შადრევნით! ყბა ჩამომივარდა გაოგნებისგან.

— მარტო ცხოვრობთ? — ვიკითხე და მუხლებმოკვეთილი იქვე, თეთრ სვეტს მივეყრდენი.

— არა, მე არა, აქ დედა და ძმა ცხოვრობენ. მე სხვაგან მაქვს ბინა. უბრალოდ, ხშირად მოვდივარ. აგერ დაბრძანდით! — მიმითითა ტყავგადაკრულ მდიდრულ სავარძელზე. მადლიერების ნიშნად გავუღიმე, სავარაუდოდ, ჩემს ნახევარდას და როგორც კი დავჯექი, ეგრევე ჩავეფალი სავარძელში, ისეთი რბილი და ფაფუკი აღმოჩნდა.

— მე ნანა მქვია, თქვენ? — კვლავ ნაზად გაიღიმა შავთმიანმა.

— მე... მე ანა, — კინაღამ ანუშკი ვუთხარი და კიდევ კარგი, არ წამომცდა. რაღა დროს ეგაა. ანუშკი ადრე ვიყავი, ახლა ანა ვარ... გავა წლები და ანიკო გავხდები ალბათ, წლებთან ერთად ხომ სახელებიც იცვლება.

— უი, რა კარგია! დაახლოებით ერთნაირი სახელი გვრქმევია! — ხელისგულები ისე მიატყუპა ნანამ ერთმანეთს, თითქოს ტაშს უკრავსო, — იცით? დედა შინ არ არის, იმ კვირაში ჩამოვა, დასასვენებლად არის წასული ანტალიაში. მაგრამ არა უშავს, მარტო არ მოგიწევთ ყოფნა. ტასო დეიდა სულ სახლშია. ის დედას მეგობარია და გვეხმარება სადილების მომზადებაში, თან უვლის დედაჩემს. ბოლო დროს სულ ავადმყოფობს და მარტო ვერ ვტოვებთ.

— გასაგებია... და ახლა მარტოა ანტალიაში?

— არა, არა, ჩემი ძმა გაჰყვა თან. იმას ოღონდ წასვლა და დროის ტარება უთხარი და მეტი არაფერი უნდა. ქალები და გრიალი, სხვა არაფერი აინტერესებს. მუსიკოსია, ისე, სიმღერებს წერს, თან კარგად.

— ძალიან კარგი... თქვენ?

— მე... მე რა, გათხოვილი ვარ და შვილებს ვუვლი. სამი მყავს, გოგონები. ისეთი ცელქები არიან, ვერ ავუდივარ. ძიძა რომ არ მყავდეს, ალბათ გავაფრენდი. თან ვსაქმიანობ კიდეც, მთლად უსაქმურიც არ მეთქმის. ბიჟუტერიის მაღაზია მაქვს გახსნილი აქვე, ახლოს და ვამარაგებთ მე და ჩემი ქმარი, ორი გამყიდველი გვყავს...

— წარმატებებს გისურვებთ.

— აბა, რას იტყვით, დარჩებით ჩვენთან?

— პირობებს ხომ არ გამაცნობთ? — დიდი საქმეში ჩახედული ქალივით წარმოვთქვი, თან გული მეთანაღრებოდა, რაში მჭირდებოდა ეს სპექტაკლი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, რადგან ქალბატონი ნინო შინ არ დამხვდა, სხვა დროს კვლავ ინკოგნიტოდ არ გამოვიდოდა ჩემი აქ გამოჩენა.

— პირობები, რა... კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოხვალთ, რომ სახლი თავიდან ბოლომდე, საგულდაგულოდ დაალაგოთ. ფანჯრები დაწმინდოთ, იატაკები, ფარდაგები, ნოხები... ნუ, მოკლედ, ყველაფერი, რაც გასაკეთებელი იქნება. ყველაფრის ხელით გაკეთება არ მოგიწევთ, მტვერსასრუტი გვაქვს. ანაზღაურებას რაც შეეხება, დღეში 50 ლარს გადაგიხდით. ასე ვუხდიდით მადლენასაც. თუ გაწყობთ...

— კი, როგორ არა, კარგი ფასია! — მაშინვე დავეთანხმე ნანას და ძლივს შევძელი, ღიმილი გამომესახა სახეზე, ხელისგულები ოფლით მქონდა უკვე დაცვარული.

— ამწუთას ტასო დეიდაც არ არის შინ, თორემ იმასაც გაგაცნობდით. თუმცა, მე ვეტყვი თქვენ შესახებ და როცა მოხვალთ, უკვე საქმის კურსში იქნება. ესე იგი, შევთანხმდით?

— დიახ... მგონი...

— ძალიან კარგი. როდის მოხვალთ?

— როცა მეტყვით.

— ხვალ დილით რომ იყოს? — თავი გვერდზე გადახარა ნანამ და დაფიქრებულმა თმაში შეიცურა ხელი.

— იყოს. თან კვირადღე მაწყობს, ვისვენებ, — ჩემდა უნებურად წამომცდა.

— სხვაგანაც მუშაობთ? — ცნობისმოყვარე მზერა შემომანათა დიდთვალება ნანამ.

— ჰო, რაღაცებს ვწვალობ მეც, ხომ იცით, გაჭირდა ცხოვრება...

— ბინა გაქვთ თუ ნაქირავებში ცხოვრობთ? სადაური ხართ? — მომაყარა.

— თბილისელი ვარ. ბინაც მაქვს. დედა გარდამეცვალა ცოტა ხნის წინ და ამწუთას მარტო ვცხოვრობ, — ეს კი სიმართლე ვუთხარი.

— უი, რას ამბობთ! ეგ ცუდი ამბავია. ვიზიარებ... დედა ისეთი ვინმეა... ღმერთმა ყველას დაგვიფაროს... ვგიჟდები დედაჩემზე!

ოჰ, რა დამემართა! როგორ გავფითრდი!

— კარგი, მე წავალ მაშინ... — ამოვთქვი ფერწასულმა და ფეხარეული გავემართე გასასვლელისკენ.

— სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ანა. იმედია, გავუგებთ ერთმანეთს. ჩვენ არ ვართ ცუდი ხალხი, — მეუბნებოდა ნანა და თან ფეხდაფეხ მომყვებოდა.

— აუცილებლად, — ჩავილუღლუღე, ნანას გავუღიმე და საფეხურებს მძიმედ ჩავუყევი...

შინ დაბრუნებას ახლა სიკვდილი მერჩივნა. გადავწყვიტე, საშკასთან გავსულიყავი. ჩემი მითური თავის ტკივილი ამწუთას ნამდვილ ჯოჯოხეთად მექცა. თითქოს ლურსმნებს მარჭობდნენ საფეთქლებში, ისე წერტილწერტილ, აქა-იქ მტკიოდა თავი.

გაბმული ზარი დავრეკე. საშკამ მალევე გამიღო, წელს ზევით მთლად გაშიშვლებულიყო. როგორი თმიანი ყოფილა, არ ველოდი! არათითზე ძველებურად უბრწყინავდა საქორწინო ბეჭედი და ამან მაიძულა, „გამეგრილებინა“ ჩემი გახურებული ჰორმონები.

— ხომ კარგად ხარ? — შეშფოთდა საშკა ჩემს დანახვაზე.

— უნდა დავლიო! — კატეგორიული ტონით ვუთხარი. — გაქვს დასალევი?

— არაყზე რას იტყვი? თუ არა და, რასაც მეტყვი, იმას ამოვიტან.

— არა, არაყი მშვენიერია, წავა! — კარგი გამოცდილი ლოთივით დავახეთქე და ოთახში შევაბიჯე.

საშკამ წამში გაშალა სუფრა. ყველი, პური, ძეხვი და დაჭრილი კიტრი დააწყო მაგიდაზე. სანამ არაყს ჩამოასხამდა, გავიდა და პერანგჩაცმული დაბრუნდა. აჰა... გამოდის, ეუხერხულება ჩემთან ნახევრად შიშველს ყოფნა. რა სულელია! ერთი მე მკითხოს, მესიამოვნა კი, რომ ჩაიცვა? რა სჯობდა მისი დაკუნთული მკლავების ყურებას?

— გაგვიმარჯოს, — თქვა საშკამ დაღლილი თუ გამოუძინებელი ხმით და გადაკრა.

მეც მივბაძე და რომ დავლიე, კინაღამ სასულეში გადამცდა. ძლივს შევიკავე თავი, ხველა არ ამტყდომოდა.

რა მემართება ბოლო ხანებში? იმ დღეს ისე დავთვერი, ლამის წერილი წავიღე და თავს პირობა მივეცი, აღარასდროს დავლევ-მეთქი. ახლა კი ისე მოვითხოვე სასმელი, თითქოს დათრობა და ნაბახუსევი ჩემი ცხოვრების წესი ყოფილიყოს. რა გამოუსწორებელია ადამიანი! ქალიც და მამაკაციც. აი, ქალები, მაგალითად. რამდენჯერ გამიგია ახლობელი ქალებისგან, პირველი შვილის გაჩენის შემდეგ, მეორეს არაფრით გავაჩენ, ეს რა



წამება გამოვიარეო. მერე კი, გაივლის ცოტა ხანი, გაიხედავ და ისევ ორსულად არ არის? ალბათ ლოთებიც ასე არიან. ნაბახუსევზე ნანობენ, რომ დათვრნენ, მერე კი ავიწყდებათ და ისევ თავიდან იწყებენ ლოთობას.

— რაზე ფიქრობ? — მოულოდ-

ნელად საშკა ჩემკენ გადმოიხარა, ტუჩები ყურთან მომიტანა და ჩამჩურჩულა.

ის ისე ახლოს აღმოჩნდა ჩემთან, რომ მის სახეზე ყველა ბუსუსის დათვლა შემეძლო, გაპარსვის შემდეგ რომ დარჩენოდა...

ავილეწე და უსიტყვოდ გავაქნიე თავი. ის კვლავ თავის სკამს დაუბრუნდა და ჩამოასხა. კიდევ ერთი დავლიეთ, ამჯერად — ჩემი სადღეგრძელო. ვიგრძენი, თავის ტკივილი როგორ მომეხსნა და სისხლმა დუღილი დაიწყო ძარღვებში. გულზეც მომეშვა ოდნავ.

მოულოდნელად საშკა წამოდგა და ჩემკენ დაიძრა. ჩემდა უნებურად, მეც ზეზე წამოვიჭრი. მან მხრებში ჩამავლო ხელი და კვლავ დამსვა, თვითონ კი ჩემკენ დაიხარა. მოხდა ისე, რომ მისი ტუჩები ჩემი თვალების პირისპირ აღმოჩნდა... ზუსტად მეორე ჭიქის შემდეგ ის მიხვდა, რაც მსურდა.

არ მახსოვს, ჩვენ შორის პირველმა რომელმა გამოიჩინა ინიციატივა — მან გამოიწია ჩემკენ საკოცნელად, თუ მე მისკენ, მაგრამ ფაქტია, რომ ერთმანეთს ვაკოცეთ.

— მეტი არ დავლიოთ? — მოვასწარი წაჩურჩულება, როგორც კი დროებით მოვწყდი მის ტუჩებს.

— ახლა მხოლოდ შენ მწყურიხარ, სხვა არაფერი, — ჩურჩულითვე მიპასუხა და კვლავ წამეტანა.

— ღმერთო, რა კარგია, — აღმომხდა ვნებამორეულს და პერანგის ღილები სწრაფად შევუხსენი.

შევუხსენი და ცოტა არ იყოს, მეხამუშა, ასე ახლოს რომ აღმოვჩნდი მის ბალნიან მკერდთან, მაგრამ ისე მსიამოვნებდა მისი კოცნა და მოფერება, აღარაფერი მახსოვდა. სულაც ტროპიკული ტყე რომ დამხვედროდა მისი პერანგის მიღმა მიმალული, არ დავეძებდი.

მერედა, რა ცხელი მკერდი ჰქონდა... უფრო დიდი ნეტარების განცდა ალბათ შეუძლებელი იყო. ის იყო, თვითონაც გამხადა ტანსაცმელი და ბიუსტჰალტერის ამარა დავრჩი, რომ მოულოდნელად წამჩურჩულა.

— ნანიკო...

ასე მეგონა, ვილაცამ ძუძუზე მიკბინა, ისე მწარედ მომხვდა ეს სახელი ყურში! ის თავის ცოლს ეძახდა და არა მე...

ხელი ვკარი და მოვიშორე. სასწრაფოდ შემოვიცვი ჩემი კოფთა და ღილების შეკვრა დავიწყე.

— რა... რა იყო, რა ვქენი ამისთანა? რა არ მოგეწონა? — მიამიტი მზერა მესროლა.

— რა არ მომეწონა? მეკითხები კიდეც? — ავზობოქრდი.

— ამიხსენი, რა მოხდა? — ის თავისას იმეორებდა.

— რა და ნანიკო დამიძახე! აი, რა მოხდა!

— რა დაგიძახე?

— შენი ცოლის სახელი, დამპალო!

— ტყუილია! ნანიკო არ მითქვამს, ანიკო ვთქვი.

— კი, როგორ არა! დაგიჯერებ! როდის იყო, ანიკოს მეძახდი? რა, 60 წლის ვარ? — არ ვცხრებოდი. — როგორ გგონია, არ ვიცი, რა მქვია? როგორ გაბედე შენი ცოლის სახელით მოგემართა? მითხარი, ამიხსენი ერთი! — თავი მოვიწესრიგე, ჩანთას ხელი დავავლე და კარისკენ გავქანდი.

— ანა! — მომაძახა. საწყალობელი ხმა ჰქონდა, მიტოვებული ბავშვივით. — ანა, მაპატიე, რა!

— უკვე გვიანაა, საზიზღარო! — ვიყვირე სიბრაზისგან აკანკალებულმა.

— ის ხომ ჩემი ყოფილი ცოლია, მერე რა მოხდა? — თავის მართლებას შეეცადა.

კარი ისე გავიჯახუნე, ფანჯრებმა ზანზარი დაიწყო.

არადა, როგორ მჭირდებოდა იმწუთას მასთან ასეთი სიახლოვე. ისედაც მიტოვებულად და მარტოსულად ვგრძნობდი თავს. როგორ გააფუჭა ყველაფერი! ვერა და ვერ ვწყნარდებოდი. ბინამდე ძლივს მივაღწიე და მაშინვე ტელეფონს ვეცი, ავტომოპასუხე ჩავრთე. მხოლოდ მისი შეტყობინება იყო მოსული: „ანა, ასე როგორ შეიძლება? არც კი მომისმინე. განა რა მოხდა ისეთი? გეფიცები, მისი სახელით არ მომიმართავს. თუ დამიჯერებ, ასეა, თუ არა და, როგორც გინდა, თავის მართლებას არ დავიწყებ"...

ჯანდაბამდის გზა ჰქონია! მერედა, როგორ მომმართა! ყრუ კი არ ვარ!

ნეტავ, ყოველთვის ასე იქცევა? ვინ იცის, იქნებ ნანიკოც ამიტომ გაექცა? შუა სექსის დროს იქნებ მასაც სხვა ქალის სახელით მიმართავდა? რომელი ქალი აიტანს ამას?

რა თქმა უნდა, სულაც არ მინდოდა, საშკას ჩემთვის მარადიული სიყვარულის ფიცი მოეცა, მაგრამ მე ხომ მქონდა ჩემი თავმოყვარეობა? მე მასთან უნდა დავწოლილიყავი, მას კი ჩემი სახელიც არ ახსოვდა. ნუთუ ასე ბევრს ვითხოვდი მისგან? ამაზე დამამცირებელი რა უნდა მომხდარიყო? ღმერთო ჩემო! ნუგზარი რომ ნუგზარია, იმასაც კი ახსოვდა ჩემი სახელი, თან სხვადასხვა ფორმით — ანა, ანუშკი, ანაჩკაო! სამჯერ სხვადასხვანაირად დამიძახა! არადა, ის ისეთი ნაძირალა იყო... არც ველოდი მისგან, საერთოდ თუ გამიხსენებდა!

ნაძლევს ჩამოვიდოდი, რომ თვით ლერიც კი, რომელმაც კოცნაც კი არ იცოდა წესიერად, არ დაივიწყებდა იმ ქალის სახელს, რომელსაც ლოგინში ჩაიწვენდა. ნუთუ ასე ძნელია მამაკაცისთვის „ანას" წარმოთქმა?

— მე ანა ვარ და არა ნანიკო! — ჩავყვირე ბალიშს და ავქვითინდი.

ვტიროდი მანამ, სანამ არ ჩამეძინა. რა გულჩვილი გავხდი ბოლო დროს, ყველაფერზე ვღრიალებ და ვერაფერს ვუხერხებ ჩემს თავს. ნუთუ უკაცობის ბრალია ამგვარი ისტერიკები? იქნებ მართლა დროა, ცოტა ჩემს პირად ცხოვრებაზეც ვიფიქრო? ქალი ვარ, ბოლოს და ბოლოს... და კაცი მჭირდება. ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია? ჰოდა, ამიტომაც მივენდე მას, ამიტომაც ავირჩიე საშკა. მან კი პირველსავე ცდაზე ბოლო მომიღო! დამპალი, საზიზღარი!

დიდხანს მეძინა და ალბათ კიდევ გავაგრძელებდი ძილს, კარზე კაკუნს რომ არ გავეღვიძებინე. ძლივს ავწიე თავი. მთელ სხეულში მტეხდა. შემოსასვლელში გავლასლასდი და არც მიკითხავს, რომელი ხარ-მეთქი, ისე გავაღე კარი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. დერეფანში საშკა იდგა გამომცდელი მზერით. სული ფეხებში გამეპარა... არა, ფეხებში კი არა, ოთახის ჩუსტებში, რომელიც სულ ახლახან ვიყიდე.

— ხომ არ გაგაღვიძე?

— კი, გამაღვიძე! — უკმეხად ვუპასუხე და შევბრუნდი, პატარა ბავშვივით ხომ არ დავიწყებდი, რატომ მოხვედი, აქედან წადი და ა.შ.

— კარგად ხარ? — მკითხა და მაგიდასთან აიტუზა.

— შენ როგორ გგონია? — ამრეზით ავხედე და ტახტის კუთხეში მივიყუჟე, რადგან შემაკანკალა.

— რით გიშველო?

— ამის საკითხავად მოხვედი?

— ჰო. ვიცოდი, რომ ცუდად იყავი.

— და მერე შენ რა, პროფესორი ხარ?

— ვისთვის პროფესორი ვარ, ვისთვის ძაღლი, — ცალყბად გამიღიმა.

— არ ვარ ხუმრობის ხასიათზე.

— ვიცი და ამიტომაც მოვედი. ჩემთან გეპატიჟები.

— შენთან? რა მინდა შენთან? კარგი რა მომიტანა შენთან სტუმრობამ? თუ გარკვევით ვერ წარმოთქვი შენი ცოლის სახელი და სცენის გამეორებას ითხოვ? — ჩამსავე ნათქვამზე გამეცინა, თან ღვარძლიანად.

— ნუ ენამწარობ. ჩაიცვი და წამოდი.

— ახლა?
— აბა როდის?
— ახლა არ შემიძლია, ცუდად ვარ, თავბრუ მეხვევა და ტანშიც მტეხს.
— არა უშავს, გამოგიყვან. მაგარი ღვინო მაქვს... კონიაკიც.
— დალევა არ მიხსენო!
— მიდი, ჩაიცვი, თან სერიოზული საქმე მაქვს შენთან, დედაშენზე უნდა გელაპარაკო.
— დედაჩემზე?
— ჰო, ჩაიცვი, დაბლა დაგელოდები, მანქანაში.

პასუხის გაცემაც არ მაცალა, ისეთი სისწრაფით დატოვა იქაურობა. კი მეზარებოდა, მაგრამ მივხვდი, რომ უნდა გავყოლოდი. ვიბანავე და ჩემი ყველაზე ლამაზი კაბა ჩავიცვი, რომელიც ჩემი დედობილის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ვიყიდე და მისი ჩაცმა ვერ მოვასწარი. რაც შეიძლებოდა, გავიპრანჭე. ეს პირველი შემთხვევა იყო, ძაძების გარეშე რომ გავდიოდი სახლიდან. 40 დღე სრულიად საკმარისია. ვიღას აცვია ახლა წლების განმავლობაში ძაძები? არც არავის, მით უმეტეს — თბილისში. ან კი რას უშველის მიცვალებულს ჩემი შავის ჩაცმა? არაფერს. ჰოდა, ასე ჯობია... მით უმეტეს, ის სულაც არ ყოფილა დედაჩემი თურმე!

ნეტავ თუ შეამჩნევს საშკა, საგანგებოდ რომ გამოვეწყვე? იმედია...

— ვაუ! — შესძახა, როცა მანქანაში ჩავუჯექი. — რა თვალისმომჭრელად გამოიყურები! — წამოიძახა და მზერა პირდაპირ ჩემს ვაშლივით მრგვალ მკერდს დაასვა, მადის აღმძვრელად რომ ამობურცულიყო დეკოლტედან.

„ტკბილია და ჰარმონიული“, — ნიშნის მოგებით გავიფიქრე და ღრმად ამოვისუნთქე, ვითომ ვერც შევამჩნიე მისი „აკანკანებული“ მზერა...

სუფრა გაშლილი დამხვდა. მას უკვე მოესწრო თადარიგის დაჭერა. უსიტყვოდ მივუსხედით მაგიდას. სიჩუმე საშკამ დაარღვია.

— მოდი, ვილაპარაკოთ, — თქვა მან, თან ღვინო ჩამოასხა, — ვიცი, ახლა როგორ გიჭირს... იყავი დღეს იმ ქალთან?
— ჰო, — ყრუდ ვუპასუხე და ჭიქა ჩავბღუჯე.
— მერე?
— არ დამხვდა სახლში, ანტალიაში ისვენებსო. იმ კვირაში ჩამოვა.
— იქნებ შეეშვა, ა? — მითხრა და ჭიქა ასწია. — ჩვენი ქეიფის გაგრძელებას გაუმარჯოს.
— საერთოდ არ მექეიფება! — წყალი გადავასხი მის „შემართებას“.
— არც მე, მაგრამ სიტუაცია მოითხოვს, — „დამამშვიდა“ და დალია.

მეც მოვსვი. მერე ვიჯექი ერთხანს ასე, გაუნძრევლად და თითებით ყელზე დაკიდებულ ბროშს ვაწვალებდი. „მოეშვი, ანა, საღამო მხოლოდ იწყება“, — ფსიქოთერაპიას ვუტარებდი საკუთარ თავს.

საშკა ჭამას შეუდგა, ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემკენ. მერე კვლავ ჩამოასხა და, როგორც იქნა, „შემამჩნია“, კვლავ მომიჭახუნა ჭიქა და მისი ამ შემოხედვიდან მივხვდი, რომ ჩემმა კაბამ გაამართლა. ის აღტაცებული ჩანდა.

— მორჩა, საბოლოოდ გადავწყვიტე ნანიკოსთან გაყრა. ახლა მიკვირს, როგორ შემეძლო ასეთ საშინელ ქალთან ცხოვრება? ახია ჩემზე! უბრალოდ, ბავშვების გამო ვითმენდი, მეტი არაფერი! — მოულოდნელად ცოლზე ალაპარაკდა ჩემი უფროსი.

მე ხმას არ ვიღებდი. ის მიყურებდა, მისი ლამაზი თვალები დაჟინებით მსწავლობდნენ.

— მე შენთან მინდა ყოფნა, — წარმოთქვა უეცრად.

თვალები გამიფართოვდა. რამდენიმე წამი დამჭირდა იმის მოსაფიქრებლად, რა მეპასუხა.

— ღმერთო ჩემო! ასეთი სიტყვები კი არ უნდა წარმოთქვა, უნდა წაიმღერო, — სიცილი დავაყარე.

ამ დროს მოხდა ის, რაც, წესით, უფრო ადრეც უნდა მომხდარიყო. საშკა წამოდგა, მომიახლოვდა, სკამიდან წამომაყენა და მკერდზე მიმიხუტა...

თუმცა ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ვოცნებობდი. ეს არ იყო რომანტიკული ვახშამი, თან ნაჩხუბრები ვიყავით. არადა, ჩემს ფანტაზიას საზღვარი არასდროს ჰქონდა, როცა თავისუფალ დროს მასზე ვფიქრობდი. ამ მხრივ განგებამ არ მაწყენინა, ოცნების თუ ფანტაზიის უდიდესი ნიჭით დამაჯილდოვა...

ცხოვრებაში ასეთი სიამოვნება არ განმიცდია. ეტყობოდა, რომ საშკას „სერიოზული“ გამოცდილება ჰქონდა ამ „სფეროში“.

როცა კმაყოფილი საწოლზე გულაღმა გავიშოტე, ერთ რამეს მივხვდი — ვერავინ და ვერაფერი მაიძულებდა, უახლოესი საათების განმავლობაში ამ საწოლიდან ავმდგარიყავი.

— სამუდამოდ ამ საწოლზე ვრჩები, — მხიარულად წამოვიძახე, — აქ სიკვდილი მინდა, თან ღრმა სიბერეში, — და ავკისკისდი.

საშკამ ძლიერად მიმიკრა მკერდზე. საოცრება იყო... ისე მეფერებოდა, ისე ნაზად, ისე მოწყურებულად, ისეთი სიყვარულით, რომ მივხვდი, ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ უქმად... აქამდეც უნდა გვექნა ეს.

— იცი, რა მინდა გითხრა? — ხმადაბლა დაიწყო მან. — ოღონდ ჯერ ბოლომდე მომისმინე, კარგი?



— კარგი, გისმენ, — მორჩილად ვუპასუხე, მის მკერდს მოვწყდი და ჩემს იდაყვს დავეყრდენი.
— ჩემთან გადმოდი, ერთად ვიცხოვროთ.

იმდენად მოულოდნელი იყო მისი სიტყვები, ვერ მოვიფიქრე, რა მეპასუხა.

— თუ სამსახურში გიტყდება, ვინმემ რამე არ გაიგოს, პრობლემა არაა. ჯერჯერობით ნურავის ნურაფერს ვეტყვით. ჩვენი ნება არ არის? მერე კი, როცა ოფიციალურად გავეყრები ნანიკოს, ერთბაშად დავაყენებთ ყველას ფაქტის წინაშე. რას იტყვი?

რა უნდა მეთქვა? განა ამაზე არ ვოცნებობდი? განა ამ დღის დადგომისკენ არ იყო მიმართული ყველა ჩემი ფანტაზია? მაგრამ დათანხმება მაინც გამიჭირდა, ამიტომ შუალედური პასუხი ვარჩიე.

— არ ვიცი.
— იცი, — არ დამეთანხმა საშკა, — და მეც ვიცი, რომ ორივესთვის ასე ჯობია. ცოდვა ხარ მარტო. წარმომიდგენია, მთელი ღამე რამდენს ფიქრობ, დარდობ. ბევრი პრობლემა მოგეძალა. ერთად რომ ვიქნებით, მაგისთვის არ გეცლება, განსაკუთრებით, ღამე. ამის პირობას მე გაძლევ, — დაამთავრა, თვითონაც წამოიწია იდაყვზე და ცხვირით ცხვირზე გამეხახუნა.

— მხოლოდ „ჰო“ მითხარი, სხვა არაფერია საჭირო. ისიც ვიცი, როგორ გიჭირს ახლა რამის თქმა.

ერთხანს დაფიქრებული შევცქეროდი, მერე კი ძალიან, ძალიან ხმადაბლა აღმომხდა.

— ჰო.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ბეწვზე გადარჩენილი

მარი ჯაფარიძე

**მივესალმები ყველას, ვინც ახლა ამ სტრიქონებს კითხულობს. ბევრი ლაპარაკით (თუ წერით) თავს არ შეგაწყენთ და პირდაპირ საქმეზე გადავალ. ვიდრე თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ, დღევანდელ თემასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, რომელიც მე გადამხდა თავს. იმედია, ცოტას გაგახალისებთ.**

## ჩაქუჩმანიაკი

რამდენიმე წლის წინ ჩემს დაბადების დღეს სტუმრები შინ დავპატიჟე. ვიმხიარულეთ, მშვენიერი დრო გავატარეთ და სტუმრებმა ნელნელა დაშლა დაიწყეს. ბოლო რამდენიმე სტუმარი ერთად წავიდა და გავაცილე. დაველოდე, ვიდრე ტაქსიში ჩასხდებოდნენ და მერე დავბრუნდი შინ (ეს ამბავი წერეთლის გამზირზე ხდებოდა). იმ დღით ნასიამოვნები, ბედნიერი ღიმილით მივადექი სახლის კარს და — ჰოი, საოცრებავ! მხოლოდ იქ აღმოვაჩინე, რომ თურმე გასაღები შინ დამრჩენოდა, კარი კი საგულდაგულოდ იყო გამოკეტილი. მაშინვე მობილური მოვიაზრე ჩემს ერთადერთ მშველელად — ჩემი ბიძაშვილი (რომელიც რამდენიმე წუთის წინ წავიდა) იქვე ცხოვრობდა და ვიფიქრე, მას დავურეკავ და მიშველის-მეთქი, მაგრამ... მობილურიც შინ დამრჩენოდა! კორპუსის გვერდით, ცენტრალური გზისკენ გამოვედი — ვიფიქრე, იქნებ რაიმე საშველი დამადგეს-მეთქი. ქუჩის მხრიდან, კორპუსის პირველ სართულზე განთავსებული იყო სილამაზის სალონი, რომელსაც თავისი ტერიტორია ტროტუარისგან რკინის დაბალი ღობით ჰქონდა შემოსაზღვრული. საღამოს კაბაში გამოპრანჭული (ზაფხულში ვარ დაბადებული), ღობეზე ჩამოვჯექი და ფიქრი დავიწყე. ამასობაში ჩემმა ნაცნობმა, უკანა კორპუსში მცხოვრებმა ახალგაზრდა მამაკაცმა გამოიარა. ღამის 2 საათზე ქუჩაში რომ დამინახა, ძალიან გაუკვირდა. — მარი, რას ელოდებიო?! — რა ვიცი, მეც არ ვიცი, რას ველოდები, ალბათ მშველელს-მეთქი, — და ვუამბე ჩემი გასაჭირის შესახებ. ძალიან შეწუხდა და დახმარება შემომთავაზა, მაგრამ ჯერ „სამოქმედო ტერიტორია“ უნდა დაეთვალიერებინა, რომ ჩემი გადარჩენის „სტრატეგიული გეგმა“ შეემუშავებინა. ვინაიდან პირველ სართულზე ვცხოვრობდი, ეს რთული გასაკეთებელი სულაც არ იყო. დათომ ტერიტორია დაზვერა — შუშაბანდის გრძელი ფანჯარა მთლიანად რკინის, დასაკეცი ჟალუზით გახლდათ დაცული, რომელიც ოთახის მხრიდან ბოქლომით იკეტებოდა.



— მე მგონი, ბოქლომის გატეხა არ გაგვიჭირდება; წავალ, სახლიდან ჩაქუჩსა და სკამს ჩამოვიტან და ახლავე დავბრუნდებიო. ცოტა ხნის შემდეგ, სკამზე შემდგარი ჩემი მშველელი მთელი ძალით ურახუნებდა ჩაქუჩს „ურჩ“ ბოქლომს, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა მისი გატეხა. დაიღალა ოფლად გაიღვარა ჩემი „გადამრჩენელი“ და ბოლოს ფარ-ხმალი დაყარა. — წავალ, „ლომს“ (რკინის წვეტიანი, გრძელი ჯოხი) მოვიტან, იქნებ იმით „მოვერიოო“, მითხრა და ჩაქუჩი მომაწოდა — ეს აქ იყოს ჯერჯერობით, იქნებ კიდევ დაგვჭირდესო. ვინაიდან ეზოში ბნელოდა, ისევ სალონის წინ ჩამოვჯექი, ჩაქუჩი იღლიაში ამოვიჩარე და დათოს დაველოდე. ქუჩაში კანტიკუნტად მოძრავი მანქანების მძღოლებს შეუმჩნეველი არ ვრჩებოდი და ჩემს ყურებაში კისრები ელრიცებოდათ. ერთმა, ყველაზე გამბედავმა, „მერსედესიანმა“ კი მანქანა ჩემ წინ გააჩერა და როგორ ხარო? — ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა. პასუხი რომ არ გავეცი და არც შევიმჩნიე, რომ მისი ნათქვამი გავიგონე, მანქანიდან გადმოვიდა და ჩემ წინ დადგა.

— შეიძლება, ყავაზე დაგპატიჟოთ? — მკითხა და ისე გამიღიმა, მაგრძნობინა, თუ დამთანხმდები, არ წააგებო.

— არა, არ შეიძლება, — უკმეხად ვუპასუხე. — აბა,

აქ რატომ ზიხარო? რა ლოგიკას პოულობდა ჩემს იქ ჯდომასა და ყავის დალევის სურვილს შორის, ვერ მივხვდი, მაგრამ პასუხის გაცემა მაინც საჭიროდ მივიჩნიე: — რას ვაკეთებ და მანიაკი ვარ და „მერსედესიან" კაცებს თავებს ჩაქუჩით ვუჩეჩქვავ-მეთქი, — სერიოზულად ვუთხარი. — ეგ როგორო? — სასაცილოდ არ ეყო ჩემი ნათქვამი. — როგორ და აი, ასე-მეთქი, — იღლიაში ამოჩრილი ჩაქუჩი გამოვაჩინე და მოვუღერე. ამასობაში ჩემი მხსნელიც გამოჩნდა და უცხო მამაკაცი რომ დაინახა ჩემ გვერდით, მიხვდა, გასაჭირში ვიყავი ჩავარდნილი და შორიდანვე დამიძახა — მარი, რა ხდება მანდ, ხომ არ გაწუხებს ვინმეო? ჰოდა, ამ ჩემმა ახალგამომცხვარმა კავალერმა ჩვენკენ მომავალი რკინისჯოხიანი კაცი რომ დაინახა, იცოცხლე, დაფრთხა და ოფლმა დაასხა. გაქანდა თავისი მანქანისკენ, მარჯვენა კარიდან შეხტა, ძლივს გადაბობღდა საჭესთან და ისე მოკურცხლა, თქვენი მოწონებული. მგონი, წერეთლის გამზირზე გავლას დღესაც ერიდება და ძმაკაცებს „ლეგენდად" უყვება, როგორ გადაურჩა ბეწვზე მანიაკ ქალს, რომელიც კაცებს თავებს ჩაქუჩით უჩეჩქვავს. რაც შეეხება ჩემს პრობლემას, ბოქლომი „ლომით" გავტეხეთ, დათო ფანჯრიდან გადაძვრა და კარი გამიღო. ასე რომ, მეც ბეწვზე ვარ გადარჩენილი ღამით გარეთ დარჩენას.

## სადისტის ოინები

„მე და ლევანი ბავშვობიდან მოყოლებული, ხშირად ვკინკლაობდით. სადისტი იყო, ამის დასამტკიცებლად იმის დანახვაც საკმარისი იყო ჩემთვის, წარბშეუხრელად რომ აცყავებდა ბაყაყებს ცოცხლად. რომ წამოვიზარდეთ, რატომღაც მის სულელურ საქციელზე თვალებს აღარ ვხუჭავდი, ვსაყვედურობდი და აქედან დაიწყო ჩვენ შორის „სამოქალაქო ომი". ერთხელ ვაჟბატონი გოგოებში ბაქიაობდა, მე კი დავაგოიმე. ისეთი თვალებით შემომხედა, გეგონება, მარჯვენა ხელი, რომელიც თაბაშირში ჰქონდა ჩასმული (ერთთან მოუვიდა კონფლიქტი და შემთხვევით მოწინააღმდეგეს მისი ხელი „შემოემსხვერპლა"), მე მოვტეხე. გაბრაზებულ ლევანს უკან არც მოუხედავს, ისე გაგვეცალა. სანამ სახლში მივალ, პატარა ხიდი უნდა გადავიარო (ბეწვის ხიდს ვეძახით). ჰოდა, იმ სისხლგასათეთრებელ ლევანს ხიდი ქვემოდან გადაუხერხავს, რომ ზედ გადავლისას ჩამტეხოდა. თვავად კი გულდამშვიდებული წავიდა შინ. ერთ საათში დავბრუნდი სახლში, ჩემი ცუგა — ბემბი, თავქუდმოგლეჯილი გადმოვიდა ხიდზე (მის წონას გაუძლო), წინ ამესვეტა და ღრენა დამიწყო. გაგონილი მქონდა, როცა ძაღლი ასე იქცევა, რაღაცას განიშნებსო. ბრძენი წინაპრების ნათქვამი გავითვალისწინე და გავიფიქრე, ლევანმა ხომ არაფერი გამიჩალიჩა-მეთქი? ხიდი შევათვალიერე და ლევანის ნაჩალიჩარიც შევნიშნე. ეშმაკურად ჩავიცინე და შინ სხვა გზით — ხიდის გვერდის ავლით მივედი. 10 წუთში ლევანი მოადგა ხიდს. დადარაჯებული ვიყავი და მაშინვე ჩავედი. „გადმო, რას უყურებ?" — რიხიანად მივაძახე ხიდს იქით მდგარ, იმედდაკარგულ ლევანს. არ მიპასუხა. — უი, დღეს ეს ხიდი რომ ჩამიტყდა, იცი? ყველაფერი მტკივა-მეთქი, — თავი შევაცოდე. მას სიხარულით, სახე გაებადრა. — როგორ თუ ჩატყდაო? — ჰო, ჩატყდა და მამაჩემმა ახალი გააკეთა-მეთქი. ლევანი კმაყოფილი სახით დაიძრა და დინჯად გადმოალაჯა ხიდზე. უცებ, ტკაც! და... ხიდის ქვეშ, წყალში აღმოჩნდა. თავის დაგებულ მახეში თვითონვე გაება, მე ძალიან მიხაროდა, რომ ჩემი გონიერების წყალობით, ჭუჭყიან წყალში ბანაობას ბეწვზე გადავურჩი. ბემბი სიხარულით კუდს აქიცინებდა, მე კი დონიჯშემორტყმული და წარბაწეული დავყურებდი ერთიანად გალუმპულ, ნირწამხდარ ლევანს. მგზავნელებს მოკითხვა! განძის მაძიებლის მაძიებელი".

## „ადგილობრივი"

„ბეწვზე გადარჩა ჩემი ძმა, რომელიც სამაჩაბლოში იბრძოდა. ვთხოვე, თავისი ამბავი გამოეგზავნა, მაგრამ უარი მითხრა — თუ ძალიან გინდა, შენ თვითონ დაწერე და გაგზავნეო. ამიტომ, იმას მოგიყვებით, რაც მისი ნაამბობიდან ვიცი. თურმე ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც ქართველებმა ერედვი დათმეს, ჩემს ძმას სოფლის დატოვება ვერ მოუსწრია და ერთ-ერთ სახლში შეუფარებია თავი — დაღამებას მოვუცდი და ისე გავალ უსაფრთხო ადგილზეო. მანამდე იქ დარჩენილი ტანისამოსი გადაუქექავს და მამაკაცის შარვალი და პერანგი უნახავს. ტანისამოსი გამოუცვლია, რადგან რუს ჯარისკაცებს სამხედრო ფორმაში ჩაცმული რომ ენახათ, იქვე მოკლავდნენ. თავისი ფორმა და იარაღი გადაუმალავს და თვითონაც დამალულა. სოფელში რუსი ჯარისკაცების ხმა ესმოდა თურმე; ხვდებოდა, რომ კარდაკარ დადიოდნენ და სახლებს ჩხრეკდნენ. ცოტა ხანში თავის სიახლოვესაც მოესმა მათი ლაპარაკი, რამდენიმე წუთის შემდეგ კი მის სამალავსაც მიაგნეს და თავზე დაადგნენ. გამოჰკითხეს, ვინ ხარო? ამან უპასუხა, ამ სოფლის მცხოვრები ვარ, გაქცევა ვერ მოვასწარიო. — ფული ხომ არ გაქვსო? — ჰკითხეს. ეს ჩემი სახლი არაა, სხვის სახლში შემოვედი, რომ დავმალულიყავი და ჯიბეზე რამდენიმე ლარი მაქვს, იმას მოგცემთო — 6 ლარი გაუწოდებია. ამათ უთქვამთ, არ გვინდა ეგ ფული, წამო, გაგაცილებთ, ქართველების ტერიტორიაზე გადაგიყვანთო და მართლაც, უვნებლად მიუყვანიათ უსაფრთხო ტერიტორიამდე და გაუშვიათ. როგორც ჩანს, შედარებით კეთილშობილი რუსები იყვნენ და მხეცურად არ მოექცნენ ჩემს ძმას. ასე გადარჩა ბეწვზე, თავისი მოხერხებულობის წყალობით და შინ მშვიდობიანად დაგვიბრუნდა".

## როგორია კარგი კაცი...

„არ ვიცი, ამ ამბის მოყოლის შემდეგ დავრჩები თუ არა ცოცხალი, მაგრამ მაინც მოგწერთ. ამბავი ჩემს დეიდას, ნინოს ეხება. ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი გოგო ყოფილა. ისეთი დიდი მკერდი აქვს, პამელა ანდერსონი მონაგონია, აგრეთვე — გრძელი, სწორი თმა. სიმაღლით ასე, 156 სმ იქნება. ამიტომაც, მისმა ლექტორმა ფულსტოპი (წერტილი) შეარქვა. ასე რომ, ჩემს ლამაზ დეიდას ყველა ფულსტოპად იცნობდა. ნინო ძალიან ჭკვიანი და მოხერხებულია. გეოლოგიურზე სწავლობდა და ხშირად დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყოლია, მაგრამ სათოფეზე არავის იკარებდა. ერთხელ, თავის დაქალთან ერთად, ვინმე ლადო გაიცნო. სილამაზით ის ბიჭი არ ბრწყინავდა და დეიდაჩემმა თურმე ისიც კი გაიფიქრა — რას ჰგავს, ამასთან ვინ გაივლისო?! — მაგრამ ჩვენი ლადო ფარ-ხმალს არ ყრიდა, ხშირად ეპატიჟებოდა რესტორანში და ტკბილად ეღურტულებდა. მართალი ყოფილა გამოთქმა — ქალებს ყურებით უყვარდებათო. ჰოდა, ჩემს ბრწყინვალე დეიდას შეუყვარდა ეს ჩვენი ლადო. მათი ამბავი მთელმა თბილისმა გაიგო და ლადომაც წაიყვანა დეიდაჩემი დედამისის გასაცნობად და, მოკლედ ვიტყვი, მისმა დედამ დაიწუნა ჩემი ლამაზი დეიდა. ის ქალი მეგრელი იყო და თურმე რძალიც მეგრელი სურდა. ნინო ძალიან ამაყი გოგოა, თბილად დაემშ-

ვიდობა სადედამთილოს და წამოვიდა. ლადო კი „დედიკოს ბიჭი“ აღმოჩნდა და ხმა ვერ ამოიღო. მხოლოდ სინანულით აყოლებდა თვალს თავისი ოცნების ქალს... ლადო მაინც დასდევდა, მაგრამ დეიდა უკვე მკაცრად ექცეოდა და ახლოს აღარ იკარებდა. ახლა დეიდაჩემი 57 წლისაა, ლადოც ხნიერია. არც მას შეურთავს ცოლი და არც ნინო გათხოვილა. ამდენმა დარდმა ძლიერ მოტეხა კაცი. დეიდაჩემი კი მიუხედავად ასაკისა, ისევ ისეთი ლამაზია. მინდა, ლადოს დედას ვუთხრა, რომ ვერც ერთი გოგო ვერ შეედრება დეიდაჩემს და ძალიან შეცდა, რომ დაიწუნა. დეიდაჩემი კი შესაძლოა, ავ დედამთილს ბეწვზე გადაურჩა“.

## მკურნალი

„აბრეშუმის ჭიებს თუთის ფოთოლს რომ აჭმევდნენ, ხომ გახსოვთ? ჰოდა, მაჩხათას მეზობელი ქალი შეხვედრია ერთ დილას, თავისი 3 შვილი მიჰყავდა. სად მიბრძანდებით, ქალბატონო ნათელაო? — ბავშვები მიმყავს ექიმთან, ჭია ჰყავთო, — მიუგო ნათელამ. — მერე, ქალო, ექიმთან რა გინდა, შესხი თუთის ხეზე, გახადე საცვლები და თვითონ გამოვლენ გარეთ; მა არ იცი, ამხელა ქალმა, რომ ჭიას თუთის ფოთოლი ყველაფერს ურჩევნია? ოღონდ, ბავშვებს არც აჭამო, არც დაალევინო, ჭიებს უნდა მოშივდეთ, ისე თუთის ფოთლის საჭმელად არ გამოვლენო. — გაგახარებს ღმერთიო, გახარებია ნათელას. წაუყვანია შვილები, დაუხდია საცვლები და აუსვამს თუთის ხეზე. პაპანაქება სიცხეა, შეწუხდნენ თურმე ბავშვები. დედი, წყალი მაინც დაგვალევინეო, — ტირიან. გაწყვიტეთ ხმაო, — ქვემოდან ეჩხუბება ნათელა. ამ დროს მოსულა მისი ქმარი. მამიკო, გვიშველეო, — შესტირეს შვილებმა. ქმარს აუხედავს. რა სანახავები იქნებოდნენ, საწყლები... რა ხდებაო? — უკითხავს. — ქა, ამ დილას ბავშვები რო მიმყავდა ექიმთან, მაჩხათა შემხვდა გზაზეო... მაიცა, გაჩუმდი, აღარ გააგრძელო, აქ შენი დედა და იქ — იმისიო! — გავარდნილა ცულით მაჩხათასან. ძლივს მოუბრუნებიათ მეზობლებს — შენ რომ უტვინო ცოლი გყავდეს, იმისი რა ბრალიაო?! ბავშვები ბეწვზე არიან გადარჩენილი, არა? მამა რომ არ მოსულიყო, რა დაემართებოდათ?“

## გაწბილებული სასიძო

„ნიკამ ქალის მოტაცება გადაწყვიტა და დახმარება უახლოეს მეგობარს, ლაშას სთხოვა. გეგმაც განახორციელეს... გაჩერდა მანქანა, დაავლეს ბიჭებმა გოგოს ხელი, აწივლეს, აყვირეს და ისე ჩატენეს მანქანაში. არაჩვეულებრივი გოგო იყო. არ გაჩერებულა არც მისი ხელ-ფეხი, არც ენა. ისე იგინებოდა და ილანძღებოდა, სხვას მისი ცოლად შერთვის სურვილი დაეკარგებოდა. ლაშა კი ოფლში იწურებოდა. ცალკე გოგოს „ტანჯვით“ და ცალკე იმაზე ფიქრით, თუ როგორ იქცეოდა. გოგოს მოტაცება ვაჟკაცობად არ მიაჩნდა, მაგრამ არც ის გამოდიოდა, მეგობარს არ დახმარებოდა... გართულება ჰქონდა ვაჟკაცობაზე, თავს სდებდა და ვინმეს რომ ეთქვა, არა ხარ ვაჟკაციო, ერთი კარგად მიტყეპდა შეურაცხმყოფელს. ჰოდა, გოგო ნიკასთან რომ ვერაფერს გახდა ხვეწნა-ლანძღვა-გინება-ფართხალით, ლაშას მიუბრუნდა: რას აკეთებ, ვაჟკაცობა გგონია ქალის მოტაცება, შე ლაჩარო, შე ასეთო, ისეთოო! — და აქ მოხდა, რაც მოხდა: ლაშამ გააჩერა მანქანა, დაავლო გოგოს ხელი და გარეთ გადააგდო. ისეთი გამწარებული იყო, კინაღამ პანღური მიაყოლა. ჩახტა მანქანაში და თვალებდაჭყეტილ ნიკას გონზე მოსვლა არ აცალა, ისე გააქანა უკან. ასე გადარჩა ბეწვზე, არასასურველ ბიჭზე გათხოვებას“.

## ხაშისტები

„დავიბადე და გავიზარდე გურიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში. გურულები მეგობრული, იუმორითა და სიყვარულით სავსე ხალხია. ეს ამბავი რომ მოხდა, პატარა ვიყავი, მაგრამ უფროსების გადმოცემით ვიცი: ცხოვრობდა ორი უახლოესი მეზობელი და მეგობარი, შაქროია და ლეონიდა. ამ პატარა და ლამაზ სოფელში, ერთმანეთის სიყვარულში სული სძვრებოდათ, მაგრამ ხანდახან სწორედ ერთმანეთთან გახუმრების გამო კინკლაობდნენ. დილით იჩხუბებდნენ, საღამოს ისევ ერთად იყვნენ. ჰოდა, მორიგი კინკლაობის დროს, შაქროიამ მოხარშა ხაში და გააფრთხილა მთელი საძმო: დილით ადრე ხაშზე მოდითო. რა თქმა უნდა, ლეონიდა არ დაპატიჟა. „გაუტყდა“ ლეოს, რა ქნას, არ იცის. დარჩა ხაშის გარეშე და საერთო მეგობრებთან ერთად, ამ სიამოვნებას ვერ მიიღებდა. ჰოდა, ამ ლეონიდამაც გააფრთხილა ბიჭები, — მაგი თუ დილის რვა საათზე გეპატიჟებათ ხაშზე, ჩემთან ექვსზე მოდითო. თან დაამატა, — რა იცის მაგან ხაშის გაკეთება, ხაში იმნაირი უნდა, მე რომ ვიციო. მთელი ღამე ხარშა შაქროიამ ხაში, ბუხარში დაკიდებულ ჩახანაში. როცა კარგად მოიხარშა, გულდამშვიდებული წავიდა დასაძინებლად. სწორედ ამ მომენტს ელოდა ლეონიდა. შეიპარა „ქუხნაში“, სტაცა ხელი ხაშით სავსე ჩახანას და გაარბენინა სახლში. დილით ადრე შაქროია მეზობლის სახლიდან გამოსულმა გურულმა კრიმანჭულმა გამოაღვიძა. — მეიცა პაწა, გაჩვენებ მე შენ სეირსო, გაიფიქრა გულში და „ქუხნაში“ გავარდა, ბუხარში ცეცხლის ასანთებად ისე, რომ ჩახანაში არც ჩაუხედავს. გააჩაღა ცეცხლი და ნივრის გაფცქვნას შეუდგა. ცოტა ხანში ოთახში საეჭვო ბოლი დადგა. შაქროიამ მიიხედ-მოიხედა, ვერაფერი შენიშნა და ის იყო, თავისი საქმე უნდა გაეგრძელებინა, რომ უცებ ბუხრისკენ მიიხედა და გაშეშდა — ბოლი ჩახანადან ამოდიოდა. მივარდა, თავსახური ახადა და მტრისას, რაც იქ დაინახა. სადღა იყო ხაში? ხაშის ნაცვლად ძვლები ეყარა და სქელ „კარდონზე“ დაწერილი წერილი უფრო ლექსს წააგავდა: „კარგი იყო, მოგვეწონა, ნახელავი შენი ხაში, აჰა! ჩახანა და ძვლები, შაქროია, ირტყი თავში!“ რაღას იზამდა შაქროია?! შეურიგდა ისევ თავის ძმაკაცს და დილით დასამთავრებელი ქეიფი საღამომდე გაგრძელდა ლეონიდასთან. მას შემდეგ მათი კინკლაობა აღარავის გაუგონია“.

■

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ყველაზე დაუვიწყარი დღე“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე:*

*8.77.45.68.61*

*ან მომწეროთ ელფოსტაზე:*

marorita77@yahoo.com

# „ბიჭის გამო მეგობარი არ დაკარგო“

**„გზის“ №22-ში დაიბეჭდა უცნობი 2-ის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მას და მის დაქალს ერთი და იგივე ბიჭი, ინგლისურის მასწავლებელი შეუყვარდათ, რასაც გოგონა ძალიან განიცდის. „გაურკვეველ, ცუდ მდგომარეობაში ვარ, რადგან მასწ-ი სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მაგრამ მის გამო ვერც დაქალს ვაწყენინებ... ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ გვანცამ არ იცის, მეც რომ მომწონს, ჰოდა, სიმართლის გამჟღავნების ძალიან მეშინია... რაც შეეხება მასწავლებელს, ჩვენ შორის დაძაბული ურთიერთობაა, რადგანაც ის ცდილობს, ჩემგან თავი შორს დაიჭიროს, აი, გვანცას კი ემესიჯება კიდეც...“**

## „მათ შორის მურმანის ეკალივით ეჩრები...“

**მაგდა:**

„მე ჯერ მხოლოდ 15 წლის ვარ, მაგრამ სიყვარულის რაღაც გამეგება. თუ შენს დაქალს და მასწ-ს ერთმანეთი უყვართ, მაშინ უნდა შეეშვა და შეეცადო, სხვა შეიყვარო. იცოდე, ბიჭის გამო მეგობარი არ დაკარგო. სიყვარული მხოლოდ ერთხელ არ მოდის. დამიჯერე, მალე სხვა შეგიყვარდება. P.S. ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მეგობრობაა და მას უნდა გაუფრთხილდე“.

**ქვრივი:**

„სამწუხაროა, მაგრამ შენს მასწ-ს აშკარად, გვანცა უფრო მოსწონს. ჰოდა, თუ არ გინდა, რომ ორივე დაკარგო, მათ შორის ნუ ჩადგები“.

**ნინი 16:**

„მასწავლებელზე საერთოდ როგორ იფიქრეთ ან შენ და ან შენმა დაქალმა? მერწმუნე, ის არც ერთს არ გიყვართ, უბრალო ახირების გამო კი დაქალთან ურთიერთობის გაფუჭება ნამდვილად არ ღირს. შენც ხომ ხვდები, რომ მასზე ფიქრი სისულელეა?!“

**ქაჯების დედა:**

„გვანცასთან იმეგობრე. იცოდე, ბიჭის გამო დაქალი არ უნდა დაკარგო. და კიდევ, თუ პატივცემულ მასწ-ს არ მოსწონხარ, ეს მისივე პრობლემაა. მოკლედ, „დაიკიდე“, რა“.

**უწუწური:**

„არ გეწყინოს, მაგრამ აშკარაა, რომ გვანცას და იმ მასწავლებელს ერთმანეთი მოსწონთ, შენ კი მურმანის ეკლის როლში ხარ. შენს ადგილას იცი, რას ვიზამდი? — განზე გავდგებოდი და საკუთარი გრძნობის მიყუჩებაზე ვიზრუნდებდი. ამას იცი, რატომ გავაკეთებდი? იმიტომ, რომ ჩემი მეგობარი ბედნიერი ყოფილიყო. P.S. ნუ ხარ ეგოისტი. დრო მოვა და კიდევ გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც სიცოცხლეზე მეტად შეგიყვარდება“.

**პრინცესა:**

„საუკეთესო გამოსავალი მეგობართან დალაპარაკებაა. მას აუხსენი, რაც ხდება. იქნებ თავად სულაც არ უყვარს და მისით უბრალოდ, ერთობა. გაკოცე“.

**თამთიკელა 14:**

„აუ, ეს რა „ნაროდი“ მოდის. ამქვეყნად ბიჭები დაილია?.. ჩემს დაქალსაც უყვარდა ბიჭი, რომელიც მომწონდა. ჰოდა, როცა მეგობარი საკუთარ გრძნობებში გამომიტყდა, გამეცინა. მკითხა, — რა გჭირსო? — მეც მომწონს, მაგრამ შენ გამო მასზე უარს ვიტყვი და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბედნიერი იყო. იცოდე, შეძლებისდაგვარად დაგეხმარები-მეთქი. გეფიცები, ეს გავაკეთე მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, იმ ბიჭსაც ვევასებოდი. აზრზე მოდი, რა!“

**მიკი:**

„გირჩევ, გვანცას ყველაფერი აუხსნა. თუ მართლა გიყვარს, მისთვის უნდა იბრძოლო. წარმატებები!“

**ნიკოლო:**

„მაგ მასწ-თან შანსი რომ გქონოდა, დაქალს „დაადებდი“, მაგრამ აწი „პროსტა“, თავს ნუ გაიბანძებ, რა. როცა ბრძოლას აზრი არა აქვს, თეთრ ალამს აფრიალებენ“.

**ლუნა:**

„ჰოდა, თუ არ გინდა, დაქალს აწყენინო, მასწავლებელზე ფიქრს შეეშვი. თანაც, როგორც ჩანს, მას გვანცა მოსწონს, რადგან შენგან თავს შორს იჭერს, იმ გოგოს კი ემესიჯება. თუ კაცისგან სითბოს ვერ გრძნობ, არ უნდა შეგიყვარდეს. ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ შენც და შენს დაქალსაც. გაკოცე“.

**ლეკო 27:**

„მას გვანცა მოსწონს და შენ მიმართ ინტერესი არა აქვს. ისე არ მოიქცე, რომ დაქალიც დაკარგო და მასწავლებელიც. სჯობს, სხვა პედაგოგთან იარო“.

**ლიფსო:**

„დაქალს აუცილებლად უთხარი, რომ მასწავლებელი გიყვარს. აბა, როგორი დაქალი ხარ, თუ ყველაფერს არ ეტყვი? ისიც დასძინე, რომ მის თავს უთმობ (ერთმანეთი თუ მოსწონთ, „ნაგლი“ უნდა იყო, რომ უთხრა, — არ დაგითმობო). აბა, შენ იცი. P.S. მეჩვენება თუ მართლა ასე წერია, — მასწავლებელი ემესიჯებაო? ეს ხალხი სულ მთლად გაირყვნა, რა“.

**ნევროზიანი:**

„ბევრი მსგავსი შემთხვევის შესახებ მსმენია. ვფიქრობ, ეს უბრალო გატაცებაა და ადრე თუ გვიან, გაგივლის. შეიძლება, შენს მეგობარს იმიტომ ემესიჯება, რომ არ უნდა, ბავშვს ტკივილი მიაყენოს, შენ კი მას თავადვე აღიზიანებ. იცოდე, მეგობრობას გაუფრთხილდი!“

**ქაჯ-ანა:**

„შენი მესიჯის კითხვისას ბევრი ვიცინე. რა იყო, ხალხნო, კაცები დაილია თუ მასწავლებლების შეყვარება და „დაგრუზული“ სიარულია მოდაში? აზრზე მოდი, რა. ალბათ, ახლა მეგობარზე იბოღმები კიდეც, რადგან მასწავლებელი მას ემესიჯება, მაგრამ მერწმუნე, გავა დრო და ამ ყველაფრის გამო, საკუთარ თავზე ბევრს იხალისებ. წარმატებები!“

**ბუზღუნა 17:**

„გირჩევ, მათ შორის არ ჩადგე და მასწ-ი გულიდან ამოიგდო. მართალია, ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ სცადე მაინც. იცოდე, ყველაზე კარგი გამოსავალი ესაა. წარმატებები!“

**ატარექსია:**

„თუკი შენს დაქალს უყვარს და მის მიმართ ყურადღებას მასწავლებელიც იჩენს (შენ კი თავს გარიდებს), დებილი თუ არა ხარ, უნდა მიხვდე, რომ მათ შორის მურმანის ეკალივით ეჩრები“.

**მეკო 22:**

„ამბობ, — თავს მარიდებს და გვანცასთან აქვს მიმოწერაო. ჰოდა, ამიტომაც, იმ ბიჭზე ფიქრს უნდა შეეშვა, დაქალს არაფრის გამო ნუ აწყენინებ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მასწ-ი შენთან ურთიერთობას გაურბის და რატომ უნდა ეხვეწო? ძვირფასო, თავი დაიფასე...“

**ეკა:**

„არ გრცხვენია, დაქალს შეყვარებულის წართმევას რომ უპირებ? შენს ადგილას, უკან დავიხევდი და პედაგოგზე სხვანაირად არ ვიფიქრებდი. P.S. არ მესმის იმ გოგონების, რომლებიც მზად არიან, კაცის გამო ყველას და ყველაფერს გადაუარონ“.

■

# ქართველი ქალის „ვალდებულება“

„გზის“ №22-ში დაიბეჭდა 23 წლის უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ჰყავს 3 წლის შვილი და მეუღლე, რომელიც ძალიან უყვარს, მაგრამ თურმე, როცა მეორე ნახევარი ეხება, ვერაფერს გრძნობს და იტანჯება. „ამ პრობლემის დაძლევაში მხოლოდ თქვენ თუ დამეხმარებით. უკვე 4 წელია, ვიტანჯები, მაგრამ ამ ამბავს ვერავის ვუმხელ; უკვე დეპრესიაში ვარ და ხასიათიც შემეცვალა. მერწმუნეთ, თავის მოკვლაც ბევრჯერ ვცადე, მაგრამ მაშინვე ჩემი შვილი მახსენდებოდა და უკან ვიხევდი... მეუღლე მართლა მიყვარს და არ მინდა, ეს ყველაფერი ვუთხრა, ამით შეურაცხყოფა მივაყენო, გული ვატკინო. იქნებ მირჩიოთ, როგორ დავძლიო ეს ავადმყოფობა..?“

## „შვილების გამო ყველაფერი უნდა ავიტანოთ...“

**ატარექსია:**

„როდესაც რჩევას ითხოვ, ზრდილობა უნდა იქონიო და ხალხს სიმართლე მაინც უნდა უთხრა. შენ ქმარი არ გიყვარს, მეტიც — მის მიმართ ვნებაც აღარ გაქვს და შესაბამისად, მისი შეხებისას ვერაფერს გრძნობ... და კიდევ, თავადვე უნდა გადაწყვიტო, მეუღლესთან უსიყვარულოდ ცხოვრება სჯობს თუ ოჯახის დანგრევა“.

**ქაჯ-ანა:**

„ვაიმე, ვერაფერი გავიგე... ადამიანი გიყვარს, მაგრამ როცა გეფერება, ვერაფერს გრძნობ? კარგი, რა... ან შენი მეუღლის ალერსია უხარისხო, ან არ გიყვარს და ეგაა. ალბათ, მის მიმართ გრძნობა გაგინელდა და ამის აღიარება არ გინდა. არ ვიცი, სხვა რა გითხრა... წარმატებები! უფალი შენკენ“.

**ლოლო:**

„მსგავსი პრობლემის წინაშე მეც აღმოვჩნდი და იცი, რა ვქენი? — ქმარს დავშორდი. გირჩევ, შენც ასე მოიქცე, რადგანაც ვიცი, რომ უსიყვარულოდ ცხოვრება ძალიან ძნელია. ალბათ, ის ოდესღაც მართლა გიყვარდა ან გეგონა, რომ გიყვარდა, ახლა კი მის მიმართ გრძნობები გაგინელდა და მისი შეხებისას ვერაფერს გრძნობ. ჰოდა, ნამდვილად არ ხარ ვალდებული, ცხოვრება მას შესწირო. P.S. ქართველ ქალებს ქმრის მორჩილება და უსიყვარულოდ ცხოვრებაც კი თავიანთი ვალდებულება ჰგონიათ, ეს კი მერწმუნეთ, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს გონებრივ ჩამორჩენილობაზე (მაპატიეთ პირდაპირობისთვის) მეტყველებს“.

**ლეკო 27:**

„მსგავსი პრობლემის წინაშე ბევრი დგას, მათ შორის — მეც. 10 წელია, გათხოვილი ვარ და ამ ყველაფერს უკვე შევეგუე. მერწმუნე, ათასიდან მხოლოდ ერთთან შეიძლება იგრძნო ის, რაც გინდა. გირჩევ, ეს ყველაფერი ასევე დატოვო და ქმარი არ მიატოვო; ვნებას სხვაგან არ დაუწყო ძებნა, თორემ ძალიან შორს წახვალ. P.S. სხვა თუ არაფერი, ვალდებულები ვართ, შვილების გამო ყველაფერი ავიტანოთ. წარმატებები!“

**ლუნა:**

„ძალიან ცუდ მდგომარეობაში ყოფილხარ. ვერ ვხვდები, მის მიმართ რატომ გაცივდი? თუ ადამიანი გიყვარს, წესით, მისი კოცნა უნდა გსიამოვნებდეს კიდეც. ნამდვილად მძიმე შემთხვევაა... საკუთარ თავს ძალა დაატანე და მეუღლეს ხშირად მიეფერე. გაიხსენე შეყვარებულობის პერიოდი და იქნებ ეს მაინც დაგეხმაროს. შე კაი ადამიანო, ქმრის ყოლაზე, კაცის მოფერებასა და კოცნაზე ბევრი ქალი ოცნებობს, შენ კი ამბობ, — ვერაფერს ვგრძნობო. ილოცე. ღმერთს თუ მიენდობი, ის აუცილებლად გადმოგხედავს და ყველა თხოვნას შეგისრულებს. თავის მოკვლაზე არც იფიქრო; ხომ იცი, ეს საუკეთესო გამოსავალი არაა. აბა, შენ იცი, გაკოცე“.

**ნიკოლო:**

„შენი არ მჯერა, რადგანაც სიყვარული ხორციელი ვნების გარეშე არასრულყოფილად მიმაჩნია. P.S. ფლეგმატიკებმა და A-სექსუალურებმა რჩევისთვის ექიმს უნდა მიმართოთ და არა — მგზავნელებს“.

**ფერია:**

„ვერაფერს ვგრძნობო, — რომ ამბობ, ალბათ, იმას გულისხმობ, რომ მისი შეხება სიამოვნებას არ განიჭებს. გირჩევ, რომანტიკული საღამოები მოუწყო, ფანტაზიას გასაქანი მიეცი...“

**ეკა:**

„ვაი, შენს პატრონს! ვერ ვხვდები, ქართველ ქალებს ჭკუა მართლა დაგვითხელდა თუ რა ჯანდაბა გვემართება? ქალო, ნუთუ ვერ ხვდები, რომ მსგავსი თხოვნით თინეიჯერებს კი არა, სექსოპათოლოგს უნდა მიმართო? რა, ექიმთან მისვლა და ამ საკითხზე ლაპარაკი გიტყდება, ჟურნალისტთან გასაუბრება და ბავშვებისთვის რჩევის თხოვნა კი არ „ტეხავს“? გგონია, რომ თავი ქუდში გაქვს, რადგან იცი, ჟურნალისტი შენს ვინაობას არავის გაუმხელს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამის უფლება არა აქვს, არა? შენი ვინაობის დადგენა არა მგონია, ვინმეს რამეში დასჭირდეს, მაგრამ ნურც იმის იმედი გექნება, რომ აქ ვინმე კომპეტენტურ რჩევას მოგცემს. ჰოდა, შენი პრობლემის დასაძლევად ორი ვარიანტია: ან ექიმთან უნდა მიხვიდე, ან პარტნიორი უნდა გამოიცვალო, თუ არა და, იცხოვრე გრძნობების გარეშე; მერწმუნე, შენ არც პირველი იქნები და არც — უკანასკნელი...“

**ქვრივი:**

„შეუძლებელია, კაცი გიყვარდეს და მისი შეხება არ გსიამოვნებდეს. ეტყობა, არ გიყვარს და თავს იტყუებ, რომ მის მიმართ გრძნობა გაქვს ან იქნებ თავად მას აქვს მამაკაცური პრობლემები?..“

**უცნობი:**

„ასე რატომ აგიცრუვდა გული? ბოლოს და ბოლოს, ის ხომ შენი ქმარია და თან, უკვე პატარა ანგელოზიც გყოლიათ. ეს პატარა ხომ თქვენი სიყვარულის ნაყოფია?.. ჩემო კარგო, უნდა შეიცვალო. ბოროტი ფიქრები გონებიდან ამოიგდე და საკუთარ თავს ყოველდღე, თანაც — ხშირ-ხშირად გაუმეორე, რომ ქმარი გიყვარს...“

**ანგელ:**

„არაფერზე ინერვიულო და მეუღლეს გული არ ატკინო. ვინ იცის, იქნებ ეს პრობლემა დროებითია და მალე თავისთავად მოგვარდეს კიდეც. საკუთარ თავს მოერიე და იცოდე, ის, რასაც შენ ავადმყოფობას უწოდებ, სულაც არაა ისეთი სანერვიულო, როგორიც გგონია. თავადვე აღნიშნე, რომ მეუღლე გიყვარს და იმედია, ეს სიყვარული პრობლემის დაძლევაში დაგეხმარება. P.S. ამისთვის თავის მოკვლა არ ღირს“.

**უცნობი:**

„ჩემი შვილის ტოლი ხარ. შენი მესიჯი რომ წავიკითხე, გული მეტკინა. ჯობს, მეუღლეს ყველაფერში გამოუტყდე და ნევროპათოლოგსაც ეწვიო. მერწმუნე, ეს ნევროზის ბრალი იქნება. თუ საკუთარ თავს ხელში აიყვან და მეუღლეს ყველაფერს აუხსნი, ეს პრობლემა მალე მოგვარდება. P.S. თუ სურვილი გექნება, ამ ნომერზე: 8(55) 60.85.20 დამიმესიჯე და შეძლებისდაგვარად დაგეხმარები“.

■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***

## ქალები



1. ვარ 45 წლის, საკმაოდ შეძლებული ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 42-დან 50 წლამდე მამაკაცს.

2. გავიცნობ 35-დან 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, მაღალ, განათლებულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ, ჯანმრთელ, დასაქმებულ მამაკაცს, ვისაც სურს მყუდრო და თბილი ოჯახის შექმნა. ვარ 43 წლის, ბინით უზრუნველყოფილი, ტრადიციული მანდილოსანი.

4. გთხოვთ, მომცეთ პირველი და მეექვსე მესიჯის ავტორების ნომრები, „გზის“ 21-ე ნომრიდან.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

5. გამარჯობა. ვეხმაურები „გზა“ №20, მე-14 მესიჯის ავტორ მამაკაცს. თქვენ რამდენად სერიოზულად უდგებით გაცნობას? ან დასაქმებული თუ ხართ? მე 43 წლის ვარ, თბილისელი.

6. გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ, 40 წლამდე მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 34 წლის, თეთრი, ცისფერთვალება, სასიამოვნო გარეგნობის.

7. ვეხმაურები მე-18 მესიჯის ავტორს.



## მამაკაცები

8. გავიცნობ ბავშვიან მანდილოსანს, დავეხმარები შვილის გაზრდაში. მატყუარებმა და მსუქნებმა თავი შეიკავეთ. ვარ 34 წლის.

9. ვეხმაურები 22-ე ნომერში დაბეჭდილ ბაიას წერილს. ვარ 31 წლის, ათლეტური ვაჟკაცი. იკითხეთ რომა არღვლიანი ან ბუდუ.

10. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №23, მე-4 ნომრის ავტორის ნომერი ან გადასცეთ ჩემი და კიდევ, ერთს გეტყვით: უკვე რამდენი ხანია, ვითხოვ და რატომ იქცევით უყურადღებოდ?

11. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №23, პირველი მესიჯის ავტორის ნომერი.

12. გავიცნობ გორელ მანდილოსანს. დამიკავშირდით, არ ინანებთ.

13. გთხოვთ, მომცეთ 23-ე ნომრის 1-ელი მესიჯის ავტორის ნომერი.

14. ვარ 46 წლის, ცოლს გაცილებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33-დან 40 წლამდე ასაკის, ლამაზ, კეთილ, მორწმუნე ქალბატონს. ვარ ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. დარეკეთ 18 სთ-ის შემდეგ.

15. გავიცნობ 25 წლამდე გოგოს. სასურველია, იყოს კახეთიდან.

16. გავიცნობ სასიამოვნო მანდილოსანს, ქუთაისელს, 16-დან 27 წლამდე, სამეგობროდ. ვარ 22 წლის, გოგა.

17. ვარ 61 წლის, ინტელიგენტი მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ ქალბატონს. მსუქნებმა თავი შეიკავეთ. მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის!

18. გავიცნობ ლამაზ გოგოს, სამეგობროდ, 20 წლისას. შესაძლოა, ლოვედაც.

19. 36 წლამდე ასაკის, თბილისელ ქალბატონს გავიცნობდი, მოვეფერებოდი, დავარწმუნებდი, რომ სიყვარულისთვის ეს საუკეთესო ასაკია.

20. გავიცნობ მანდილოსანს. ჩემი ნიკია თბილი კაცი და მგონი ამით ყველაფერი ავხსენი. ვეძებ გათხოვილს. ვარ მართალი ადამიანი. გელი.



## სხვადასხვა

• გთხოვ, ყოველდღე დამირეკე ხოლმე, თორემ ის დღე, როცა არ რეკავ, საშინელია ჩემთვის. ყოველ წამს გელოდები. იცი, რა მაგრად მენატრები? შენი საათი სულ მიკეთია, არ ვიხსნი. პეპელა.

• მე ახალი ვარ, მიმიღებთ? ძალიან მომწონს „გზა“. ბრაზიანი.

• მარ, როგორ ხარ? მალატ. სვანებს გაუმარჯოს, ჩემი თამადობიით. კლეოპატრა, მიკალხალ. აჩრდილი.

• 3კ198გი, წიგნები გამოვგზავნე, საშინლად გამიძნელდა უშენობა, რა ვქნა. ძლიერად იყავი. თავს მოუარე. ვცდილობ, არ გავტყდე სულიერად. მუდამ შენზე ვფიქრობ. შენი თეე.

• 3კ198გი, ყველას უზომოდ გვენატრები. საბა სულ გკითხულობს, ნიაც და ნათიაც. მე კი თავს უბედურად ვგრძობ. თვიდან თვემდე დრო საძაგლად იწელება. ცრემლებამდე მენატრები. თეე.

• ქაჯეთ, გამიცანი თუ მნახე? ლუნა, არაფრის. კუტრინა და კიბორჩხალა გავიცანი, მაგრები არიან! გადარეულო, ეგ სვანებზე

კი არა, კახელებზე უნდა გეთქვა. :) WANDERER.

• ნიკოლო, ეს როგორ გააკეთე? რუისპირში გაცვალე ჩვენი ურთიერთობა? არ მეგონა, მაგის თანამზრახველი თუ გახდებოდი. გაგანადგურებთ. მე ბევრი ვიცი. ნათკა (მაყაშვილი).

• იკა, დე, როგორ ხარ? წინა ნომერში გამოგიგზავნე წერილი. ტელეფონის ნომრები ეწერა და ეტყობა დაბლოკეს, ალბათ არ შეიძლება. დღეს გიოს დაბდღეა. შენ გარეშე ჩვენს ცხოვრებას აზრი არ აქვს.

• იკა, დედიკო, როგორ მიჭირს უშენობა. შენ არ იფიქრო, გულხელდაკრეფილი ვარ. ყველაფერი კარგად იქნება, თავს გაუფრთხილდი. სავსე ჭიქასავით გიფრთხილდებოდი და რა მივიღე? მენატრები.

• ექსკურსიის ამბავი მევასა, :) მაგრამ სიშორე გვიშლის ხელს .:( ფლამინგოც გავიცანი, კარგი გოგოა! რუისპირ, შენს დაიკოს უთხარი, რომ მიყვარს. კარგი? მოკითხვა! :) WANDERER.

• კაკადუ, ახლა ყველა ერთად ვართ და ყველას მაგრად გვენატრები. შენც ჩვენთან ხარ და ძალიან ბევრს გკოცნით.

• იკა, გიო შენი ამბის შემდეგ დაითრგუნა, ძან განიცდის. მეცოდება. ვიფიქრე, ახლა მივხედავ-მეთქი. აღარც სკოლა, მარა რალაცას ვიზამ? ოღონდ შენ უნდა იყო კარგად. ხომ იცი, შენით ვართ. შენ ძლიერი ხარ. უფლება არ გაქვს, ცუდად იყო, თუნდაც ნუნუ ბებოსთვის. შენ ვერ წარმოიდგენ, რა დღეშია. მამუკა დაავიწყა შენმა ამბავმა. ცოტა გაუძლო უნდა. ის მაქსიმალურს აკეთებს. გიოს დაბადების დღეზე ნანა და ბიჭები გამოვიდნენ, ანზორიც იყო. ტორტი გამოვუცხვე. ჩვეულებრივი სადილი მქონდა, ყველა სადღეგრძელო შენით იწყებოდა და მთავრდებოდა. 20-ში მარხვა იწყება.

• კასკუ, ყველაზე ტკბილო, თბილო და ხრაშუნა, ჩემო არსებობა და სუნთქვა. ძალიან, ძალიან გვენატრები და სიგიჟემდე მიყვარხარ. ბევრი რამე გადავაფასე ცხოვრებაში. მიყვარხარ.

• კასკუ, თავიდან რომ ეთქვათ ეს შედეგი, ალბათ გავაფრენდი, მაგრამ ახლა ამდენი რომ გასულია უკვე, ძალიან გახარებულები ვართ. რომ ჩატარდება, დავფაცურდებით და გადაგიყვანთ. შენ ოღონდ გული არ გაიტეხო და მხნედ იყავი. კიდევ არის რალაც იმედები აგვისტოში და უფლის შეწევნით, იქნებ გამოვიდეს რამე. კუს, ძალიან მიყვარხარ. შენი ლიკუნა.

• ვწერ, ვგზავნი და კაციშვილი არ ბეჭდავს მესიჯებს. თუკი არ გინდა, რომ მოგწეროთ, თქვით, თქვე კაი ხალხო და არც ჩვენ შეგაწყენთ თავს. პატივისცემით, ჰოლმსი.

• ძალიან მენატრება ჩემი უსაყვარლესი დეიდაშვილი, ირმა მელელაშვილი. იმედია, მალე ვნახავ მასაც, ჩემს საყვარელ სიძესაც და მათ უსაყვარლეს, პატარა ნინო ბერიძესაც.

• კაკადუ, მაგრად გვენატრები ყველას. მამას სულ ესიზმრები. დღეს ნიას ეკსკურსიაზე წავიდნენ ბავშვები და თეა, უფლისციხეში. ყველანი კარგად არიან.

• კასკუ, ჩემო ერთადერთო სიყვარულო, ძალიან მინდა, შენ გვერდით ვიყო და შენი დარდები გავიზიარო, მაგრამ უფალმა ასე ინება. ეს ყველაფერი დროებითია, ჩემო სიცოცხლევ. რა არის დრო და მანძილი, ჩვენი სიყვარულისთვის? არაფერი. ძალიან მალე დამთავრდება ეს წამება და ისევ ერთად ვიქნებით. ხომ იცი, შენი იტუნია შენით არსებობს :):). ჩემი კარგად ყოფნა შენზეა დამოკიდებული. გთხოვ, დამშვიდდი და დაიწყნარე ნერვები, მოგვარდება ყველაფერი. კიდევ არის რალაც იმედები. გაძლიერდი და მაგრად იდექი. ღმერთი იმაზე მეტ განსაცდელს არ მოგვცემს, რისი დათმენაც არ შეგვიძლია. შენს გულში ვარ, ხომ იცი, წერტილ-წერტილ მიყვარხარ. გკოცნი და გეფერები, სულ შენი ლიკუნა.

• მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი, მე უფრო მეტად მიყვარს, შენი ლამაზი ტანი. შენი შავი თმის ბუჩქი, ნახატი შუბლის სერი, თვალები ყავისფერი, ტუჩები — ვარდისფერი. შენი თითები მიყვარს, ორი პატარა თათი, ო, იცი, როგორ მიყვარს, ოდნავ შეხება მათი. ო, იცი, როგორ მიყვარს, გამოუთქმელი ენით, შენი გრძნობების სიღრმე, სულის სიმაღლე შენი. მე დარდიც მიყვარს შენი, შენი ღიმილიც მართობს, მე გულიც მიყვარს შენი, შენი სიცილიც მათრობს. შენს მცირეოდენ წყენას, სულ უმნიშვნელო წვრილმანს, სდევს ჩემი სევდა დიდი, ჩემი ფიქრების წვიმა. მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, მწვავს შენი ტრფობის ალი, მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, მთელი გრძნობით და ძალით. მთელი სამყარო ვრცელი, შენით არსებობს ჩემთვის, რაზეც კი ვფიქრობ ყველა, ფიქრს შენზე ფიქრი ერთვის. ძილში ჩემთან ხარ სიზმრად, ფიქრით ჩემთან ხარ დღისით, გულის ძგერის ხმა მესმის, შენი ხმა არის ისიც. შენთვის მივწვდები მწვერვალს, დიდების ყველა მნათობს, დიდებას დავთმობ შენთვის, შენთვის მწვერვალებს დავთმობ. შენი ოცნებით ვხარობ, შენს დარდს ვატარებ დარდად, მე სხვა სურვილი არ მაქვს, შენი სურვილის გარდა. მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, მიყვარხარ ცხადად, მალვით, როგორც აროდეს არვინ, არ ჰყვარებია არვის. ნუღარ მაწვალებ კარგო, გთხოვ, რომ დამთანხმდე შენით, ახლოს მოიწი ჩემთან და მოვიგონოთ ძველი. აქამდის ასე გექნა, რას მაწვალებდი ნეტავ, შენ მეყვარები მუდამ, ჩემო სიცოცხლის კერავ. დილით ავდგებით ადრე, არვინ არ დაგვინახავს და ისევ ღამლამობით, ჩვენ აქ ვიქნებით ერთად.

• ი რ ა კ ლ ი, მალე გურიაში მივდივარ და შენ გარეშე იქ... მენატრები ძალიან, ძალიან. მ ა რ ი.

• აურა, გენაცვალე, ჩემი სახელია ჯარჯი. კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

• ირაკლი კვაჭანტირაძეს: როგორ ხარ, ძმაო? სისონაი დარჩიაი ნაქებია ბიჭობაში, იშიშვლა იმდონ ხალხში. მენატრები ძამა, გვიყვარხარ, გკითხულობს მთელი სდასუ.

• იკა, გწერ ტელეფონის ნომრებს: ოთო: 8.98.40.66.48; ბექა: 8.55.44.77.17; ანრი: 8.71.03.26.16. ძალიან გამიჭირდა შენთან განშორება. კიდევ როდის გნახავ? რა უსამართლოა, ეს წუთისოფელი. მიყვარხარ, დედიკო.

• კვაჭი, როგორ ხარ? ძაან მოგვენატრე ყველას. აბა, შენ იცი ძმაო, გაუძელი. ნიკა ლაბარტყავა.

• იკა, მაპატიე, რომ აქამდე ვერ მოგწერე. უზომოდ მენატრები და მიყვარხარ. იცოდე, რომ მუდამ შენთან ვარ, გულითა და სულით და ძალიან ბევრს ვფიქრობ შენზე. გკოცნი. ნატუკა.

• აუ, ესენი ვინ გადავიკიდე, ტოო... ჩემი აზრი ვთქვი, სტრასბურგში კი არ გიჩივლე, არ გადამეკიდნენ?!. ეს ჩემი აზრია და არ მაინტერესებს, სხვები რას ფიქრობენ. და ერთი — ნიკიც მიუთითეთ, რა, ვინ მაძლევს სასარგებლო რჩევას კითხვის სწავლის თაობაზე, მაინტერესებს. :):):) ასე მგონია, ერთი და იგივე ადამიანი წერს. მაპიპ.

• სიყვარულისთვის გაჩენილი, სიყვარულისთვის მებრძოლ, სიყვარულით მცხოვრებ და სიყვარულში დაღუპულ ბიჭებს ვენაცვალე, მოდი, „გზა“ დავუთმოთ მათ მომავალს. ჰოლმსი.

• თქვენი სიცოცხლე იმაზე მეტად ღირსეული და დასაფასებელია, ვიდრე თქვენი ქმედება და ცხოვრება. მოდი, ყველამ ვიცოცხლოთ ღირსებისთვის. მუდამ თქვენთან შერლოკ ჰოლმსი.

• მოვიკითხავ ყველას, ერთადერთს გისურვებთ — ღვთის წყალობას. უფალი ყოფილიყოს თქვენზე, ჩვენზე და ქართველ ერზე მლოცველი. მუდამ თქვენთან პატივისცემით, შერლოკ ჰოლმსი.

• კაწი, მიყვარხარ მაგრად და გთხოვ, ნუ მიბრაზდები, ვგიჟდები შენზე. „გზა“ ყველაზე მაგარი ჟურნალია, გენაცვალეთ თქვენ! ოთო-ძველო.

• ისე, ნათქვამია: ბარში თამაშს, რეალში ვარჯიში ჯობიაო. უბრალოდ, ბენზემა უძლიერესია, მაგრამ იტალიურობა მაინც წინა პლანზე იქნება სუულ. ოთო-ძველო.

• როგორ გამახარე, რომ დამირეკე, ცხოვრების აზრი და ხალისი დამიბრუნე. უზომოდ მენატრები, ყველგან შენ მელანდები. უფრო ძლიერად უყვარხარ, შენს პეპელას. ნეტავ, თუ კიდევ გიყვარვარ? მირჩევნია, მითხრა, ვიდრე გეცოდებოდე. იმდენი დამცირება და ნერვიულობა ავიტანე შენ გამო, რომ სულ რომ მოვკვდე, ველარ დაგკარგავ. შენი პეპელა.

• მიხა, ჩემო პატარავ, როგორ ხარ, გენაცვალოს დედიკო. თავს გაუფრთხილდი, ჩვენ ყველანი კარგად ვართ, მარტო უშენობა გვაწუხებს. ნიკამ დამირეკა, აგვისტოში ჩამოვალო. მალე ანაც ჩამოვა. ცოტაც მოითმინე, ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

• ძალიან მომწონს ლაკვასტი. გადმოცემით ვიცი, რომ ძალიან საყვარელი გოგოა. ნათ, დიდი სიამოვნებით ვკითხულობ შენს გზავნილებს, უნიჭიერესი ხარ! უფალი გფარავდეს, მალიშა.

• დათო ფანცხავა, მიყვარხარ უზომოდ. ლნა.

• არ ვიცი, ექსკურსიის იდეა ვის ეკუთვნის, მაგრამ მე მომხრე ვარ! :) იქნებ დამ-

ადგეს საშველი და ერთი მგზავნელი მაინც გავიცნო. :) ატარექსია.

• CRAZY GIRL, მეც მომენატრე და არა მარტო შენ... ძველი და სტარიკი მგზავნელებიც, რომლებიც თვალს ადევნებენ „გზავნილებს“, მაგრამ აღარ ამესიჯებენ. :-) GREEN GIRL.

• აქამდე გაწამებული ვიყავი პირველი, მეორე და მეოთხე ცოლებისგან. იქნებ ახლა, მეშვიდედ მაინც გამიმართლოს, კაცო. ცდა ბედის მონახევრეაო. კუნკულა.

• ბამბუჩა, ახლა ვკითხულობ შენს გზავნილს. რომელია შენი სოფელი? მეც ახმეტის რაიონიდან ვარ. პატივისცემით, ჯ. ხავი.

• ზევსი, როგორ ხარ, სიხარულო? იმ დღეს შენი მეგობრები იყვნენ, ველაპარაკეთ და ყველაფერი კარგად იქნება.

• 3.198გი, ნეტავ მიიღე ჩემი წერილები და წიგნები? გი, შენს თავს მიხედე. ჩვენ არა გვიშავს, ვუძლებთ ამ დილემას. შენზე ფიქრში მიიზლაზნება დღეები. მენატრები, ბუუს. თეა.

• 3.198გი, მოუთმენლად ველოდები შენს წერილს. იმედია, მალე მოვა. ფიქრით მუდამ შენთან ვარ, ვცდილობ, როგორმე რაღაცით მაინც შეგიმსუბუქო მანდ ყოფნა. გკოცნი. შენი თე.

• 3.198გი, საბამ და ნიამ მოგიკითხეს. საბამ მითხრა, გიას უთხარი, ცურვა ვიციო და მეც გწერ. გი, მე კი უზომოდ მენატრები, ძლიერ მიჭირს უშენობა და ვერ ვეჩვევი. შენი თე.

• კარგი იდეაა ექსკურსია. ექსკურსიის ორგანიზება თუ ვერ მოხერხდება, იქნებ ლაშქრობა მაინც მოგვეწყო. მოკითხვა მაპი3-ს. სხვა ვინ ხართ, ბარსას ფანები? ჯ.ხავი.

• ვახო ჯავახიშვილო, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. ჩემი სუნთქვა ხარ, ჩემი გულის ცემა, ჩემი ცხოვრება ხარ. მიყვარხარ.

• სიხარულოოო... ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები. ნეტავ იცოდე, როგორ მაკლიხარ, ნეტავ იცოდე... გკოცნი ბევრს და გეხუტები. ლერასგანაც დიდი მოკითხვა. მიყვარხარ.

• რუისპირო, შე უტიფარო, მეზიზღები! ხალხო, გიომ ლოვე ამახია! მთელი თელავი მაგაზე ლაპარაკობს, უკვე. დიდი ხანია, ბიჭები მოგწონს? მწარედ გაზღვევინებ. ნათია მაყაშვილი.

• გულის ტკივილი დამჩემდა. რა ცუდია, როცა გრძნობ, რომ გაჩერებას აპირებს და სუნთქვას ხელს უშლის გული. დგახარ და მკერდზე ხელს იდებ, ასე გგონია, რამეს უშველი და დაეხმარები. მაინც გჯერა, ასე გინდა, რომ იყოს და გჯერა. არ გინდა, რომ გული გაჩერდეს, იგი ხომ სიცოცხლის საზომიც არის და მისი საწინდარიც. გაუფრთხილდიო, გულს, მეუბნებიან. მე კი გავუფრთხილდები, მაგრამ სხვები რომ არ უფრთხილდებიან ამ ჩემს გულს?!. როგორ მოვიქცე? სევდიანი ქალი.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. განსაკუთრებით ახალ მოხუცს, ლუნას, ბელოს, გრუზინკას, ტირიფს, მგზავრს, GREEN GIRL-ს, გადარეულს, კუნკულას, ლაკვასტს, კლეოპატრას, ქაჯების დედოფალს, ასევე დაკარგულებს: ოლეგარიოს, ბოას, ენიგმას, ბერბიჭას, აპოლონს (სტიქია), შინაბერას, ქალ ცდუნებას, ცისიას, ცხრათვალას და სოფი-20-ს. სევდიანი ქალი.

• საათს შევხედე. ღამის ორი საათი იყო. გამოვრთე შუქი და დავწექი. ცოტა ხანში, რაღაც უხილავმა ძალამ სადღაც უსასრულობაში გამაქანა, ყველაფერი ბურუსმა მოიცვა. უცებ ეს მძიმე, თეთრი ნისლი გაქრა და... ქუჩაში მარტო მივდიოდი. გაზაფხულის წვიმიანი ღამე იყო. წვიმის წვეთები სახეზე მეცემოდა და მასველებდა. ირგვლივ ბნელოდა. არ ვიცოდი, რომელი საათი იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძალიან დაგვიანდა. მარტო მივდიოდი. ლამპიონების შუქზე წვიმის წვეთები მარგალიტივით ბრწყინავდა და დედამიწაზე წკაპაწკუპით ეშვებოდა. მივდიოდი და შენზე ვფიქრობდი. წვიმის წვეთები სახეზე მეცემოდა, მაგრამ შენზე ფიქრით გართული ვერ ვგრძნობდი წვიმის სისველეს. რაღაც საოცარი გრძნობა მეუფლებოდა, მაგრამ რა, მე თვითონ არ ვიცოდი. ძალიან მსუბუქად ვგრძნობდი თავს, რაც არასოდეს მომსვლია. მივდიოდი, მაგრამ მეგონა, მიწაზე ფეხს არ ვაბიჯებდი. წვიმის წვეთები თვალებიდან ნაკადულებად ჩამომდიოდა. მოცული ვიყავი რაღაც გაურკვეველი, ცისფერი ნისლით და ეს ნისლი შენზე ფიქრი იყო. ასეთ ფიქრებში გართულმა თავი ავწიე და შორს დავინახე ნაცნობი სილუეტი, რომელიც თანდათან მიახლოვდებოდა. ღმერთო ჩემო! ეს ხომ შენ იყავი. შენ, რომელსაც რაღაც წამების წინ ასე გნატრობდი. თვალებიდან წყლის წვეთები ღვარად ჩამომდიოდა, მაგრამ წვიმის წვეთები იყო ეს თუ ცრემლები, მე არ ვიცოდი. რატომ ტირი? არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მერე ყველაფერი თვალის დახამხამებაში, უცებ გაქრა. აღარაფერი იყო, აღარც ცარიელი, ბნელი ქუჩა, აღარც წვიმა და აღარც შენ. უკვე გათენებულიყო. გავიხსენე სიზმარი და გული დამწყდა. გული დამწყდა, რომ შენ, რომელიც ასე ძლიერ მენატრებოდი, იმ წუთას ჩემ გვერდით არ იყავი. არა და, რა კარგი და რა ლამაზი იყო სიზმარი... სევდიანი ქალი.

• რა ჩქარა გარბის საათის ისარი, წამი წამს ელევა და წუთი — წუთს. საუკუნე რა პატარა ყოფილა, ადამიანის ცხოვრებისათვის. ჩვენ კი ერთმანეთს სიცოცხლეს არ ვაცლით.

• ნამდვილ მამაკაცს: დიდი მადლობა დათო, რომ მუდამ ჩემთან ხარ და მეგობრობას მიწევ. თამუნა, აუცილებლად შეგეხმიანები, გამახარე. გკოცნი. ლი23, დარჩი ჩვენთან! ლუნა.

• რა დროს ჩემი დიდობაა, ჯერ ისევ ვარ პატარა, შენმა ტრფობამ ცა და ველი, ფრენით შემომატარა... სიომ ნაზმა და თავხედმა, ხელისგულზე მატარა, რა დროს ჩემი დიდობაა, ჯერ ისევ ვარ პატარა, შენმა ტრფობამ ცა და ველი, ფრენით შემომატარა... სიომ ნაზმა და თავხედმა, ხელისგულზე მატარა, წვიმამ მკაცრმა მიმატოვა, ცივი სიოს ამარა... ქარიშხალმა ამიტაცა და ღრუბლებში მატარა, შემიფარე შენს უბეში, თუ ვარ შენი პატარა... ლუნა.

• დილის 7 საათი იყო, მამიდასგან მალულად ავდექი და ეზოში ჩავედი. დიდხანს ვიბორიალე და 9 საათი რომ მოახლოვდა, ჩემს მამიდაშვილს ვესტუმრე (მამიდასგან არცთუ ისე შორს ცხოვრობს). მინდოდა, მისი შვილი, 5 წლის გიგა წამომეყვანა და ასეც მოვიქეცი. მამიდასთან, რომ მივედი, შინ მხოლოდ ისლა დამხვდა. ბიძაჩემი და ჩემი მეორე მამიდაშვილი სამსახურში წასულიყვნენ. მოკლედ, მე და გიგას დაგვრჩა ბურთი და მოედანი. ხან რა ვითამაშეთ, ხან — რა. ცოტა არაყიც ჩავკარით (ჩემი ინიციატივით) და გუნება-განწყობილებაც უფრო გამოგვიკეთდა (გიგასი რა გითხრათ, მაგრამ მე მართლა კარგ ხასიათზე დავდექი). მამიდამ გვითხრა, მეზობელთან გავალ ნახევარი საათითო. მისი ნახევარი საათი მთელ სამ საათს უდრის. ამიტომაც გიგას რომ არ მოეწყინა, იმაზე ფიქრს შევუდექი, როგორ გამერთო. ბევრი ფიქრის შემდეგ მოვიფიქრე: მოდი, მამიდას დავემალოთ და რომ მოვა, ძებნას დაგვიწყებს-მეთქი. ისე ამომხედა, მივხვდი, ჩემ მიერ შეთავაზებული წინადადება არ მოეწონა და მითხრა, ამდენ ხანს მაგას ფიქრობდიო (ჰმ, ლაწირაკი ეს)? მაშინ ლოგინში ჩავძვრეთ, ზემოდან საბანი დავიფაროთ და მამიდა რომ მოვა, შევაშინოთ-მეთქი. ამაზე სიხარულით დამთანხმდა. მოკლედ, შევძვერით ლოგინში, თავზე საბანი გადავიმხეთ და გავიტრუნეთ. გავიდა ერთი საათი და არ ჩანს მანჩო. გიგამ ველარ გაუძლო და გიჟივით წამოვარდა, მანდ არ მინდა, ლოგინის ქვეშ დავიმალებიო. ასეც მოიქცა. მე დავრჩი გაჩოკრილი, ბიძაჩემის ლოგინში. როდის-როდის იკადრა მამიდაჩემმა მობრძანება, მაგრამ ვილაც მოიყოლა. კაცის ხმა ისმოდა... გიგა საწოლის ქვეშიდან გამოძვრა, ბიძია მოვიდაო. ყური, რომ მივუგდეთ, ბიძიას არ ჰგავდა და ჩვენ-ჩვენს ადგილებს დავუბრუნდით. გავიდა 10 წუთი და იმ კაცის ხმა აღარ ისმოდა. ამ დროს, ჩვენი ოთახის კარიც გაიღო. მე და გიგას გული აგვიჩქარდა. ნაბიჯების ხმა მომესმა (ჩემი ვარაუდით, მამიდა იყო). ამ დროს ჩამესმა გიგას შეშინებული ხმა — მამიდა არ არის, ვილაცა კაცის ფეხებია, ადექიო და უცებ აყვირდა — არ დააჯდე, შიგ ანუკია არ გაჭყლიტოო. დაფეთებული წამოვვარდი და რას ვხედავ? ჩემ წინ უუუზარმაზარლიპიანი, დევივით კაცი დგას. ისე შემეშინდა და ისეთი წივილ-კივილი ავტეხე, მეგონა, მთელი ქვეყანა თავზე დამექცა, მაგრამ ჩემს შეშინებას ვინლა დაეძებდა, იმ კაცის სახე და შეშინებული თვალები უნდა გენახათ. თურმე, ეს ჩემი ცოდვით სავსე, გოლიათი ბიძია, ბიძაჩემის ახლო ნათესავი ყოფილა. ჩვენს სახლში აპირებდა დარჩენას და როგორც ჩანს, ნაადრევად მოინდომა დაძინება. მადლობა ღმერთს, კიდევ კარგი, გიგამ გადამარჩინა გაჭყლეტას, თორემ იმ მოჭარბებული ენერგიიდან, რაც დილით მქონდა, გრამიც აღარ შემრჩებოდა. ლუნა.

• კნუტი, შენც დიდი მადლობა, ჩემო კარგო. ყველანი მიყვარხართ, ვინც ჩემთან ხართ! ლუნა.

•მარიამულო, დიდი მადლობა ყველაფრისთვის... ძალიან კარგი თემაა. ჩემი ნიჭიერი ხარ. უყვარხარ ლუნას.

•დილა მშვიდობისა მარ, ლამაზ დღეს გისურვებ! ჩემი ნიჭიერი ხარ! ბავშვობიდან გეტყობოდა ეს. შენი შესავალი რომ წავიკითხე, დავრწმუნდი. ლუნა.

•გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. ახლა ნამდვილი ამბავი უნდა მოგიყვეთ სვანზე და არ გეწყინოთ. ქუთაისელი სვანი მოსკოვი-ბათუმის რეისით მოფრინავდა, როცა თვითმფრინავი ბათუმს უახლოვდებოდა, დაბლა ეშვებოდა და ზღვა გამოჩნდა. სვანმა ამ დროს გაიხედა და ზღვა დიდ მდელოდ მოეჩვენა. მის გვერდით მჯდომს ეუბნება — ბიჭო, ერთი სამოსახლო მომცა ამ მინდორზე, რა სახლს ავაშენებდიო?! იმან — ბიჭო, შუა ზღვაში რა ჯანდაბად გინდა სახლი, სვანური კოშკიც ხომ არ მოგინდაო? ზღვაო?! გაუკვირდა სვანს, მგზავრებმა კი კარგად იხალისეს. გერასიმე. გკოცნით.

•წვიმის საშინელმა ხმამ გააღვიძა, ჩვეულებისამებრ, საათს დახედა ტელეფონზე. დილის 6 საათი იყო და გარეთ საშინლად წვიმდა. უსიამოვნო სიცივემ დაუარა ტანში, საწოლს გადახედა. მისი ადგილი ისევ ცარიელი იყო, მისი ბალიშიც პატრონს ელოდა ისევ. ამ ყველაფერმა კი ისე გაუფუჭა ხასიათი, რომ ძლივს შეიკავა თვალებზე მომდგარი ცრემლი. ძლივს წამოდგა საწოლიდან, თან ჯიუტად აკავებდა თვალებზე მომდგარ ცრემლს. სარკმელს მიუჯდა და უაზროდ დაიწყო სივრცეში ყურება. ცუდმა ამინდმა ცუდი მოგონებები ამოატივტივა. თითქოს წვიმამ გააცოცხლა ყველა ცუდი და ეს ცუდი კარგის გადაფარვას ლამობდა. თავი ჯიუტად გააქნია, თითქოს აზრზე მოსვლას შეეცადა, მაგრამ — არა! წვიმამ თავისი ქნა. შუბლი ცივ მინას მიადო და ჩაიძირა ცუდი მოგონებების მორევში. მკერდის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო, ყველაზე მეტად ხომ ღალატი სტკენდა გულს. მერე რაო? ყველა ქალი ვალდებულია, ქმრის წუთიერ სიამოვნებაზე და „ტრანზიტად“ გავლაზე თვალები დახუჭოსო, შეიძლება ბევრისთვის ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიურიც იყოს, მაგრამ როცა ტკივილამდე გიყვარს და მასთან ყოფნის გამო მზად ხარ, ყველას დაუპირისპირდე, ეს ძნელი ასატანია. ძნელი ასატანია, როცა ხედავ, ღამე მიდის და იცი, მანქანაში სხვა ელოდება. ნუთუ ასე ძნელი მისახვედრა კაცებისთვის, რომ ერთი ღამის სიამოვნებისთვის საყვარელ ადამიანს გული არ უნდა ატკინონ? თორემ ცხოვრება რა დროს რას გიმზადებს, არ იცი. შეიძლება განგებამ უსამართლოდ განგაშოროს და მერე? მერე მონატრება ისე გადაგრევს, რომ ყველა უიმისოდ გატარებულ დღეს განანებს და დროის უკან დაბრუნებას განატრებინებს. ჭექა-ქუხილმა გამოაფხიზლა. შუბლი მთლად გაჰყინვოდა, ცრემლებს გზა ენახათ, გარეთ კი ისევ გადაუღებლად წვიმდა. სიცივის მიუხედავად, ფეხზე წამოდგა, ცრემლები მჯიღით მოიწმინდა და დაორთქლილ მინაზე დიდი ასოებით დაწერა — „ქალს მარტო ნუ დატოვებთ, სანამ ქვეყნად არსებობთ. ქალი! ქალი საფერებლად გაჩენილა, კაცებო!“ მაგრამ როგორც ეს ნაწერია დროებითი მინაზე, ისეთივეა მამაკაცის ერთგულების ხარისხიც. თუ რომელიმე მამაკაცი განაწყენდით და არ მეთანხმებით, ჯერ ცივი წყალი დალიეთ და შემდეგ საკუთარ გულში ჩაიხედეთ (ცალი თვალით მაინც) და აუცილებლად დამეთანხმებით. ჯიუტ სთარი.

•მარი, ბოდიში, ცოტა არეულად თუ მოგივიდა. ჯერ დავწერე და მერე დავანაწილე, სათითაო მესიჯებად. ისე, მაგის გამო გავზარმაცდი.

•ბევრისთვის ცნობილია ეს წერილი, მაგრამ ალბათ არსებობენ ისეთნიც, ვისაც არ წაუკითხავს. გავკადნიერდები და სულ რამდენიმე ფრაზას შევცვლი ამ კლასიკოსის წერილში. გამოვიყენებ დღევანდელ მაგალითებს, თორემ ტკივილი იგივეა. უბრალოდ, მაინტერესებს, თუ შეიცვალა რამე?: „ჭირი დაუმალავი სჯობიაო“. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნარჩევი და გაშინაურებული. ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ეს საგანი გაცვეთილი და თავმოსაბეზრებელია, მაგრამ ჩვენი დანარჩენი ჭირ-ვარამნი და სატკივარნიც დაძველდნენ. ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ, უარესად დაავადდა და ატალახდა. ისიც გვახსოვს, რომ ერთ დროს გადაგვარებულებს თითზე ჩამოთვლიდით ხოლმე. ახლა კი ანგარიში აგვერია და სათვალავი დაგვეკარგა. გვახსოვს „ცისკრის“, „მნათობის“, „ლიტერატურული საქართველოსა“ და „განთიადის“ ქართული. ახლა კი „ქართული სიტყვის“ ერთი წერილის ავტორისა არ იყოს, ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს. ამ მხრივ ჩვენში უსაზღვრო თავისუფლება დამყარდა. აღარაფერს ერიდებიან და ჟურნალ-გაზეთებში თამამად წერენ: ივენთი, ფართი, პრეზენტაცია, კუხნა, შემწვარი კარტოშკა, პადვალი, სეილი, შოპინგი, დამესიჯება, დაკლიკება, დასეივება და სხვ. არ ვაჭარბებ, ეს სიტყვები მე თვითონ წამიკითხავს და იმავე დროს გამხსენებია, რომ თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვიძლია ორი და სამი ქართული დავახვედროთ. უკან აღარავინ იხედება. ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა და სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია. წიგნის ფურცელი სუსტი ანარეკლია იმ უბადრუკი სურათისა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით დღევანდელ ოჯახში, ქუჩაში და დაწესებულებებში. ამ დღეებში პარლამენტის ხსდომას ვუსმენდი, დარბაზში ნამდვილი სეტყვა მოდიოდა ასეთის სიტყვებისა: იმიჯმეიკერი, არენდატორი, ისტებლიშმენტი, პოზიცია და ოპოზიცია, პრეზენტაცია და ათასი ამისთანა ნარევი, გაუგებარი. ასე ლაპარაკობდნენ ქართველები. ასეთივე ამბები ხდება დაწესებულებებში, სადაც ისევე ქართველები ოფლში იწურებიან ქართულის წერით. გაგეგონებათ, წინანდელ გიმნაზიელებს ლათინურს ან ბერძნულს აწერინებენო. ან კი რა საკვირველია! დაიარეთ რომელიმე დაწესებულება და დაელაპარაკეთ თანამშრომლებს ქართულად. იშვიათად მიიღებთ პასუხს ქართულადვე. დაუგდეთ ყური ამ ხალხის ენას: ნამდვილი ვოლაპიუკი, ჟარგონი, უშნოდ ნარევი და ნამყნობი, უმგვანო. ამ ჯურის ხალხმა ხეირიანად არც ქართული იცის, არც რუსული და არც ინგლისური, თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი ინგლისურ-რუსულ-ქართული ან სულ დამუნჯდებოდნენ, ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას. უცებ რომ წინაპრებმა წამოიწიონ და ყური დაუგდონ დღევანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩაცვივდებიან საფლავებში. აი, ასეთი ჰიბრიდები არიან, რომ ქართულ ენას და კულტურას უმზადებენ ლათინურ და ირლანდიურ ენების ბედს. ე.ი. ნელ-ნელა მარხავენ ჩვენი ხალხის ცოცხალ ენას, მეტად მდიდარს, მოქნილს, ფერადსა და ხმოვანს. რას გვიშველის მარტო საქმის წარმოება ქართულად?! კათოლიკური ეკლესია დღესაც ლათინურ ენაზე აწარმოებს წირვას და მიწერ-მოწერას, მაგრამ ეს ენა მაინც მკვდარია. ნუთუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი, ილიასი, აკაკის და ვაჟასი? დაუჯერებელია! მაგრამ გონება და რეალობა მაინც თავისას გაიძახიან და მრისხანე მუქარას გვითვლიან. ზოგნი ამ სნეულებას უიმედოდ შესცქერიან, მე კი მაგონდება ერთი მაგალითი: 1905-1906 წლებში, სულ ორიოდე წელიწადში ყველა სომეხი თავიანთ დედაენაზე ალაპარაკდა (ბარაქალა იმათ!). როგორ მოხდა ეს ამბავი? სულ უბრალოდ: მოინდომეს და შეასრულეს. ხალხის ნებაყოფლობამ, უკვდავების ალღომ და სიცოცხლის წყურვილმა ასი წლის ნაშენი ზღუდენი გადალახა და თავისი ენით ამეტყველდა. არც ჩვენ გვაქვს სხვა გზა, გარდა ასეთივე ნებისყოფის, დაჟინების, შეგნებისა და სიცოცხლის წყურვილისა. ყველამ თვითონვე უნდა იზრუნოს თავის თავსა და ოჯახზე. ლაკვასტი.

•რა მოკლე კატეხიზმოა! როგორი მარტივი კანონისდება! მხოლოდ ორი სიტყვა: გიყვარდეს ღმერთი, გიყვარდეს მოყვასი, უფრო ცოტაც კი — გიყვარდეს, რადგან ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ღმერთი, მას ღმერთში უყვარს მოყვასიც და ვისაც ჭეშმარიტად უყვარს მოყვასი, მას უკვე უყვარს ღმერთი. რა საჭიროა? იტყვიან მავანნი, ასეთი გართულება ღვთისაგან და ხალხისაგან? რა საჭიროა ეს წესები, განწმენდები, საიდუმლოებანი, მთელი ეს სისტემა მეცნიერებათა? რა საჭიროა ეს ვიწრო კარიბჭე და ვიწრო გზა? რა საჭიროა ღვაწლი, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ შევიდნენ ვიწრო კარიბჭეში და მთელი ის საშუალებები, რომელნიც სიცოცხლეში მიმავალთ უნდა მოამარჯვონ, ეს მარხვები, მღვიძარება ლოცვები და სხვა? საჭიროა იმისათვის, რომ აგვამაღლოს სიყვარულამდე. სიყვარული ნათელია და ნაყოფია ჩვენს სულიერ, მხსნელ ცხოვრებაში. როგორც ხის ნაყოფს უსწრებს წინ ყვავილი, ყვავილს — ფოთოლი და ტოტები, ტოტებს — ღერო, ღეროს — ფესვი და ფესვს კი — თესლი და რამდენი დრო უნდა გავიდეს,

ვიდრე თესლისგან ხე აღმოცენდება და ნაყოფს მოგვცემს? ასევეა სულიერი ცხოვრება. წარმოიქმნება ხე, რომელიც იძლევა ნაყოფს. ეს ნაყოფი კი სიყვარულია. მას აღმოაცენებს მთელი რიგი მხსნელი საქმეებისა და მოუღლელი შრომა, შემდეგ კი ყველაფერს თავად ასულდგმულებს და აცოცხლებს... სიყვარული თავისი ჭეშმარიტი სახით სულიერი სამოთხეა. ეს არის თბილი, მშვიდი, კეთილმოსურნე, ცოცხალი, მარად მოძრავი და სიხარულის მომგვრელი მდგომარეობა, რომელიც სულს ჩვენსას ეწვევა არა დროებით, როგორც სტუმარი, არამედ იგია მდგომარეობა მუდმივი, მყარი, ღრმად ფესვგადგმული, არსებითად განუყრელი, როგორც მაგალითად, სუნთქვა ან გულისცემა და ვისშიც ეს ძალაა შთანერგილი, იგი ნეტარებს ღრმა, აღუშფოთებელი ნეტარებით. დაე, თუნდაც მუდმივად შრომობდეს, ვერც შრომას, ვერც მწუხარებას, ვერც წინააღმდეგობებს ვერ ხედავს და ვერ გრძნობს, რამეთუ თავად სიძნელეები ამ სიყვარულის გზაზე კი არ ამცირებენ, არამედ ამაღლებენ მას, როგორც ქარი კი არ აქრობს, არამედ მეტად აძლიერებს და აგიზგიზებს ცეცხლის ალს. დიახ, სიყვარული სამოთხეა, მაგრამ სამოთხე დაკარგული. ჩაუღრმავდები საკუთარ თავს და ვერ პოულობ მას იქ, ხედავ, რომ არ ხარობს გულში სიცოცხლის ხე; რატომ? იმიტომ, რომ გული მთლიანად დახლართულია ვნებების ბოროტი ხეებით, რომლებიც აშთობენ სიყვარულს. სადაც ვნებაა, იქ სიყვარულისთვის ადგილი აღარ რჩება. სიყვარული გულმოწყალეა, მაშ, როგორ აავსებს იგი გულს, რომელშიც სხვათა სატანჯველების მიმართ გაქვავებული გულგრილობა სუფევს? სიყვარულს არ შურს, მაშ, როგორ დაისვენებს იგი გულში, რომელშიც შური ბინადრობს? სიყვარული არ იმაღლებს თავის თავსა და არ ამაყობს, მაშ, როგორ ეწვევა იგი გულს, რომელშიც სიამაყე და პატივმოყვარეობაა გაბატონებული? სიყვარული თავისსას არ ეძებს, მაშ, როგორ ესტუმრება იგი გულს, რომელშიც ყოველგვარი ქმედების საწყისი თავმოყვარეობა გამხდარა? სიყვარული უღირსი არ არის, მაშ, როგორ აღმოჩნდება იგი გულში, რომელიც უღირსი ვნებებით ავსებულა? სიყვარული არ ხარობს უსამართლობის გამო, მაშ, როგორ დაიბუდებს იგი გულში, რომელიც ბოროტისმეტყველებისაკენ, განკითხვისა და წყევლა-კრულვისკენაა მიდრეკილი? ამიტომ, თავდაპირველად ამოძირკვეთ ვნებათა ეს ბოროტი ხეები. მათ ადგილზე კი ერთი მრავალტოტიანი ხე გაიხარებს, რომელიც იძლევა ყვავილსაც და ნაყოფსაც სიყვარულისა. მაგრამ დაიწყებთ თუ არა ამოძირკვას, აუცილებლად აღმოჩნდებით ვიწრო და მწუხარებებით სავსე გზაზე, წაანწყდებით აუცილებლობას, აღჭურვოთ ღვაწლით და თავშეკავებით, იძულებული იქნებით, გაიაროთ ყველა განსაწმენდელი, გამოსასწორებელი და სახელმძღვანელო კანონი ღვთის ეკლესიისა; ანუ ვიდრე სიყვარულის ერთობას მოიპოვებდეთ, ბევრი შრომა და ღვაწლი მოგიწევთ, მოგიწევთ გაიაროთ ტყე, ვიდრე მიაღწევთ შვების მომგვრელ, ყვავილებით მოფენილ ველს სიყვარულისას... პატივისცემით, ლაკვასტი.

•მარ, გთხოვ, დამიბეჭდე. გიო, ვიცი, ამ სმს-ს წაიკითხავ და მინდა იცოდე, მართლა მიყვარხარ. გთხოვ, დამიბრუნდი, არ მიმატოვო, ჩემო სიცოცხლევ. თამუნა.

•ლუნა, ძალიან მომწონხარ, მაგარი საყვარელი გოგო ხარ და მინდა, რომ ვიმეგობროთ. შენც თუ გადაწყვეტ, რომ გამეცნო, მარის სთხოვე ჩემი ნომერი და მოგცემს აუცილებლად. თამუნა.

•ჩვენს საყვარელ და მონატრებულ ლიმონას, ჩუპის, მის რეალს და იკჩოს ვულოცავ იუბილეს! ღმერთმა დაგიფაროთ და გაგაძლიეროთ! მიყვარხართ. CRAZY GIRL.

•აუ, 1 კვირაში სოფელში მივდივარ და არ მინდა. სხვა გზაც არ მაქვს, 1 თვეში ვნახავ ჩემს თბილისს, ვაიმეე! ეეეჰ, არ მინდააააააა! :( აქ რომ იყოს ის... :) ზურას კნეინა.

•ბევრი პრობლემები მაქვს, ქვრივო და ერთი სიყვარული მაძლებინებს, 18 წლის ვარ და 2 წელია, ოჯახის მარჩენალი ვარ და კიდევ ბევრი რამე. მაგრად დავიღალე. მადლობა ყურადღებისთვის. ქვრივო, ღმერთმა დაგლოცოს. ბუცა.

•პალიტრა გაჩუქა ზეცამ ცისარტყელა, ფერები არიან დარდსა და ნაგავში. არ გშვენის ღვთაებავ, უძირო ცრემლები... ღიმილი, ღიმილი, იჩუქე ფერებით. თვალები... ო, ღმერთო, ღმერთო, ეს წამლეკი ძვირფასი ზარდახშა ჯოკონდას ნაფერი. შენ სწავლობ ცხოვრებას, პალიტრის ტანდემით, დახატე ცხოვრება ლამაზი ფერებით. ტილოა სპექტაკი, ქალწულთა ნამ-ფერი, სცენაა ცხოვრება, ცხოვრება — კადრები, სიცოცხლით დატკბი და იჩუქე ჰანგები. მოდილიანის ჟანა ხარ ამბნევი, დავინჩის ლიტა ხარ მუზები ამფერი. ღიმილი, ღიმილი, კისკისა დღეებით. დახატე ცხოვრება ლამაზი ფერებით... ბაჩი.

•მარ, გაოგნებული ვარ. უსაზღვროა უფლის წყალობა და ადამიანთა ამბიცია. გადარეულო, მგზავნელთა 90% მიხვდა, რომ ის გზავნილი ჩემი იყო. მე ნიკი მივაწერე, მაგრამ მარიმ არ მიაწერა. ეტყობა, ასე ჩათვალა საჭიროდ. ამ საქციელით რას ამტკიცებ, მაინც ვერ მივხვდი. ნასედკობ? საკუთარ თავს ეცი პატივი, მეცამეტე გოჭივით რომ გამოეხირე. დამშვიდდი, ოკ? ქაჯების დედოფალი.

•გადარეულო, არამკითხე მოამბეო, ხომ იცი. ჰოდა, რამენაირად შენი მითითების გარეშე გაირკვევა, ვინ, რა და როგორ დაწერა. ვისაც ეკუთვნოდა ის ესემეს-ი ხომ მიხვდა? გამგებმა გაიგო და კუმ ფეხი გამოყოო, ისეა შენი ამბავი. ფიფქია.

•ლი23, არასოდეს თქვა, არასოდეს. მე გიწვდი გულწრფელი მეგობრობის ხელს... გკოცნი. მოკითხვა WANDERER-ს, ფლამის, ლაკვასტს და მიშას. ქაჯების დედოფალი.

•თამუნა, ამ მესიჯით არაფრის თქმა არ მინდოდა. ჩემი საქმე იყო, დავწერდი თუ არა, სხვა არავისი. დავწერე და მორჩა! ქაჯების დედოფალი.

•აუ მაარ, რა უხერხულია არა, კარზე ზარი რომაა და რომელი ხარ? ამის მაგივრად, ალოოო-ს, რომ დაიძახებ. :) ლაკვასტი.

•ნაომის ნიკად გველი მოუხდება, რადგან სულით ბინძური ცხოველია. ადამიანობის არაფერი ეტყობა. ნეტავ, სად გაიზარდა, ჯუნგლებში? როგორ უძლებენ ოჯახის წევრები, მაგ შხამიანს? ლ.ა.

•უნდა გეწუწუნოთ ახლა. :) რა მტკივნეული ყოფილა ტუჩზე პირსინგი. ისე მაქვს გასიებული ქვედა ტუჩი, მიმიქარავს ანჯელინა ჯოლიშვილის ტუჩები. :) ქაჯების დედოფალი.

•ჩემგან მოკითხვა გაუგზავნეთ გიოს, ცისფერს.

•წინასწარმეტყველთან ვიყავი მისული და რაც მითხრა, ყველაფერი სიცრუე იყო.

•მაშინ გადავრჩი, როცა დავშორდი ადამიანს, ვინც არაჩვეულებრივი მეგონა, საბედნიეროდ წარსულში დავტოვე. ახლა კარგი მეუღლე მყავს და ბაიას ველოდებით. მაცმაცუნა.

•ნურავინ შემედავებით იმაში, რომ თუ კაცსა და ძაღლს შევადარებთ, ძაღლი უკეთესი აღმოჩნდება. კაცი მაშინვე გიღალატებს, როგორც კი ამის შანსი მიეცემა. ძაღლი არც ეწევა, არც სვამს, არც იგინება და მოკლედ, ჩემი ხმა — ძაღლებს და არა — კაცებს.

•მარი, საინტერესო თემებით გაგვანებივრე. ლიზი... იზი... გ. მარი, მარიკუნი... კ. მიყვარხართ. ლედი.

•გია სურამელაშვილს ძალიან ძვირად აქვს მისი თავი შეფასებული და ხომ ვერ მეტყვის, საწყისი ფასი რა აქვს? რა იცი, რა ხდება, იქნებ შევძლო მაგ მატრაკვეცას ყიდვა.

•დაფიქრდი, ოცნება რამდენად ძნელია, უშენოდ განვლილი ყოველი წუთი, სიცოცხლე, ყოველი წუთები, განვლილი უშენოდ, არასდროს არ გეტყვი, არ მინდა იცოდე, ის, რომ მე არ ძალმიძს ამ გრძნობებს ვუშველო. დაფიქრდი, რამდენად ძნელია სიგიჟე და აუხდენელი, მრავალი ოცნება, მივხვდი, რომ ვერასდროს მე ვერ დაგივიწყებ, დაფიქრდი, ამდენად რთულია ცხოვრება. კლეოპატრა.

•ბეწვზე გადარჩენილის რა გითხრათ, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ კი კარგა გემრიელად გადავრჩი ჭრილობებს. მეგობარს გაჩენის დღე ჰქონდა. მე ისე როგორ გავატარებდი, ერთი ორი ჭიქა არ ჩამეხუტებინა. 4 გოგო ავადექით (არ იხდიდა დაბადების დღეს). თამადა, რა თქმა უნდა, მე ვიყავი (თან, სხვა სუფრიდან წავედი, უკვე საკმაოდ შეჭუკჭუკებული). შევათვრე ეს ქალბატონები და მაღაზიაში ჩავედი, დესერტის ამოსატანად. გამყიდველმა მითხრა, ბესოს (ძმაკაცის) ტელეფონი დატოვეს, გაგატანთ, ხვალ მოვა და მიეციო. გენიალური(?!) აზრი მომივიდა თავში. სამივეს (მეოთხე გაგვეპარა) გემრიელად სალანძღავი სიტყვები მივწერე, ვითომ ბესო ვიყავი. აქ კი წავიდა გაგიჟების წვიმა. მესიჯები, ზარები. მე, რა თქმა უნდა, არ ვპასუხობდი. ტელეფონს ხმა გამოვურთე, ჯიბეში ჩავიდე და შევედი. მოდი, გოგო დროზე, მგონი ბესო გაგიჟდაო და ტრიოში მომიყვნენ. ცოტა

ხანს ირონიალიმილმიწებებული ვიჯექი, მერე ტელეფონი ამოვიღე... იქ ამბავი ატყდააა... ახლაც თვალჩაფანარებული დავდივარ. პ.ს. ბესოს რომ ვუთხარი ეს ამბავი, ცხადად დავინახე ადამიანი-შუქნიშანი. სირცხვილისა და სიბრაზისგან წარამარა ეცვლებოდა ფერები. მაგას აღარ ჩავუფანარებივარ, მარა კი დამპირდა, რამეს გაგიჩალიჩებო და რა ვიცი, ველი. რა ვიცი, მგონი კი მქვია გადარჩენილი. :) კლეოპატრა.

• დღეს მარ ძველი, ძალიან ძველი და ოდნავ ძველი; ნაცნობი თუ ნაკლებად ნაცნობი მგზავნელების ფოტოები ვნახე და გახარებუუუულ! მიყვარხათ, თურმე. :) CRAZY GIRL.

• უი, მარიამულ, იცი, როგორ მენატრებიან ძველი, ტკბილი და თბილი მ-გზავნელები?! ძალიან, ძალიან, ძალიან! და დაბრუნდნენ, რააა, უთხარი მააარ! CRAZY GIRL.

• გამარჯვება მარი, უცნაურია, მაგრამ გავბრაზდი. ზურას კნეინას მერამდენე მესიჯს ვკითხულობ წასვლაზე? წადი რა, თუ წასვლა გინდა ან ამ ორსულობით რას მანიპულირებ? ჩასართე.

• თუ არ დამიბეჭდავ, არც გაგიბრაზდები და მით უმეტეს, არც ჟურნალის კითხვას შევწყვეტ, მაგრამ თუ დამიბეჭდავ, ძალიან, ძალიან, ძალიან გამახარებ.

• მე რომ მქონდეს ჯადო, ჯანღს რომ ნუსხავს ჯადო, რომ ახერხებს ღამით იხსნას სული ხამი, დაგალეწოს ხუნდი, გაათაფლოს შხამი. მაშინ, კარგო, შენაც სასწაული ზენა გაგიქრობდა ფიქრებს, ნიავივით მალი და ერთბაშად ტრფობის იფეთქებდა ალი. მოგიზგიზეს ხანძრად შეაკრთობდა არც რა, რომ დაენთქა აზრი, დარდი დაენაცრა. ვილოცებდი ხათად მე შუაგულ ხანძრის... ფანტასტიკური ფიქრი! ფანტასტიკური აზრი!.. მე რომ გმირი ვიყო, მქონდეს რკინის ტორი, მიწაში თუ ზემოთ, ფეხთით დაგიწყობდი, ცისიერო ჩემო! დაგიხსნიდი, თუნდაც ეკრათ ხმალი ბასრი... ფანტასტიკური ფიქრი! ფანტასტიური აზრი!.. მაგრამ მე ვარ სუსტი, ფიქრით დადაგული, ვინც მღერის და ტირის, როცა სტკივა გული, ვინც მყოფადში მარტო ხედავს მყოფად ხალხის, აწმყოში კი ბოდავს, ვით მშიერი ბალღი. ვინც თამამად მოსწყვეტს ოქროს ვარსკვლავს ციდან, მაგრამ ეურჩება გოგო ერთი ციდა, ვინც იდეალს ეძებს, სადღაც ცხრა მთას მიღმა, აქ კი უგუნურად დაეთხოვა იღბალს. გვიანია უკვე, თუნდაც ცრემლით დაძრილს, ფანტასტიური ფიქრი! ფანტასტიკური აზრი!.. ლაკვასტი.

• ხეივანში მე ზაფხულის ღამით, როგორც ლანდი, დაბნეული ვივლი. ვარსკვლავივით დამყურებდა ჟამი და უძირო ცის სიმუქე მშვიდი, ვით სიჩუმის ოკეანე, რიდით მელვრებოდა სულში. ჰოი, რარიგ გალმერთებდით, ვარსკვლავებო წელან, შენც, ლაჟვარდო! უსასრულო მხარის გადასერვა სულმა დაიჩემა, იქ იფრინა, სადაც იფრენს ველარ, სად უკვდავი ყვავილნარი ხარობს, სად გუგუნებს ჰანგი სანეტარო და სივრცეებს ტკბილ ნაკადად ერთვის. აწ დაბნელდით, აწ დამძიმდით ჩემთვის, ჩაქრა ეშხი წამიერი თქვენი... ლაკვასტი.



# გილოცავ!

• ჩემო საყვარელო მარიამულ, გილოცავ იუბილეს, მართლა გულით მიყვარხარ და გაფასებ, დიდ პატივს გცემ, დიდი მადლობა, ეს ჯადოსნური სამყარო რომ მაპოვნინე. გაკოცე. ფლამინგო.

• ჩემს უსაყვარლეს, უთბილეს, უტკბილეს და უნიჭიერეს ლაკვასტს ვულოცავ იუბილეს. იხარე და იბედნიერე დაი, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. მიყვარხაარ მაგრადო. ფლამი.

• ბებო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბევრ სიხარულს. ძალიან ბევრს გკოცნით და გეფერებით. იაკო და ივიკო.

• მსოფლიოში ყველაზე ვაჟკაცურ მეუღლესა და მამას, აბესალომ ასლანიკაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 13 ივნისს. უფალი გფარავდეს და შეგეწიოს. ამინ! ეთო, ნურიკო, ელო.

• ჩემს კლასელებს: 11-ში ცირას, 15-ში ლერის, 20-ში ეკუნას, 21-ში ნანუჩის, 22-ში კილაძეს და თათიას ვულოცავ იუბილეს! ღმერთი გფარავდეთ. მენატრებით! CRAZY GIRL.

• თაკო ანანიაშვილს ვულოცავ 15 წლის შესრულებას. ღმერთმა ბედნიერი და ჯანმრთელი გამყოფოს, შენი ცხოვრების მანძილზე. გფარავდეს უფალი. მიყვარხარ და გკოცნი ბევრს. მამიდა.

• მარიამ გიორგობიანს ვულოცავ დაბადებიდან 12 თვის შესრულებას. გაიხარე, ჩემო სიცოცხლევ, ბედნიერი და ჯანმრთელი იყავი მუდამ. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. შენი ბებო.

• დღევანდელ დღეს გილოცავ, ჩემო კარგო, სულიწმიდის ძალამ გაგაძლიეროს. კლეოპატრა.

• სოფიკო, გილოცავ დაბადების დღეს, 16 ივნისს. მიყვარხართ შენ და შენი დაიკო.

• ნოდარ მენთეშაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 ივნისს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, ნატოსა და ნანკასთან ერთად. იხარე და იბედნიერე.

• ჩემს მონატრებულ და უსაყვარლეს შვილიშვილს, საბა გეგეშიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გილოცავ ჩემო კარგო გიორგობის დღესასწაულს. ღმერთი გფარავდეს. მინდა იცოდე, რომ ვამაყობ შენით. გთხოვ, მაგრად იყავი, გაუფრთხილდი შენს თავს. ყველაფერი მოგვარდება.

• ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს მეგობარს, ნანკა მახარაძეს ვულოცავ სიყვარულის დღეს. სულ სიყვარულსა და სიხარულში გაგევლოს მთელი ცხოვრება. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო, თუ როგორ მიყვარხარ. გკოცნი და მენატრები. ნინიკო.

• ჩემს მძახალს, დალი პოგოსიანს ვულოცავ 63 წლის იუბილეს. გისურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, უამრავი ლამაზი და ბედნიერი დღე გაგთენებოდეს. მანანა.

• ნინიკო, გილოცავ პატარას დაბადებას. ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაგეზარდოს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. ქუთაისში, მინდია გუგუშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 ივნისს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, მშობლებთან და მეუღლესთან ერთად.

• ჩემს პატარა ვაჟკაცს, ოთიკო მამალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 ივნისს. უკვე 8 წლის გახდი და დიდი კაცი ხარ. გაიხარე და გაიზარდე, შენს ძამიკოსა და დაიკოსთან ერთად. ღმერთმა უბედნიერესები გამყოფოთ, მშობლებისა და ახლობლების გასახარად. ნანიკო მამიდა.

• ჩემს საყვარელ მამას, თამაზ მერაბიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. შენი შვილი, ნატალია.

• ხაშურში მცხოვრებ კოტე თარგამაძეს ვულოცავ 19 ივნისს, 24 წლის იუბილეს. ზაზ, გისურვებ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად.

• მარიკო წიკლაურს ვულოცავ 15 ივნისს, დაბადების დღეს. საყვარელო ადამიანო, დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. თინი.

• ჩემს ნათლიას, ლამაზ და მშვენიერ რუსუდან ფაილოძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 ივნისს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ და გკოცნი.

• მარი, გილოცავ დაბადების დღეს, 19 ივნისს. გისურვებ უფლის მფარველობას, ჩემო თოჯინავ. შენი სიცოცხლე, მამუკა.

• ჩემს მონატრებულ მეგობარს, ათენში დროებით მყოფ ლაურა მიგრიაულს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნი. ნანი.

• ხატი, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

• ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, გელა იობაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს. ჩემო პატარა ანგელოზო, მიყვარხარ და მენატრები. შენი ბებია.

• მარინა სადუნიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთს თავისი წყალობა შენი ცხოვრების გზაზე დაებერტყოს.

• ნანა დიასამიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. გაიხარე და გამრავლდი, გფარავდეს ყოვლადწმინდა. გკოცნი, თამილა.

• რუსუდან ტაბატაძეს ვულოცავ დაბადებისა დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს

უფლის კალთა. გკოცნი.

•მამუ, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

•ნიკა ჯაფარიძესა და მარინა ლაკობას ვულოცავ დაბადების დღეს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. ნანა.

•ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს დედას, ნატალი გურგენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. რწმენით, სიკეთითა და სიყვარულით გეცხოვროს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

•ნატა გურგენიძეს: დაბადების იმ ლამაზ ღამეს შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე შენთვის ცოტაა, დიდი სიცოცხლე დამილოცია. ლალი.

•18 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავთ ნატო გურგენიძეს. ვუსურვებთ გაზაფხულისამებრ წარმტაცი და აყვავებული ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა. სიყვარულით, მეგობრები.

•დაიკო, 14-ში დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ შენი ოცნების ასრულებას. ჩემი ლამაზი, ძაან მიყვარხარ, უფალი გფარავდეს. ასევე ჩემს თავსაც ვულოცავ იუბილეს.

•გამარჯობა სიხარულო. გილოცავ მეუღლის დაბადების დღეს. არაფერი იჯავრო, ადრე თუ გვიან, ყველაფერი მოგვარდება. მთელი ცხოვრებაა წინ. გელით. გვიყვარხარ და გვენატრები. ელენე.

•საყვარელ დედას, ირმა მუშკუდიანს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელ და ულევი სიხარულით სავსე ცხოვრებას.

•ჩემს საყვარელ დეიდას ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს გისურვებ. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ.

•ჩემს სიცოცხლეს, თემურ მალაქმანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიყვარულს და ულევ სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფალი, ჩემო სიხარულო.

•17 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ანგელოზს, მარიკუნა გელაშვილს. რწმენით, სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემო კუდრაჭავ.

•ჩემს სიცოცხლეს, ლაშიკოს ვულოცავ დაბადების დღეს და ქუთაისობას. სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემთან და ჩვენს მერცხლებთან ერთად, სიხარულო. უფალი გფარავდეს.

•ჩემს ლამაზ და მონატრებულ შვილს, ირინა ნათაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი, მონატრებული დედიკო, თინა.

•მეგობარს, გულო ბერიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ საუკეთესო სურვილების შესრულებას. საყვარელ ოჯახთან ერთად გაიხარე, ჩვენო საყვარელო. გულო, გილოცავენ მეგობრები.

•ჩვენო ბათურიკა, ძალიან გვენატრები. გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობას და სულ მალე ოჯახთან ყოფნას. ჩათვალე, რომ რაც ხდება, ძალიან ცუდი სიზმარია და მალე გათენდება. ყველაფერი ჩაივლის და მალე გნახავთ. არ დაგავიწყდეს არასოდეს, რომ სიმართლის და სიკეთის სანთელი არასოდეს ქრება. აბა, შენ იცი ბუბუ, მაგრად იყავი. გკოცნით. გვიყვარხარ და სულმოუთქმელად გელით. დროებით ათენში მცხოვრებ გაბუნია მანანას დიდი სიყვარულითა და ლამაზი სურვილებით მინდა მივულოცო დაბადების დღე. შენი სიცოცხლის ყოველი დღე ყოფილიყოს მზის შუქივით ბრწყინვალე და ნათელი. გისურვებ ბევრ ლამაზ წელს.

•ჩემო ლამაზო, უპირველეს ყოვლისა, გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. არ მოიწყინო, გამაგრდი. მალე გაივლის დრო და ისევ ოჯახთან იქნები. აბა შენ იცი, მაგრად იყავი.

•ხაშურში გელას და მაიკოს ვულოცავთ შვილის, პატარა თორნიკეს დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი და სასახელო გაზარდოს. გკოცნით შორიდან და მენატრებით.

•16 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავ 3 წლის უნახავ და სიგიჟემდე მონატრებულ შვილიშვილს, გიორგი ლაშქარაშვილს. წმინდა გიორგის კალთა და ძალა გფარავდეს, ჩემო სიხარულო, მუდამ. გაიხარე და გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი. მიყვარხარ და მენატრები. გკოცნის გულში მაკა ბებო.

•სალონიკში დროებით მცხოვრებ ჩემს დაიკოს, ლიანა კოლუას ვულოცავ დაბადების დღეს, 7 ივნისს. დაი, ბედნიერი და გახარებული მეყოლე, მთელი ცხოვრება. ხათუნა.

•ჩემს მონატრებულ შვილებს, თეონა და ნატა კობახიძეებს მინდა მივულოცო 17 და 19 ივნისი, დაბადების დღე. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს. ვარდობის თვეში დაიბადეთ და ია-ვარდით ყოფილიყოს თქვენი მომავალი მოფენილი. თქვენი დედიკო.

•ჩემს მონატრებულ შვილს, ზურა მამაცაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 8 ივნისს. გისურვებ ჯანმრთელობას, გახარებას, შენს მეუღლესთან და მომავალ პატარასთან ერთად. გამიმრავლდი ქვეყანაზე, ჩემო შვილო. გკოცნის დედა ნინო.

•ათენში დროებით მყოფ მეგობარს, რუსუდან ლაბაურს ვულოცავ დაბადების დღეს. ვარსკვლავი ბევრია, მთვარე კი ერთი, სიცრუე ბევრია, სიმართლე ერთი, ამ ქვეყანაზე ხარ ერთადერთი, ჩემო მეგობარო, გფარავდეს ღმერთი.

•ყველას გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დაესწარით და გფარავდეთ მისი მადლი და ძალა (რა მეშველება? ამ კვირას „გზა“ არ ჩამოიტანეს).

•ჩემს ლამაზ და მონატრებულ შვილს, მანანა ლაცაბიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი, დედიკო ნინა.

•SWEET GIRL-ს ვულოცავ დაბადების დღეს. ძალიან, ძალიან მიყვარს.

•ჩვენს საყვარელ შვილს, თიკო ლომიძეს 30 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ დიდ სიხარულს და ლამაზ მომავალს! დედა, მამა და ნინო.

•მალხაზ და მაიკო თაბაგარებს 23 ივნისს ვულოცავ დაბადების დღეს. იყავით მუდამ ასეთი ლამაზები და ნიჭიერები! თქვენი თანაკლასელი და მეგობარი.

•საყვარელ მამიკოს, დათო აბაშიძეს ვულოცავთ იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და ყველა ოცნების ასრულებას.

•ნათია სვანო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, საყვარელ ქმარ-შვილთან და ოჯახთან ერთად. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს. გკოცნი.

•ნათია სვანო, გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერებას და სიხარულს გისურვებთ. მრავალს დაესწარი ზვიადთან, ანანოსა და ოჯახთან ერთად.

•ჩვენს ბიძაშვილს, თორნიკე მუხაძეს ვულოცავთ გიორგობას და დაბადების დღეს, 7 ივნისს. თოკო, გისურვებთ კარგ სწავლას და ოცნებების ასრულებას.

•მარიკუნა, ჩვენს უტკბეს და უსაყვარლეს SWEET GIRL-ს ვულოცავ იუბილეს! თათ, ღვთის წყალობა, ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და წარმატებები! გკოცნი გულში. CRAZY GIRL.

•მახო, 17 ივნისს შენი დაბადების დღეა. გილოცავ. გამიმრავლდი და ბედნიერი მიმყოფოს ღმერთმა შენი თავი. სიდო ბაბო.

•ათენში მყოფ ჩემს მეგობარს, ნელი აკოფაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს. სიხარულით სავსე ცხოვრებას, ოჯახთან ერთად. გკოცნი. მარი.

•მარი დეიდა, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი, ჯანმრთელი და გახარებული მენახე, ქმარ-შვილთან ერთად. ღმერთი გფარავდეთ. გკოცნი. ხატია.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## მდიდარი ცხოველები

⅄ კუ სილვერსტოუნს კრისტინა ფოილიმ მემკვიდრეობით 200 ათასი დოლარი დაუტოვა.

⅄ მსახიობ ბერილ რეიდის გარდაცვალების შემდეგ, მისმა კატამ მემკვიდრეობით სახლი მიიღო, რომელიც 1,8 მლნ დოლარად შეაფასეს.

⅄ ლეონა ჰემსლიმ მალტურ ფინიას 12 მლნ დოლარი დაუტოვა. შვილიშვილს — 5 მლნ. ანდერძში ისიც ეწერა, რომ ძაღლს ყოველდღე ინდაურის ხორცი და ბოსტნეული უნდა აჭამონ; თვეში ორჯერ კოსმეტოლოგთან წაიყვანონ და წელიწადში ერთხელ შვეიცარიაში დაასვენონ.

⅄ ხანძრის დროს ლაბრადორმა ფლოსიმ პატრონი, დრიუ ბერიმორი გადაარჩინა, რისთვისაც ჯილდოდ 3 მლნ დოლარი მიიღო.

⅄ ბრიტანელმა გამომცემელმა — რიჩარდ მაილზ ბლეკუელმა თავისი ქონება (18 მლნ დოლარი) ქათამ გიგოს დაუტოვა.

⅄ ლუიზა ტომპსონის ვილა და 6 მლნ დოლარი ერგო ჩიხუახუას ჯიშის ძაღლსა და ორ კატას. ცხოველებს გარდაცვლილის მეგობარი ლერისა პატრიკი უვლის, რისთვისაც ქალი ყოველთვიურ გასამრჯელოს იღებს, მაგრამ მომვლელი ცხოველებთან ერთად მდიდრულ ვილაში კი არ ცხოვრობს, არამედ ერთოთახიან ბინაში.

⅄ ტელეწამყვან ოპრა უინფრის ქონებაც მის ძაღლს დარჩება.

⅄ შიმპანზე კალუს მისი მფლობელის — ბრიტანელი მსახიობის, პატრისია ო'ნილის მთელი ქონება (53 მლნ გირვანქა სტერლინგი და სახლი) დარჩა.

⅄ პუდელ — ტობი რაიმს მამისგან 30 მლნ დოლარი ერგო. ეს თანხა ძაღლს ნიუ-იორკელმა მილიონერმა ელა უენდელმა დაუტოვა. ელას მშობლები ძაღლებს ცხვრის ხორცით, შოკოლადის პუდინგებითა და ზღვის დელიკატესებით კვებავდნენ. ძაღლებს საკუთარ საძინებლებში, აბრეშუმისთეთრეულიან საწოლებში ეძინათ.

⅄ გერმანელმა გრაფინიამ, კარლოტა ლიბენშტაინმა ქონება (372 მლნ დოლარი და ვილა ტოსკანაში), თავის ძაღლს გერმანულ ნაგაზ — გიუნტერ III-ს დაუტოვა. მისი გარდაცვალების შემდეგ სიმდიდრის მფლობელი მისი ლეკვი — გიუნტერ IV გახდა. ძაღლს პირადი მძღოლი, მომვლელი და მზარეული ჰყავს.



⅄ ამერიკელმა ბიზნესმენმა სიდნი ელტმენმა კოკერ-სპანიელ — სამანტას 6 მლნ დოლარი უანდერძა. ქვრივს, მერი დენე ელტმენს ყოველთვიური (60 ათასი დოლარი) პენსია იმ შემთხვევაში გადაეცემოდა, თუ ძაღლს მოუვლიდა. ■







# სასტუმროები მდიდრებისთვის



### სასტუმრო PARK HYATT-VENDOME პარიზი, საფრანგეთი

იმპერატორის ნომერი 230 კვ/მ-ზე მდებარეობს. დამსვენებელს საკუთარი სამზარეულო, სასადილო ოთახი, საძინებელი, ბარი, საუნა და ჯაკუზი ელის. სასტუმროში ერთი ღამის გათენება 15.500 დოლარი ღირს.

პარიზშივე მდებარეობს სასტუმრო FOUR SEASONS GEORGE V. ნომერი ანტიკვარული ნივთებითაა მორთული. დამსვენებელმა ერთი ღამის გასათევად 16.000 დოლარი უნდა გადაიხადოს.

### „რიჩმონდი", ჟენევა, შვეიცარია

სამეფო ნომერი (მას მთელი სართული უკავია) დამსვენებლებისთვის 2007 წელს, მრავალწლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნა. ნომრის იატაკი ოქროს მოზაიკითაა მოპირკეთებული. 90 კვ/მეტრზე გადაჭიმული ტერასიდან ჟენევა და ალპები მოჩანს. ნომრის ღირებულება 17.500 დოლარია.

ჟენევაშივე მდებარეობს სასტუმრო PRESIDENT WILSON HOTEL. სამეფო პენტჰაუსი ამერიკის 28-ე პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის საყვარელი ნომერი იყო. ოთხოთახიან კოქტეილ-ბარში 40 სტუმარი ეტევა. ერთი ღამით იქ გაჩერება 33 ათასი დოლარი ღირს.

### BURJ AL ARAB, დუბაი

18.000 დოლარის გადახდის შემდეგ, სამეფო ნომერში თავს მეფედ იგრძნობთ. დამსვენებელს ორსართულიან ნომერში მარმარილოს იატაკი, ძვირფასი ავეჯი, კინოდარბაზი, კოსმეტიკური სალონი, ლიფტი, მბრუნავი გიგანტური საწოლი დახვდება. მის განკარგულებაშია აგრეთვე „როლს როისი" და ვერტმფრენი.

### „რიც-კარლტონი", მოსკოვი, რუსეთი

ნომერი მდიდრული ავეჯითა და ნივთებითაა მოწყობილი. იქვეა ბიბლიოთეკა და როიალი. ნომერი, რომლის აივნიდან წითელი მოედანი და კრემლი ჩანს, 18.200 დოლარი ღირს.

### „ატლანტისი", ბაჰამის კუნძული

სასტუმრო 10 ნომრისგან შედგება. თითოეული 25.000 დოლარი ღირს. აქ მაიკლ ჯექსონი და ოპრა უინფრი ისვენებდნენ.

### FOUR SEASONS, ნიუ-იორკი, აშშ

34.000 დოლარი უნდა გადაიხადოთ ნომერში, მანჰეტენს ყველაზე მაღალი სასტუმროდან რომ გადმოხედოთ. 9-ოთახიანი ნომრის კედლები მარგალიტებით, პლატინითა და ოქროთია „მოხატული". დამსვენებელს მსოფლიოს ნებისმიერი არხის ყურება და ნებისმიერ ქვეყანაში დარეკვა შეუძლია.



### PALMS CASINO RESORT, ლას-ვეგასი, აშშ

ჰიუ ჰეფნერის ნომერი „ფლეიბოის" სტილშია მოწყობილი. ორსართულიანი ნომრის ერთ-ერთ ოთახში 700.000-ად შეფასებული ჯაკუზი დგას. აივნიდან ულამაზესი ხედი იშლება. საძინებელს სარკის ჭერი ამშვენებს და მბრუნავი საწოლი დგას. ჰიუ ჰეფნერის ნომერში ერთ ღამეს 40 ათას დოლარად გაატარებთ.

### GRAND RESORT LAGONISSI, ათენი, საბერძნეთი

ერთი ნომერი 50 ათასი დოლარი ღირს. სტუმრის განკარგულებაშია პირადი მზარეული, პიანისტი, ლაქია. სასტუმროს იზოლირებული პლაჟი, საუნა და აუზი აქვს. ■

# ტიბეტური „დაკრძალვა"

„როგიაპა" ჰქვია ტრადიციულ „დაკრძალვას", რომელსაც ტიბეტელები უძველესი პერიოდიდან დღემდე მისდევენ. 1959 წელს ის ჩინელებმა აკრძალეს, მაგრამ 1974 წელს ტიბეტელებმა რიტუალი კვლავ დაიბრუნეს და დღეს მას კანონიერად მიიჩნევენ. დამკრძალავ ბიუროში ძირითადად, ერთი ოჯახის წევრები მუშაობენ. მათ საკმაოდ კარგი ანაზღაურება აქვთ. თუ ოჯახს იმის საშუალება არა აქვს, რომ „დაკრძალვაში" ფული გადაიხადოს, მიცვალებულს კლდიდან აგდებს. „მესაფლავე" გარდაცვლილს მინდორში, სვავების შესაჭმელად ტოვებს, მანამდე კი კანს უჭრის და მიწაში ჩარჭობილ მორებზე აბამს, ფრინველებმა მიცვალებული რომ არ გაიტაცონ. მოგვიანებით, როცა მტაცებელი ფრინველები ძვალზე ხორცს აღარ ტოვებენ, „მესაფლავე" ძვლებს ნაჯახით ამტვრევს, სვავებს მათი გადაყლაპვა რომ არ გაუჭირდეთ. ■



მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

## გონების სავარჯიშო

**„გზის" ერთგული მკითხველისათვის**

**(კითხვები)**

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. დაასახელეთ რეჟისორი, რომელსაც რეპეტიციებზე მსახიობების მიმართ გამოჩენილი სიმკაცრის გამო გურამ საღარაძემ ადოლფ ვისარიონოვიჩ ბერია შეარქვა.

2. ეს მწერალი ნაპოლეონის არმიის ოფიცერი იყო. მუსიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მის შემოქმედებაში. მის კალამს ეკუთვნის ჰაიდნის, მოცარტის, მეტასტაზიოსა და როსინის ბიოგრაფიები. დაასახელეთ იგი.

3. ვის ეძახიან ბოგანოს?

4. რა არის დარაია?

5. დაასახელეთ რუსეთის ყველაზე დიდი რეგიონი.

6. რა არის ისხარი?

7. ძველ საბერძნეთში სპორტულ ასპარეზობას, რომელშიც ჭიდაობისა და მუშტი-კრივის ელემენტები იყო გაერთიანებული, პანკრატიონი ერქვა. დაასახელეთ ფილოსოფოსი, რომელიც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი იყო პანკრატიონში.

8. ეს ფილოლოგი და ენათმეცნიერი ერთი პერიოდი ალკაბაძის ფსევდონიმით წერდა. ალექსანდრა დედამისის სახელი გახლდათ, მამისა — კასიანე; გამზრდელი ბებიისა — ბაბილინა. მან ამ სახელთა თავკიდურა მარცვლები გააერთიანა და საკუთარ ფსევდონიმად აქცია. დაასახლეთ იგი.

9. დაასახელეთ საბჭოთა მსახიობი ქალი, რომელიც საერთაშორისო კონკურსებზე შვიდჯერ იყო დაჯილდოებული პრემიით — ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

10. დაასახელეთ ერთადერთი სომხური თეატრი მსოფლიოში, რომელიც სომხეთის ფარგლებს გარეთ სახელმწიფო თეატრის სტატუსით ფუნქციონირებს.

11. ერთხელ ერთმა კაცმა ანტიკვარიატით მოვაჭრესთან გასაყიდად მიიტანა საათი, რომელიც მენდელსონის მარშს უკრავდა. კაცი ანტიკვარს არწმუნებდა: საათი 1740 წელს ჩემი წინაპრების მიერ არის შეძენილიო. ცრუპენტელა მყისვე გამოიჭირეს ტყუილში. როგორ?

12. რატომ რეკენ იაპონიაში ახალი წლის ღამეს ზარს 108-ჯერ?

# ანეკდოტები



***

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთს მდიდრულად აცვია, მეორეს — ღარიბულად.

— ყველა მამაკაცი პირუტყვია, — ოხრავს ერთი.

— წველა უნდა იცოდე, ჩემო კარგო, წველა! — მოძღვრავს მეორე.

***

ჩანაწერი დღიურში: „ჩვენი მეგობრობა შეუმჩნევლად გადაიზარდა მის ორსულობაში".

***

2 ნარკუშა წამალს ხარშავს:

— რა დამემართება, ეს წამალი მთლიანად რომ გავიკეთო? — კითხულობს ერთი.

— ცხვირიდან, ყურებიდან და თვალებიდან ეგრევე სისხლი წამოგივა...

— რატო, ე?!

— სიფათს მიგინგრევ და იმიტომ!

***

განცხადება: „იყიდება მიწა ვაკეში, მრგვალ ბაღთან, იაფად. ერთი კილო — 10 ლარად".

***

დილით მამაკაცი ლოგინში ეკითხება ქალს:

— ოდესმე არ გინატრია მამაკაცი ყოფილიყავი?

— შენ?

***

— გოგონა, რა ლამაზი სვიტერი გაცვიათ!

— ნამდვილი აქლემის ტყავია...

— მაშინვე მივხვდი... 2 კუზით...

***

— ნიუტონს მიზიდულობის კანონის აღმოჩენაში ვაშლი დაეხმარა... საინტერესოა, ფროიდი რით ხელმძღვანელობდა „ოიდიპოსის კომპლექსის" აღწერისას?

***

ბიჭი და გოგო ერთმანეთს კოცნიან. ბიჭმა გოგო ხელში აიყვანა და საწოლისკენ მიჰყავს. გოგო ეუბნება:

— იქნებ ქორწინების შემდეგ ყოფილიყო?!

— არა, რას ამბობ, შენი ქმარი ეჭვიანი რომ აღმოჩნდეს?!

***

— პირდაპირ აღარ ვიცი, გავთხოვდე თუ არა! მუხლისჩოქით მეხვეწებიან...

— ვინ?

— საკუთარი მშობლები.

***

— ყურზე დათვმა ხომ არ დაგაბიჯა?

— არა, რას ამბობ, აბსოლუტური სმენა მაქვს!

— სმენა რა შუაშია, სარკეში ჩაიხედე!

***

— როგორი მამაკაცები ითვლებიან ყველაზე ელეგანტურად?

— რომლებსაც ქორწინების ბეჭედი არ უკეთიათ!



***

ნარკუშა განგრეულ კაიფშია. პატარა ბიჭი მივიდა და ეუბნება:

— ბიძია, მითხარი, რა, რომელი საათია?

— წადი რა, ბავშვო, გაისეირნე, კაიფს ნუ მიტეხავ.

ხუთ წუთში ისევ მივიდა ბავშვი:

— აუ, ბიძია, მითხარი რა, რომელი საათია?

— კარგი რა, თავი დამანებე!..

— აუ, მითხარი, რა, რომელი საათია?

— კარგი, ჰო, კარგი... რომელი საათია?..

***

— გუშინ კინოში ვიყავი, შუქი ჩაქრა და ნახევარი საათი მთელი დარბაზი სიბნელეში ვისხედით.

— წარმომიდგენია, რა პანიკა ატყდებოდა...

— კი, ნახევარი საათის შემდეგ, როცა შუქი ჩართეს.

***

— რა არის ორსულობისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალება?

— ყავის დალევა.

— იმის წინ თუ იმის შემდეგ?

— იმის მაგივრად.

***

— რამდენი წლის ხარ, გოგონი?

— მალე რვის გავხდები, ჯერ კი სამის ვარ.

***

— ეჰ, ჩემი ცხენი სულ წავიდა ხელიდან!

— რა მოუვიდა?

— სვამს, ეწევა და ფაშატებში დადის...

***

— რად უნდა ვერტმფრენს ამხელა პროპელერი?

— პილოტს რომ არ დასცხეს და არ გაოფლიანდეს.

— ნუ ახურებ!

— მართალს გეუბნები. იმ დღეს ვმგზავრობდით ვერტმფრენით და დაჯდომისას უცბად პროპელერი გაჩერდა. უნდა გენახა, პილოტს რა ოფლმა დაასხა!

***

— როცა შეყვარებულთან მიდიხარ, რატომ იხსნი სათვალეს?

— ასე უფრო ლამაზად გამოვიყურებით მეც და ისიც.

***

ქმარი გვიან ღამე ბრუნდება სახლში:

— აბა, თუ გამოიცნობ, სად ვიყავი? — ეუბნება ცოლს.

— გამოვიცნობ თუ არა, ეგ მე ვიცი, ჯერ შენი ვერსია მითხარი.

ნარკუშა შედის ბაზარში:

— აი, ეს მწვანე რა არის, ბიძაჩემო?

— კიტრია!

— 3 კილო ამიწონე და სათითაოდ შემიხვიე! აი, ეს წითელი რა არის?

— პამიდორია!

— ეგეც 3 კილო ამიწონე და სათითაოდ შემიხვიე. ეგ თეთრი რა არის?

— ეგ ბრინჯია, ოღონდ არ იყიდება.

***

ნარკუშები პლანს ეწევიან.

— როდის იქნება „პრიხოდი"?

— აი, იმ ხის კენწეროზე ბებია რომ ჩამოჯდება.

იქვე ეზოში ბომჟები არაყს სვამენ.

— როდის დავთვრებით?

— აი, იმ ბოძზე რომ ძაღლი აძვრება.

— ის ბებია რას ჩამომჯდარა ხის კენწეროზე?

— მაგას მოეშვი, ეგ ნარკომანებისაა.



***

სამშობიაროში მედდა ორი ბავშვით ხელში ახალშობილთა მამასთან მივიდა:

— თქვენ ალბათ ერთს ელოდით... ხომ არ შეშინდით?

— არა, რას ამბობთ, — დაბნეული სახით პასუხობს მამა.

— ძალიან კარგი, მაშინ თქვენ ეს 2 გამომართვით და დანარჩენებსაც ახლავე მოვიყვან.

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. რობერტ სტურუა.
2. სტენდალი.
3. ძალიან ღარიბს.
4. აბრეშუმის ქსოვილი.
5. იაკუტია. მის ტერიტორიაზე 3 საათობრივი სარტყელი გადის.
6. ჩქარი წვიმა, „ადრე მომდარებელი".
7. პლატონი.
8. თამაზ კვაჭანტირაძე.
9. სოფიკო ჭიაურელი.
10. პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სომხური დრამატული თეატრი.
11. მენდელსონი, რომლის მარშსაც საათი უკრავდა, 1809 წელს იყო დაბადებული.
12. თითოეული ზარი თითო ცოდვას შეესაბამება. სულ ექვსი ცოდვაა: სიხარბე, სისულელე, სიავე, თავქარიანობა, მერყეობა და შურიანობა. ყოველ მათგანს 18 ნაირსახეობა აქვს, რაც საერთო ჯამში 108-ს უდრის.

## ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 16-22 ივნისი

### ვერძი

კარგი პერიოდია რომანტიკული შეხვედრებისთვის. დოკუმენტების გაფორმებისას მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. კოსმეტიკური რემონტი წამოიწყეთ და საოჯახო ნივთები შეიძინეთ.

### კურო

სამსახურებრივი საქმეებით ნუ გადაიტვირთებით. მგზავრობისას საინტერესო ადამიანს გაიცნობთ. ნუ განმარტოვდებით. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

### ტყუპი

საკუთარი პრობლემების მოგვარება მარტოს მოგიწევთ. ამიტომ, მოთმინებით აღიჭურვეთ. უქმე დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად ბუნებაში გაატარეთ.

### კირჩხიბი

კოლეგებთან მოერიდეთ საქმეების გარჩევას. შესაძლოა, რელიგიურმა და ფილოსოფიურმა ლიტერატურამ გაგიტაცოთ. კარგი დროა მოგზაურობისა და მგზავრობისათვის.

### ლომი

ახალი იდეების განსახორციელებლად უკეთეს პერიოდს დაელოდეთ. ახლა ყოველდღიური საქმეებით დაკავდით. ინტუიციაზე დაყრდნობით იმოქმედეთ.

### ქალწული

საქმეების მიმართ მეტი ყურადღება გმართებთ. იურიდიული დოკუმენტების შედგენისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. ოჯახის წევრებთან კონფლიქტს ნუ გაამწვავებთ.

### სასწორი

თქვენს ახალ იდეებს კოლეგები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებენ. მოთმინებით აღიჭურვეთ და მათთან ერთად კონსტრუქციულად ითანამშრომლეთ. მოერიდეთ მგზავრობასა და კამათს რელიგიურ თემაზე.

### მორიელი

მეტი დრო დაუთმეთ სწავლას. მეუღლეს ნუ აეჭვიანებთ. შეყვარებულ მორიელს კარგი პერიოდი უდგას ქორწინებისა და რომანტიკისათვის.

### მშვილდოსანი

ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. საქმეების პარალელურად გართობაც მოგინდებათ, მაგრამ მოერიდეთ აზარტულ თამაშებსა და ფულის ფლანგვას.

### თხის რქა

სამსახურებრივი საქმეებით არ გადაიტვირთოთ. მარტოხელა თხის რქას სასიამოვნო ნაცნობობა ელის, რაც შესაძლებელია, რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

### მერწყული

დასვენებისა და გართობის პერიოდი დაგიდგათ. საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი სითბო და მზრუნველობა გამოიჩინეთ. უქმეებზე საოჯახო პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული.

### თევზები

საკუთარი ნიჭისა და შემოქმედებითი იდეების განხორციელების შანსი მოგეცემათ. უქმეები ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ. კარგი პერიოდია იმიჯის შესაცვლელად.

# ზოდიაქოს ნიშანთა თილისმები

**ვერძმა** ოქროს სამკაული უნდა ატაროს. ძველ ეგვიპტეში ოქრო სიბრძნის სიმბოლო იყო. ჩინელები უკვდავების მისაღწევად, ღვინოში არეულ ოქროს მტვერს სვამდნენ.

**კურო** სიმდიდრისა და სიბრძნის ზოდიაქოდ მიიჩნევა. კუროს თილისმა სპილოა. იგი ქვის ან ხის უნდა იყოს. სპილოს ძვლის თილისმა სიკეთეს არ მოგიტანთ.

**ტყუპმა** გასაღები უნდა ატაროს. სიმბოლურად, მას ყველა კარის გაღება შეეძლება. ძველად, მტკივან ადგილზე გახურებულ გასაღებს იდებდნენ.

**კირჩხიბის** თილისმა მთვარის გამოსახულებაა. მისი დახმარებით, სიყვარულს იპოვის და ოჯახურ ბედნიერებას მოიპოვებს. უმჯობესია, ვერცხლისგან დამზადებული ნახევარმთვარის გამოსახულება ატაროს.

ვარსკვლავი წარმატების მომტანი სიმბოლოა. **ლომის** თილისმა ქარვის ან ბროლის ვარსკვლავი გახდება.

**ქალწული** სიბრძნისა და კეთილგონიერების სიმბოლოა. მისი თილისმაა ბუ. სასურველია, სახლში ამ ფრინველის ფიგურა ან მისი ბუმბული ჰქონდეს.



**სასწორის** თილისმა გულია. მნიშვნელობა არა აქვს, რა მასალისა და ფერის იქნება იგი.

**მორიელმა** მალაქიტის ან მწვანე მინის ბაყაყის ფიგურა უნდა ატაროს. ძველეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ ბაყაყი ფეხმძიმე ქალებს მფარველობდა.

**მშვილდოსნის** თილისმა იაშმის სკარაბეუსია. ძველი ბერძნებისთვის იგი ერთგულებისა და დღეგრძელობის სიმბოლო იყო.

იაპონიაში ახალდაქორწინებულებს კუს გამოსახულებას მიართმევენ, რომ ერთმანეთს ტკბილად შეაბერდნენ და გამრავლდნენ. უკვდავების სიმბოლო — კუ **თხის რქის** თილისმაა.

**მერწყულის** თილისმა მინის ან ფაიფურის ანგელოზის ფიგურაა. ძველად ნიჟარაზე მკითხაობდნენ: თუ წყალში ჩაგდებული ნიჟარა წყალზე იტივტივებდა, სიკეთეს მოასწავებდა, ჩაძირული — უბედურებას. ნიჟარა ზოგადად **თევზების** თილისმაა.

■



1. კოქტეილის დასამზადებელი ჭურჭელი
2. საქართველოს პრემიერ-მინისტრი
3. ძველი თბილისის უბანი
4. რუსი როკმუსიკოსი
5. ქვეყანა აზიაში
6. უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა
7. სინამდვილე
8. გადამდნარი კარაქი
9. ბიბლიური პერსონაჟი
10. დიდი ჩაქუჩი
11. იაპონური „შაში"
12. ოფიციანტი საფრანგეთში
13. ტემპერატურის საზომი ერთეული
14. წისქვილის ქვა
15. კედელში ჩატანებული ღია ღუმელი
16. ჟამი
17. ნაზშირის ფერი
18. შხამიანი ბუზი
19. ქვეყანა აფრიკაში
20. ხვეწნა, მუდარა
21. მკურნალი
23. არემარე
23. იაპონური ავტომობილი
24. ჩანთოსანი დათვი
25. მწვანილი
26. რეპუტაცია
27. ამერიკის შტატი
28. ღვთის მოციქული
29. თევზის დიდი გროვა
30. ჯგუფ „U-2"-ს სოლისტი
31. ნაცვალსახელი
32. ძვ. რუსული სიგრძის საზომი ერთეული
33. ანტილოპის სახეობა
34. მონადირე ძაღლის ჯიში
35. თვე
36. ტაივანის დედაქალაქი
37. ზღვაოსანთა კუნძულები
38. პატარა საწნახელი
39. ქალთევზა
40. სულხან-საბა ორბელიანის სოფელი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. კურცჰაარი; 2. რომბი; 3. ჰიუგო; 4. პაკისტანი; 5. ბრინზა; 6. ტამბურინი; 7. ბოცა; 8. ბოი; 9. პიკაპი; 10. ბოა; 11. შევროლე; 12. ხურმა; 13. ჯირითი; 14. პრადო; 15. კიი; 16. ესპერანტო; 17. ვექილი; 18. ბაზიერი; 19. ბანდეროლი; 20. ჭიკარტი; 21. სიქა; 22. ლეკვი; 23. საჭე; 24. კორსიკა; 25. კოლბა; 26. გასტროლი; 27. სვე; 28. ძნა; 29. ფასადი; 30. რელიგია; 31. რეგატა; 32. პარიკი; 33. მელომანია; 34. რესორი; 35. სომელიე; 36. მაისი; 37. დოკი; 38. ია.

**სურათებზე:** 1. კეტი პერი; 2. პაფ დიდი.

# საფირმო კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ზ | ა | ვ | ი | ს | თ | ვ | ი | ს | ა | ო | დ | ა | მ | კ | ი | თ | ხ | ვ | ე | ლ | ი | ს | თ | ვ | ი | ს | ა | ო |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ფ | ი | ა | ს | ს | უ | ა | ლ | ე | ო | | ი | ჯ | ი | გ | ი | ი | ზ | ა | ა | | ვ | დ | ა | ა | ო | რ | ი | ნ | ი |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ**. მათემატიკური მოქმედება; **ზ**. რა ჰქვია მთავარ პერსონაჟს მხატვრულ ფილმში „რაჭა ჩემი სიყვარული“? **ა**. მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **ვ**. თბილისის ერთ-ერთი უბანი (ლისის ტბის სიახლოვეს); **ი**. ჟამთასვლის რომაული ღვთაება, რომელსაც ორი სახე აქვს, ერთი წარსულისაკენ იყურება, მეორე მომავლისაკენ; **ს**. რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **თ**. წვრილი ღვედი; **ვ**. რა ჰქვია ადვოკატს ქართულად? **ი**. მონასტრის წინამძღვარი; **ს**. პარიზის უნივერსიტეტი; **ა**. გერმანული საავტომობილო ფირმა; **ო**. ომის ცალთვალა ღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში. (ვიკინგების რწმენით თუ კი მისი სახელის ძახილითა და ხმლით ხელში მოკვდებოდნენ, ვალჰალაში (სამოთხეში) მოხვდებოდნენ); **დ**. წელზე შემოწყობილი ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული; **ა**. სამხედრო ნადავლი; **მ**. ნიკარაგუის დედაქალაქი; **კ**. პურის სალეწი ძველი იარაღი; **ი**. ფაშიზმის სამშობლო; **თ**. ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ხ**. ძროხის ან ცხვრის მშრალად მოხარშული, შეუკაზმავი ხორცი; **ვ**. რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში? **ე**. უეცარი გრძნობა დიდი შიშისა (გამოწვეული, ჩვეულებრივ, მოულოდნელად გაგონილი დიდად სამწუხარო ამბით, შესაზარი რისამე ნახვით, ზოგჯერ მოულოდნელი სიხარულითაც), — შიშის ზარი, თავზარი; **ლ**. რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში? **ი**. ქართული ხალხური შეჯიბრება ცხენოსნობასა და უბუნიკო შუბის სროლაში; **ს**. ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი, ავტორი სიტყვებისა „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“; **თ**. დამოკლეს მახვილი, არიადნეს ძაფი, ავგიას — ?; **ვ**. ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი**. სწრაფი წვიმა, მალე მომდარებელი; **ს**. რა ერქვა ვიტო კორლეონეს უფროს ვაჟს მხატვრულ ფილმში „ნათლია“? **ა**. განთიადი, გარიჟრაჟი; **ო**. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ**. გუცაევი; **ზ**. ზევსი; **ა**. ათაბაგი; **გ**. გორგონა; **ზ**. ზვიგენი; **ი**. ინცესტი; **ს**. სევანი; **თ**. თხა; **ვ**. ვერონა; **ი**. იასონი; **ს**. სმეტანა; **ა**. ანცი; **ო**. ოტავა; **მ**. მადრიდი; **კ**. კრატერი; **ი**. იაზონი; **თ**. თაღლითი; **ხ**. ხავსი; **ვ**. ვიაგრა; **ე**. ენდრო; **ლ**. ლაგამი; **ი**. იკაროსი; **ს**. სიდნეი; **თ**. თიანეთი; **ვ**. ვაიმარი; **ი**. იაქე; **ს**. საცივი; **ა**. არარატი; **ო**. ოლოლო.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**ცვარი ცვარს ეცა და ზღვად გადაიქცაო**

# იაპონური სენსაცია სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 8 | 3 | 6 | 2 | 1 | 4 | 9 |
| 4 | 1 | 2 | 8 | 7 | 9 | 3 | 5 | 6 |
| 9 | 6 | 3 | 5 | 1 | 4 | 7 | 2 | 8 |
| 1 | 8 | 4 | 9 | 3 | 5 | 6 | 7 | 2 |
| 3 | 2 | 6 | 1 | 4 | 7 | 9 | 8 | 5 |
| 7 | 9 | 5 | 6 | 2 | 8 | 4 | 1 | 3 |
| 2 | 4 | 9 | 7 | 5 | 6 | 8 | 3 | 1 |
| 6 | 3 | 7 | 2 | 8 | 1 | 5 | 9 | 4 |
| 8 | 5 | 1 | 4 | 9 | 3 | 2 | 6 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 8 | 9 | 6 | 3 | 4 | 7 | 2 | 1 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 5 | 2 | 9 | 6 | 8 |
| 9 | 6 | 2 | 4 | 7 | 1 | 8 | 3 | 5 |
| 3 | 5 | 4 | 8 | 9 | 6 | 2 | 1 | 7 |
| 8 | 7 | 1 | 5 | 2 | 3 | 4 | 9 | 6 |
| 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 8 | 6 | 7 | 9 |
| 6 | 1 | 8 | 7 | 4 | 9 | 3 | 5 | 2 |
| 2 | 9 | 7 | 3 | 6 | 5 | 1 | 8 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 9 | 3 | 1 | 7 | 4 | 8 | 2 |
| 8 | 7 | 2 | 9 | 4 | 6 | 5 | 1 | 3 |
| 3 | 4 | 1 | 8 | 5 | 2 | 6 | 9 | 7 |
| 1 | 8 | 3 | 4 | 7 | 5 | 9 | 2 | 6 |
| 9 | 2 | 7 | 6 | 8 | 1 | 3 | 5 | 4 |
| 5 | 6 | 4 | 2 | 9 | 3 | 8 | 7 | 1 |
| 2 | 9 | 8 | 1 | 6 | 4 | 7 | 3 | 5 |
| 7 | 1 | 6 | 5 | 3 | 8 | 2 | 4 | 9 |
| 4 | 3 | 5 | 7 | 2 | 9 | 1 | 6 | 8 |

## * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | 8 | | 2 | | |
| | | 7 | 5 | | | | | |
| | | 9 | | | | 6 | | |
| | | 3 | | 2 | | | 5 | |
| 7 | | | | | | | | 3 |
| | 6 | | 4 | | | 9 | | |
| | | 5 | | | | 4 | | |
| | | | | | 7 | 8 | | |
| | | 2 | | 1 | | | 7 | |

## ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | 7 | | |
| | | 7 | | 2 | | | | |
| | | 6 | 3 | | | | | 5 |
| | 9 | | 6 | | | | | 7 |
| 2 | | | | | | | | 9 |
| 4 | | | | 7 | | | 8 | |
| 9 | | | | | 2 | 1 | | |
| | | | | 8 | | 4 | | |
| | | 5 | | | | | | 8 |

## *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | 4 | | | | |
| | 2 | | | | 7 | 5 | | |
| 9 | | | | | | | 8 | |
| | | 1 | | | | | 7 | |
| 2 | | | | 7 | | | | 4 |
| | 3 | | | 6 | | 2 | | |
| | 5 | | | | | | | 3 |
| | | 3 | 5 | | | | 1 | |
| | | | | 9 | | | | 6 |

# ფოტოკურიოზები















# „გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები

## სამი გოჭი




გვ. რაოდ.: 12 გვ
ყდა: ბალიშა
ფორმატი: 22X27
სამი ძმა გოჭი: ნიფ-ნიფი, ნაფ-ნაფი და ნუფ-ნუფი თავიანთთვის ცალ-ცალკე სახლებს აიშენებენ. მათ თავს დაესხმება ბოროტი მგელი,მაგრამ გოჭები მის გაძევებას მოახერხებენ. წაიკითხეთ ეს ყველასათვის საყვარელი ზღაპარი, რომელიც ექვსი შესანიშნავი, მოძრავი ილუსტრა-ციით არის გაფორმებული.

ფასი: 14.99

## წითელქუდა







ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 12 გვ
ყდა: ბალიშა
ფორმატი: 22X27
ამ წიგნში მოთხრობილია წითელქუდასა და მისი ბებიის ამბავი, რომლებმაც მამაცი მეტყევის წყალობით თავი დააღწიეს ბოროტი მგლის მახეს. ეს ძალზე პოპულარული ზღაპარი, ექვსი შესანიშნავი, მოძრავი ილუსტრაციით, უთუოდ გაახარებს პატარა მკითხველს.

## ტკბილეული პატარებისთვის




ფასი: 15.99

გვ. რაოდ.: 61 გვ.
ყდა: მაგარი
ფორმატი: 21.5X27.5
თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ გემრიელი კერძების მომზადება მხოლოდ უფროსებს შეუძლიათ, მაგრამ როცა ამ პატარა დიასახლისებისთვის შექმნილ წიგნს გადაშლით და მარტივ, სახალისო რეცეპტებს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ თურმე ნაირ-ნაირი ნუგბარებისა და სასუსნავების მომზადება დედის დახმარების გარეშეც იოლად შეიძლება. ხომ გაინტერესებთ, როგორ უნდა გამოაცხოთ „დედოფლის ნამცხვარი“ ან „ნამცხვარი-მანქანა? ეს წიგნი დაგეხმარებათ, სასიამოვნოდ გააოცოთ თქვენი მეგობრები.

## საოცარი თვითმფრინავები

მალე!

ფასი: 19.99




გვ. რაოდ.: 10 გვ
ყდა: მაგარი
ფორმატი: 22.5X26
თქვენ წინაშეა საოცარი წიგნი ავიაციაზე. ისტორიული ფოტოების, დეტალური დიაგრამებისა და ფერადი კომიქსების საშუალებით გაეცნობით ავიაციის პიონერებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ დარგის განვითარების საქმეში. წიგნს ახლავს 5 ასაწყობი თვითფრინავის მოდელი, რომელთა აწყობის შემდეგ თვალწინ გადაგეშლებათ მსოფლიო ავიაციის შთამბეჭდავი ისტორია...

## თხუპნია ცუგა




გვ. რაოდ.: 16 გვ
ყდა: მაგარი
ფორმატი: 20X26
წაიკითხეთ ეს შესანიშნავი, მოძრავი ილუსტრაციებით გაფორმებული წიგნი თხუპნია ლეკვზე და გაიგეთ, როგორ გამოაცხო მან თავის მეგობარ გოჭუნასთან ერთად ტალახის ღვეზელი.

ფასი: 19.99

## კომბლე




ფასი: 9.99

ქართულ და ინგლისურ ენებზე!

გვ. რაოდ.: 12 გვ
ყდა: ბალიშა
ფორმატი:15X19
ამ ლამაზად ილუსტრირებულ წიგნში თქვენ წაიკითხავთ და თან პაზლებით ააწყობთ ყველასათვის საყვარელ ქართულ ხალხურ ზღაპარს კომბლეზე.

## მოხერხებული ღრუტუნა

ქართულ და ინგლისურ ენებზე!




ფასი: 9.99

გვ. რაოდ.: 12 გვ.
ყდა: ბალიშა
ფორმატი:15X19
ამ მშვენიერ, პაზლებიან წიგნში პატარები წაიკითხავენ ზღაპარს გონიერ ღრუტუნაზე, რომელმაც მოხერხებულად დაიხსნა თავი მგლისაგან და გადაარჩინა თავისი პატარა გოჭებიც.

*შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!*

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე. ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

# „ბომონდის“

## ივნისის ნომერი





# „კვირის პალიტრის“ კოლექცია

# „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

**წიგნი XX**

# მოდილიანი

## 20 - დან - 27 ივნისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!



„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 8(32) 238 26 73 / 8(32) 238 26 74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

**უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**